ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-1/2
1986

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2. 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა **(რედაქტორის მოადგილე)**, რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итонишвили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава ***(зам. редактора)***, **Р. К. Кикнадзе** ***(зам. редактора)***, Г. А. Меликишвили (*редактор*), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили, Г. С. Читая.

**პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე**
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი 16,8; პირ. საღ. გატარება 17,1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,2; გადაეცა წარმოებას 17. 3. 86; შეკ. 755; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 05. 86;

უე 04667 ტირაჟი 950

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

18287

# შინაარსი

## 1905—1907 წლების რუსეთის რევოლუციის 80 წლისთავი

ვ. სიჭინავა, ბათუმის და ფოთის მუშათა რევოლუციური თანამშრომლობა 1905—1907 წლებში . . . . . . . . . . . . . . . . 5
ვ. პეტროსიანი, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ურთიერთობის ისტორიიდან რუსეთის რევოლუციის პერიოდში . . . . . 17

## წერილები

დ. გოგოხია, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარება მერვე ხუთწლედში (1966—1970 წწ.) . . . . . . . . . . . . . . . . 32
თ. შაკიაშვილი, საქართველოს მრეწველობაში მოქმედი სააქციო საზოგადოებანი . 43
ვ. აბაშმაძე, სახელმწიფო დანაშაულობათა სახეების და მათი კლასობრივი ბუნებისათვის ფეოდალურ ქართულ სამართალში . . . . . . . . . 57
ბ. ბასვიანი, სვანეთის ეკლესიის ისტორიისათვის (ქორეპისკოპოზი და საყდრისშვილები) 68
ნ. ურუშაძე, ფიგურული პლასტიკის უძველესი ძეგლები საქართველოში . . 87

## ცნობები და შენიშვნები

ბ. შაყულაშვილი, მასალები ძველი თბილისის ისტორიისათვის . . . . . . . 103
ე. მამისთვალიშვილი, XVI საუკუნის გორის ისტორიიდან . . . . . . . 110
ც. აბულაძე, სულეიმან კანუნის ჰუქმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე . . . . . . . . . 128
ი. გოგინაშვილი, ნათესაობის სისტემების სოციალური განპირობებულობის პრობლემა 137
ნ. გოგიბერიძე, სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით დეკორირებული სამკაულის თარიღისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 154

## საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

მ. ქადაგიძე, ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან . . . . . . . 168
ო. ცქიტიშვილი, ვ. გაბაშვილის დაბადების 75 წლისთავი . . . . . . . 179
ი. ანთელავა, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი (შ. მესხიას დაბადების 70 წლისთავი) . . . . . . . . . . . . . . 184

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. პატარიძე, „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, 1982“ . . . . . . . . 188

## ქრონიკა და ინფორმაცია

გ. ჯორბენაძე, სიმპოზიუმი მიეძღვნა მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას . . . . 190
შ. ვაშაკიძე, პროფესორ ვარლამ დონდუას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია . . . . . . . . . . . . . . . . 191

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## 80-ЛЕТИЕ РЕВОЛЮЦИИ 1905—1907 гг.


В. СИЧИНАВА, Революционное сотрудничество батумских и потийских рабочих в 1905—1907 гг. . . . . . . . . . . . . . 5
В. ПЕТРОСЯН, Из истории связей большевистских организаций Закавказья и Средней Азии в начале первой русской революции . . . . . . 17


## СТАТЬИ


Д. ГОГОХИЯ, Развитие сельского хозяйства Абхазской АССР в восьмой пятилетке (1966—1970 гг.) . . . . . . . . . . . . . . 32
Т. ШАКИАШВИЛИ, Акционерные компании в промышленности Грузии . 43
В. АБАШМАДЗЕ, К вопросу о видах государственных преступлений и их классовой природе по феодальному грузинскому праву . . . . . . 57
Г. ГАСВИАНИ, К истории Сванетской церкви . . . . . . 68
Н. УРУШАДЗЕ. Древнейшие памятники фигуративной пластики Грузии . . 87


## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ


Г. ШАКУЛАШВИЛИ, Материалы к истории старого Тбилиси . . . . 103
Э. МАМИСТВАЛИШВИЛИ, Из истории г. Гори XVI в. . . . . . 110
Ц. АБУЛАДЗЕ, Хюкмы Сулеймана Кануни о передаче францисканцам одного грузинского монастыря в Иерусалиме . . . . . . . . . 123
И. ГОГИНАШВИЛИ, Проблема социальной обусловленности систем родства 137
Н. ГОГИБЕРИДЗЕ, К вопросу о датировке украшений, декорированных «перлами» . . . . . . . . . . . . . . . . 154


## ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ


М. КАДАГИДЗЕ, Из рукописного наследия академика И. А. Джавахишвили 168
О. ЦКИТИШВИЛИ, К 75-летию со дня рождения В. Н. Габашвили . . 179
И. АНТЕЛАВА, Видный исследователь истории Грузии (к 70-летию со дня рождения Ш. А. Месхиа) . . . . . . . . . . . . . 184


## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ


Л. ПАТАРИДЗЕ, «Источниковедческие разыскания, 1982» . . . . . . 188


## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ


Б. ДЖОРБЕНАДЗЕ, Симпозиум, посвященный полихромной поливной керамике 190
В. ВАШАКИДЗЕ, Научная сессия, посвященная 90-летию со дня рождения проф. В. Д. Дондуа . . . . . . . . . . . 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1905—1907 წლების რუსეთის რევოლუციის 80 წლისთავი

ვლადიმერ სიჭინავა

## ბათუმის და ფოთის მუშათა რევოლუციური თანამშრომლობა 1905—1907 წლებში

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბათუმის მუშებს ყოველთვის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეჭირა. ჯერ კიდევ XIX ს-ის 90-იან წლებში ბათუმის მუშათა კლასმა, რუსეთის პროლეტარიატის მაგალითებზე აღზრდილმა, ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას. ბათუმის მუშათა პირველი გაფიცვა მოხდა 1890 წლის ივლისში, მაგრამ მან მარცხი განიცადა. მუშებს შეუმცირეს ხელფასი და გაუდიდეს სამუშაო ნორმები. მუშათა გაფიცვებს ადგილი არ ჰქონდა 1890 წლიდან 1894 წლამდე. პოლიციის აზრით, „ბათუმის მუშებს სამუდამოდ ჭკუა ასწავლეს“, მაგრამ 1894 წლიდან მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა. მეწარმეებმა მუშებს ამჯერადაც შეუმცირეს ხელფასი 10 %-ით[1]. ეს მუშათა კლასის ბრძოლაში გამოწვევას უდრიდა. სათანადოდ მომზადების შემდეგ, 1895 წლის 17 იანვარს გემის მტვირთავმა ორასამდე მუშამ გაფიცვა გამოაცხადა[2]. გაფიცვები ბათუმში მიმდინარეობდა 1898, 1899 წლებში. გაფიცვამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო „შავი-კასპიის საზოგადოების“ ქარხანაში. აქ გაფიცვების ერთ-ერთი მიზეზი იყო ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მუშების სისტემატური დაჯარიმება. ბათუმის მუშათა საგაფიცვო მოძრაობა განსაკუთრებით 1901 წლიდან გაიშალა.

1902 წლის 27 თებერვალს როტშილდის ქარხანაში გაფიცვამ იფეთქა. გაფიცვის საბაბი გახდა იმ 389 მუშის დათხოვნა, რომელზედაც ადმინისტრაციამ და პოლიციამ ეჭვი მიიტანეს რევოლუციურ მოძრაობაში მათ მონაწილეობაზე.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა პოლიციის მიერ 32 დაპატიმრებული მუშის დასაცავად მოაწყო საპროტესტო მანიფესტაცია, 9 მარტს კი გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაციებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 15 და დაიჭრა 45 მუშა.

ბათუმის მუშათა ამ გრანდიოზული დემონსტრაციით შეძრწუნებული კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი რუსეთის იმპერატორს თავის მოხსენებაში სწერდა, რომ მუშების მიერ ამჟამად საბრძოლო ამოცანად დასახულია არა მარტო ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, არამედ პოლიტიკური მოთხოვნები, არსებული საზოგადოებრივი წყობილების საწინააღმდეგო მოთხოვნები. გოლიცინის აზრით, ბათუმის მუშები სახელმწიფოსათვის უფრო სახიფათოა, ვინემ იმპერიის შიდა გუბერნიებში თავმოყრილი მუშათა შედარებით უფრო დიდი რაოდენობა. სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, გოლიცინის აზრით, აუცილებელი იყო ქუთაისის გუბერნიისაგან ბა-

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 12, 39-ს. საქ. 296, ფურც. 3—7.

2 საქ. სსრ ცსია, ფ. 10, საქ. 55, ფურც. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუმის მხარის გამოყოფა და ცალკე ოლქის შექმნა, რომლის მმართველი იქნება გუბერნატორი[3].

მთავარმართებლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა: 1903 წლიდან შეიქმნა ბათუმის ოლქი (ცენტრი ქ. ბათუმი), რომელსაც თავისი გუბერნატორი ყავდა. ქ. ბათუმს კი, ბაქოსა და თბილისის მსგავსად, გაძლიერებული ჟანდარმული დაცვა დაუწესეს, მაგრამ პოლიციური ზომებით რევოლუციური მოძრაობის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

1903 წ. 9 მარტს, ბათუმის მუშათა დახვრეტის წლისთავზე, მუშებმა გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს, რომელშიც 3000 კაცზე მეტი მონაწილეობდა. დემონსტრანტები გაემართნენ რკინიგზის სადგურისაკენ და რამდენიმე წუთით შეაჩერეს დაძრული მატარებელი. დემონსტრანტებმა გაშალეს წითელი დროშა წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ დემონსტრანტები რკინიგზის სადგურიდან გამოემართნენ ცენტრალური ქუჩებისაკენ. ისინი ყრიდნენ პროკლამაციებს და ისროდნენ რევოლვერებიდან. დემონსტრანტებმა ფანჯრები ჩაუმტვრიეს რეაქციული გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქციასა და ამერიკის საკონსულოს შენობას[4].

1903—1904 წლებში ბათუმში მუშათა დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც ხშირად შეიარაღებული შეჯახების ხასიათს ღებულობდა, გამოსვლები ორგანიზებული იყო და მას ბათუმის რსდმპ კომიტეტი ხელმძღვანელობდა.[5].

ბათუმის მუშები თავიანთი ბრძოლით აღაფრთოვანებდა ახლომახლო სოფლებისა და ქალაქების მშრომელ მოსახლეობას. ამის გამოც იყო, რომ გლეხთა მოძრაობამ უმაგალითო გაქანება მიიღო მთელ დასავლეთ საქართველოში და, განსაკუთრებით, გურიაში. მაგრამ ცალკე ყურადღების ღირსია, რომ ბათუმის მუშათა ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი განსაკუთრებული სიძლიერით სწორედ ფოთის მშრომელებს დაეტყოთ.

ბათუმის მუშები რსდმპ ბათუმის კომიტეტის მეშვეობით ამყარებდნენ კავშირს ფოთელ რევოლუციონერებთან, სისტემატურად და ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ მათ. ბათუმისა და ფოთის რევოლუციონერთა ურთიერთდახმარება და თანამეგობრობა იმდენად დიდი და მჭიდრო იყო, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტი თავის პროკლამაციებს პარტიული კონსპირაციის მიზნით, საჭიროების მიხედვით, ხშირად ფოთის სტამბაში ბეჭდავდა.

1905 წლის 9 იანვრის „სისხლიან კვირას“ ბათუმის მუშები მრისხანე პროტესტით გამოეხმაურა. ჯერ კიდევ 1905 წლის საახალწლო დღესასწაულს ბათუმის პროლეტარიატი გაფიცვების მოწყობით შეეგება. 1905 წლის 3 იანვარს, დილის 10 საათზე გემის მტვირთავმა 100 მუშამ საპროტესტო გამოსვლები მოაწყო. მუშებმა შეტაკების დროს დაჭრეს მანთაშევის ქარხნის ერთი მოსამსახურე.

8 იანვარს მანთაშევის ქარხნის ხე-ტყის განყოფილების მუშებმა ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნა ხელფასის 20 კაპ. გადიდების შესახებ. ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, რის გამოც 25 მუშამ გა-

---

3 საქ. სსრ ცსია, ფონდი 39, საქმე 224, ფ. 145, 234, 235.

4 საქ. სსრ ცსია, ფ. 39, ს. 575, ფ. 7.

5 საქ. სსრ ცსია, ფ. 39, ს. 553, ფ. 3—4.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიცვა გამოაცხადა[6]. ქარხნის ხე-ტყის სახერხ განყოფილებაში მუშაობა შეწყდა, რამაც გამოიწვია დახერხილი სამშენებლო მასალის გადაზიდვის შეჩერება; იქ მომუშავენი დაუყოვნებლივ შეუერთდნენ მუშებს.

10 იანვარს ქარიშხლიანი ამინდების გამო ზღვაზე გემების დატვირთვა შეუძლებელი შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით სიდერიდისის ქარხნის ადმინისტრაციამ 15 მუშას წინადადება მისცა საბოლოო ანგარიში მიეღო და წარმოება დაეტოვებინა. მუშებმა მოითხოვეს 15 უკანონოდ დათხოვნილი მუშის დაუყოვნებლივ დაბრუნება, მაგრამ ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მაშინ ქარხნის 350 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა[7]. 13 იანვარს ბათუმში პოლიციამ მანთაშევის ქარხნის მუშების გაჩხრეკა მოაწყო. სხვებთან ერთად გაჩხრიკეს მუშა დომენტი ვადაჭკორიას ბინა, მაგრამ ხელისუფლების საწინააღმდეგო ლიტერატურის კვალის მიგნება არ მოხერხდა[8].

სიდერიდისის ქარხნის მუშებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქარხნის მფლობელს და კიდევაც მოიპოვეს ერთგვარი გამარჯვება. 4 დღის გაფიცვის შემდეგ მუშებმა 15 იანვარს განაახლეს მუშაობა. მათ მიაღწიეს წარმოებიდან დათხოვნილი მუშების სამუშაოზე დაბრუნება[9].

17 იანვარს „რუსეთის სავაჭრო საზოგადოების“ 206 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. 18 იანვარს გაიფიცა ბათუმის რკინიგზის სადგურის 40 მუშა, იმავე დღეს გაფიცვებს შეუერთდნენ მედროგეებიც. გაფიცულებმა მოითხოვეს ხელფასი 1 მანეთი და 60 კაპიკი დღეში, სამუშაო დღის შემცირება, ნახევარი საათი შესვენება და სხვა[10].

20 იანვარს ბათუმელ მუშა რევოლუციონერთა ერთი ჯგუფი გაემართა სოფლებში რევოლუციური პროპაგანდისათვის. მათ გლეხობაში დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს[11]. ეს მუშაობა რევოლუციის მთელ პერიოდში არ შეწყვეტილა.

20 იანვარს გაიფიცნენ ბათუმის ნავსადგურის მუშები, გაფიცულებს შეუერთდნენ ნავის კერძო მფლობელები, რომლებმაც უარი განაცხადეს გემებიდან მგზავრების გადმოყვანასა და ტვირთის გადმოზიდვაზე[12].

23 იანვარს გაიფიცნენ ბათუმის რკინიგზის სადგურის მუშები, პოსტები დატოვეს მეისრეებმა, მატარებლის გადამბელებმა და სხვა.

24 იანვარს ერთდროულად გაიფიცნენ ბათუმისა და ფოთის დეპოს მუშები. პოლიციამ სადგურებზე კაზაკები დააყენა. აგრეთვე დიდი გაფიცვა მოაწყვეს როტშილდისა და მანთაშევის ქარხნის მუშებმა. გაფიცულ მუშათა რაოდენობა ორივე ქარხანაში — უდრიდა 3500 კაცს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მუშათა გამოსვლების ჩასაქრობად სამხედრო უწყებიდან დამატებით ჯარი გამოითხოვა.

მუშათა რევოლუციური მოძრაობა ფოთში ბათუმის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის მაგალითებს კვალდაკვალ მიჰყვებოდა და იზრდებოდა. ჯერ კიდევ 16 იანვარს, „რუსეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის საზოგადოების“

---

6 საქ. სსრ ცსია, ფ. 10, ს. 55, ფ. 2.

7 იქვე. ფ. 4. .

8 იქვე, ფურც. 8.

9 იქვე, ფურც. 16—18.

10 იქვე, ფურც. 21—25.

11 იქვე, ფურც. 29.

12 იქვე, ფურც. 21—23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებმა, დაახლოებით 100 კაცმა, დღის პირველ საათზე შეწყვიტა მუშაობა და მოაწყო დემონსტრაცია, რამაც მთელი ქალაქის მოსახლეობა ფეხზე დააყენა. 19 იანვარს აქ გაფიცულ მეზღვაურებს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებიც შეუერთდნენ, გაფიცულთა რაოდენობამ 300 კაცს მიაღწია. შეშინებულმა პოლიციამ 19 იანვარს, დღის 3 საათზე ქუთაისიდან ფოთში გაფიცულთა წინააღმდეგ 50 კაზაკი ჩაიყვანა, მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია. გაფიცული მუშა-მოსამსახურეები ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ და მომავალი რევოლუციური ბრძოლის გაფართოებაზე თათბირობდნენ. ნავსადგურის გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნა ხელფასის 60 %-ით გადიდების, უფასო მკურნალობისა და სხვა საექიმო მომსახურების შესახებ. გაფიცულმა რკინიგზელებმა მოითხოვეს თვეში 35 მანეთი ხელფასი, უფასო მკურნალობის, ბინის, გათბობისა და განათების დაწესება. გაფიცულებს შეუერთდა ოსმალეთის ქვეშევრდომი 300 სომეხი მუშა, რომლებიც საზღვარგარეთის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე მუშაობდნენ. 28 იანვარს ფოთში მუშათა საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, დღის 12 საათზე მათ შეუერთდნენ მეეტლეები და მედროგეები, რიცხვით 250 კაცზე მეტი. გაფიცულებმა მხოლოდ 4 თებერვალს განაახლეს მუშაობა[13]. 30 იანვარს ფოთის მშრომელებმა ეკლესიაში მლოცველთა თანდასწრებით პეტერბურგში დახოცილ მუშებს სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს[14].

მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება სწრაფად ვრცელდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაში. ფოთელები ბათუმელ გიმნაზიელთა გამოსვლას მაშინვე გამოეხმაურნენ. 30 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები გამოვიდნენ ქუჩაში, გაიარეს მთავარი ქუჩები ლოზუნგით „გაუმარჯოს ერთობას!“. ფოთში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის იდეური ხელმძღვანელი ბათუმის მუშები იყვნენ. ბათუმის მუშათა ხელმძღვანელი როლი განუწყვეტლივ იზრდებოდა შემდგომ პერიოდშიც.

ბათუმის გიმნაზიის მოწაფეთა გავლენით ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა გამოსვლამ მკაცრი პოლიტიკური პროტესტის ხასიათი მიიღო. 3 თებერვალს ამ სკოლის 400 მოსწავლემ დემონსტრაციულად დატოვა მეცადინეობა და გამოვიდა ლოზუნგით: „გაუმარჯოს ერთობას!“, „ძირს მეფე!“. ადმინისტრაციის განკარგულებით სკოლა დროებით დახურეს, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობა ამან ვერ დააშინა, ისინი კიდევ უფრო მეტი გაბედულობით ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში[15].

6 თებერვალს ფოთში მოეწყო მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, 9 თებერვალს მოწყობილ დემონსტრაციაში 500 მუშა მონაწილეობდა[16].

1905 წლის რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ფოთის მუშებისა და ახლომახლო სოფლების გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილი (1876—1922).

თებერვლის პირველ ნახევარში ბათუმში, მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებში ურთიერთობა ადმინისტრაციასა და მუშებს შორის ყოველდღიურად მწვავდებოდა. მრეწველები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვ-

13 საქ. სსრ ცსია, ფ. 10; ს. 55, ფ. 46, 48, 49, 63.

14 იქვე, ფ. 57.

15 იქვე, ფურც. 64.

16 იქვე, ფ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. მუშებმა მიაღწიეს ეკონომიკური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას, რაც მკაცრი პოლიტიკური ბრძოლით იყო მოპოვებული. ბათუმს არც ფოთი ჩამორჩა. რევოლუციის ძალთა წინააღმდეგ ფოთში მეფის მოხელეები სრულიად განიარაღებული აღმოჩნდნენ. მთელი ძალაუფლება საგაფიცვო კომიტეტის ხელში გადავიდა. კომიტეტს თავისი სასამართლო და რევოლუციური რაზმი ჰყავდა. საჭიროების შემთხვევაში ხალხი საგაფიცვო კომიტეტს მიმართავდა საჩივრით. რევოლუციური სასამართლოები ასამართლებდნენ ქურდებს, მძარცველებს და სხვ. ბოროტმოქმედთ. 5-დან 9 მარტამდე სამჯერ მოეწყო ქურდების საჯარო გასამართლება. გასამართლებას ესწრებოდა ათასობით ადამიანი და, მიუხედავად ამისა, კომიტეტისა და სასამართლოს წევრთა ვინაობას საიდუმლოდ იცავდა მოსახლეობა[17].

28 მარტს ფოთში მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. ისინი პოლიტიკურ თავისუფლებას და ხელფასის გადიდებას მოითხოვდნენ. საყოველთაო გაფიცვამ საშიში ხასიათი მიიღო, გაფიცულმა მუშა-მოსამსახურეებმა დამქირავებლებისაგან მიიღეს დაპირება ხელფასის 30 %-ით მომატებისა და სამუშაო დროის შემცირების შესახებ, ამიტომ 1 აპრილს გაანახლეს მუშაობა[18].

მუშები მიღწეულით არ კმაყოფილდებოდნენ, უკვე გაზრდილი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნებით გამოდიოდნენ, ამასთან ისინი მოითხოვდნენ მუშების სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის უფლება გადასცემოდა მუშების ინტერესების დამცველ კომიტეტს.

ბათუმში ხელისუფლებამ გაძლიერებული პოლიციური დაცვა დააწესა. ჯარის ნაწილებს ახალ ბატალიონებს უმატებდნენ. კავკასიის უმაღლესი მთავრობის ბრძანებით ფოთში 19 ივლისს ქუთაისის პოლკის 4 ბატალიონი და კაზაკთა პოლკის ერთი ასეული ჩაიყვანეს[19]. ბოლშევიკები მუშებს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მუშათა კლასი გაჰყვა ბოლშევიკების მიერ ნაჩვენებ გზას, 22 ივლისს ფოთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ჩატარდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფოთის ჯგუფის სხდომა. სხდომაზე ბოლშევიკების პლატფორმის წინააღმდეგ გაილაშქრეს მენშევიკებმა[20]. მათ მოითხოვეს არ გაეღიზიანებინათ მთავრობა, შეწყვეტილიყო გაფიცვები და სხვა. მუშათა კლასის პოლიტიკური განიარაღების იდეას ქადაგებდნენ მენშევიკები ბათუმშიც. ყოველივე ამით გათამამებულმა მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და ასობით მუშა ქუჩაში გაჰყარეს. მათ ფოთშიც გაუჩნდნენ მიმბაძველები. 23 აგვისტოს ფოთის ხე-ტყის ქარხნების მეპატრონეებმა წარმოება დახურულად გამოაცხადეს იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საწარმოების მუშებმა ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება მოითხოვეს[21]. კაპიტალისტების მიერ მოწყობილი შეთქმულების მიზანი ცხადი იყო. ამით მათ უნდოდათ გაეტეხათ მუშათა ბრძოლის უნარი, დაექსაქსათ მათი ორგანიზაცია, შეერყიათ მუშათა დარაზმულობა და ერთსულოვნება, რათა შემდეგში ახლად მიღებული მუშებისათვის წარმოების განახლების დროს ეკარნახათ თავიანთი ნება-სურვილი.

---

17 საქ. სსრ ცსია, ფ. 10; ს. 55. ფურც. 133.

18 იქვე.

19 იქვე, ფ. 179.

20 იქვე, ფ. 183.

21 იქვე, ფ. 200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მთავრობამ აგრეთვე სცადა მებრძოლ მუშათა რიგებში განხეთქილების შეტანა მისი ბრძოლისუნარიანობის დასუსტება. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების ხალხების ერთმანეთზე გადაკიდებას, პროვოკაციული მეთოდებით ეროვნული შუღლის გაღვივებას. მაგრამ უშედეგოდ. ბათუმსა და ფოთში პროვოკატორებმა მუშათა შორის განხეთქილების შესატანად საჭირო ნიადაგი ვერ იპოვეს.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მაღალი იდეური და მტკიცე პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობის შედეგად ბათუმსა და ფოთში სხვადასხვა კუთხისა და ეროვნების მუშათა შორის ძმობა და ინტერნაციონალური სულისკვეთება სუფევდა. ეს იყო დიდი გამარჯვება, რაც უზრუნველყო რუსეთის პროლეტარიატის მიერ ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნამ, მხარდაჭერამ როგორც ხალხთა ეროვნულ განმათავისუფლებლ მოძრაობისადმი.

კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნულ ვორონცოვ-დაშკოვს თავისი კანცელარიია წერილობით მოხსენებაში გულისტკივილით განუმარტავდა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის უკანასკნელ ხანებში არის დაძმობილების ტენდენცია, მიუხედავად ამ ერებს შორის ადრე არსებული დაპირისპირებისაო. კანცელარია ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა აგრეთვე იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანებში რსდმპ კომიტეტი ამიერკავკასიის ყველა დიდ ქალაქშია შექმნილი, მაგრამ პროპაგანდის განსაკუთრებული კერა ბათუმის კომიტეტიაო[22]. ამავე მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით ბათუმსა და ფოთში ერთდროულად მიმდინარეობდა მუშათა გაფიცვები, ისე კარგად ორგანიზებული და ხანგრძლივი იყო ეს გაფიცვები, რომ მრეწველობას უზარმაზარი ზარალი მიაყენაო[23].

ფოთში 27—28—29 აგვისტოს ქალაქის პარკში ზედიზედ მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტები. ორატორები გამოდიოდნენ ლოზუნგებით „ძირს თვითმპყრობელობა!“, „ძირს მეფე ნიკოლოზი!“, ხალხს მოუწოდებდნენ შეეგროვებინათ ფული იარაღის შესაძენად, მოითხოვდნენ შეძენილი იარაღით გლეხთა რევოლუციური რაზმების შეიარაღებას[24].

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებს ბათუმისა და ფოთის მუშები ერთდროულად გამოეხმაურა. 15 ოქტომბერს ბათუმსა და ფოთში ერთბაშად გაიფიცნენ მუშები და მოსამსახურეები. კარგად ორგანიზებულმა საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ პოლიციას თავზარი დასცა. მატარებლების მოძრაობა შეწყდა ნატანებსა და სუფსას შორის. გაფიცულებმა რკინიგზის ლიანდაგი აყარეს. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა და მოსახლეობას მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადებინა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მოეთხოვა სამხედრო წესების მოხსნა და კავკასიიდან ჯარის გაყვანა[25].

16 ოქტომბერს ფოთში გაავრცელეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, ქუჩებში რამდენიმე ყუმბარა გასკდა, დუქნები და მაღაზიები დაი-

22 საქ. სსრ ცსია, ფ. 39. ს. 254, ფ. 12—14.

23 იქვე, ფ. 12—14.

24 იქვე. ფ. 10, ს. 55, ფ. 217, 222.

25 რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წელი (თეზისები), 1955, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კეტა. მიმოსვლის არავითარი საშუალება არ არსებობდა, გაფიცულებმა ტელეგრაფის ხაზები დაწყვიტეს, რკინიგზის ლიანდაგი აყარეს. ფოთიდან ორ კილომეტრზე მატარებელმა მარცხი განიცადა, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. ჟანდარმები სავსებით დაიბნენ და უმოქმედოდ იყვნენ.

მეფის მთავრობამ გამოსცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიც ფარისევლურად აღუთქვა მოსახლეობას სამოქალაქო თავისუფლებანი, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევა. ბათუმსა და ფოთში 21 ოქტომბერს ერთდროულად შეწყდა საყოველთაო გაფიცვა (გარდა ბათუმის რკინიგზის მუშებისა, რომლებმაც გაფიცვა განაგრძეს). მუშები და მოსამსახურეები თავიანთ სამუშაოზე დაბრუნდნენ. პოლიცია ზეიმობდა გამარჯვებას, პოლიციას გვერდში ამოუდგა ლიბერალური ინტელიგენცია და მენშევიკი ოპორტუნისტები, ობივატელ-მეშჩანები და სხვ.

24 ოქტომბერს დღის 12 საათზე ბათუმში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვას მეფის „მანიფესტის" წინააღმდეგ მიმართული მტკიცე საპროტესტო ხასიათი ჰქონდა. 25 ოქტომბერს პოლიციისათვის სრულიად მოულოდნელად ქალაქის თეატრში შეგროვდა 2000 კაცი. კრებამ განიხილა საკითხები: 1) სამხედრო წესების მოხსნის შესახებ; 2) ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლების და საერთოდ პოლიტიკური მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ; 3) შეტყობინება იმისა, თუ რა ხდება რუსეთში; 4) მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული გურული გლეხების მიმართ რეპრესიების შეწყვეტის შესახებ და სხვ.

კრებამ მოითხოვა გენერალ-გუბერნატორის მასთან გამოცხადება. აღნიშნული დადგენილება გუბერნატორმა არ შეასრულა, ხოლო კრებას შემოუთვალა, რომ კრების რეზოლუციას ის მეფისნაცვალს წარუდგენდა. კრებამ გამოიტანა გადაწყვეტილება სანამ შესრულებული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, გამოცხადებულიყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც ფაქტობრივად უკვე დაიწყო 24 ოქტომბერს, დღის 12 საათზე. 25 ოქტომბერს ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეები შეეცადნენ დემონსტრაციის მოწყობას, მაგრამ ისინი იარაღით გაფანტა პოლიციამ[26]. 27 ოქტომბერს დღის 9 საათიდან გაფიცულმა მუშებმა ბათუმის ქუჩებზე მთავრობის ჩინოვნიკების, ჯაშუშებისა და აგენტების წინააღმდეგ გააჩაღეს მასობრივი ტერორი. 28 ოქტომბერს მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავებული იყო. მანთაშევის ქარხნის ახლოს პოლიცია და ჯარის ნაწილები გაფიცულ მუშებს თავს დაესხნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც მოკვდა 5 მუშა და მრავალი დაიჭრა. ამავე დღეს საღამოს 5 საათზე არდაგანის ქუჩაზე ხერსონის პოლკსა და აჯანყებულ მუშებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. ბრძოლის დროს მუშებმა, შაშხანებისა და რევოლვერების გარდა, ხელყუმბარებიც გამოიყენეს[27].

ფოთის მშრომელი მოსახლეობა ბათუმის მუშათა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას და მასობრივ ტერორს ერთსულოვნად გამოეხმაურა. 26 ოქტომბრიდან ფოთის ქალაქის ბაღში და ქალაქის თვითმმართველობაში ყოველდღიურად გრანდიოზული მიტინგი ტარდებოდა. მიტინგზე ორატორები მთავ-

---

26 საქ. სსრ ცსია, ფ. 10, ს. 55, ფ. 236.

27 იქვე, ფ. 236, ს. 34, ფ. 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობისა და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

30 ოქტომბერს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში მოწყობილი კრება საღამოს 10 საათამდე გრძელდებოდა. აღნიშნული კრების მიერ ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო: მეფისნაცვალს დეპეშა გაეგზავნოს: 1) ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესების და გაძლიერებული დაცვის მოხსნის; 2) თადარიგისა და სამხედრო სამსახურის ვადაშესრულებულთა დაუყოვნებლივ დათხოვნის; 3) გურიიდან ჯარის სასწრაფოდ გაყვანის შესახებ. კრებამ მიიღო დადგენილება, რომ იმ შემთხვევაში, უკეთუ მთავრობა არ შეასრულებდა აღნიშნულ დადგენილებას, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გაგრძელებულიყო არანაკლებ 20 დღისა. ამ ხნის განმავლობაში ხალხში გავრცელებინათ მოწოდებები პროკლამაციების სახით[28].

კრების დადგენილება ფოთის მშრომელებმა კანონად აღიარეს და 31 ოქტომბერს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. გარდა ბანკისა და ფოსტა-ტელეგრაფისა, არც ერთი დაწესებულება, არც ერთი საწარმოო არ მუშაობდა[29].

გაფიცულებს ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსწავლე ახალგაზრდობა. სკოლებში მეცადინეობა შეწყდა, პოლიცია შიშმა შეიპყრო და სრულიად უმოქმედოდ იყო, ხოლო ჯარის ნაწილები „უდარდელობას" იჩენდნენ.

ოქტომბრის შეიარაღებული ბრძოლები ბათუმსა და ფოთში მაინც ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი და მუშათა კლასის შეიარაღებული ბრძოლისა და წრთობის პირველი საცდელი გაკვეთილი იყო. ოქტომბერში ბრწყინვალედ ჩაატარეს რა შეიარაღებული რევოლუციური ბრძოლის საცდელი გაკვეთილები, ბათუმის მუშები ახლა უფრო ფართო მასშტაბით შეუდგნენ გრანდიოზული მისიის განხორციელებისათვის ბრძოლას. 17 ნოემბერს ქალაქში განაიარაღეს პოლიცია. 19 ნოემბერს ბათუმის სატვირთო სადგურზე ვაგონიდან გაიტაცეს დაახლოებით 4 ფუთი დინამიტი. 22 ნოემბერს თავს დაესხნენ პოლიციის მესამე უბანს, ჩამოართვეს და წაიღეს მთელი იარაღი. თავდასხმა პოლიციელებზე, კაზაკებზე და მათი განიარაღება შემდეგ დღეებშიც გრძელდებოდა. 28 ნოემბერს ბათუმში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვის მონაწილეებმა მოითხოვეს გაეყვანათ ქალაქიდან ლაბინსკის პოლკის მეორე ასეული, ვინაიდან კაზაკები კლავდნენ და ძარცვავდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს[30]. ბათუმში 29 ნოემბერს დაიწყო შეიარაღებული საბარიკადო ბრძოლები. დილის 10 საათზე ბათუმის ყველა ძირითად ქუჩას მოედვნენ შეიარაღებული რაზმელები და ქუჩებში დაიწყეს ბარიკადების შენება. ლორის-მელიქოვისა და ერევნის ქუჩის მოსახვევებში ტერ-ასატუროვის სახლის სახურავიდან გადმოყარეს ბომბები, რის შედეგად დაიჭრა ერთი ოფიცერი და 3 ჯარისკაცი. ქუჩაში გაიმართა ცეცხლსასროლი იარაღით პოზიციური ბრძოლა აჯანყებულებსა და ჯარისკაცებს შორის. ბრძოლის დროს მოკვდა და დაიჭრა 5 კაცი. 29 ნოემბერს 12 საათიდან შეიარაღებული წითელრაზმელები თავს ესხმოდნენ პოლიციელებს, ჯარის ნაწილებს, მთავრობის სხვა შეიარა-

28 იგულისხმება მოწოდებანი შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

29 საქ. სსრ ცსია, ფ. 10, ს. 55, ფ. 448.

30 იქვე, ფ. 250—253.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღებულ მსახურებს,ართმევდნენ მათ ცეცხლსასროლ იარაღებს. საღამოს 8 საათზე გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები ლაბინის ცხენოსან კაზაკთა ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის. ქუჩებში ჯარის ნაწილები იყენებდნენ ბრძოლის ყველა იმ იარაღს, რომელიც მათ განკარგულებაში იყო. ბრძოლაში დაეცა 9, ხოლო ცივი იარაღით ხმლითა და ხანჯლით დაიჭრა 4 მუშა. 30 ნოემბერს მუშების მიერ მეფის მოხელეთა განიარაღება კიდევ უფრო ინტენსიურად გრძელდებოდა. 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე მატარებლის მოძრაობა შეწყდა, ბათუმში ყველა მაღაზია დაკეტილი იყო. მეეტლეების გაფიცვის შედეგად მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა სიარული.

მთავრობის მოხელეები რევოლუციის ბობოქარმა ტალღამ დააფრთხო, ისინი მომავალს სასოწარკვეთილებით შეჰყურებდნენ, ყოველდღე გაქცევას მოელოდნენ. მეფის მოხელეთა შიში უსაფუძვლო არ იყო. ჯარის ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდა შეიჭრა და იგი საიმედო დასაყრდენად მთავრობას უკვე აღარ გამოადგებოდა. ჟანდარმერიის შიშს კიდევ უფრო აძლიერებდა წითელი პარტიზანებისა და რევოლუციური მუშების კარგი სამხედრო გაწვრთნილობა და შეიარაღება. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა და მისი ფოთისა და სოხუმის ჯგუფებმა დიდი მუშაობა გასწიეს საზღვარგარეთიდან არალეგალურად სამხედრო იარაღის დიდძალი რაოდენობით შემოსაზიდად. 1905 წლის 30 აპრილს პოლიციელებმა ბათუმში გახსნეს გემით მოტანილი კასრები, რომელშიც აღმოჩნდა 12 ათასი საბრძოლო ვაზნა და იარაღის ნაწილები.

საზღვარგარეთიდან სამხედრო იარაღი არაერთხელ შემოუტანიათ ფოთში. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებით ბარათში წერდა:

„1905 წლის 11 ნოემბერს ღამის 11 საათზე ფოთის ნავსადგურს მოადგა გემი, რომელიც დატვირთული იყო იარაღით. გადმოტვირთვაში მონაწილეობას იღებდა 600 მუშა და ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებმაც გემის მოსვლისთანავე დააპატიმრეს ნავსადგურის და საბაჟოს დაცვა. ეს შენიშნეს ხერსონის პოლკის ჯარისკაცებმა. ღამით მოეწყო მუშათა ბინების ჩხრეკა. გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა ავსტრიული სისტემის 820 იარაღი და ვაზნებით სავსე 54 ყუთი. თითოეული ყუთი იწონის 5 ფუთს. ამას გარდა კიდევ აღმოჩნდა იარაღით სავსე 31 ყუთი. თითოეულ ყუთში მოთავსებული იყო 20 თოფი. 15 ნოემბერს დაკავებული იქნა კატარღა „რიონი“ 940 თოფით და 240 ათასი საბრძოლო ვაზნით[31]“.

რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი დიდძალი სამხედრო საჭურველი გადმოჰქონდათ სოხუმის ნავსადგურიდან და მის ახლომახლო მიდამოებიდან. სოხუმში ხალხის შეიარაღების საქმეში რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ს. ორჯონიკიძე.

შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ ჯერ კიდევ 1905 წ. 16 ნოემბერს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს წერდა: „ახლა ბათუმში საფრთხეს წარმოადგენს უკვე არა წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა ქალაქში, არამედ ციხე-სიმაგრის, იარა-

---

[31] საქ. სსრ ცსია, ფ. 10; ს. 99, ფ. 14. იხ. ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, 1954, გვ. 132—133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღის ხელში ჩაგდებისა და უფროსთა გაძლეტის შესაძლებლობა. ესოდენ მძიმე და სახიფათო მდგომარეობიდან ბათუმის ოლქის ხსნა შეიძლება მხოლოდ უაღრესად ენერგიული ღონისძიებებით რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამ ღონისძიებებს მხარი დაუჭირონ ახალმა ჯარებმა, უმთავრესად კაზაკთა ჯარებმა[32].

დიდი ხნის მზადების შემდეგ მეფის მთავრობა კონტრშეტევაზე გადავიდა. 1905 წლის 1 დეკემბერს ქალაქ ბათუმში მიხაილოვის ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებით ციხე და ქალაქი საალყო მდგომარეობაში გამოცხადდა. მცხოვრებლებს წინადადება მიეცათ ყოველგვარი სახის იარაღი მთავრობისათვის ჩაებარებინათ. პირველი დეკემბრისათვის მთავრობის სპეციალური ღონისძიებებით აჯანყება ჩაქრობილი იქნა[33].

ნოემბრის თვეში ბათუმის მუშათა მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ფოთის მუშებიც. 27 ნოემბერს, ღამით, ფოთში მოხდა შეიარაღებული ხალხის შეტაკება კაზაკებთან. ჯერ კიდევ საღამოს პლასტუნებმა დაიკავეს ხიდები მდინარე რიონზე, ატეხეს სროლა ქუჩებში, რასაც მოჰყვა დარბევა ქალაქში. დაჭრეს 20 კაცი. ბოლშევიკების მოწოდებით ფეხზე დადგნენ მუშები და თითქმის მთელი მოსახლეობა. ქუჩებში გამოჩნდნენ შეიარაღებული მუშები, რომელთა რიცხვი 300-მდე აღწევდა. წითელი რაზმის ხელმძღვანელებმა მომხდარი ამბების შესახებ აცნობეს ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრების რევოლუციონერ გლეხებს, რომლებმაც ფოთისაკენ დასახმარებლად გაგზავნეს შეიარაღებული რაზმები. რევოლუციურ ძალთა ასეთმა სწრაფმა მობილიზაციამ მეფის ადმინისტრაცია დააფრთხო. ფოთში სასწრაფოდ ჩავიდა ქუთაისის გუბერნიაში განლაგებული ჯარების უფროსი გენერალი შიშკოვი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა საქმის „გამოძიება" და „სათანადო" ზომების მიღება. აღელვებული მუშები ჩამოსულ შეიარაღებულ გლეხებთან ერთად ყოველ წუთს მზად იყვნენ ფოთში მოთარეშე ჯართან შეტაკებისათვის. დაშინებულმა ადმინისტრაციამ სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ქალაქიდან გაიყვანა კაზაკები და პლასტუნები და სასწრაფოდ დასვა საკითხი „მოსახლეობის დამშვიდებისათვის" გარნიზონის სრული შეცვლის შესახებ[34].

ბათუმის მუშათა საბარიკადო ბრძოლების შემდეგ მძვინვარე ტერორის გამო, აგრეთვე ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკების და სხვათა ბურჟუაზიულ-ნაციონალური გამხრწნელი საქმეების წყალობით ბათუმის მუშები დეკემბრის გადამწყვეტ დღეებში შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიურად არ მონაწილეობდნენ. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს მებრძოლი პროლეტარიატისადმი სოლიდარობისა და რევოლუციური ნაძალადევის (თბილისი) დარბევისადმი პროტესტის ნიშნად ბათუმის მუშებმა 20 დეკემბერს მოაწყვეს მძლავრი დემონსტრაცია. როტშილდის, მანთაშევისა და სხვა ქარხნების მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს, ააფრიალეს სამი წითელი დროშა და ერთად გაემართნენ ბარცხანისაკენ. დემონსტრაციის დროს, რომელშიც 3500

---

32 დოკუმენტი ციტირებულია პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან: „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბ., 1955, გვ. 121.

33 საქ. სსრ ცსია, ფ. 10; ს. 55, ფ. 253.

34 საქ. სსრ ცსია, ფ. 521, საქმე 17, ფ. 292, იხ. ი. გ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, 1905—190 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 337—338.

კაცი მონაწილეობდა, გაისმოდა რევოლუციური ლოზუნგები და გაავრცელეს პროკლამაციები. პოლიციამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა[35].

1906 წლის დამდეგს მოვიდა ცნობა მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შესახებ. რეაქციის შავმა ძალებმა დამსჯელი ექსპედიციები მიუსიეს სოფლებსა და ქალაქებს. თბილისის პროლეტარიატის ბრძოლა მარცხით დამთავრდა.

1906—1907 წლებში რევოლუციის უკან დახევასთან დაკავშირებით მეფის მთავრობამ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშრომელ მასებს ერთბაშად არ დაუყრიათ იარაღი, ისინი უკან ბრძოლით იხევდნენ.

რევოლუციის პერიოდში ფოთსა და ბათუმში დაბანაკებულ ჯარისკაცთა შორის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გასწიეს და წარმატებებსაც მიაღწიეს.

1906 წლის ივნისში მღელვარება მოხდა ბათუმის გარნიზონში, სადაც ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდა არდაგანის სათადარიგო ბატალიონი. „ჯარისკაცთა კავშირის" პროკლამაციაში ბათუმის ამბების გამო ნათქვამი იყო: „ბათუმის გარნიზონის (კაზაკების გარდა) ხალხს მიემხრო... 12 ივლისს მთელი არტილერია და ქვეითი ჯარის ნაწილი გამოვიდა ყაზარმებიდან და შეუერთდა საერთო მიტინგს. ორატორები წარმოთქვამდნენ სიტყვებს... ქვეითი ჯარის ნაწილი უფროსების ბრძანებით გარს შემოერტყა მიტინგს და სურდა ჯარისკაცების დაპატიმრება, მაგრამ გამოვიდა ერთ-ერთი ამხანაგი და მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. მაშინ ქვეითი ჯარი, რომელიც გარს შემოერტყა მიტინგს, შეძახილებით „ურა", „გაუმარჯოს ხალხს" აჯანყებულ ამხანაგებს შეუერთდა[36].

ბათუმის პროლეტარიატის ყველა გამოსვლას მხურვალედ ეხმაურებოდა ფოთის მშრომელი მოსახლეობა. მშრომელთა ერთობლივი რევოლუციური გამოსვლები დროებით დამარცხდა, მაგრამ ბათუმისა და ფოთის პროლეტარიატებმა რევოლუციური ბრძოლისა და ურთიერთმეგობრობის ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ამიერკავკასიისა და საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

В. Н. СИЧИНАВА

## РЕВОЛЮЦИОННОЕ СОТРУДНИЧЕСТВО БАТУМСКИХ И ПОТИЙСКИХ РАБОЧИХ В 1905—1907 ГГ.

Резюме

Батумский пролетариат в борьбе против царизма всегда занимал одно из первых мест. Воспитанный на традициях русского пролетариата, еще в 90-х годах XIX столетия он выступил против тирании самодержавия.

[35] საქ. სსრ ცსია, ფ. 102; ალწ. 168, ს. 39, ფ. 2. იხ. ი. გ. ხუციშვილი 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 366—367.

[36] ციტირებულია პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში", 1955, გვ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Первая организованная стачка батумских рабочих произошла в 1890 году, а с 1895 года рабочие выступления в Батуми носили систематический характер. В этот период батумский пролетариат вел борьбу преимущественно за улучшение своего экономического положения. Попытки правительства организовать штрейкбрехерство среди рабочих потерпели крах.

Особенное развитие стачечное движение среди батумских рабочих получило с 1901 года, когда здесь основали Комитет РСДРП и организовали стачечный комитет.

Батумский пролетариат организованно и сплоченно встретил первую русскую революцию, будучи в передовых рядах в героической борьбе против царизма. Рабочие поддерживали тесную связь с потийскими революционерами, которыми оперативно руководил Батумский комитет РСДРП. Часто в целях конспирации прокламации Батумского комитета РСДРП печатались в Поти.

Батумские и потийские пролетарии одновременно и согласованно устраивали стачки и демонстрации, взаимно консультировались и одновременно выступали с революционными боевыми лозунгами. 24 января 1905 года трудящиеся городов Батуми и Поти единодушно выступили против классового врага. Начались баррикадные бои.

В период революции еще яснее выявилась реформистская, предательская политика меньшевиков. Революция временно потерпела поражение.

Батумский и потийский пролетариат под руководством большевиков получил закалку в революционной борьбе и вписал яркую страницу в историю рабочего движения Грузии и Закавказья.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

18287

В. Г. ПЕТРОСЯН

# ИЗ ИСТОРИИ СВЯЗЕЙ БОЛЬШЕВИСТСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗАКАВКАЗЬЯ И СРЕДНЕЙ АЗИИ В НАЧАЛЕ ПЕРВОЙ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Начало XX века ознаменовалось перемещением мирового центра революционного движения с Запада в Россию.

Еще в 1882 г. в предисловии к русскому изданию «Манифеста Коммунистической партии» Маркс и Энгельс писали, что «Россия представляет собой передовой отряд революционного движения в Европе»[1].

На долю пролетариата России выпала историческая миссия — стать передовым бойцом в борьбе за освобождение человечества.

Говоря об исторической роли русского рабочего класса, В. И. Ленин еще в 1894 г. пророчески писал: «...русский РАБОЧИЙ, поднявшись во главе всех демократических элементов, свалит абсолютизм и поведет РУССКИЙ ПРОЛЕТАРИАТ (рядом с пролетариатом ВСЕХ СТРАН) **прямой дорогой открытой политической борьбы к** ПОБЕДОНОСНОЙ КОММУНИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ»[2].

Формирующей силой революционного сознания рабочих России явилась партия большевиков, которая «как течение политической мысли и как политическая партия»[3] возникла в 1903 г. и стала во главе революционных сил России.

**«Образование большевистской партии,** — подчеркивается в проекте новой редакции Программы КПСС, — **стало поворотным пунктом в истории российского и международного рабочего движения»**[4].

Развернув активную революционную деятельность, большевики, несмотря на жестокие репрессии и преследования царского самодержавия, стали настоящими руководителями борьбы рабочего класса.

В. И. Ленин уделил особое внимание развертыванию революционного движения рабочих в окраинах страны, их сплочению и взаимной помощи. В конце 1899 г. в статье «Наша ближайшая задача» В. И. Ленин писал: «Борьба рабочих становится классовою борьбою лишь тогда, когда все передовые представители всего рабочего класса всей страны сознают себя рабочим классом и начинают вести борьбу не против отдельных хозяев, а против **всего класса** капиталистов и против поддерживающего этот класс правительства»[5].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. соч., т. 19, с. 305.

[2] В. И. Ленин. ПСС, т. 1, с. 312.

[3] Там же, т. 41, с. 6.

[4] Проект Программы Коммунистической партии Советского Союза (новая редакция), «Правда», № 299, 26 октября 1985 г.

[5] В. И. Ленин. ПСС, т. 4, с. 187—188.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Общеизвестно, какую большую роль придавал В. И. Ленин сплочению социал-демократических организаций, действующих в разных областях страны, их взаимной помощи. «...В вопросах борьбы с самодержавием, — писал В. И. Ленин, — борьбы с буржуазией всей России мы должны выступать как единая, централизованная, боевая организация, мы должны опираться на весь пролетариат, без различия языка и национальности, сплоченный совместным постоянным решением теоретических и практических, тактических и организационных вопросов»[6].

Претворяя в жизнь указания В. И. Ленина, социал-демократические организации Петербурга, Москвы, Харькова и других мест, наряду с революционной деятельностью, предприняли огромные усилия, чтобы довести слова партии в различные концы страны, способствовали на местах созданию социал-демократических организаций, их идейному укреплению.

Революционная борьба русского пролетариата имела решающее значение и для развития рабочего движения Закавказья, которое с конца XIX века стало составной частью общей борьбы пролетариата России.

Руководители социал-демократических организаций Закавказья, тесно связанные с В. И. Лениным, соответственно его указаниям подготовили пролетариат к решающей революционной борьбе. Претворяя в жизнь указания В. И. Ленина, социал-демократическая организация Закавказья серьезное внимание уделила созданию связей с революционными силами других областей России, оказанию им необходимой помощи.

В. И. Ленин высоко оценил роль Закавказья во всероссийском революционном движении. В октябре 1903 г. он в письме Кавказскому союзному комитету РСДРП писал: «Пусть кавказские товарищи твердо держатся того пути, на который они встали... Пусть продолжат они дружную работу с товарищеским доверием в ЦК... Шлем привет кавказским товарищам и горячее пожелание успехов в работе»[7].

Среди социал-демократических организаций Закавказья с начала века выделялись организации Баку и Тифлиса, где с самого начала сформировались первые крупные интернациональные отряды пролетариата. Их революционная борьба имела огромное влияние на развитие революционного движения как в Закавказье, так в Дагестане и Иранском Азербайджане.

Великo было революционное влияние Закавказья также в Средней Азии.

*
* *

Через Каспийское море соседство с Закавказьем создало благоприятные условия для распространения и пропаганды марксизма в Туркестане, где всегда находила отклик революционная борьба закавказского пролетариата.

Тифлис и Баку, где действовали одни из самых сильных большевистских организаций, имели огромное влияние на формирование

---

[6] В. И. Ленин, ПСС, т. 7, с. 122.

[7] Там же, т. 46, с. 310—311.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



революционных сил, создание и укрепление большевистских организаций в Туркестане.

Комитеты РСДРП Тифлиса и Баку не удовлетворялись только работой социал-демократов, высланных царскими властями в Туркестан. Они командировали в Туркестан агитаторов и пропагандистов, которые вели большую работу по распространению революционных идей среди рабочих.

2 августа 1903 г. в Ашхабаде был арестован рабочий металлист А. Друккер, приехавший из Закавказья. В слесарной мастерской Мачульского он призывал рабочих по примеру рабочих Тифлиса и Баку начать забастовку и требовать 8-ми часового рабочего дня. А. Друккер, который раньше участвовал в забастовках Баку и Тифлиса, рассказывал рабочим Ашхабада о значении единства рабочих[8].

Как свидетельствуют архивные материалы, в 1902—1903 гг. в Туркестан нелегальная революционная литература в основном привозилась из Закавказья.

Первая листовка, которая была обнаружена в Туркестане, была листовкой Бакинского комитета РСДРП «Товарищи!». Она попала в руки полиции в Красноводске 12 февраля 1903 г.[9] и вызвала переполох царских властей.

15 февраля 1903 г. начальник Закаспийской области поручил всем полицейским участкам «быть внимательными, поскольку бакинский комитет свои листовки несомненно распространял и в другие города»[10].

Беспокойство начальника Закаспийской области действительно имело основание. Листовки Бакинского комитета были обнаружены также в Ташкенте, Чарджое, Кизыл-Арвате, Верне и в других городах.

4 декабря 1903 г. в Кизыл-Арвате полиция задержала рабочего железнодорожной мастерской А. Рибалкина, который до этого был в Тифлисе. В Петербург министру юстиции прокурор Ташкентской судебной палаты сообщил, что А. Рибалкин распространял листовку, где говорится «о мятеже тифлисских рабочих», и говорил рабочим, что они должны поступить так, как поступили в Тифлисе[11].

Приезжие из Закавказья революционеры нелегальную литературу распространяли также среди войсковых частей, дислоцированных в Туркестане. Здесь среди солдат было много призывников из Закавказья. 23 декабря 1904 г. в Ташкенте были арестованы солдаты Иван Деметрашвили и Василий Двалишвили, которые распространяли среди солдат нелегальную литературу[12]. Среди солдат революционную работу вел также Леонти Гогоберидзе[13].

«В деле распространения марксистской литературы, — писал академик АН ТССР А. А. Росляков, — бакинским большевикам начали помогать лучшие люди пролетариата Закавказья, которые хранили полученные прокламации и брошюры и давали их читать наиболее

---

[8] ЦГАОР, ф. 124, оп. 12, д. 1394, лл. 1—2; ЦГА УзССР, ф. И—I, оп. 31, д. 1230, л. 1.
[9] ЦГАОР, ф. 124, оп. 13, д. 91. л. II; ЦГА ТССР. ф И—I, оп. 2, д. 5020, лл. 6—9.
[10] ЦГА ТССР ф. И—I, оп. 2, д. 5020, л. 9.
[11] ЦГА УзССР, И—I, оп. 31, д. 256, л. 2.
[12] ЦГА УзССР, ф. И—I, оп. 31, д. 192, л. 289.
[13] ЦГА УзССР, ф. И—I, оп. 31, д. 192, л. 88 и об.

надежным товарищам по работе. Таким путем зарождались организованные группы революционно настроенных рабочих, из которых затем выросли первые социал-демократические организации Туркменистана»[14].

По сведениям полиции, начиная с 1903 г. отмечается деятельность социал-демократов в Ташкенте. Она приобрела более организованный характер, когда весной 1904 г. в Ташкент приехал видный деятель тифлисского комитета РСДРП Галактион Шавдия[15].

Деятельность Г. Шавдия, естественно, не могла остаться не замеченной. За ним был установлен негласный полицейский надзор.

Как свидетельствуют архивные материалы, в мае 1904 г. в Ташкенте впервые была организована маевка. 1 мая в квартире рабочего-революционера В. Корнюшина был организован первый митинг. На нем выступил Г. Шавдия, который присутствовавшим товарищам рассказал о революционной борьбе тифлисского пролетариата и призвал организоваться в борьбе против царского самодержавия[16]. На следующий день в железнодорожных мастерских г. Ташкента были распространены прокламации, напечатанные гектографическим способом.

В конце мая 1904 г. под руководством Ясона Метревели в Асхабаде была создана группа РСДРП. Я. Метревели, который до приезда в Закаспий, работал в железнодорожных мастерских Тифлиса и был уже опытным социал-демократом, имел связи с Тифлисским комитетом РСДРП[17]. Я. Метревели удалось сплотить вокруг себя несколько грузинских солдат, которые были ему знакомы еще с Тифлиса по революционной борьбе. С помощью этих солдат Я. Метревели распространял полученную из Тифлиса нелегальную литературу в Асхабаде, Красноводске, Кизыл-Арвате, Кушке. Я. Метревели удалось разработать гектограф и перепечатать прокламации, полученные из Баку. В группу Я. Метревели входили грузинские солдаты Гермоген Габричидзе, Автандил Такайшвили, Сардион Ахвледиани, рабочий депо Асхабада Петров, печатник типографии газеты «Асхабад» Безухов[18]. Немного позже в группу вошли Аршак Хачиев, Людвиг Стабровский, Виктор Бакрадзе, а также Воропаев, Иван Гусев, Васильев, Куликов и другие. Скоро в Асхабад приехал бывший студент рижского политехнического института Александр Асриянц, который там состоял в марксистском кружке «Теоретик», возглавляемом Ст. Шаумяном[19].

Асхабадская социал-демократическая группа вела пропаганду среди рабочих и солдат. По свидетельству А. Такайшвили среди железнодорожных рабочих пропаганду вел Я. Метревели[20].

---

[14] А. А. Росляков. Революционное движение и социал-демократические организации в Туркменистане в дооктябрьский период (1900 — март 1917 года,) Ашхабад 1957 с. 34.

[15] ЦГИА Груз. ССР, ф. 153, оп. 1. д. 494, л. 1; д. 552, л. 123. Галактион Иванович Шавдия родился в 1879 г. в селе Шанид Кутаисского уезда. Окончил сельскохозяйственную, школу г. Кутаиси. В 1904—1906 гг. работал в конторе земледельческих машин и инструментов г. Ташкента. К сожалению, дальнейшая судьба Г. Шавдия нам неизвестна, и наши поиски пока не имеют результатов.

[16] Революция 1905—1907 гг. в Узбекистане, Ташкент, 1955, с. 93.

[17] ПА Груз. ССР ф. ИМЛ, ф.. 93, оп. 2, д. 618, л. 1.

[18] ПА Туркм. ССР ф. ИМЛ, ф. 40, оп. 1, д. 1, лл. 49—50.

[19] ЦГАОР, ф. 102, Д. П. 00, оп. 1898, д. 3, л. 150, т. 5, лл. II, 95—96.

[20] «Коммунист», №№ 7—8, 1922, с. 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

Началась российская революция 1905 года. «Эта революция, — говорится в Постановлении ЦК КПСС «О 80-летии революции 1905—1907 годов в России», — пробудила к политической жизни широчайшие массы рабочих и крестьян, другие слои населения, ознаменовала начало нового исторического периода — периода глубоких социальных потрясений и революционных битв»[21].

Претворяя в жизнь указания В. И. Ленина, большевики Закавказья неустанно действовали по поднятию классовой сознательности рабочих, по утверждению тесного союза с русским пролетариатом.

«Можно сказать без преувеличения, — отмечает профессор Г. К. Жвания, — что накануне и в период первой русской революции не было ни одного значительного факта из революционного движения рабочих и крестьян в Закавказье, который не был бы связан с мудрым указанием Ленина и руководством большевистских организаций»[22].

Наряду с обеспечением руководства начатого революционного движения, большевики Закавказья, руководствуясь указаниями В. И. Ленина, предприняли необходимые меры для утверждения тесной связи с другими организациями и оказания им посильной помощи.

В начале января 1905 г. асхабадская группа усилиями Я. Метревели, А. Хачиева и Л. Стабровского издала Программу РСДРП. До этого по поручению Я. Метревели Л. Стабровский ездил в Закавказье. Был в Баку, Тифлисе, встречался с местными товарищами[23], из Закавказья он привез с собой один экземпляр Программы РСДРП.

По доносу провокатора, 9 января 1905 г. полиция арестовала Л. Стабровского и А. Хачиева. Эти аресты были довольно ощутимыми для социал-демократов Асхабада, но благодаря организаторским умениям Я. Метревели, асхабадская группа РСДРП продолжала вести революционную работу, укрепляла свои ряды.

Благодаря всему этому, в марте 1905 г. асхабадская группа была реорганизована в Асхабадский комитет РСДРП, которым стал фактически руководить бакинский комитет большевиков[24].

Благодаря широкой помощи и поддержке со стороны бакинских большевиков, Асхабадскому комитету удалось в Туркестане создать первую подпольную типографию. Ее создание стало возможным благодаря неутомимой деятельности известного революционера Виктора Бакрадзе[25], который когда-то работал под руководством видного деятеля революционного движения в Закавказье В. Кецховели и приобрел необходимый опыт по организации подпольных типографий.

---

[21] Постановление ЦК КПСС «О 80-летии революции 1905—1907 годов в России». «Правда», № 3, 3 января 1985 г.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად ახალ წარმატებებს აღწევდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყოს ეს წარმატებანი სუბტროპიკული კულტურების განვითარებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინსვლა საგრძნობლად შეაფერხა იმ ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში. ეს პირველ რიგში შეეხო უმთავრესად მეცხოველეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის და მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. რიგ მეურნეობაში საშუალოდ 140—200 კილოგრამ რძეს ღებულობდნენ ერთ საფურაჟე ძროხიდან. 1971 წელს აფხაზეთის 114 კოლმეურნეობათაგან რძის წარმოების გეგმა შეასრულა მხოლოდ 70-მა, ხოლო ხორცის წარმოებისა 30-მა. ადგილი ჰქონდა აგრეთვე სახელმწიფო და საკოლმეურნეო მიწების დატაცება-განიავებას და ა. შ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში უდიდესი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1972 წლის თებერვალში მიღებულმა დადგენილებამ პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ისტორიულად დაემთხვა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი მიმდინარეობს სოციალიზმის სრულყოფის პირობებში, როცა მისი მიღწევები ორგანულად დაკავშირებულია მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (წარმოების ელექტროფიკაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ქიმიზაცია, მართვის სრულყოფა და სხვ.) დაჩქარება სახალხო საქმედ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მეცნიერთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად მუშათა კლასი ასრულებს კომპლექსურ-ავტომატიზირებულ წარმოებაზე გადასვლაში წარმმართველ როლს.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში მუშათა კლასის შემადგენლობის თვისებრივი ცვლილებების დამახასიათებელი ნიშანი და მისი, როგორც საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელი ამაღლება.

საბჭოთა ადამიანების მაღალი კულტურულ-ტექნიკური განათლების დონეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: საბჭოთა კავშირში 1939 წელს ყოველ 1 000 ადამიანზე (10 წლისაზე უფრო მეტი ასაკის) უმაღლესი და საშუალო სრული და არასრული საშუალო განათლებით მოდიოდა 108 კაცი, 1959 წელს — 361 კაცი, ხოლო 1970 წელს — 438. ეს მაჩვენებლები საქართველოს სსრში და აფხაზეთის ასსრ-ში შემდეგნაირად გამოიყურება: იგი 1939 წელს საქართველოში შეადგენდა 169, აფხაზეთში — 127; 1959 წელს საქართველოში — 448, აფხაზეთში — 417, 1970 წელს საქართველოში — 554, აფხაზეთში — 523[15].

განათლების მიღება არა მარტო გავლენას ახდენს ადამიანის საერთო ღირსებაზე, არამედ ხელს უწყობს მის პოლიტიკურ და იდეოლოგიური განათლების ამაღლებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. საერთოდ შრომის პროცესების უკეთ ათვისებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. განათლების მაღალი დონე მუშებს და გლეხებს უწყობდა ხელს უფრო ადვილად და ეფექტურად დაეუფლებოდნენ ახალ პროფესიებს, ახალ ტექნიკას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული კადრების აღზრდას. ამაზე მეტყველებენ, შემდეგი მონაცემები: თუ 1950 წელს რესპუბლიკაში მოღვაწეობდა სულ 15 აფხაზი მეცნიერ მუშაკი, 1960 წლისათვის მათმა რაოდენობამ უკვე 84-ს მიაღწია, 1970 წლისათვის კი 208-ს. 1962—1963 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა ათას სამასი აფხაზი, 1970—1971 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხეს 2 ათასამდე აფხაზი სტუდენტი. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესაბამისად: ხუთასი და ათასი.

კადრების სწორად შერჩევას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, მასში მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, საბოლოოდ კი, სოფლის სოციალურ-ეკონომიური დონის ამაღლებისა და მის ქალაქთან დაახლოებაში.

ადრე არსებული რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კურსების ნაცვლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის 78 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეიქმნა სამთვიანი და ექვსთვიანი ფაკულტეტები სოფლის მეურნეობის კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. ამ ფაკულტეტებზე კვალიფიკაციას უმთავრესად იმაღლებდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და მთავარი აგრონომები, განყოფილებათა ხელმძღვანელები და სხვა სპეციალისტე-

---

[15] Население СССР, М., 1981 г., გვ. 19; Народное хозяйство Абхазской АССР за 60 лет, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბი, რომლებსაც ჰქონდათ უმაღლესი განათლება. ასეთი ფაკულტეტები შეიქმნა 1966 წლის ოქტომბერში და დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების გადამზადების ვადაა 6 თვე.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აღნიშნულ ფაკულტეტს ყოველწლიურად ამთავრებდა 250 — 350 კაცი[16], რომლებიც შემდგომ განაგრძობენ ნაყოფიერ მუშაობას ადგილებზე. აფხაზეთის ასსრ-ის სოფლის მეურნეობის კადრების მომზადება ხდებოდა არა მარტო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ბაზაზე, არამედ მოსკოვის, თბილისის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებელთა მეშვეობით. ამ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა. 1971 წელს აქ არსებული 114 კოლმეურნეობათაგან 102 კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჰქონდა უმაღლესი და საშუალო განათლება; საბჭოთა მეურნეობის ყველა 34 დირექტორს დამთავრებული ჰქონდა სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი[17]. ეს მაშინ, როდესაც 1955 წელს კოლმეურნეობათა თავმჯომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა 60 %-ზე მეტი დაბალი და არასრული საშუალო განათლებით იყო. მარტო მერვე ხუთწლედში რესპუბლიკაში აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტექიმების რაოდენობამ 400 კაცით იმატა. 1970 წლისათვის მათმა რიცხვმა 1,431-ს მიაღწია (ნაცვლად 634-ისა 1957 წელს). ამავე პერიოდში საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობაც საგრძნობლად გაიზარდა: 634-დან 1 129 კაცამდე. საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე და საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის 14 სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლებით.

საბჭოთა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების პერიოდში ბევრი სახელგანთქმული ორგანიზატორი და სპეციალისტი გამოიზარდა. მათ შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ორგანიზატორები გ. ჩაჩიბაია, ვ. ლაკოია, კ. უზარაშვილი, ხ. აიბა, ა. აბლოთია, ნ. გოგია, თ. სოსელია, გ. ჩაჩიბაია, ე. გეთია, ი. შარია, კ. ელიავა, ნ. კაჭარავა, ო. დავითაია, ვ. შელია, შ. თოდუა, ძ. ცქვიტარია, ი. შაკაია, გ. ეშბა, ა. ბესლანაძე, დ. გოგობერიშვილი, დ. ერქვანია, გ. ქირია, ნ. ხასაია, ვ. ძნელაძე, ზ. თოფჩიანი და სხვ. შემდგომში მათი სახელოვანი ტრადიციები ღირსეულად განაგრძეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ხ. გერგედავამ, დ. ბიგვავამ, ა. შონიამ, ი. ციკოლიამ, ლ. ქორქიამ, ე. კარაპეტიანმა, ვ. ეზუგბაიამ, ვ. გოგოხიამ, გ. ჰანტურიამ, მ. ზუხბაიამ, ა. ქავთარაძემ, უ. ჩაკაბერიამ და სხვებმა.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1978 წლის ივნისში მიღებულ დადგენილებას აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეო-

16 საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მიმდინარე არქივი.

17 საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიმდინარე არქივი, 1971 წლის მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დადგენილების განხორციელება უზრუნველყოფს აფხაზეთის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ საგრძნობ განვითარებას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და გაფართოებას, სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას.

Д. В. ГОГОХИЯ

## РАЗВИТИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА АБХАЗСКОЙ АССР В ВОСЬМОЙ ПЯТИЛЕТКЕ (1966—1970 ГГ.)

Резюме

Претворяя в жизнь исторические решения XXIII съезда КПСС на восьмую пятилетку, труженики сел Советской Абхазии добились значительных успехов в развитии многоотраслевого сельского хозяйства. Главное внимание уделялось специализации его производства и повышению его эффективности. Большая забота была проявлена в отношении развития технических и южных субтропических культур, возделыванию которых в республике способствуют природно-климатические условия.

В итоге за пятилетку значительно возросло производство чайного листа, цитрусов, винограда и др. Постоянно улучшалось техническое оснащение сельского хозяйства, расширялась механизация производственных процессов.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### თამარ შაქიაშვილი

## საქართველოს მრეწველობაში მოქმედი სააქციო საზოგადოებანი

სააქციო კომპანიების ბუნებისა და რუსეთის სახალხო მეურნეობის გააქციონერების პროცესის შესწავლა, განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მსოფლიო მასშტაბით ბატონობის პერიოდში, საბჭოთა ეკონომიკური და ისტორიული მეცნიერების აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ემსახურება ოქტომბრის რევოლუციის ეკონომიკური წინამძღვრების დასაბუთებას. ეს დასაბუთება ეყრდნობა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებას. იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი არის სოციალისტური რევოლუციის წინადღე, სააქციო კაპიტალი კი — იმპერიალიზმის ეკონომიკური საფუძველი[1].

როგორც თვით ცნება „სააქციო კომპანია“, ასევე მისი დაარსების უმნიშვნელოვანესი პრინციპი (აქციონერთა საქმიანობის შეზღუდვა მათი კუთვნილი აქციების რაოდენობით) უკვე XIX ს-ის დასაწყისში აისახა რუსეთის საერთო ხასიათის კანონებში[2]. აქედან მოყოლებული თითქმის 1919 წლამდე, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სააქციო საზოგადოებათა რაციონალიზაციამდე, მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში არ შემწყდარა დავა-კამათი სააქციო კომპანიების დაფუძნების წესდების სრულყოფის შესახებ[3]. ეს პროცესი შესაბამისად აისახა მაშინდელ პერიოდულ თუ სპეციალურ გამოცემებში, რომელთაც დღეს უდიდესი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვთ. ერთ-ერთი მათგანია 1905 წელს ვ. ა. დმიტრიევ-მამონტოვის რედაქციით გამოცემული „იმპერიაში მოქმედ სააქციო საწარმოთა და სავაჭრო სახლთა საძიებლის“ ორი ტომი — 1902 წელს ფინანსთა სამინისტროს 100 წლისთავის საიუბილეოდ გამოსული „იმპერიაში მოქმედ სააქციო საზოგადოებათა საძიებლის“ მეორე შევსებული გამოცემა. მასში შესულია თითქმის მთელი იმპერიის მასშტაბით (პოლონეთის და ამურისპირეთის საგენერალ-გუბერნატოროს გარდა) მოქმედი სააქციო კომპანიების მეტ-ნაკლებად სრული მონაცემები, ანგარიშებისა და ბალანსების ჩათვლით, ისეთი კომპანიებიც კი, რომელთა დაარსება განზრახვად დარჩა, — არაა გამოჩენილი.

„საძიებელს“ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მრეწველობაში მოქმედი უცხოური, რუსული და ადგილობრივი სააქციო კომპანიების ისტორიის შესასწავლად. როგორც ცნობილია, ადგილობრივი და რუსული კაპიტალის

---

[1] „აქციები — აი ბანკების საფუძველი, ხოლო აქციების დაგროვება — აი, იმპერიალიზმის საფუძველი“ (სიტყვა ომის შესახებ, მუშათა და გლეხთა საბჭოების I ყრილობაზე, 1917 წლის 3 ივნისს); ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 22.

[2] იხ. Л. Е. Ш е п е л е в. Акционерные компании в России, Л., 1973.

[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შედარებითი სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს მრეწველობაში უცხოური კაპიტალის დასანერგავად. კავკასიის ადმინისტრაციაც დაინტერესებული იყო უცხოელთა მოზიდვით — მხარის ეკონომიკური ცხოვრების გაძლიერების მიზნით[4]. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენში უცხოური კაპიტალის შემოჭრას ობიექტური პირობები შეუქმნა სააქციო საზოგადოებათა დაწესებულებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის ახალმა „სისტემამ“, რაც ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატს საშუალებას აძლევდა კონტროლი გაეწია და საჭიროებისამებრ წარემართა სააქციო საზოგადოებათა და ფირმათა საქმიანობა[5]. ფინანსთა მინისტრი ვიტე თვითმპყრობელობის რეჟიმის ძირითადი ინტერესების გათვალისწინებით ატარებდა ბურჟუაზიული გარდაქმნების პროგრამას, რომელიც პირველ რიგში უცხოური კაპიტალისტისათვის კარის ფართოდ გაღებას მოითხოვდა როგორც რუსეთსა, ისე იმპერიის განაპირა მხარეებში. საქართველოში კი მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი სასაქონლო წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკა) თანაარსებობა, რომელიც მთელი XIX ს-ის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, არ გამორიცხავდა კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას მრეწველობის წამყვან დარგში. ამ პროცესის პირდაპირი შედეგი კი პირველ რიგში სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება იყო[6].

კაპიტალისტური საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მარგანეცის მრეწველობა 1879 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მარგანეცზე მსოფლიო ბაზის მოთხოვნილებას წარმატებით აკმაყოფილებდა და მადნის ექსპორტის გადიდებით აქტიურად ზემოქმედებდა რუსეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესებაზე[7]. აღნიშნულ პერიოდში ის საიმპერიო და მსოფლიო მნიშვნელობის დარგს წარმოადგენდა და თავიდანვე ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის ასპარეზად იქცა. ეს უკანასკნელი მარგანეცის მრეწველობას, როგორც წესი, თავდაპირველად მადნის შემსყიდველად მოევლინა, შემდეგ კი დაიწყო მარგანეცის მადნის საბადო ნაკვეთების იჯარით აღება და ექსპლუატაცია[8].

ჭიათურაში პირველი გამოჩნდა „მარგანეცის საბადოთა ფრანგული ანონიმური საზოგადოება „დარკვეთი“ („კავკასია“), რომელიც თავიდანვე აქტიურად შეუდგა საბადოთა შეძენას, დამუშავებასა და მადნის გამდიდრების რაციონალურად მოწყობას. მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ხელში ჩაიგდო 70—80 დესეტინა ფართობი და დაიწყო მოსამზადებელი და საექსპლუატაციო სამუშაოები[9]; 1901 წლის 24 თებერვალს კი „მარგანეცის საბა-

4 გ. მარგიანი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 189.

5 იხ. Л. Е. Шепелев, დასახ. ნაშრომი.

6 ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 221.

7 გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

8 იქვე, გვ. 191.

9 იქვე.

დოთა ანონიმური საზოგადოება“ (Societe des Mines de Manganese de Darkveti Caucase) „ოფიციალურად იქნა დაშვებული რუსეთის იმპერიაში — ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის მარგანეცის საბადოთა საექსპლოატაციოდ“ — 99 წლის ვადით[10]. გამგეობაში შედიოდა 10 წევრი: თავმჯდომარე პ. ბაიარი, ვიცე-თავმჯდომარე ე. და ბილლი, წევრები: ა. დე ბუასე, გლასაკი, გ. შალმეტონი, პ. შაპიუი, ა. დამური, მ. დიუშანუა, მ. პიერონი, რ. დიუვალი[11]. „დარკვეთის“ რეზიდენცია პარიზში იყო, აგენტი გეიდემანი — თბილისში. საზოგადოების ძირითად კაპიტალს 1 600 000 ფრანკს შეადგენდა და მთლიანად რუსეთში წარმოებულ ოპერაციებს უნდა მოხმარებოდა. აქციების საერთო რაოდენობა იყო: 6 400 ცალი, თითოეული 250 ფრანკის ღირებულების და 1 600 საპაიო ღირებულების აღუნიშნავად“[12]. საზოგადოების უმაღლესი ორგანო — საერთო კრება ყოველწლიურად იმართებოდა პარიზში, მუდმივმოქმედი ორგანო გამგეობა კი 6 წლის ვადით ირჩეოდა.

კრიზისის წლებში „დარკვეთმა“ გააგრძელა საბადოთა დამუშავების სამზადისი და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ფართო საექსპლუატაციო სამუშაოები ვერ გაშალა, „საძიებლის“ შენიშვნიდან ჩანს, რომ მას არც წარუდგენია და არც გამოუქვეყნებია 1903—1904 წლების სამუშაოთა ანგარიში[13].

1903 წლის 26 აპრილს ჭიათურის სამრეწველო რაიონში ვადის წინასწარ განუსაზღვრელად ოპერაციების წარმოების უფლება მიეცა ფრანგულ „ანონიმურ სამთოსამრეწველო და კომერციულ საზოგადოებას“ (Société miniere et commerciale)[14] გამგეობის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა პარიზი; ხოლო პასუხისმგებელი აგენტის ვოტრენისას კი — ფოთი. საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დაემუშავებინა მარგანეცის საბადოები შორაპნის მაზრაში, რკინის მადნისა და ქვანახშირის საბადოები ეკატერინოსლავის გუბერნიაში და ეწარმოებინათ ვაჭრობა სამთამადნო მრეწველობის პროდუქციით[15]. კომპანია ერთ გარკვეულ მიზანს არ ისახავდა და საბოლოოდ ძირითადად ჭიათურის მარგანეცის შესყიდვასა და გატანას ეწეოდა.

1900 წელს ინგლისში ჩამოყალიბებულ „რუსეთის მარგანეცის საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობით (The Russian manganese Company. Limited) ჭიათურაში სამოქმედოდ საკმაოდ საფუძველი ჰქონდა მომზადებული[16]. კომპანიის დამფუძნებელი იყვნენ: ვაჭარი ტ. კიტტელი,

[10] Указатель действующих в империи акционерных предпрятии и торговых домов, под. общ. ред. В. А. Дмитриева-Мамонтова, СПб., 1905, т. II, გვ. 1960.

[11] იქვე, გვ. 1960.

[12] იქვე.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 1986.

[15] იქვე.

[16] ისევე როგორც ფრანგულმა, ასევე ინგლისურმა სავაჭრო და სამრეწველო ფირმებმაც („გარდნერის“, „კიტტელი და კომპანია“, „ფორვუდი და კომპანია“, „ფორვუდი“) გასული საუკუნის დამლევს მარგანეცის მადნის შესყიდვით დაიწყეს საქმიანობა, შემდეგ კი გადავიდნენ საბადოების იჯარით აღებასა და შეძენაზე. ყველა ამ ფირმამ ხელთ იგდო დაახლოებით 60 დესეტინა საბადო ნაკვეთი (გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოლადის ქარხნის მეპატრონე ბ. ფერტი, საქმოსნები: ს. ბრამლი, ფერტი, გ. სტერტი, ფ. ვეზეროლი, ვ. აპრონსი და ჩ. მესონი. წესდების თანახმად, საზოგადოება არსებობის ვადის განუსაზღვრელად იწყებდა მოქმედებას რუსეთის იმპერიაში 1901 წლის 24 თებერვლიდან და ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახავდა მარგანეცის საბადოთა იჯარით აღებას და ექსპლუატაციას შორაპნის მაზრაში"[17].

სააქციო საზოგადოების გამგეობის რეზიდენცია ლონდონში იყო, ხოლო წარმომადგენელი — ჭიათურაში. კაპიტალის რაოდენობა წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული. საზოგადოება უშვებდა 30 000 ცალ აქციას (4 500 ცალი პრივილეგიური და 25 500 ჩვეულებრივი) თითოეულს გირვანქა სტერლინგის ღირებულებით. კომპანიას თავისი საბადოები მიჰყიდა მისმა დირექტორმა ტ. კიტტელმა[18]. გარდა ამისა, კომპანიამ ს. და გ. ზარათაშვილებისაგან 190 000 მანეთად აიღო საბადო ნაკვეთები დარკვეთში და 1903 წელს დაიწყო საბადოთა მომზადება დასამუშავებლად, ასევე ადგილობრივ მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის დიდი პარტიების შეძენაც[19].

გერმანული სააქციო საზოგადოება „სამთო მექარხნეთა და საბადოების მფლობელთა შალკეს კავშირი" ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგიდან ჩაება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში[20], 1904 წლის 19 ნოემბერს კი ოფიციალურად დამტკიცდა „ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრასა და სხვა ადგილებში მარგანეცისა და სხვა მეტალების (ოქროს, ვერცხლის და პლატინის გარდა) დასამუშავებლად[21].

უცხოური სააქციო კომპანიების მონაწილეობით ჭიათურის მრეწველობა 1900-იანი წლებისათვის ამიერკავკასიაში მეორე ადგილზე გამოვიდა (ბაქოს ნავთობის შემდეგ) წარმოებაში ჩაბმული მუშახელის რაოდენობითა და პროდუქციის ღირებულების სიდიდით. XX საუკუნის პირველ მსოფლიომამდელ პერიოდში იგი პირველ ადგილს ინარჩუნებდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვებასა და მადნის ექსპორტში.

მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა საქართველოს სამთო მრეწველობის ყველა წამყვან დარგში განხორციელდა. ქვანახშირის მრეწველობაში, ტყიბულის სამრეწველო რეგიონში[22], პირველმა სააქციო გაერთიანება „ნახშირ-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოებამ" 1890 წლის 28 დეკემბერს დაიწყო მოქმედება[23].

---

17 Указатель, т. II, გვ. 1986.

18 ტ. კიტტელს ჯერ კიდევ სააქციო საზოგადოების დაარსებამდე მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჭიათურის მრეწველობაში (გ. მარგიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192).

19 გ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

20 იქვე.

21 Указатель, т. II, 2304.

22 ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდე და გაყვანის პროცესში ტყიბულის ნახშირის მოპოვებას საორადული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ საბადოს საექსპლუატაციოდ მოსამზადებელი სამუშაოები წარმოებდა. 1887 წლის 14 დეკემბრიდან, როდესაც ოფიციალურად გახსნა ქუთაისი-ტყიბულის ხაზი, საბადოს დამუშავებაშიც ახალი ხანა დაიწყო (ვლ. ჭანიშვილი, ქვანახშირის მოპოვების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ეტაპები საქართველოში, თბ., 1980, გვ. 41—42.

23 საზოგადოება შეიქმნა ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და მცდელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფირმა დაარსდა ვიქტორია შაბუროვას კუთვნილი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაციისა, ასევე, ქვანახშირისა და მისი ნაწარმით ვაჭრობისათვის[24]

საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე ა. მელიქ-აზარიანცი, ე. ცატუროვი, ი. კუსიკოვი და მ. თავადოვი[25].

კომპანიის ძირითადი კაპიტალი 2 მლნ. მანეთი შედგა 4000 სახელობითი აქციის (თითოეული 500 მან) რეალიზაციით[26].

„ნახშირას" მოგება შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ძირითადი კაპიტალის 1/3-ის დაგროვებამდე მოგების 5 % სათადარიგო კაპიტალში გადადიოდა, დანარჩენი ნაწილის ბედს კი საერთო კრება გადაწყვეტდა[27].

„ნახშირ-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოებას" უძრავი ქონების სახით ჰქონდა 800-მდე დესეტინა მიწა (ქვანახშირის საბადოები; სახნავ-სათიბი ნაკვეთები, ტყეები), რკინიგზის შტო და ვიწროლიანდაგიანი გზა ორტოტად, საწყობები ქ. ალექსანდროპოლსა და ქუთაისში[28].

XIX საუკუნის ბოლომდე ამიერკავკასიაში ქვანახშირს ჯერ კიდევ არ იყენებდნენ საწვავად და ამიტომაც თავისი მოღვაწეობის პირველ ათწლეულში ე. ი. 1890—1900 წლებში „ნახშირა" საკმაო ზარალს განიცდიდა. იმ მიზნით, რომ მოსახლეობისათვის ქვანახშირის უპირატესობა და ეკონომიურობა გაეცნოთ სათბობის სხვა სახეებთან შედარებით, საზოგადოებამ საკუთარი საწყობები და სააგენტოები გახსნა ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში: კერძოდ; თბილისსა, ქუთაისსა, ალექსანდროპოლსა, ყარსსა და ერევანში[29].

ამ საქმიანობამ თავიდანვე შედეგი გამოიღო და XX საუკუნის დასაწყისიდან ჩვენში ფართოდ დაიწყეს ქვანახშირის სათბობად გამოყენება. მთავარ მომხმარებელს ამიერკავკასიის რკინიგზა წარმოადგენდა, რომელიც 1 მლნ. ფუთ საწვავს ხარჯავდა. 500 000 ფუთ ქვანახშირს ხარჯავდნენ ჯარის ნაწილები. ქ. თბილისის თითქმის ყველა სასწავლო ცენტრი, მსხვილი ადმინისტრაციული დაწესებულებანი, კირის გამოსაწვავი, აგურის ქარხნები, მოსახლეობა ერთად ხარჯავდა მილიონ ფუთზე მეტს[30].

ქვანახშირზე წლითიწლობით მზარდი მოთხოვნილება იწვევდა საბადოს დამუშავების პროგრესულ ზრდას, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ნედლეულის მოპოვებისა და დახარისხების პრიმიტიული ხერხების შეცვლას უფრო სრულყოფილი, გაუმჯობესებული ტექნიკითა და მეთოდებით[31].

ნახშირა-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოება ეწეოდა სხვა სამუშაოებსაც, მათ შორის ნაქერალის კირის გამოწვას. ის სამ ღუმელს ამუშა-

---

24 Указатель, т. II, გვ. 28.

25 იქვე.

26 იქვე.

27 იქვე.

28 იქვე, т. I, გვ. 28; т. II, გვ. 38.

29 იქვე, т. II, გვ. 39.

30 იქვე.

31 1904 წელს „ნახშირას" საბადოში დანერგეს მექანიკური დამხარისხებელი და მექანიკური მზიდი, რომლებიც ელექტრონზე მუშაობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდა და უმაღლესი ხარისხის კირს აწარმოებდა წელიწადში 150 000 ფუთის ოდენობით[32].

სააქციო კომპანიას განზრახული ჰქონდა საბრიკეტო ქარხნის მოწყობა და ქვანახშირის ნარჩენებისაგან ბრიკეტების დამზადება წელიწადში 2—3 მლნ. ფუთის რაოდენობით. ამ მიზნის შესასრულებლად იგი მოლაპარაკებას ეწეოდა სხვადასხვა ფირმებთან[33].

ქვანახშირის წარმოების გაფართოებამ გაზარდა მუშახელზე მოთხოვნილება და 1905 წლისათვის აქ დღეში საშუალოდ 400 გლეხი, როგორც ადგილობრივი (იმერლები) ასევე მოსული (ოსები, რუსები), მუშაობდა[34].

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების რამდენადმე შეფერადებული აღწერა. „საძიებლის" მიხედვით მუშები უფასოდ ცხოვრობდნენ დიდ და ნათელ ყაზარმებში, ჰქონდათ სურსათის მაღაზია და თონე, სასადილო, რომელშიც ნორმალური კვება რაღაც გროშები ჯდებოდა — თვეში 2 მანეთი. მათთვის მოქმედებდა დიდი აბანო, აბაზანებითა და დუშებით, რომლითაც ასევე უფასოდ სარგებლობდნენ. საზოგადოების გამგეობა ზრუნავდა მუშა-მოსამსახურეთა დღესასწაულებისა და საერთოდ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაზე[35].

1889 წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე „ნახშირამ" საპატიო დიპლომი დაიმსახურა — 1890 წელს კი „საქებარი გამოხმაურება" მიიღო საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოებისაგან[36].

„ნახშირა-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოებამ დამოუკიდებელი ფირმის სახით 1917 წლამდე იარსება[37].

მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა საქართველოს სამთო მრეწველობის ყველა წამყვან დარგში განხორციელდა და მათ შორის სპილენძის წარმოებაშიც.

1888 წლის ივნისში სამხრეთ საქართველოს სპილენძის წარმოებას[38] დაე-

---

[32] Указатель, т. II. გვ. 40.

[33] იქვე.

[34] იქვე, გვ. 39.

[35] იქვე, გვ. 40.

[36] იქვე.

[37] I მსოფლიო ომის დროს გაიზარდა ქვანახშირით სამხედრო უწყების დაინტერესება. ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები, რომელთა განკარგულებაშიც შევიდა „კავკასიის არმიის საჭიროებისათვის მინერალური სათბობის დამუშავების საგანგებო სამმართველო", რომლის დადგენილების საფუძველზეც 1917 წლის 1 სექტემბრიდან „ნახშირა" იძულებითი იჯარის წესით 1918 წლის ივნისამდე ამ უკანასკნელის ხელში გადავიდა. შემდეგ კი საზოგადოება რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტს დაემორჩილა. 1920 წელს „ნახშირას მაღაროები და მთელი მისი ქონება მთავრობამ 12 მილნ. მანეთად შეისყიდა. (ვლ. ჭანიშვილი, ტყიბულის მრეწველობის სააქციონერო საზოგადოება „ნახშირას" ისტორიისათვის კრებ." Разработка месторождений полезных ископаемых Грузии, თბ., 1969).

[38] მანამდე სპილენძის წარმოებას პოსესიური უფლებით ეწეოდნენ ბერძენი მეწარმეები, რომლებმაც 1865 წელს ჩამოაყალიბეს ორი /ალავერდისა და შამბლუღის/ „ამხანაგობა", მაგრამ მათი კაპიტალი ვერ გასწვდა წარმოების რაციონალურად მოწყობასა და სპილენძზე გაზრდილ მოთხოვნილებას. Н. Семашкович, Три недели на Алавердском заводе (газ. „Кавказ", № 128, 1875); „Горный журнал", № 7, 1887, გვ. 42; გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, თბ., 1976, გვ. 90).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პატრონა 1887 წელს პარიზში დაარსებული „ახტალის საბადოების ფრანგული კომპანია“ (companie Francaise de mines d'Akhtala (Caucase)). საზოგადოებას განზრახული ჰქონდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ახტალის, შამბლუღისა და ალავერდის სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლის საბადოთა შეძენა და დამუშავება;... ყოველგვარი სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებების მოწყობა და მათი დაქირავება, ამ მიზნით ყოველგვარი მიწებისა და უძრავი ქონების შეძენა, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტით ნაწარმის გადაზიდვა და საჭიროების შემთხვევაში საურმე გზისა და რკინიგზის გაყვანაც კი[39].

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 4 მლნ. ფრანკი იყო. მას შეეძლო 3%-იანი ობლიგაციების გამოშვება (თითოეული 300 ფრანკის ღირებულებით). აქციების საერთო რაოდენობა იყო 8 000 სახელობითი და წარმომდგენზე — თითოეული 500 ფრანკის ღირებულებით და 8 000 პაი ღირებულების განუსაზღვრელად[40].

„საძიებლის“ შედგენამდე (წინა ოთხ წელში) საზოგადოებას არ წარუდგენია და არც გამოუქვეყნებია მუშაობის ანგარიში[41]. მან, როგორც ეტყობა, ვერ შეძლო წარმოების რაციონალურად მოწყობა და საქმეში რაიმე გარდატეხის შეტანა.

1899 წლის 4 მარტს რუსეთის იმპერიაში სამოქმედოდ დაიშვა და 1900 წლის 17 ივნისს უშუალოდ დაიწყო მოღვაწეობა ფრანგულმა ფირმამ — „კავკასიის სამრეწველო და მატერიალურმა ანონიმურმა საზოგადოებამ“ Societe industrielle et metallurgique du Caucase, Societe anonime), რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა ზემოთ განხილული „ახტალის მაღაროების კომპანიისაგან“ შეძენილი სპილენძსადნობი ქარხნის ექსპლუატაცია, საერთოდ კავკასიის მხარეში (გარდა დაღესტნისა) სხვადასხვა წიაღისეულის (ოქროს გარდა) მოპოვება[42].

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 4,5 მლნ. ფრანკი, მთლიანად რუსეთში წარმოებულ ოპერაციებს უნდა მოხმარებოდა, მას უნდა გამოეშვა 18 000 აქცია თითოეული 250 ფრანკის ღირებულებით, კომპანიის უძრავ ქონებას წარმოადგენდა 1) ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის საბადოები, 2) ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც ხაზოგადოებას საიჯარო მოლაპარაკების საფუძველზე დროებით მფლობელობაში გადაეცა ახტალის მაღაროების ფრანგული კომპანიისაგან. იჯარის ვადა 1916 წლამდე იყო და შემდეგაც უნარჩუნებდა საზოგადოებას იჯარის ვადას 15 წლით გაგრძელების უფლებას. ამ ფირმამ წარმოებას თავი გაართვა — მძლავრი სამრეწველო-მეტალურგიული კომპლექსი შექმნა. ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა 1905 წლისათვის ყოველწლიურად 60 000 ფუთ სპილენძს ადნობდა[43]. ფრან-

---

[39] Указатель, т. II, გვ. 1999.

[40] იქვე.

[41] იგულისხმება „Указатель действуюших в Империи акционерных обществ“, რომელიც 1902 წელს გამოვიდა ფინანსთა სამინისტროს 100 წლისთავის იუბილეზე.

[49] Указатель, т. II, გვ. 2002.

[43] იქვე, გვ. 1890.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გულმა ფირმამ სამხრეთ საქართველოს სპილენძის მრეწველობაში კოლოსალური თანხები დააბანდა და ამ სამრეწველო რაიონში 1917 წლამდე მონოპოლიურად ბატონობდა და კოლოსალურ ზემოგებასაც იღებდა.

1899 წლის 2 ივნისს შეუდგა მოღვაწეობას „ინგლისურ-რუსული სპილენძის და სამთო-სამრეწველო სინდიკატი შეზღუდული პასუხისმგებლობით" (The Anglo Russian copper Mining Syndicate, Limited). სააქციო საზოგადოებას მიზნად ჰქონდა ვაჭარ აზარიანცის და ძმების მუტაფოვებისაგან შეეძინა სპილენძის სადნობი ქარხნები, სპილენძითა და სხვა ლითონებით მდიდარი მიწები თელავის მაზრაში და დაეწყო მათი მოპოვება და დამუშავება განუსაზღვრელი ვადით[44].

საზოგადოებას უნდა გამოეშვა 100 000 აქცია თითოეული 1 გირვანქა სტერლინგის ღირებულების და 10 000 საპაიო თითო შილინგად[45].

1900 წლის ოქტომბერში ლონდონში დაარსდა შერეული ტიპის ინგლისურ-ამერიკული კომპანია „კავკასიის სამრეწველო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობით" (The Caucasus Copper Company, Limited). იგი რუსეთში 1901 წელს განუსაზღვრელი ვადით იქნა დაშვებული და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძის მრეწველობაში 1914 წლამდე მოახერხა მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნება. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი თავდაპირველად 500 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა და ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოკრუგის სპილენძის, ვერცხლის და ტყვიის საბადოთა ექსპლუატაციას უნდა მოხმარებოდა. ფირმის საქმეებს ბათუმიდან განაგებდა პასუხისმგებელი აგენტი უილიამ სტიუარტი[46]. ფირმამ უზარმაზარი მასშტაბის სამუშაოები გაშალა და სპილენძის მძლავრი მეტალურგიული ქარხანაც კი აამოქმედა[47].

ბორჩალოს მაზრის სპილენძის საბადოების დამუშავების მიზნით 1903 წლის 15 თებერვალს იმპერიაში მოქმედების უფლება მიიღო ფრანგულმა სამთო-სამრეწველო ანონიმურმა საზოგადოება შაგალი ელიარმა" (Societe de industrie miniere de Chagali Heliar). კომპანიის ძირითადი კაპიტალი 1 100 000 ფრანკით განისაზღვრა[48].

ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმეტესობა უმსხვილეს სააქციო საზოგადოებებსა და მონოპოლიებს ეკუთვნოდა. ისინი 1905 წლამდე ინტენსიურად მუშაობდნენ და უზარმაზარ მოგებებსაც ნახულობდნენ. კომპანიების უმრავლესობა დაკავშირებული იყო ნავთობის საერთაშორისო მონოპოლიებთან, სახომალდო კომპანიებთან, უცხოურ და რუსულ მანქანათმშენებელ ქარხნებთან, თუნუქის, ასევე ხე-ტყის დამამზადებელ მსხვილ ფირმებთან[49].

---

44 Указатель, т. II, გვ. 1890.

45 იქვე.

46 იქვე, გვ. 1914.

47 მან დაბანდებული კაპიტალის სიდიდით პირველი ადგილი დაიმკვიდრა პირველ მსოფლიოომამდელ რუსეთის სპილენძის სამთო-მეტალურგიულ საწარმოთა შორის (А. Л. Брейтерман, Медная промышленнсть СССР и Мировой рынок, Л., 1930, გვ. 220—221).

48 Указатель, т. II, გვ. 1952.

49 გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა... გვ. 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1889 წელს თბილისში დაარსდა მსხვილი ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება „ა. ი. მანთაშევი და კომპანია“, (22 მლნ. მან. ძირითადი კაპიტალი). გამგეობის თავმჯდომარე იყო ა. მანთაშევი, დირექტორები: გ. არამიანცი, დ. ხარაზოვი, ა. უნანკოვი, ნ. ლეონოვი[50]. საზოგადოების ხელში გადავიდა ა. მანთაშევის მიერ ბათუმში 1887 წელს დაარსებული ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა[51].

საზოგადოება საკმაოდ ფართო მიზნებს ისახავდა. იგი აპირებდა არა მარტო ნავთობის მოპოვებას რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილში (ბაქო, ბათუმი, ოდესა და სხვ.), არამედ ნავთობითა და სხვა პროდუქტებით ვაჭრობასაც[52].

1899 წლის 11 ივნისს ოზურგეთის მაზრის ნავთობის საბადოების დამუშავების უფლება მიეცა „კავკასიის ნავთობდამმუშავებელ საზოგადოებას, შეზღუდული პასუხისმგებლობით“ (Caucasus Petroleum Development Company Limited) საზოგადოებას მიზნად ჰქონდა 200 000 ცალი აქციის (თითო 1 გირვანქა სტერლინგის ღირებულების) გამოშვება და ფართო ხასიათის სამუშაოების წარმოება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო საერთოდ ვერ დაიწყო მოქმედება[53].

მეორე ინგლისურმა კომპანიამ „ჩათმის ნავთობსამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით“ (Chatma oilfield company Limited). 1903 წელს დაიწყო საქმიანობა სიღნაღის მაზრაში მოღვაწეობის ვადის წინასწარ დაუდგენლად. საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ: ლორდი არმსტონი, ტენფელი, რ. მატიასი, მ. მესინეზა, ვ. ლენ-კლეინოპი და ა. მიტცაკისი. პასუხისმგებელი აგენტი კი იყო ფ. მედჰერსტი[54]. კომპანიის მთელი ძირითადი კაპიტალი 351 000 ფუნტი სტერლინგი რუსეთის იმპერიაში წარმოებული ოპერაციებისათვის იყო განსაზღვრული. აქციების რაოდენობა შეადგენდა 351 000 ცალს, თითოეულს 1 ფ. სტერლინგის ღირებულებით[55].

1901 წლის 14 იანვარს შეუდგა საქმიანობას ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება. „ა. მილოვი და ა. ტაიროვი“ (გამგეობის ადგილსამყოფელი თბილისი, სიონის ქუჩაზე). მისი დირექტორები იყვნენ ა. მილოვი ა. ტაიროვი და გ. თუმანოვი[56]. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 1 200 000 მანეთს შეადგენდა და ძირითადად ბაქოს გუბერნიაში წარმოებულ ნავთობდამუშავებას უნდა მოხმარებოდა[57].

„საძიებლის“ დამატებაში (იმ სააქციო საზოგადოებათა სია, რომლებმაც წიგნის ბეჭდვის პროცესში დაიწყეს თავიანთი მოქმედება და ვერ მოხვდნენ ძირითად სიაში, აღმოჩნდა თბილისის „ნავთობსამრეწველო კომერციული საზოგადოება“, რომელიც დაარსდა სავაჭრო სახლის, — „თბილისის ნავთობ-

---

[50] Указатель, т. I, გვ. 1028.

[51] იქვე.

[52] იქვე.

[53] იქვე, გვ. 1920.

[54] Указатель, т. II, გვ. 1918.

[55] იქვე.

[56] იქვე, т. I, გვ. 462.

[57] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველთა კომერციული ამხანაგობა“, — კუთვნილი ნავთობის საბადოთა ექსპლუატაციისა, ასევე იმპერიის სხვადასხვა ადგილში ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და ნავთობის პროდუქტებით ვაჭრობისათვის[58].

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი იყო 250 ათასი მანეთი, ხოლო აქციების რაოდენობა 1 მლნ[59].

ამრიგად, XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამთო მრეწველობის თითქმის ყველა დარგში სააქციო საზოგადოებანი გაბატონდნენ. მარგანეცის მრეწველობაში და მადნის ექსპორტის სფეროში ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა[60], სპილენძის სამთო და მეტალურგიულ წარმოებაში უცხოური კაპიტალი გაბატონდა, ქვანახშირის მრეწველობაში კი — ადგილობრივი.

საქართველოში ერთ-ერთი პირველი სააქციო საზოგადოება შეიქმნა დამმუშავებელ მრეწველობაში, 1895—1897 წლებში ადელხანოვის ტყავის წარმოების ბაზაზე (Акционерское общество кожевенного и войлочного производства на Кавказе т. т. Адельханова“.) საზოგადოების ძირითადი კაპიტალი იყო 1,5 მლნ. მანეთი[61]. ადელხანოვის მიერ დაარსებული კომპანიის აქციონერები იყვნენ მრეწველობის სხვა დარგების წამოწყებათა მესვეურები: კ. ალიხანოვი, ი. ტაიროვი, გ. იარალოვი, მსხვილი საქმოსნები და ბანკირები: ს. ანანოვი, მ. თავადოვი (თბილისის კომერციული ბანკის დირექტორი), ი. ცოვიანოვი (ბანკირი), თბილისელი ვაჭარი მ. ყანდაროვი, ბაქოელი I გილდის ვაჭარი ა. ცატუროვი და სხვები[62].

ადელხანოვის წარმოებას ჰქონდა ტყავის საკუთარი ქარხანა, მექანიკური ნაბდის და ფეხსაცმლის მექანიკური ფაბრიკები.

1875 წელს დაარსებული ტყავის ქარხანა ამუშავებდა როგორც ადგილობრივ, ასევე რუსეთისა და უცხოურ ნედლეულს. მისმა მწარმოებლობამ 1902 წელს 743 543 მანეთი, 65 კაპ. შეადგინა. ამ პერიოდისათვის ქარხანაში 332 კაცი მუშაობდა და მათზე გაცემული იყო 60 991 მან 44 კაპ. ხელფასი[63].

1889 წელს დაარსებული ნაბდის მექანიკური ფაბრიკის პროდუქცია თავისი სიმტკიცის, სილამაზის და სიიაფის წყალობით მომხმარებელთა ყურად-

---

58 Указатель, т. II, გვ. 2300.

59 იქვე, II, გვ. 2300.

60 1909 წლიდან (1914 წლამდე) გერმანულმა კაპიტალმა ძლიერ შეავიწროვა არა მარტო ადგილობრივი კაპიტალის პოზიციები ჭიათურაში; არამედ ფრანგული და ინგლისური კაპიტალისაც. მსხვილმა გერმანულმა ფირმებმა („გელზენკირჰენი“, „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა“ და სხვ.) მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვეს მარგანეცის მრეწველობაში. (გ. მარგიანი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, გვ. 267—309, მისივე, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, გვ. 105—115).

61 Указатель, т. II, გვ. 179.

62 აქციონერთა ასეთი შემადგენლობა დამახასიათებელი ნიშანია სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს შორის არსებული ზღვარის თანდათანობით წაშლისა და იმისაც, რომ წარმოების მასშტაბები ვეღარ ეტევა ვიწრო ჩარჩოებში და მთელ ამიერკავკასიას მოიცავს. (ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 222).

63 Указатель, т. II, გვ. 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღებით სარგებლობდა რუსეთსა, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეთა, რკინიგზის თანამშრომელთა, მეზღვაურთა და საერთოდ, იმ პირთა შორის, რომელთაც ღია ცისქვეშ უხდებოდათ მუშაობა. 1902 წლისათვის ფაბრიკაში 209 კაცი მუშაობდა. მათზე გაიცა 40 085 მან. 45 კაპ. ხელფასი. ფაბრიკის მწარმოებლურობა კი 572 მანეთი იყო[64].

ფეხსაცმლის შესაკერი მექანიკური ფაბრიკა (დაარსდა 1886 წელს) უშვებდა ჯარისკაცთა ჩექმებს და ყველა სახის ტყავისა და თბილ ფეხსაცმელს — წელიწადში 500 000-მდე წყვილს. ფეხსაცმელი მეტად მსუბუქი, მტკიცე და იაფი იყო და მასზე კავკასიის გარეთაც დიდი მოთხოვნილება იგრძნობოდა. რუსეთსა და ციმბირში წარმატებით საღდებოდა ნაბდის და თექის თბილი ფეხსაცმელი. 1902 წლისათვის ფაბრიკაში 566 კაცი მუშაობდა. მათზე გაცემული იყო 130 326 მანეთი, 37 კაპ. ხელფასი, ფაბრიკას კი დამზადებული ჰქონდა 745 336 მან. 68 კაპ. სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი[65].

სააქციო საზოგადოების ნაყოფიერი და ხარისხიანი მუშაობის შედეგი იყო ის სოლიდური ჯილდოები, რომლებიც ქარხანას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა გამოფენებზე: დიდი ოქროს და ბრინჯაოს მედალი 1896 წლის ნიჟეგოროდის გამოფენაზე. „საპატიო დიპლომი და სახელმწიფო გერბით დაჯილდოების შუამდგომლობა კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე. დიდი ოქროს მედალი 1902—1903 წლებში პეტერბურგში გამართულ ისტორიული და თანამედროვე კოსტუმების საერთაშორისო გამოფენაზე[66].

1900—1901 წლებში ორი ფირმის ი. ტაიროვისა და კ. ალიხანოვის საპნისა და ზეთსახდელი ქარხნის“ და „ძმების ე. და მ. ტოლეების საპნის და სანთლის ქარხნების“ შეერთების შედეგად ჩამოყალიბდა „ტაიროვ-ალიხანოვისა და ტოლეს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოების სააქციო საზოგადოება (Акционерное общество маслобойных, мыловареных и свечных заводов в Тифлисе бывших Таирова, Алиханова и Толле) საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი 0,5 მლნ. მანეთს შეადგენდა[67], ფლობდა მიწებს ერევნის გზატკეცილზე და ელიზავეტოპოლის გუბერნიაში (სანიმუშო თესვისათვის); თვითონ საწარმო და მისი დამხმარე ნაგებობანი ტერიტორიულად მოიცავდა 5 080 კვად. საჟენს[68]. ქარხანა ორთქლის ძალით მუშაობდა და აერთიანებდა 4 მანქანას, ტუმბოს და ხუთ ქვაბს. საერთოდ აქ დასაქმებული იყო 125 კაცი. წარმოება წლიურად უშვებდა 620 000 მანეთის პროდუქციას[69], (შირაბახტის, სელის, ბამბის, აბუსალათინის ზეთი, უბრალო საპონი, ტუალეტის საპონი და სტეარინის სანთლები). მცენარეული ზეთი და სარეცხის საპონი კარგად საღდებოდა ევროპულ რუსეთსა, კავკასიასა და სპარსეთში[70].

---

64 Указатель, т. II, გვ. 140.

65 იქვე, გვ. 180.

66 იქვე, გვ. 180.

67 იქვე, გვ. 36.

68 იქვე, ტ. I, გვ. 241.

69 იქვე, ტ. II, გვ. 36.

70 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპანიის წარმატებებზე მიუთითებს 1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე მიღებული ოქროს დიდი მედალი და პატარა ვერცხლის მედალი[71].

წარმოების საშუალებათა, კერძოდ, ლითონდამმუშავებელ წარმოებაში პირველი მსხვილი სააქციო გაერთიანება იყო მრეწველ გ. იარალოვის მიერ 1900 წელს დაარსებული სააქციო საზოგადოება (Общество Тифлисского металлического завода и фабрики земледельческих машин и орудий инженера Г. З. Яралова и К·).

საზოგადოების აქციონერები იყვნენ თვითონ გ. იარალოვი, თბილისელი კაპიტალისტები ძმები მანთაშევები, ტ. ემფიანჯინცი, მ. არამიანცი, მ. ანანოვი და სხვ.

კომპანიის ძირითადი კაპიტალი 350 ათასი მანეთი — იყოფოდა 1400 აქციად (თითოეული 250 ღირებულების).

როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, სააქციო საზოგადოებანი პირველ რიგში სარკინიგზო ტრანსპორტში უნდა აღმოცენებულიყვნენ, რაკი სარკინიგზო მშენებლობა უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა. სარკინიგზო კომპანიები კი თავის მხრივ სააქციო კომპანიების დაარსების საფუძვლები უნდა გამხდარიყვნენ მეურნეობის სხვა დარგებში[72]. მართლაც, საქართველოში ყველაზე ადრინდელი მძლავრი სააქციო გაერთიანება ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობაში ჩამოყალიბდა „ფოთი-თბილისის რკინიგზის საზოგადოების" სახით[73].

1896 წელს 80 წლის კონცესიით დამტკიცდა „ქუთაისის აღმოსავლეთის რკინიგზის საზოგადოება", რომლის ძირითადი კაპიტალი 20 000 000 მანეთს შეადგენდა (სახელმწიფოს რკინიგზის გამოსყიდვის უფლება მიეცა 36 წლის შემდეგ)[74].

საქართველოს მრეწველობაში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „თბილისის ცხენის რკინიგზის სააქციო საზოგადოების" (Societe anonyme des tramways de Tiflis). შექმნას. კომპანია 1885 წელს დაარსდა, 1886 წლის 26 დეკემბერს კი რუსეთის იმპერიაში მოქმედების უფლება მიეცა 45 წლის ვადით. ტრამვაის სააქციო საზოგადოების გამგეობა ბრიუსელში, ხოლო პასუხისმგებელი აგენტი მ. გრიმნისი კი თბილისს იმყოფებოდა. მთელი კაპიტალი (როგორც ძირითადი 8 481 800 ფრანკი, ასევე სათადარიგო 755 936 ფრანკი) რუსეთის იმპერიაში წარმოებულ ოპერაციებს უნდა მოხმარებოდა.

---

71 Указатель, т. II, გვ. 37.

72 К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 34, გვ. 290—291.

73 რკინიგზის მშენებლობა — ხაზინამ 1865 წ. დაიწყო და 1867 წელს ინგლისელი მეწარმეების — პერკინსისა და პაუერის მიერ ჩამოყალიბებულ სააქციო საზოგადოებას კონცესიით ჩააბარა. „ფოთი-თბილისის რკინიგზის საზოგადოება" უმაღლესად 1873 წელს დამტკიცდა და კონცესიის ძალით 80 წლის ვადით სააქციო საზოგადოებას წარმოადგენდა. 1889 წლის 20 აპრილს ამიერკავკასიის ხაზინამ გამოისყიდა (გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, თბ., 1976, გვ. 88—90).

74 Указатель, т. II, გვ. 2196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ტრამვაის ანონიმურმა საზოგადოებამ გამოუშვა 169 636 ცალი ჩვეულებრივი აქცია (თითოეული 50 ფრანკის ღირებულების) და 5 332 დივიდენტური (ფასის განუსაზღვრელად)[75]. ასევე 5%-იანი ობლიგაციები 4 530 ცალი 300 ფრანკის და 8 000 ცალი 500 ფრანკის ღირებულებით და 1904 წლიდან შეუდგა მათ გასაღებას[76]. ობლიგაციებიდან ამოღებული თანხა ძველი ხაზების ელექტროწევაზე გადაყვანას და ახალი გზის გახსნას უნდა მოხმარებოდა[77].

როგორც „საძიებლიდან" ირკვევა, თბილისის საქალაქო მმართველობას ჯერ კიდევ 1896 წელს შეეძლო წარმოების გამოსყიდვა, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 1900 წლის 14 მარტს სააქციო საზოგადოების წარმომადგენლებმა ქალაქის მმართველობასთან დადეს ახალი კონტრაქტი, რომლითაც არსებობის ვადა 1931 წლამდე გაიხანგრძლივეს. კომპანიამ ივალდებულა გაეხსნა 10,5 კმ-ის სიგრძის ტრამვაის ახალი ხაზი და ქალაქის სასარგებლოდ პირველ სამ წელიწადს გადაერიცხა შემოსავლის 4 % (მინიმუმ 15 000 მანეთი პირველ წელს, 30 000 მან მეორე და მესამე წელს და შემდეგ შესაბამისად 5,5, 6,5, 7,5, 8,6, 9 % ყოველ ხუთ წელიწადში მინიმუმ 37 5000, 45 000, 52 500, 60 000, 67 5000 და 75 000 მანეთის რაოდენობით იმ პირობით, რომ თუ ქალაქის მმართველობა მოინდომებდა პირველ 15 წელიწადში ერთბაშად მიეღო მთელი თავისი კუთვნილი თანხა, მაშინ ეს უკანასკნელი იქნებოდა 600 000 მანეთი, თბილისის მმართველობა დათანხმდა ამ წინადადებაზე[78].

ტრამვაის ელექტროდანადგარებსა და სხვა მოწყობილობებს გერმანული ფირმა „ჰელიოსი" (კელნი) ამზადებდა. ფირმამ „ელექტროტრამვაის" გზის და მისი დამხმარე საწარმოების გამართვას თავი წარმატებით გაართვა. 1900 წელს მან მთავრობის თანხმობით „თბილისის ტრამვაის ბელგიური საზოგადოების" სახელი მიიღო და ფართო საქმიანობას შეუდგა. იგი საკრედიტო ოპერაციებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის ბანკებთან, ასევე იმპერიის დედაქალაქის (აზოვ-დონისა და ვოლგა-კამის) კომერციული ბანკების თბილისის განყოფილებებთან[79]. (1915 წელს თბილისის ტრამვაი და მისი საწარმოები ქალაქის თვითმმართველობამ გამოისყიდა).

1903 წლის 8 ივნისს თბილისში საქმიანობას შეუდგა „ელექტრული ფუნიკულიორის სააქციო საზოგადოება", რომლის აქციების დიდი ნაწილი „თბილისის ტრამვაის ბელგიურ საზოგადოებას" ეკუთვნოდა. გამგეობაში შედიოდნენ დირექტორები: მ. რინძიუნსკი, ს. მუხარინსკი, ს. გეიდემანი და პ. გამელრატი. ძირითადი კაპიტალი 300 000 ფრანკი შედგა 1 200 აქციით (თითოეული 250 ფრანკის ღირებულებით და 10 წლიანი კუპონებით)[80].

75 Указатель, т. II, გვ. 2105.

76 იქვე.

77 იქვე.

78 იქვე, გვ. 2106.

79 იქვე, გვ. 2106—2107.

80 ჯერ კიდევ 1900 წლის 8 ივნისს თბილისის საქალაქო თვითმმართველობას და ბელგიის ქვეშევრდომ ა. კ. რობის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სააქციო კომპანიის „ქალაქში უნდა დაეარსებინა ელექტროფუნიკულიორი და ექსპლუატაცია გაეწია მიწისთვის" (Указатель, т. I, გვ. 1122).

ამრიგად, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მრეწველობაში სააქციო საზოგადოებების მოქმედების შესასწავლად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „იმპერიაში მოქმედ სააქციო საზოგადოებათა და სავაჭრო სახლთა საძიებელი"[82]. მასში მოცემულია მეტ-ნაკლებად სრული მონაცემები 1905 წლამდე საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა სააქციო კომპანიის შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა ჩამოყალიბდა 1895—1900 წლებში (სამრეწველო აღმავლობის პერიოდი) მრეწველობის ყველა წამყვან და განვითარებულ დარგში; 2. საქართველოს მრეწველობაში ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობამ, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, მოცემული პერიოდისათვის იმით დამთავრდა, რომ თითოეულმა მათგანმა თითქოს იპოვა თავ-თავისი მოქმედების ადგილი: ადგილობრივი კაპიტალი, რუსულთან ერთად. მეწარმეობის კოლექტიურ ფორმაზე წარმატებით გადავიდა დამმუშავებელ მრეწველობაში, ხოლო უცხოური — სამთო მრეწველობასა, ასევე ნავთობისა და მადნეულის ექსპორტის სფეროში.

Т. Г. ШАКИАШВИЛИ

## АКЦИОНЕРНЫЕ КОМПАНИИ В ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Резюме

В статье на основе анализа данных «Указателя действующих в Империи акционерных обществ и торговых домов» (под ред. В. А. Дмитриева-Мамонтова, Спб., 1905), а также специальной литературы изучена история возникновения и деятельности акционерных компаний в промышленности Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

81 Указатель, т. I, გვ. 1122.

82 რა თქმა უნდა, სააქციო საზოგადოების ისტორიის მრეწველობაში სააქციო კაპიტალის როლის შესწავლა მხოლოდ „საძიებელზე" დაყრდნობით, საარქივო მასალისა და სხვა ბეჭდური წყაროების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია (იგულისხმება სააქციო გაერთიანებათა ყოველწლიური „მოხსენებები ხარკოვის საფაბრიკო ოკრუგის უფროსი ინსპექტორის ა. გნედიჩის ვრცელი ნარკვევი მრეწველობის შესახებ, საფაბრიკო რევიზორის ვ. ვარზარის მიერ გამოცემული „სტატისტიკური" ცნობები, ასევე სამთო უწყებების ყოველწლიური „მოხსენებები", „მიმოხილვები", კავკასიის ადმინისტრაციის ყოველწლიური „უქვეშევრდომილესი მოხსენებები", „უწყისები" და ა. შ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ აბაშმაძე

# სახელმწიფო დანაშაულებათა სახეებისა და მათი კლასობრივი ბუნებისათვის ფეოდალურ ქართულ სამართალში

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, როგორც სამეცნიერო-სასწავლო მეცნიერებას, საფუძველი ი. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ამ ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ი. ჯავახიშვილმა ჩვენამდე მოღწეული საკანონმდებლო და ნარატიული წყაროების ანალიზის საფუძველზე პირველმა ჩამოაყალიბა და შეისწავლა ქართული ფეოდალური სამართლის სისტემა და მისი დარგები (სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და სხვ.), დაადგინა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია, განსაზღვრა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები და ა. შ. შედარებითი სამართალმცოდნეობის მიხედვით შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერების პრობლემების შესწავლისას ი. ჯავახიშვილის მიერ მიღებული შედეგებისა და აგრეთვე მის მიერ განსაზღვრული კვლევის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერების მრავალი სადავო საკითხის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს.

ფეოდალური ქართული სამართლის შესწავლისას ი. ჯავახიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ ეპოქის სისხლის სამართლის, დანაშაულისა და სასჯელის საკითხებს, სხვა პრობლემებთან ერთად ქართული ფეოდალური სისხლის სამართლიდან მან პირველმა სპეციალურად გამოიკვლია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და მისი სახეები. ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ფეოდალური საქართველოს სისხლის სამართალი იცნობდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ორ სახეს: პირველი, განდგომა-ღალატს და მეორე, მეფის შეურაცხყოფას[1]. სახელმწიფო დანაშაულის ამ სახეების დახასიათება კონკრეტული სამართლებრივი შემთხვევების გადმოცემასთან ერთად უმთავრესად გვხვდება ნარატიულ წყაროებში. რაც შეეხება ჩვენამდე მოღწეულ საკანონმდებლო ძეგლებს, ისინი სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ ნორმატიული ხასიათის უმნიშვნელო მითითებებს შეიცავენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ფეოდალური სამართალი და განსაკუთრებით სისხლის სამართალი, სუვერენის აშკარა ძალადობასა და თანამდებობაზეა დამყარებული, იგი „მუშტის სამართალია". სუვერენის წარმოდგენით სამართალი მხოლოდ ისაა, რაც მას მოესურვება. ამიტომ ფეოდალურ სამართალში, როგორც წესი, წინასწარ არც კი არის სრულად გათვალისწინებული სამართალდარღ-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929, გვ. 283—294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევები, კერძოდ, კანონმდებელი განზრახ უვლის გვერდს სახელმწიფო დანაშაულობათა ამომწურავ ჩამოყალიბებას. მეტიც, სამეფო ხელისუფლება დაინტერესებულიც კი არ არის, რომ საკანონმდებლო წესით განმტკიცდეს ყველა ის მოქმედება, რომლებიც მისი შეხედულებით სახელმწიფო დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანაშაული სამეფო ხელისუფლების ყველაზე საშიშ დანაშაულად მიაჩნია. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად რთულია, რომ ყველა მოქმედება, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება საშიში აღმოჩნდეს სუვერენის ხელისუფლებისათვის, იმ დროს მოწინავე იურიდიული ტექნიკის არ არსებობისას შეუძლებელი იყო წინასწარ გაეთვალისწინებია კანონმდებელს ფეოდალურ „მუშტის სამართალში“. ამიტომ იმის გადაწყვეტა თუ რომელი მოქმედება წარმოადგენს საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სახელმწიფო დანაშაულს, ხდებოდა კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად სუვერენის ნებით, რაც ძალიან ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობაში არც კი იყო ფიქსირებული. ფეოდალიზმის ეპოქაში სასამართლო პრაქტიკა წინ უსწრებს კანონმდებლობას, ეს მოვლენა ყველაზე ნათლად ჩანს სახელმწიფო დანაშაულის მაგალითზე. აქედან ცხადია, რომ ის, რაც შეუძლებელია გავიგოთ ჩვენამდე მოღწეული საკანონმდებლო ძეგლებით, ძირითადად უნდა დადგინდეს ნარატიული წყაროებით, რომლებშიც ჩამოთვლილია ცალკეული სახელმწიფო დანაშაულებანი და მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასჯელები. ამიტომ იყო, რომ ი. ჯავახიშვილი მის მიერ მითითებულ ორივე სახის დანაშაულს იმოწმებს არა საკანონმდებლო ძეგლებით, არამედ ნარატიული წყაროებით. კერძოდ, ისეთი სახელმწიფო დანაშაული, როგორიცაა განდგომა — ღალატი, ი. ჯავახიშვილს დამოწმებული აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“, „მატიანე ქართლისაჲს“ და სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით. ახასიათებს რა განდგომა-ღალატს, როგორც სახელმწიფო დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ სახეს, ი. ჯავახიშვილი წერს: „განდგომა და ღალატი, ან მეფობის მაძიებლობაზე, ან უფრო ხშირად მეფისა და მოწინავე წოდებას შორის არსებული ბრძოლის ნიადაგზე იყო ხოლმე აღმოცენებული. პირველ ჯგუფს ეკუთვნის მაგ., გიორგი აფხაზთა მეფის შვილის კონსტანტინეს „განდგომა“, რომელმაც „იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა“ (მ-ნე ქ-ჲ; 453, გვ. 230). ამგვარისავე თვისებისა იყო თეოდოსის „განდგომა“-ც, რომელიც ჰლამობდა მკლავით აღებასა მამულისა თჳსისა (იქვე, 458, გვ. 234) დავითისა, დიმიტრი I-ის ძისა, რომელმაც „ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა თჳსისა (ისტ-ნი და აზმ-ნი, 513, გვ. 386) დალია თავისი ძალ-ღონე, — დემნასი (იქვე, 614—617, გვ. 387—390) და სხვათა“[2].

ი. ჯავახიშვილს მის მიერ დადგენილი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მეორე სახე, კერძოდ, მეფის შეურაცხყოფა ანუ მეფისათვის „არა საკადრებელ სიტყუათა თქუმა“, დამოწმებული აქვს აგრეთვე არა საკანონმდებლო ძეგლების, არამედ ისტორიული წყაროების მიხედვით. იგი წერს: „თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს სახელდობრ, რომ რუმის

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბ., 1929, გვ. 281.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტანმა საქართველოს ბატონს ელჩი გამოუგზავნა და თან წერილი გამოატანა. მოსული მოციქული რომ მეფესთან შეიყვანეს, მან თურმე „წიგნი მისცა“, წარდგა და იწყო არასაკადრებელ სიტყუათა თქუმად: „უკეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არ დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა“-ო“[3].

ამრიგად, ი. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით ფეოდალური საქართველოს სისხლის სამართალი იცნობს შემდეგი ორი სახის სახელმწიფო დანაშაულს: პირველი, განდგომა — ღალატი და მეორე, მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, განსაკუთრებით კი განდგომა-ღალატი, წყაროებში ძალიან ხშირად სხვადასხვა ტერმინით არის აღნიშნული, მაგრამ სახელმწიფო დანაშაულთა აღმნიშვნელი ურთიერთგანსხვავებული ტერმინები მიუთითებენ არა შინაარსობრივად სხვა სამართალდარღვევებზე, არამედ ამ სახელმწიფო დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, მისი სუბიექტების ორგანიზებული მოქმედების ხასიათზე და აგრეთვე იმ ხერხებზე და მეთოდებზე, რომელთაც იყენებდნენ სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი პირები.

ქართველი ხალხის დიდი ხნის ბრძოლა ქვეყნის დაქსაქსულობის დასაძლევად X ს-ში დამთავრდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით[4]. შუა საუკუნეების საქართველოში, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური გაერთიანების ეპოქაში, ადგილი ჰქონდა მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლას[5], რომელიც იყო მრავალგვარი სახელმწიფო დანაშაულობების საფუძველი.. ფეოდალური საქართველოს საკანონმდებლო და ნარატიული წყაროების საგულდაგულო შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მათში ჯერ ერთი, გვხვდება ზოგიერთი ისეთი იურიდიული ტერმინი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ზემოაღნიშნულ სახელმწიფო დანაშაულობებისაგან განსხვავებულ დანაშაულზე და გარდა ამისა, აქვე აღწერილია ყოველგვარი ტერმინოლოგიური სამოსლის გარეშე მოქმედებანი, რომლებიც აშკარად სახელმწიფო დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართული ფეოდალური სამართალი იცნობს ზემოაღნიშნული ორი სახის სახელმწიფო დანაშაულის გარდა სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულებსაც, რომლებიც ქართული სამართლის ისტორიაში არაა აღნიშნული. ჩვენ მიერ გამოვლენილ სახელმწიფო დანაშაულთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის მოკვლას, დატყვევებას და ა. შ. ამ კატეგორიის სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო, რო-

---

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 293.

4 გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963 და ა. შ.

5 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში (საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ. 1965); რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც საქართველოს სახელმწიფოს ქვეშევრდომი, ასევე უცხოელიც, როგორც უცხოური წყაროები ცხადყოფენ 542 წელს ბერძენმა მხედართმთავრებმა ვერაგულად მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი[6]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა ჩაიდინეს სახელმწიფო დანაშაული, ბრძოლის ველზე ისინი თავს დაესხნენ დავით აღმაშენებელს: „კუალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს და მეფე კარსა კარვისა თჳსისა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა — დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცნა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით"[7]. მეფის მოკვლის მცდელობას ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი დავით აღმაშენებლის ეპოქაში: „რაოდენ — გზის ყივჩაღთა თჳსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მჴნენი, რომელნიმე ჴრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა, და არაოდეს მიუშუა „ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა ზედა"[8].

წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები არა მარტო უცხოელთა, არამედ ქართველ ქვეშევრდომთა მიერ საკუთარი მეფის მოკვლის შესახებ, კერძოდ, ტაოკლარჯეთის პირველი მთავარი ბაგრატიონთა გვარიდან აშოტი სწორედ მისმა ქვეშევრდომებმა მოკლეს[9]. მატიანე ქართლისაჲს ავტორი გვაუწყებს: „და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბნის ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი"[10].

მეფის წინააღმდეგ მიმართულ სახელმწიფო დანაშაულთა შორის ქართული წყაროები იცნობს მეფის დატყვევებას. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ რაჭის ერისთავმა კახაბერმა „წარავლინა კაცი და წიგნი ალიყანს თანა ათასისთავსა, რომელი იდგის მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველისაებრ დაესხას მეფეს, და ადვილად ჴელთ იგდოს მეფე"[11]. მეფემ ყველაფერი შეიტყო და დანაშაულისათვის კახაბერს „მიეგო მისაგებელი ბოროტი... მეფემან პირველ თუალი დასწუა, და მერმე ერთი ჴელი და ერთი ფერჴი მოჰკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცა ექსორიობად"[12].

2. ღალატი, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. სახელმწიფო დანაშაულის ეს სახე ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წყაროებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება. მის მიერ მოთხრობილი ამბების ერთ ეპიზოდში დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულად შემოყენებული უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღალატი და თვნიერ მიზეზისაც მისრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შე-

---

6 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 11, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965; გეორგიკა, ტ. III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.

7 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 362.

8 იქვე.

9 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973, გვ. 369.

10 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 253.

11 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 275.

12 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნი-ან"[12]. პირველად ამ ტერმინის განმარტება მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა, რომლის ლექსიკონში ნათქვამია: „ღავღავი, შეთქმულობა უბრალოთა ზედა (ც. ქართლ; ცხ.)". იგივე გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა ქართლის ცხოვრების ძეგლ-თა ენის შესწავლისას[14]. მის მიერ შესწავლილ დანაშაულთა სისტემაში ი. ჯავა-ხიშვილი ღავღავს არ მოიხსენიებს. მაგრამ დ. აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ტერმინი „ღავღავი" გამოყენებულია სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების აღმნიშვნელად, კერძოდ, ისტორიკოსი მიუთითებს, რომ, როცა თბილისი ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა დაპყრობილი ქართველებს და ქალაქში მრავლად იყო დ. აღმაშენებლისადმი ოპოზიციურად განწყობილი მაჰმადიანური მოსახლეობა, ეს უკანასკნელი უმიზეზოდ, უბრალოდ სპობდა ქრისტიანებს, სადაც კი წაასწრებდა. რა თქმა უნდა, გამარჯვებულ ქრისტიან-თა წინააღმდეგ მაჰმადიანური მოსახლეობის ეს ბრძოლა არსებითად მიმარ-თული იყო დამპყრობელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და იგი, რო-გორც საშიში სახელმწიფო დანაშაული დიდად აწუხებდა დავით აღმაშენე-ბელს: „ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი — ესე ფრიად ეძვნე-ბოდა სულსა დავითისასა"[15].

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ თბილისის დამარც-ხებული მაჰმადიანური მოსახლეობის მიერ მოწყობილი ამბოხება[16], გადმო-ცემული იურიდიული ტერმინით „ღავღავი", წარმოადგენს სახელმწიფოს წი-ნააღმდეგ მიმართული დანაშაულის განსაკუთრებულ სახეს.

3. სახელმწიფო დანაშაული, მიმართული ქვეყანაში არსებული პოლიტი-კური წყობილების ფორმის შესაცვლელად. სახელმწიფოს წინააღმდეგ მი-მართული დანაშაულის ამ სახის გამომხატველ სამართლებრივ ტერმინს შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერება არ იცნობს, პოლიტიკური წყობილების ფორმის შეცვლის მიზნით მოწყობილი სახელმწიფო დანაშაუ-ლის ადექვატური ტერმინი ვერ მოუნახავს, რადგან წინათ ამგვარ სახელმწი-ფო დანაშაულს საქართველოში ადგილი არ ჰქონია და სახელმწიფო დანა-შაულებათა აღმნიშვნელი ძველი ტერმინები მის დასახასიათებლად, რა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა, ამიტომ პოლიტიკური წყობილების შესაცვლელად მოწყობილ სახელმწიფო დანაშაულს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა-ნის" უცნობი ავტორი უბრალოდ უწოდებს „უცხოდ მოსაგონებელს". ეს სა-ხელმწიფო დანაშაულია ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყება თამარ მეფის წი-ნააღმდეგ. მის შესახებ ანონიმი ავტორის თხზულებაში „ისტორიანი და აზ-მანი შარავანდედთანი" ნათქვამია შემდეგი: „და ესეცა უცხო მოსაგონებე-ლი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვი-თარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარს-თა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღო-

13 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., გვ. 349.

14 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., გვ. 015.

15 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., გვ. 349.

16 ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 157—158); მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 79—80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი.

ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა ჴელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკვრა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან. და მოიღონა ჴელით გდება თავისა მის მოქმედთასა და თანამზრახველმყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თჳსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუებისა და ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინათგან ჴელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამებრძოლ ექმნებოდა მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა დამჴობად წინააღმდგომთა მისთა, ცუდ საქმე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღვდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთნებოდეს ორნიას, ძმას სოლომონისსა; და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხვსა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის — ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-მყოფლობისა მათისა“[17].

ციტირებული ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლით აღშფოთებულია მემატიანე, მაგრამ ამ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს არ უწოდებს არც განდგომას, არც ღალატს და ა. შ., რაც ცხადყოფს, რომ იგი ყუთლუ-არსლანის დანაშაულებრივ მოქმედებას თავისი იურიდიული ბუნებით და კლასობრივი მიზნით პრინციპულად ასხვავებს ჩვენთვის უკვე ნაცნობი სხვა სახელმწიფო დანაშაულობებისაგან. ბუნებრივია ისმის კითხვა, როგორ ავხსნათ მემატიანის ეს მოქმედება, კერძოდ, რით ასხვავებს იგი ყუთლუ-არსლანის დასის მოქმედებას, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ამ კატეგორიის დანაშაულობათა სხვა სახეებისაგან. ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა სახელმწიფო დანაშაულთა იურიდიული ანალიზი, მათი მიზნის, მოტივის, სუბიექტის და სხვათა მიხედვით, კერძოდ, პირველყოვლისა გარკვეული უნდა იქნეს ორი ძირითადი საკითხი: პირველი, ვინ არიან როგორც ჩვენთვის ცნობილი იურიდიული ტერმინებით (განდგომა — ღალატი, ღავღავი და ა. შ.) კვალიფიცირებული, ასევე შესაბამისი იურიდიული ტერმინის გარეშე დახასიათებული სახელმწიფო დანაშაულის, კერძოდ, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლის სუბიექტები და მეორე, ეს სახელმწიფო დანაშაულობანი რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მიზნის მიხედვით.

17 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 30—32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ მემატიანეთა მიერ განდგომა-ღალატის და სხვა სამართლებრივი ტერმინებით აღნიშნული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების სუბიექტები, მათი სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოს ფეოდალურ-იერარქიული პოლიტიკური წყობილების სისტემაში და იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ განდგომა-ღალატის და ა. შ. იურიდიული ტერმინებით მემატიანეთა მიერ გადმოცემული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტებია: 1. სამეფო დინასტიის წარმომადგენლები, რომლებიც იბრძვიან სამეფო ტახტის დაკავებისათვის (მაგალითად, დემნა უფლისწულის აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ და ა. შ.); 2. სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ძირძველი ფეოდალები, რომლებიც მეფეს ექვემდებარებიან იურიდიულად და ფაქტობრივად და საქართველოს პოლიტიკური წყობილების ადგილობრივ სისტემაში მაღალი თანამდებობა უკავიათ (ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი და ა. შ.). მაგალითად, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სხვ. მათ მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის შინაარსს კერძოდ, მეფის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას შესანიშნავად გამოხატავს ტერმინი „განდგომა-ღალატი“; 3. საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ეთნიკურ-სოციალური ჯგუფები (დიდოელები, ფხოველები და ა. შ.) მემატიანე წერს, რომ თამარის ეპოქაში „იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა“[18]; 4. უცხოელები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით (სამოკავშირეო ხელშეკრულება, დაპყრობა, გადმოსახლება და სხვ.) დაკავშირებული იყვნენ ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან.

რაც შეეხება ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულს, რომელმაც მემატიანე ყოველგვარი იურიდიული ტერმინის გარეშე „უცხოდ მოსაგონებელს“ უწოდებს, მისი სუბიექტები, როგორც ეს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტიდან ჩანს, არიან დიდებულები და ლაშქარი. ი. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია მათი სოციალური ბუნება და დაადგინა, რომ დიდებულთა „სადაურობა-წარმოშობილობა ერთნაირი არ ყოფილა: ზოგი მათგანი გვარიან აზნაურთა წოდების წევრი იყო, ზოგი უაზნოთა წრითგან აღზევებული იყო“[19]. იგივე შეიძლება ითქვას „ლაშქარზე“, რომელიც ჯარსაც და რაინდობასაც ნიშნავს, მაგრამ „ჯარშიაც და რაინდობაშიაც მარტო ერთი სოციალური წრე არ შედიოდა“[20]. ალბათ ამის გამო არის, რომ „ლაშქარნი“ გვევლინებიან, როგორც მოხელე-აზნაურთა „განდგომა-ღალატის“, ასევე ყუთლუ-არსლანის აჯანყების სუბიექტებად. მართალია, დიდგვარიან მოხელე-აზნაურთა „განდგომა-ღალატის“ ტერმინით კვალიფიცირებული სახელმწიფო დანაშაულის მრავალ სუბიექტთა შორის „ლაშქარიც“ არის დასახელებული, ხოლო ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტები ასევე „ლაშქარი“ იყო, მავ-

---

18 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 111.

19 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 164.

20 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30—32.

რამ როგორც ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, ლაშქარი სხვადასხვა სოციალური წრისაგან შედგებოდა. სწორედ ამის გამო არ უნდა ვიფიქროთ, რომ განდგომა-ღალატისა და ყუთლუ-არსლანის აჯანყების სუბიექტთა მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაული „ერთიდაიმავე წრის... ერთიდაიმავე პოლიტიკური პროგრამისა, მიზნისა და გეგმის მქონებელი დასის ნამოქმედარი იყოს"[21].

ამრიგად, სუბიექტების მიხედვით განდგომა-ღალატის ტერმინით აღნიშნული სახელმწიფო დანაშაული განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულისაგან, რომლის აღმნიშვნელი ტერმინი მემატიანეს არ გააჩნია. ცხადია, ყუთლუ-არსლანის აჯანყების მონაწილეები რომ მხოლოდ დიდგვარიანები ყოფილიყვნენ, მაშინ რა თქმა უნდა, მემატიანე ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენებდა მისთვის კარგად ცნობილ იურიდიულ ტერმინს „განდგომა-ღალატს", მაგრამ იგი ამ ტერმინს განზრახ არ იყენებს და მისგან განსასხვავებლად ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის თავისებურებების გადმოსაცემად „უცხოდ მოსაგონებელს" უწოდებს.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის სხვა, ჩვენთვის ცნობილი იურიდიული ტერმინებით კვალიფიცირებული სახელმწიფო დანაშაულობებისაგან გასასხვავებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიზნის განსაზღვრას, რომელსაც ისინი ისახავდნენ.

ის სახელმწიფო დანაშაული, რომელსაც მემატიანე უწოდებს განდგომა-ღალატს და ა. შ., მიმართულია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს განდგომილთა მიერ მეტი პოლიტიკური პრივილეგიების მიღებას, თავიანთი პოზიციების განმტკიცებას სამეფო კარზე, რასაც ხშირად კიდევაც აღწევდნენ ისინი, მაგრამ მათი ბრძოლა მეფის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში მიზნად არ ისახავდა არსებული სამეფო ხელისუფლების მოსპობას, მეფის მონისტური ხელისუფლების რომელიმე ნაწილის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მითვისებას, სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების შეცვლას. რა თქმა უნდა, განდგომილთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მეფის მიერ ასუსტებდა სამეფო ხელისუფლებას, ზღუდავდა მის საერთო კომპეტენციას, მაგრამ სამეფო ხელისუფლება მაინც რჩებოდა, როგორც ერთიანი და მთლიანი. ამის შესახებ მემატიანე წერს, რომ დიდმოხელედი ძირძველმა ფეოდალებმა, კერძოდ „ბრძოლამყოფთა ჴელისუფლობისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვა"[22]. ხელისუფლობა, ხელისუფალი ძველ ქართულში ნიშნავს მოხელეობითი ბრძანებლობის მქონებელს[23]. მაშასადამე, ბრძოლის საგანს შეადგენდა მოხელეობითი ხელისუფლების გაფართოება ახალი პრივილეგიების მინიჭების ხარჯზე. რაც შეეხება დიდებას, მას შემდეგნაირად განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი: „კაცთა ზედა დიდება წყალობისა და სიმდიდრისა და მლევანობისა მიცემაჲ"[24].

ამრიგად, განდგომა-ღალატი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულია, რომელიც მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების ზეგავლენის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლების სასარგებლოდ და არა ამ

21 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

22 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 30.

23 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 465.

24 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების რომელიმე ნაწილის მიტაცებას. ამ ტერმინით დახასიათებული სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტები დიდმოხელე მსხვილი ფეოდალები არიან, რომლებიც დაკავებული თანამდებობებით მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამეფო ხელისუფლებასთან და მონარქიული წყობილების შეცვლის შემთხვევაში მათი დიდმოხელეობა დაკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. ყუთლუ-არსლანის აჯანყება კი ისეთი სახელმწიფო დანაშაულია, რომელიც ასევე მიმართულია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ იგი მიზნად ისახავს სახელმწიფოს ძველი მონარქიული წყობილების რეორგანიზაციას, მეფის მონისტური ხელისუფლებისაგან მისი ძირითადი ნაწილის, საკანონმდებლო ხელისუფლების ჩამოშორებას. ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შედგენილობისა და მისი პოლიტიკური პროგრამის გაგებაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად მეცნიერებაში ერთხმადაა აღიარებული, რომ იგი მიზნად ისახავს არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლას[25]. ამ მიზნის მიხედვით ყუთლუ-არსლანის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო დანაშაული არსებითად განსხვავდება ფეოდალურ საქართველოში ცნობილ ყველა სახის სახელმწიფო დანაშაულისაგან და კერძოდ, განდგომა-ღალატისაგან, რაც ყოველგვარი დავის გარეშე ხსნის აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს ყუთლუ-არსლანის აჯანყების თაობასთან დაკავშირებულ საკითხზე. საქმე ისაა, რომ პარლამენტის (კარავის) დაარსების მოთხოვნა, მონისტური სამეფო ხელისუფლებისაგან საკანონმდებლო ხელისუფლების ჩამოშორება და მისი განხორციელება ამ ახალი სახელმწიფო დაწესებულების (პარლამენტი, კარავი) მიერ, არსებული სახელმწიფო წყობილების ფორმის შეცვლა არსად არ ყოფილა მეფის წინააღმდეგ ფეოდალთა ბრძოლის მიზანი, პირიქით, ზემოაღნიშნული პოლიტიკური პროგრამისათვის ბრძოლა ყველგან ანტიფეოდალურ ძალებთან არის დაკავშირებული.

საყურადღებოა, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების შესახებ მემატიანე მეტად მოკლე და ძუნწ ცნობებს გვაწვდის, მაგრამ მის ცნობაში საოცარი სიზუსტით და გარკვეულობით არის განსაზღვრული აჯანყებულთა მთავარი პოლიტიკური მოთხოვნა, კერძოდ, მეფის ხელისუფლებისაგან საკანონმდებლო ხელისუფლების ჩამოშორება, მანამდე უცნობი ქართული პოლიტიკური დაწესებულების შექმნა და ამ უკანასკნელის მიერ მეფისაგან დამოუკიდებელი საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება. თამარ მეფის ისტორიკოსი წერს, რომ ყუთლუ-არსლანმა „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და გაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინთა სრულ იქმნებოდეს განგებული

25 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკ. II, ტფ., 1929, გვ. 181—183; ნ. ბერძენიშვილი, ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესაცვლელად (საქართველოს ისტორია ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 197); ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 10; გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 93—96; მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1968, გვ. 57; ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის (ლიტერატურული საქართველო, 1971, № 12, გვ. 2—3) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი“. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ეს აქტობრივად ნიშნავდა თვითმპყრობელური მონარქიის რესპუბლიკური დაწესებულების შექმნის გზით არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას, პარლამენტით (კარავით) შეზღუდული მონარქიის დამყარებას. თამარ მეფეს სწორად შეუფასებია ის საფრთხე, რომელიც აღიმართა მისი ერთიანი, განუყოფელი სამეფო ხელისუფლების წინაშე. ამიტომ იყო, როგორც მემატიანე გადმოგვცემს მეფემ „იწყინა და გაიკვრა“ აჯანყებული ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა „ესე ვიეთ საწყენელ იყო“, როგორც „დასასრულისა ჴელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“. ყუთლუ-არსლანის პროგრამის განხორციელება ნიშნავდა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას ორ ურთიერთდაპირისპირებულ დაწესებულებას, სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის, ამასთან უმთავრესი ხელისუფლება, კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა დარჩენოდა პარლამენტს, ხოლო სამეფო ხელისუფლება კი პარლამენტის მიერ დადგენილი კანონების აღმსრულებელი უნდა გამხდარიყო.

ყუთლუ-არსლანის ამ მოთხოვნამ დიდი შეშფოთება გამოიწვია სამეფო კარზე, ამგვარი სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა წინათ არავის გაუბედია და საერთოდ ამ სახის სახელმწიფო დანაშაული წინათ ცნობილიც არ იყო. მემატიანე დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებს ყუთლუ-არსლანს, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის აღმნიშვნელ ტერმინს ვერ პოულობს, მისთვის ცნობილი სახელმწიფო დანაშაულის ცალკეული სახეების აღმნიშვნელი ტერმინები კი შინაარსის, მიზნის, მოტივის, სუბიექტების და ა. შ. მიხედვით სრულიად ვერ გამოხატავდა ყუთლუ-არსლანის მიერ ჩადენილ დანაშაულს. „უცხოდ მოსაგონებელი“ ყუთლუ-არსლანის აჯანყება მიზნად ისახავდა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გზით სამეფო ხელისუფლების ფორმის შეცვლას და საქართველოში ახალი პოლიტიკური წყობილების დამყარებას[26]. ამიტომ ყუთლუ-არსლანის აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ სახელმწიფო დანაშაულთა სისტემაში ყველა სხვა დანაშაულისაგან განსხვავებულია, როგორც სუბიექტების, ასევე მიზნის მიხედვით.

დიდგვარიან ფეოდალთა განდგომა-ღალატი და ყუთლუ-არსლანის აჯანყება, როგორც სუბიექტებითა და მიზნებით ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული სახელმწიფო დანაშაულობები საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ მათი კლასობრივი ბუნება. როგორც ზემოთ დავინახეთ, განდგომა-ღალატის სახელით ცნობილი სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტებია ან სამეფო დინასტიის წარმომადგენლები, რომლებიც იბრძვიან სამეფო ხელისუფლების მთლიანად მიტაცებისათვის, ან დიდგვარიან-დიდმოხელეები, რომლებიც ცდილობენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის გზით ახალ-ახალი პრივილეგიების მიღებას, ან სოციალურ-ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული არიან დამოუკიდებლობის შენარჩუნებით და მათზე სამეფო ხელისუფლების ზეგავლენის შესუსტებით. ყუთლუ-არსლანის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტებია უპირატესად დაბალი სოციალური წარმოშობის წარმომადგენლები, მაგრამ სამაგიეროდ სამღვდ-

26 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 204—205; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკ. II, ტფ., 1929, გვ. 172 და ა. შ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რით აღზევებულნი ან მეფის ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის გამო დაწინაურებულები, კერძოდ, „ლაშქარნი“ და „დიდებულები“, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფო წყობილების ფორმის შეცვლა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გზით, თვითმპყრობელური მონარქიის შეზღუდვა „კარავის“ საკანონმდებლო ხელისუფლებით. ყუთლუ-არსლანის მიერ ორგანიზებული „უცხოდ მოსაგონებელი“ სახელმწიფო დანაშაული კლასობრივი ბუნებით აშკარად განსხვავდებოდა დიდგვარიან დიდმოხელეთა განდგომა-ღალატისაგან. ეს რომ ასე არ იყოს, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილ დანაშაულს მემატიანე, რა თქმა უნდა, განდგომა-ღალატს უწოდებდა.

ამრიგად, ი. ჯავახიშვილის მიერ გამოკვლეული ორი სახელმწიფო დანაშაულის (განდგომა-ღალატი და მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფა) გარდა ქართული ფეოდალური სამართალი იცნობდა სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ სახეებს: დანაშაული მიმართული მეფის სიცოცხლის წინააღმდეგ, დანაშაული მიმართული სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლისაკენ და დანაშაულის სპეციფიკური სახე ანუ ღავღავი. ყველა ეს სახელმწიფო დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება სუბიექტებითა, მიზნებითა და კლასობრივი შინაარსით.

В. В. АБАШМАДЗЕ

## К ВОПРОСУ О ВИДАХ ГОСУДАРСТВЕННЫХ ПРЕСТУПЛЕНИЙ И ИХ КЛАССОВОЙ ПРИРОДЕ ПО ФЕОДАЛЬНОМУ ГРУЗИНСКОМУ ПРАВУ

Резюме

Основоположник истории государства и права Грузии, как научно-учебной дисциплины. И. Джавахишвили, в результате критического анализа дошедших до нас законодательных и нарративных источников впервые разработал систему феодального грузинского права и его отраслей (государственное право, гражданское право, уголовное право и т. д.). При изучении уголовного права И. Джавахишвили указал, что видами преступлений, направленных против государства по феодальному грузинскому праву, являются отступление-измена и словесное оскорбление царя.

В настоящей работе на основе критического анализа дошедших до нас источников, нами установлены и другие виды государственных преступлений. В результате сопоставления всех видов преступлений, направленных против государства, доказано, что участники заговора против царской власти под руководством Кутлу-Арслана, как одного из опаснейших государственных преступлений, выражали интересы не высокородных феодалов, а низших слоев общества, заинтересованных в изменении политического устройства феодальной Грузии.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერონტი გასვიანი

## სვანეთის ეკლესიის ისტორიისათვის

## (ქორეპისკოპოზი და საყდრისშვილები)

ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეს სპეციფიკური თავისებურებანი და მათი შესაბამისი ინსტიტუტები გააჩნდა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენდა სვანეთიც, რომელსაც ერისთავ-მთავართან და ხევისთავთან ერთად „მეჭურჭლე“ და „მელომეც“ ჰყავდა.

ფეოდალური ეპოქის სვანეთში სხვა ინსტიტუტებს შორის მოიხსენიება ქორეპისკოპოზიც.

ამ სახელწოდებით და მისი შინაარსით ჯერ კიდევ ადრე დაინტერესდა გამოჩენილი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი, რომლის განმარტებით, „ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულად“. მან შენიშნა, რომ ამ ტერმინის მაგიერ ზოგჯერ ქორიკოზი მოიხსენიება. სულხან-საბას განსჯით, ქორეპისკოპოზი სასულიერო ტიტულია, ხოლო ქორიკოზი „მეფის მონაცვლეს ჰქვიან, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელისა დება, არამედ გამოითარგმნების მწყემსად“[1].

ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, კახეთისა და ჰერეთის მმართველთა ქორეპისკოპოზად სახელდება შეცდომაა, ამიტომ, როცა საქმე კახეთის მმართველს ეხება, ქორეპისკოპოზს ყველგან ქორიკოზად ასწორებს[2].

ქორეპისკოპოზს მხოლოდ სასულიერო ფუნქციის მქონედ მიიჩნევს დ. ბაქრაძე, რომელიც წერს: VIII—XI სს-ში კახეთის საერო და სასულიერო საქმეების გამგებლებს ქორიკოზები ერქვათ და არა ქორეპისკოპოზები[3]. მკვლევარი დასძენს, რომ ქორეპისკოპოზი ვიკარი (დამოკიდებული) ეპისკოპოზი იყო. ამის მაგალითად ასახელებს წილკნელს, რომელსაც ორი ქორეპისკოპოზი ექვემდებარებოდა (ერთი დარიალის კარამდე მოქმედებდა, მეორე კი ბოდორნაში, რომ ეს უკანასკნელი XV საუკუნეშიც არსებობდა).

რაც შეეხება წანარებისა და კახეთის მმართველებს VIII—XI სს-ში, დ. ბაქრაძის განსჯით, ისინი სასულიერო და საერო საქმეებს განაგებდნენ, ამიტომ მათ ქორიკოზები ეწოდებოდათ[4].

გ. წერეთლის აზრით, ქორეპისკოპოზები დასავლეთ ევროპაში სასულიერო და საერო საქმეების გამგებლები იყვნენ, ისინი გრაფებად და დამოუ-

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის გამოც., 1949, გვ. 374.

2 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 129, 140, 557—560.

3 დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, 1880, გვ. 6.

4 Д. Бакрадзе, Бодорна, Зап. общ. люб. кавк. арх., кн. I, Тифл., 1875, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიდებელ მთავრებად იწოდებოდნენ. მისი მტკიცებით, ქორეპისკოპოზები თავის სამფლობელოში აჭრევინებდნენ ფულს, მართავდნენ ბაზრობებს, ახდევინებდნენ ბაჟს, აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ასამართლებდნენ ქვეშევრდომებს და სხვ. ერთი სიტყვით, ეპისკოპოზები და ქორეპისკოპოზები ფაქტობრივად სამეფო რეგალიებს ფლობდნენ[5].

გ. წერეთელი ერთიმეორესთან აიგივებს ქორეპისკოპოზსა და ქორიკოზს. მას მიაჩნია, რომ კახეთ-ჰერეთ-წანარების მთავრები ქორეპისკოპოზები ანუ ქორიკოზები იყვნენ. ამიტომ მას ორივე ეს სახელწოდება ერთი და იგივე შინაარსის მატარებლად მიაჩნია[6].

მკვლევრის განმარტებით, ქორეპისკოპოზი ანუ ქორიკოზი ბერძნული სიტყვაა და მოადგილეს ანუ მაგიერს ნიშნავს[7]. მისივე დაკვირვებით, ეს ინსტიტუტი სათავეს იღებს მეოთხე საუკუნიდან, როცა ქრისტიანულ სამყაროში განდგომილი ცხოვრება გავრცელდა და ზოგმა ეპისკოპოზმა საერო საქმეების დარგში მოადგილეებად გაიჩინეს დიაკვნები ან არხიდიაკვნები, რომლებიც ქორეპისკოპოზად იწოდნენ.

ქორეპისკოპოზზე ს. კაკაბაძემ სულხან-საბასა და ვახუშტის მოსაზრება გაიზიარა. მისი განმარტებით ქორეპისკოპოზი სასულიერო ტიტულია, ხოლო ქორიკოზი სვანური სახლის უფროსის („ქორა-ხოშა") სახეშეცვლილი ფორმაა[8].

ქორეპისკოპოზის კახეთის მფლობელად ყოფნა ივ. ჯავახიშვილმა სარწმუნოდ ჩათვალა[9].

ზოგიერთი წინამორბედი მკვლევრის მსგავსად, ქორეპისკოპოზი მხოლოდ სასულიერო საქმეების გამგებლად მიაჩნიათ ნ. ბერძენიშვილსა და გ. ჩუბინაშვილს, რომელთა აზრით, კახეთის მმართველებს თავის დროზე უთუოდ ქორიკოზი ერქვათ[10].

ქორეპისკოპოზითა და ქორიკოზით დაინტერესდა ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელმაც სულხან-საბასა და ვახუშტიზე დაყრდნობით ეს ტერმინები სხვადასხვა შინაარსის გამომხატველებად მიიჩნია. მისი მსჯელობით, ქორეპისკოპოზი სასულიერო ტიტულია (ვიკარის გაგებით), ხოლო ქორიკოზი საერო თანამდებობაა. ამიტომ კახეთის მმართველის ქორეპისკოპოზობა შეცდომად მიიჩნია[11].

კახეთის მმართველთა ქორეპისკოპოზობა სარწმუნოდ მიაჩნდათ ს. ჯანაშიას, ი. აბულაძეს და პ. ინგოროყვას, ასევე გ. მელიქიშვილს, მ. ლორთქი-

---

5 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა, გაზ. „კვალი", 1893, № 39, გვ. 10.

6 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

7 იქვე, გვ. 8.

8 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტ. მოამბე, წ. I, თბ., 1924, გვ. 106—107.

9 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, ტფ., 1928, გვ. 201—202.

10 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 254;

11 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ჩრდილო მხარის სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფანიძეს, დ. მუსხელიშვილს და შ. ბადრიძეს, აგრეთვე უცხოელ მკვლევრებს მ. ბროსეს, ი. მარკვარტს, ვ. მინორსკისა და სხვ.

ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი პ. ინგოროყვას რწმენით ერთი და იგივე შინაარსის გამომხატველი ცნებებია. მისი განსჯით, VIII—XI სს-ში კახეთის მმართველს ქორეპისკოპოზი ანუ ქორიკოზი ერქვა[12].

მ. ლორთქიფანიძის აზრით, „ქორეპისკოპოზი არაა შებღალული ქორიკოზი, კახეთის მთავრებს ადრე ნამდვილად ქორეპისკოპოზები ეწოდებოდათ[13].

კახეთის მფლობელს რომ ქორეპისკოპოზი ეწოდებოდა, ეს შ. ბადრიძემ ეპიგრაფიკული წარწერის მონაცემებითაც დაადასტურა. ამდენად, კახეთის მმართველთა ქორეპისკოპოზობა მას სინამდვილედ მიაჩნია[14].

ქორეპისკოპოზის ინსტიტუტზე ბოლო დროს ყურადღება გაამახვილა თ. პაპუაშვილმა, რომლის აზრით, ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი სხვადასხვა ცნებებია. მისი განსჯით, ქორეპისკოპოზი ეწოდებოდა კახეთის საერო და სასულიერო მმართველს. ამიტომ სულხან-საბას მიერ ქორიკოზის „მეფის მონაცვლედ“ წარმოდგენა სწორი არ უნდა იყოს, მით უფრო ასეთი განმარტება ქორეპისკოპოზის შინაარსის ანალოგიით ჩანს შემუშავებული. თ. პაპუაშვილის აზრით, ქორიკოზი (ხორიკოსი), მართლაც, „მდაბიოს“, „სოფლელს“, „გლეხს“ ნიშნავს[15].

როგორც მსოფლიო საეკლესიო კრებებიდან ჩანს, ქორეპისკოპოზი, პირველ რიგში, სასულიერო ტიტულია, რომელიც ქრისტიანობის დაფუძნებისთანავე დაწესდა. როგორც ძველ ქართულ არქიეპისკოპოსის აღნიშნული, რომელსაც ერისკაცი სასულიერო ხაზით წავიდოდა, ის ჯერ წიგნისმკითხველად ეკურთხებოდა, შემდეგ დიაკვნად, მღვდლად, ქორეპისკოპოზად, ეპისკოპოზად და ა. შ.

ჩანს, ქორეპისკოპოზი ეკლესიის იერარქიაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და დიდი პატივით სარგებლობდა: „პატივი უმეტესი მღვდელობისა ქორეპისკოპოზობა იყო“. ამასთან, ქორეპისკოპოზი, პირველ რიგში, სოფლის ეკლესიათა გამგებელი იყო. მის მოვალეობას „ყოველთავე საქრისტიანოთა წესთაჲ დაცვა, ობოლ-გლახაკთა და მოღუაწე-ქურივთა მამობა“, აგრეთვე ეკლესიის ქონების გამგებლობა შეადგენდა. ყოველივე ამის გამო, ქორეპისკოპოზად ხელდასხმული „სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი“ უნდა ყოფილიყო[16].

მიუხედავად იმისა, რომ ქორეპისკოპოზი უმეტესწილად სოფლის ეკლესის გამგებელი იყო, ზოგჯერ ის ქალაქის ეპისკოპოზსაც უტოლდებოდა, თუმცა, საეკლესიო კანონმდებლობით, ქორეპისკოპოზის უფლებებს, თითოეულ

---

12 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1976, გვ. 544.

13 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს.) მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, თბ., 1954, ნ. 31, გვ. 30.

14 შ. ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, ჟურნ. „მაცნე“, № 5, 1964, გვ. 94—95.

15 თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 265.

16 დიდი სჯულის კანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაქიძისა და გ. ნინუას გამოც., თბ., 1975, გვ. 239.

ცალკეულ შემთხვევაში, თავის ზემდგომი — ქალაქის ეპისკოპოზი განსაზღვრავდა.

როგორც ჩანს, ქორეპისკოპოზის მიერ უფლებების გადაჭარბება ეპისკოპოზის უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა.

ქორეპისკოპოზთა მიერ მეტისმეტი უფლებების მოხვეჭის გამო ანკვირიის 314 წ. საეკლესიო კრების მიერ მიღებულ კანონში ნათქვამია: „ხორეპისკოპოსსა არა ჴელეწიფების ჴელთ-დასხმაჲ ხუცისა ანუ დიაკონისაჲ, არამედ არცა ხუცესთა ქალაქისათა, თჳნიერ გარნა თუ წიგნითა უბრძანოს ეპისკოპოსმან სხუათა შინა სამრევლოთა“[17].

ჩანს, არაერთი აკრძალვის მიუხედავად, ქორეპისკოპოზები ზოგჯერ ხუცესთა და დიაკონთა ხელდასხმასაც ეწეოდნენ, რაც თავის დროზე ჯერ ნიკეის პირველმა მსოფლიო კრებამ დაგმო (325 წ.), ხოლო შემდეგ ანტიოქიის (341 წ.) კრებამაც: „დაბათა შინა ანუ სოფელთა ხორეპისკოპოსად სახელდებულთა მათ, დაღათუ ჴელდასხმაჲ ეპისკოპოსთა მიუღებიეს, სთნდა მათთჳს წმიდასა კრებასა რაჲთა თჳსი საზომი უწყოდინ და განაგებდნენ მათდა რწმუნებულთა ეკლესიისა... ხოლო ნუმცა ეკადრებიეს მათ ჴელდასხმაჲ ნუცა ხუცისი, ნუცა დიაკონისაჲ თჳნიერ ქალაქისა მის ეპისკოპოსისა, რომელსა მიმდგომ არს იგიცა და ადგილნიცა მის სოფლებისანი. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს გარდასვლა საზღვართა ამათ, განიკუეთენ იგი ხუედრებულისაგანცა მისდა პატივისა. ხოლო ხორეპისკოპოსი განიჩინებოდნენ ეპისკოპოსისაგან მის ქალაქისა, რომლისა ქუეშე იყვნენ სოფელნი მისნი“[18].

ეტყობა, ვერც ამ შეზღუდვამ და ვერც სხვა რომელიმე გადაწყვეტილებამ ვერ დაოკა ქორეპისკოპოზთა მისწრაფება მღვდელმთავართა უფლებები მიეტაცათ, რის გამო ლაოდიკიის 57-ე საეკლესიო კრებამ დაადგინა, რათა ამიერიდან საერთოდ არ კურთხეულიყო ქორეპისკოპოზი[19].

ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ მოქმედი ქორეპისკოპოზების გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტული საერთოდ გამქრალიყო. მაგრამ საქმე არც ამით დამთავრდა. როგორც ირკვევა, ქორეპისკოპოზები შემდგომაც განაგრძობდნენ არსებობასა და თვითნებობას. რასაც ბასილ დიდის ეპისტოლეც გმობდა: „ყოვლითურთ მწუხარ ვარ მე, რამეთუ უგულებელქმნილ არიან კანონნი მამათანი და ყოველი უცთომლობა ეკლესიათა დავიწყებულ არს“. კანონში ნათქვამია: „განწმინდეთ ეკლესიაჲ განჴდითა უღირსთა მისთაჲთა და ამიერიდან გამოიძიებდით ღირსთა და შეიწყნარებდით“[20].

ამის მიუხედავად, ქორეპისკოპოზის ტიტული აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიას დიდხანს შემორჩა. დადგენილია, რომ უფლებამოსილების სისტემატური გადაჭარბებისა და მღვდელმთავრებთან შუღლის გამო ქორეპისკოპოზის ტიტული აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში XII საუკუნისათვის უკვე ლიკვიდირებული იქნა*.

---

17 დიდი სჯულის კანონი, გვ. 249.

18 იქვე, გვ. 249.

19 იქვე, გვ. 259.

20 იქვე, გვ. 504.

* აღსანიშნავია, რომ ქორეპისკოპოზის ტიტული ქართულ ეკლესიას დღემდე შემორჩა.

ძნელი სათქმელია, საქართველოში როდიდან გაჩნდა ქორეპისკოპოზი. გ. წერეთლის აზრით, ეს ტიტული ჩვენში IV ს-დან უნდა იყოს შემოღებული, მას შემდეგ, რაც საქართველოს ღვთისმსახურებაში ბერძნულის შესაბამისი განდგომილი ცხოვრება გავრცელდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ტიტული ჩვენში მაშინ შემოვიდა, როდესაც ეკლესიის მღვდელმთავრებმა საერო საქმის გამგებლად თანაშემწეები გაიჩინეს.

გ. წერეთლის ვარაუდით, ეპისკოპოსის თანაშემწეები თავდაპირველად არქიდიაკონად და დეკანოზად იწოდებოდნენ, შემდეგ კი კორეპისკოპოზად იქცნენ.

როგორც თ. პაპუაშვილი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ვარაუდობს, ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი საქართველოში თავდაპირველად უეჭველად საბერძნეთიდან შემოვიდა, თუმცა ამის წერილობითი დადასტურება ყველაზე ადრე VII—VIII სს. აბასთუმნის ეპიგრაფიკულ წარწერაში მოგვეპოვება. ამ ძეგლზე დაყრდნობით თ. პაპუაშვილი დაასკვნის, რომ ქორეპისკოპოზი სამხრეთ საქართველოში თავდაპირველად სასულიერო და საერო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი[21].

VIII საუკუნის შემდეგ ქორეპისკოპოზი არაერთ ძეგლში მოიხსენიება. მათ შორის „მატიანე ქართლისაჲ" — თხზულებაშიც, მაგრამ, როგორც თ. პაპუაშვილი შენიშნავს, არც ერთ მათგანში არ მოგვეპოვება ამ ინსტიტუტის მნიშვნელობისა და შინაარსის სრული განმარტება[22].

ქორეპისკოპოზის მოქმედებას ეხება დავით აღმაშენებლის ისტორია: „ურიოსთა და უწესოთა... დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოზნი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი, დაედგინეს..."[23].

ქორეპისკოპოზის ფუნქცია შედარებით კარგად ჩანს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის სათანადო განწესებაში, რომელშიც ქორეპისკოპოზს ევალება: „...უბიწოდ დაცვაჲ ყოველთავე საქრისტიანოთა წესთაჲ, რაჲთა არა რაჲ მათგანი გასცეს ქრთამისათჳს, არცა რაჲ განყიდოს ვერცხლად, ვითარცა იუდა უფალი, რაჲთა არა შიშთვილცა მისი დაიმკვდროს"[24].

ჩანს, ქორეპისკოპოზის სასულიერო ტიტული სომხეთსაც ახასიათებდა. მხითარ გოშის სამართლის წიგნში (XII ს.), რომელიც ვახტანგ VI-ემ თავის სამართლის წიგნში შეიტანა, ნათქვამია: „და ქორეპისკოპოზსა და სხვა იმის ქუეით ბერსა და უფროს მღვდლებსა, თუ მთავარეპისკოპოზმან უბრძანოს და ბრძანება მისცეს, შეუძლიათ მათაც მისი ბრძანებით"[25]. აქვე აღნიშნულია, რომ თუ საღვთო ცერემონიალს ქორეპისკოპოზი თვითნებურად შეასრულებდა, ის მთავარეპისკოპოზს უნდა გაეუქმებინა. ეტყობა, ქორეპისკოპოზებიც განსხვავებულნი იყვნენ „შესატყობია, ქორეისკოპოზნი ორნი არიან: ერთი მიიღებს კურთხევასა და ერთი კი ვერა, ბერეტუტია"[26].

ამავე ძეგლში ნათქვამია: „ქორეპისკოპოზნი არიან მიმცემი მდაბალ-მდაბალ რიგისა უფროსთა მთავარეპისკოპოზთა მორჩილობითაჲ და თუ ქნას

[21] თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

[22] იქვე, გვ. 271—272.

[23] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 327.

[24] ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1979, გვ. 118.

[25] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 325—326.

[26] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მღვდლის რიგი, მტერია კანონისა და სამართლის წიგნისა. ეპისკოპოზისაგან და სხვის (არა იქნება) ერისკაცისაგან ქორეპისკოპოზთა შექმნა, ანუ უცოდინარის მღვდლის, (ანუ) მგლეჯელი გლეხისაგან, — არ არის მნახველი, და ეპისკოპოზი მნახველად ითარგმნება და ისინი — მოსაქმენი"[27].

ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის მოქმედება საქართველოში შემდგომ ხანაშიც არაერთ წერილობით ძეგლში დასტურდება[28]. „მცნებაჲ სასჯულოჲ-ში" (XV ს.) ნათქვამია: „აწ კუალად ისმინეთ ეპისკოპოზთა და ქორეპისკოპოზთა ვითარცა წმიდათა კრებათა განაჩინეს, ეგრეთ უთნევარად დადექით, ნუ ვის ათნევ, სამწყსოჲ შენი სწავლით და მაგრად დაიჭირეთ, რათა მეორედ მოსვლასა თქუენგან არ ითხოოს სიტყუს მიგება"[29]. აქვე ვკითხულობთ: „რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყველებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა სოფელთა და ქუეყანათა, და მისისა სამრევლოჲსა ცოდვა კათალიკოზსა და ქორეპისკოპოზსა არა გამოუცხადოს..."[30].

იმავე ძეგლში აღნიშნულია, რომ ეკლესიის დაბეჭდვა ეპისკოპოზის გარდა ქორეპისკოპოზსაც შეეძლო, ხოლო დანარჩენ ქვემდგომთაგან — არც ერთს[31].

ქორეპისკოპოზის ინსტიტუტი საქართველოს სხვა კუთხეთა შორის სვანეთშიც არსებობდა. ის პირველად XIII საუკუნის საეკლესიო კრების მატიანეშია მოხსენიებული. აქ სვანთაგან სამი ქორეპისკოპოზია დასახელებული, მათ შორის: იოანე სტეფანიანი, გიორგი სეტელიანი და ბაბიანი[32].

აღნიშნულთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სეტიელი (სეტელიანი), რომელიც მესტიის ერთ-ერთ უძველეს მკვიდრადაა მიჩნეული.

ჩანს, სეტიელი — მესტიას — სეტს (მის მთავარმოწამის ეკლესიას) უკავშირდება (ისე, როგორც ცაიშელი — ცაიშს, ჭყონდიდელი — ჭყონდიდს, ცაგერელი — ცაგერს და ა. შ.).

საინტერესოა ისიც, რომ სეტიელი მესტიის მკვიდრ ფალიანის გვარს შეეზარდა, მის განშტოებად („სეტელშა") გადაიქცა (ამაზე ქვემოთ).

ეჭვგარეშეა, რომ სვანეთში (შუა საუკუნეებში) არაერთი ქორეპისკოპოზი მოღვაწეობდა, მათ შორის ერთ-ერთი მესტიაში (მესტია წმ. სვეტიდან, ღვთისმსახურ მე-სვეტ-ესაგან მომდინარეობს).

მღვდლების ქუთათელაძისა და ბაქრაძის*, აგრეთვე მკვლევრების დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის რწმუნებით, ქორეპისკოპოზის მოღვაწეობის კვალმა სეტის მთავარმოწამის ეკლესიაში XIX საუკუნემდე მოაღწია**.

---

27 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 333.

28 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 116, 118, 163, 226, 228, 229, 231, 232, 258, 472.

29 იქვე, გვ. 228.

30 იქვე, გვ. 229.

31 იქვე, გვ. 226.

32 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 121, 136, 155.

* ბლაღოჩინ ქუთათელაძე 1858 წელს გაიგზავნა სვანეთის ზოგიერთი ეკლესიის აღსაწერად (კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ გუბერნატორ გაგარინის მკვლელობასთან დაკავშირებით), ხოლო ბერი ბაქრაძე სვანეთში მოღვაწეობდა XIX ს-ში.

** ს. ბერნოვილის ცნობით, სეტის მთავარმოწამის ორსართულიანი ეკლესია ფრესკებით იყო დამშვენებული. მისი სიგრძე 25 მეტრს, ხოლო სიგანე 9-ს აღწევდა. ა. სტოიანოვის განცხადებით, ეს ეკლესია სვანეთში ყველაზე მაღალი იყო. სეტის მთავარმოწამის

ე. თაყაიშვილი წერს: ზეპირი გადმოცემით ვიცით და სამწერობელიც მოწმობს, რომ მესტიაში ეპისკოპოზი იჯდა, მაგრამ, როგორც სინამდვილეში ჩანს, ის სრულუფლებიანი ეპისკოპოზი კი არ იყო, არამედ დამოკიდებული ქორეპისკოპოზი[33].

სავარაუდოა, რომ ქორეპისკოპოზის ტიტული სვანეთში საეკლესიო მშენებლობის გაშლისთანავე იქნა შემოღებული, ხოლო, როგორც ვნახეთ, XIII საუკუნიდან ეს წერილობითაა დადასტურებული.

საფიქრებელია, რომ სვანეთში ქორეპისკოპოზის ტიტულს რამდენიმე მღვდელ-მსახური ატარებდა. ამაზე მიგვანიშნებს არა მარტო საეკლესიო მატიანეში სამი ქორეპისკოპოზის ჩამოთვლა, არამედ ისიც, რომ გარკვეულ დროს (XV ს-მდე მაინც), სვანეთის ეკლესიათა ნაწილი (ე. წ. ბალსზემო და ქვემო სვანეთი) მთავარეპისკოპოზ ცაგარელს ემორჩილებოდა, ხოლო ნაწილი (ე. წ. ბალქვემო) მთავარეისკოპოზ ცაიშელს (როგორც ჩანს, ეს მთავარეპისკოპოზები დროდადრო სვანეთის ეკლესიებსა და მათ ღვთისმსახურებსაც აკურთხებდნენ)[34]. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი ქორეპისკოპოსი ე. წ. ბალსქვემოთ მოღვაწეობდა (საფიქრებელია ფხოტრერში, მით უფრო მატიანეში დასახელებული ორი ქორეპისკოპოზი ბალსქვემოურია), ხოლო, მეორე ქვემო სვანეთში — ლაშხეთის თემის ე. წ. „ქალაქოლში“ (ძულვარეშში), რადგან იქ იყო სახელოსნო — სავაჭრო ცენტრი „ქალაქოლ“.

ერთ-ერთი ქორეპისკოპოზი მესტიაში იჯდა. ამას პირდაპირ ჩვენებასთან ერთად (ქორეპისკოპოსი სეტიელი და სამწერლობელი), მოწმობს იქ ე. წ. „ქალაქის“ არსებობაც. წერილობით საბუთში ნათქვამია: „...ვინც სეტიასა სახლობს ყოველმან... ერთობილმან მოქალაქემან... მთავარ მოწამე ქალაქისა...“[35].

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი არსებობდა სვანეთის ე. წ. „მთიულეთში“*, რომელზეც ნათქვამია: „ზედქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა **საეფისკოპოზო,** მისით მოთუალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი, **რაც ეფისკოპოსსა და იმისთანას საყდარს ეკადრების,** იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული, ასის კუამლით კაცითა“[36]. მართალია, XV ს-ის შემდეგ ეს საეპისკოპოსო არ ჩანს, მაგრამ, ადრე მისი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ე. წ. „მთიულეთში“ ამ საეპისკოპოსოს გვერდით არაერთი მდიდარი ეკლესია მოქმედებდა: „ხერიას ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუსმეტის ჯუარხატითა, ოთხთავითა, საწინასწარმეტყუელოითა, სამოციქულოითა, მარხუანითა, ტიბიკონითა, სტოდიელითა... ხიდურას... ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი, ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხუა დიდით ხატითა, თორმეტით ოქროისა და ვერცხლის კანდ-

---

ეკლესია (ორ კოშკთან ერთად) გალავანში ყოფილა მოქცეული. იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 263.

33 ე. თაყაიშვილი, სვანურ სულთა მატიანე ეტრატისა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი, ს. 166.

34 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 7, 28.

35 იქვე, გვ. 49, (ხაზგასმა ჩვენია).

* „მთიულეთი“ მოიცავდა ქვემო სვანეთის სათავე სოფლებსა და მთა რაჭას.

36 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 33 (ხაზგასმა ჩვენია).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა, — დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოითა, საწინასწარმეტყველოითა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქერონსნით, წინამძღუარითა, მეორე წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი, ოცდათორმეტით ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის სრულიად გათავებული... ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსანი ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი... შოდას წმიდის გიორგის ეკლესია... ბუბას კარგი ეკლესია — ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა“[37]. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ეკლესია-მონასტრები 128 კომლი გლეხის მფლობელი იყვნენ, აქედან ასი კომლი მარტო საეპისკოპოზოს ეკუთვნოდა[38].

უძველეს დროზე რომ არაფერი ვთქვათ, სეტიელის ანუ ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის არსებობა მესტიაში თითქმის შვიდ საუკუნეს (XIII—XIX სს.) მოიცავს.

სეტიელი წერილობით ძეგლებში არაერთდროს და არაერთგან მოიხსენიება. ირკვევა, რომ სეტიელი სასულიერო სფეროში აღზევებულ ღვთისმსახურს შეერქვა, შემდეგ გვარად და მესტიის მთავარმოწამის მემკვიდრეობით მღვდელმსახურად იქცა. ჩანს, ხანგრძლივ დროში, სეტიელთა ნაწილი დეკანოზის, ხუცესის ან ქორეპისკოპოზის ტიტულამდე ამაღლდა და დიდი ქონების მფლობელი გახდა. მართალია, სეტიელები მთავარეპისკოპოზ ცაგარელს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ჩანს, ზოგიერთი მათგანი დიდ უფლებამოსილებას იხვეჭდა და დამოუკიდებელ მღვდელმთავრად იქცეოდა (მით უფრო მას შემდეგ, რაც სვანეთზე ცენტრალური ეკლესიის გავლენა დასუსტდა).

საეკლესიო მატიანეზე დაკვირვებამ ე. თაყაიშვილი დაარწმუნა, რომ სვანეთის ქორეპისკოპოზები (მათ შორის სეტიელი) ხუცესნი და უძველესი ეპისკოპოსებივით ცოლიანები იყვნენ.

ეტყობა, სასულიერო სამსახურში დაწინაურებისათვის წოდებრიობას ყველგან და ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მართალია, ჩვენთვის ცნობილ სამ ქორეპისკოპოზიდან ერთი (ბაბიანი) უეჭველად აზნაურული ჩამომავლობის იყო, მაგრამ ასევე უეჭველია სეტიელის გლეხური ჩამომავლობა. ჩანს, რომელიღაც მღვდელმა სეტიელობა თავდაპირველად ღირსებისა და დამსახურების წყალობით მოიპოვა. შემდეგ მის ჩამომავალი სეტის ეკლესიის მემკვიდრეობითი გამგებელი გახდა.

საისტორიო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მოკლე დროის მანძილზე (XIV ს. მეორე ნახ. და XV ს. პირველ ნახევარში) სეტიელებმა დიდძალი სახნავ-სათიბი მიწა შეიძინეს მკვიდრად და სამამულოდ. კერძოდ, ჯაფარიძეების, ქურდიანის, ქარდანის, გუარამიანის, გავაშელის, ქოჩორიანისა და სხვებისაგან (მათ შორის, შეიძინეს ლემოშხაშის, ლაკაილასა და ჯანგარაშის ყანები, აგრეთვე ქორულდაშისა და ქვაჩხანის სათიბები)[39]. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ეკლესიის მღვდელმსახურები სხვადასხვა საშუალებით დიდ ქონებას იხვეჭდნენ, საეკლესიო ქონებასა და შეწირულობებსაც ითვისებდნენ, ასე ვთქვათ, სვანეთის მასშტაბის შესაფერისი ფეოდალები გახდნენ (სხვანაირად ამდენი მიწა-წყლის მოკლე დროში შეძენა სვანეთის პირობებში შეუძლებელი

---

37 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 32—33.

38 იქვე.

39 იქვე, II, გვ. 6—7, 13, 38—39, 43.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იყო). ბუნებრივია, ღვთისმსახურობის დროს დაგროვილი ქონების ნაწილს სეტიელები ეკლესიასვე ახმარდნენ.

საისტორიო ძეგლებიდან ჩანს, რომ სვანეთის ქორეპისკოპოზი, პირველ რიგში სასულიერო ფუნქციებს ასრულებდა, რის მანიშნებელია მასთან ერთად სასულიერო მოღვაწეების: ეპისკოპოზის, მამასახლისის, ხუცესის, დეკანოზის, ბერის და მონაზონის დასახელება. ამასთან ერთად, ამ სასულიერო პირების გვერდით ჩანს საერო ხელისუფალიც: „ხევისთავი“, „მელომე“, და „მეჭურჭლე“. მათ შორის არიან: „ხევისთავი“ („თავადი“) ჯაფარიძე, „მელომე“ ვახთანგიანი, „მეჭურჭლე“ კუჭაისძე და სხვ[40]. იმავე წყაროებიდან ვგებულობთ, აგრეთვე, რომ სეტიელის (ქორეპისკოპოზი იყო ის, ხუცესი თუ დეკანოზი) შვილები (როგორც ერის კაცები) საერო ხელისუფლების ყმებად ითვლებოდნენ და მათ ემსახურებოდნენ (ამაზე ქვემოთ).

სეტიელებს, როგორც მდიდარ მღვდელმსახურებს არაერთი გვარეულობის გლეხი, აგრეთვე აზნაური უპირისპირდებოდა[41].

ეტყობა, ვითარების გამწვავებისა და მტრის დაპირისპირების გამო, სეტიელები (როგორც ღვთისმსახურები) ცდილობდნენ ძლიერი მფარველ-ხელისუფალის გამოძებნას. ამისი მაგალითია მათ მიერ სეტის ხევისთავის ნათელ ჯაფარიძის ოჯახთან „სამოკეთილო“ კავშირის დადება („რათა ერთიმეორის მოყვარე და დამცველი ყოფილიყვნენ“), რაშიც სეტიელმა ჯაფარიძის ოჯახს „ასისა თეთრისა სათიბი“ მისცა[42]. ეს კი სეტიელის მიერ ხელისუფალ ჯაფარიძის უფროსად აღიარებას ნიშნავს (სეტიელმა კავშირი სხვასთანაც შეკრა)[43].

ჩანს, ჟამთა სიავის დროს, მღვდელმსახურმა სეტიელებმა არაერთი განსაცდელი გამოიარეს. მათ ტრაგიკულ თავგადასავალზე ზეპირსიტყვიერებამ რამდენიმე ლეგენდა-თქმულება შემოინახა. ე. გაბლიანის მიერ გამოქვეყნებული გადმოცემით, „ერთ დროს მესტიის ხევში გაბატონდა ვიღაც სეტიელი მღვდელი ფუთუ ფალიანი, რომელიც თავის სახლიდან მთავარმოწამის ეკლესიამდე ფეხით წასვლასაც კი არ კადრულობდა“ (თავის სახლიდან ეკლესიამდე გვირაბიც გაიყვანა). ფუთუს აუტანელი ბატონობის გამო მესტიის გლეხკაცობა აჯანყდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა, რაც პაიდანშერების პაიდანმა მოიყვანა სისრულეში. გადმოცემით, მან მღვდელმსახური სეტიელი ლაგვნიაშის ქვებთან — დამბაჩით გამოასალმა სიცოცხლეს[44].

სხვა გადმოცემით მღვდელმსახური სეტიელები დიდი ხნის მანძილზე ავიწროებდნენ მესტიის გლეხობას. ამ უკანასკნელებმა მოილაპარაკეს, რომ მოეკლათ სეტიელის ერთადერთი მემკვიდრე, რომელიც ფალიანებს ჰყავდათ გასაზრდელად. როდესაც გლეხები საქმის აღსასრულებლად ფალიანებს მიადგენ, ძიძამ იფიქრა — თუ სეტიელის მემკვიდრეს გადასცემდა, ის საბოლოოდ ამოწყდებოდა, რაზეც, თითქოს ღმერთი გაურისხდებოდა, ამიტომ, იძულებული გახდა, აჯანყებულებისათვის თავისი შვილი გადაეცა მოტყუებით (სეტიელის შვილი კი ლეჩხუმში გადამალა). როდესაც სეტიელის შვილი დავაჟკაცდა, მან დედულების ჯარით თავის სამფლობელოში გასწია. შურის მა-

40 სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 7, 77.

41 იქვე, გვ. 13.

42 იქვე, გვ. 13.

43 იქვე, გვ. 90.

44 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, გვ. 24—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებელს სვანეთში შეეგება ძიძა მისი, რომელიც ლეჩაქმოხდილი შეეხვეწა სისხლი არ დაეღვარა და ისე მოეგვარა საქმე, სეტიელმა ყოველივე დაუჯერა, მესტიის მამული უბრძოლველად დაიბრუნა, ამასთან ძიძანთა საპატივცემოდ ფალიანის გვარი მიიღო (სხვათა შორის, სეტელთა შტო ამ გვარს დღემდე შემორჩა).

არ შეიძლება ეს გადმოცემები სინამდვილის ანარეკლი მაინც არ იყოს, რადგან სეტიელების მდიდრულ ცხოვრებას წერილობით წყაროების მონაცემებთან ერთად, მატერიალური კულტურის ძეგლებიც ადასტურებს, მათ შორის 1918 წელს სეტის ეკლესიის გვერდით აღმოჩენილი აკლდამა და სპილენძის კუბო, რომელზეც ე. გაბლიანის მოწმობით, შემდეგი წარწერა იყო*: „ამას შინა დავიკრძალევი სეტიელი მღვდელი ოთხ ძეთა ჩემთა ფალი, იოვანე, ფოვთუ და ფალიანით...“[45]. ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ აღნიშნულ კუბოთი ფალიანებმა თავიანთი მღვდელი დამარხეს[46].

სვანეთის ეკლესია-მონასტერთა ქრისტიანულ-ფეოდალური ბუნების დასახასიათებლად (ქორეპისკოპოზ-მღვდელმსახურებთან ერთად) არსებითია საყდრისშვილთა ინსტიტუტის არსებობა, აგრეთვე მათ მიერ ყმა-მამულის მფლობელობა[47].

ბარის სინამდვილეში „საყდრისშვილები“ ეკლესიის შემადგენლობაში შესული პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებია. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საყდრისშვილები“ ეკლესიაში არსებული გავლენიანი დაწესებულება იყო[48].

ს. ჯანაშიას განმარტებით, საყდრისშვილებში ასევე საყდრის ანუ ტაძრის მოხელე-ხელისუფალთა პერსონალი იგულისხმება[49].

საყდრისშვილებს ნ. ბერძენიშვილი ასევე ეკლესიის აზნაურ-მოხელეთა ჯგუფს მიაკუთვნებს[50].

Среди отдельных головок, найденных в поселении Храмис-Диди-Гора, обращает на себя внимание женский скульптурный «портрет» (рис. $III^{2}_{4}$).

---

23 Г. Джавахишвили. Ук. соч., с. 19.

24 Там же.

25 Р. Л. Харадзе. Указ. раб., с. 267.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Форма головы этого фрагмента и у всех остальных выполнена в традиционной манере усеченного конуса, найденных в Халафе (рис. III[3] 16, 17).

Очертание лица и, в целом, фрагмент напоминает облик «старшей женщины». Существенная разница между ними в рисунке глаз: у первой они в виде круглых отверстий, у второй — обозначены зрачками. Видимо, в круглые отверстия могли вкладывать бусинки или зерна.

Однако важно отметить, что «портрет» фрагмента фигурки «старшей женщины», хотя и решен в пределах существующего канона, но в нем чувствуется определенная степень свободной трактовки. Это сказывается во всем облике, начиная с того, что голова посажена не фронтально, как у «целой» «диасахлиси», а слегка повернута и наклонена. Лицо выразительно, носит явно индивидуальные черты. Оживляет «портрет» легко наброшенный на голову платок. К этому образу, как и к предыдущему, есть основание применить наименование «старшей женщины», как они именуются в этнографической действительности. Такая образная передача явилась результатом реального и условного соотношения, составив изобразительную основу одного из главных женских образов неолитического времени. Все данные археологии и сравнительной этнографии убеждают в том, что столь широкое представительство женских фигурок в местах поселения земледельческих общин, особенно внутри и вблизи очагов, фиксировало одну и ту же идею особой функции представительниц женского рода в производственной деятельности «разделения» труда.

Большая значимость всех этих фигурных изображений выражается не только и не стольько в самом факте их существования в совершенно различных регионах, но и в том, как в этом убеждают данные археологии и этнографии, что при любом насильственном вторжении чужеродцев разрушению прежде всего подвергались все эти родовозначимые олицетворения. Имеются, правда, наблюдения и иного рода.

В частности, в своеобразной монументальной мозаике из Мелигеле, получившей свое объяснение в фактах этнографической действительности древней Грузии, отражены определенного рода ритуалы, требовавшие разбития изображений или же предметов, что мыслилось как жертвенное приношение[26].

Все сказанное до сих пор указывает на возможные причины фрагментарного характера антропоморфных изображений, найденных в Квемо-Картли. Однако не безосновательно выдвинуть еще одно предположение, помогающее понять причину сосуществования на одной определенной территории столь большого количества скульптурных фигур и расчлененных фрагментов. То обстоятельство, что довольно-таки большая часть этих памятников пластики была обнаружена в пепельном слое очага, как будто должно было указывать на предуготовленность их к обжигу, что не было бы безосновательно, поскольку целый ряд аналогичных и синхронных памятников представляет собой терракоту (Шулавери). Но наличие в пепельном слое именно необожженных глиняных фигурок заставляет думать о том, что в известном смысле они являются полуфабрикатами, сохраненными таким образом в силу каких-то особых обстоятельств. Прямым указанием на это является сидящая фигура без каких-либо четких признаков пола, хотя и сходная во многих чертах с упомянутыми выше

26 К. Н. Пицхелаури. Восточная Грузия в конце бронзового века. Тбилиси, 1979, с. 51.

сидящими «зрелыми» женщинами (рис. IV), однако отсутствие у них груди привело исследователей к предположению, что это мужская фигура, даже изображение божества мужской природы[27]. Г. Джавахишвили склонен считать ее мужским изображением, но, однако, допускает мысль, что если эта фигурка женская, то глиняные «полосы», сохранившиеся на месте груди, имеют магическое значение». Археологами была высказана мысль, что фигурка содержит оба начала — мужского и женского, имея в виду аналогичную из Анатолии[28].

Учитывая особенность техники лепки, свойственной примитивному скульптору, эти пластины скорее всего нужно считать своего рода валиками-заготовками для налепки соответствующих форм. Действительно, если воссоздать мысленным взором дальнейший ход воплощения скульптурного образа, то налепки этих заготовок на



Рис. IV.

соответствующих местах приведут к тем же решениям, которые даны к примерам фигурок на рис. I столь же мощных, как и эта, явно не завершенная фигурка, впечатляющая, однако, своей плотной и выразительной лепкой, вызывающей вполне оправданную ассоциацию с известным «Бельведерским торсом». Последнее обстоятельство делает особенно значимым именно художественные достоинства древнего мастера.

В особую группу антропоморфных изображений могут и должны быть выделены «куклообразные» фигурки (рис. $IV^2$).

Подобные фигурки — частое явление в древневосточной пластике. Они составляют различные возрастные группы, начиная от самых маленьких «спеленутых», и весьма близки нашим (см. рис. $IV^2_{10,14}$ и табл. $IV^3$ 7, 8, 9) (Палестина). Другая группа из Квемо-Картли — более взрослых, показанная на рис. $IV^2_{1+4}$ аналогична группе из Хассуна (рис. $IV^4$ 7-10). Схематично сработанные фигурки, показанные на рис. ($IV^2_{2,\ 3,\ 10,\ 11,\ 13-14}$), имеют много общего в структуре таких же древневосточных параллелей (рис. $IV^4$ 5, 12, 13, 18). По

---

27 Я. Киквидзе. Ук. соч., с. 160.

28 Г. Джавахишвили. Ук. соч. ,с. 21; Л. Глонти. Ук. соч., с: 46:

многим характерным чертам фигурка из Чатал-Хююка, (рис. $IV^4$ 17), одновременно напоминает обе фигурки из Квемо-Картли (рис. $IV^2{}_{1,8}$). Видимо, здесь создается впечатление от реалистической передачи, в обоих случаях верно переданных детских пропорций в очертании головы, тела. Их особенность заключается в том, что пластической



Рис. V.

обработке подвергается главным образом лицо, а все остальные части головы и туловища как бы задрапированы разного рода одеждой и головными уборами, напоминающими «башлыки» с заостренными концами. Нечто подобное известно нам по данным археологического инвентаря палеолитических стоянок, найденных на территории СССР (рис. $IV^3$) и Древнего Востока (рис. $IV^4{}_{7,10}$), относящихся пред-

ეროვნული ბიბლიოთეკა

положительно к изображению то ли младенцев, то ли предметов детской игры (кукол)[29].

Важно то, что с аналогичной традицией встречаемся также, причем в основном в виде известного стереотипа, и в эпохе неолита и энеолита. Дело, конечно, не в установлении каких-то прямых и преемственных связей. Здесь важно именно то, что с древнейших времен в обиходе сначала охотничьих, а затем раннеземледельческих общин неизменно присутствуют такого рода пластические образы. И, если говорить конкретно об интересующих нас статуэтках из Храмис-Диди-Гора (рис. $IV^2_{1,8}$), то их общая схема остается неизменной в том смысле, что особой заботой древнего мастера является выявление характерных особенностей лица. Все же остальное передается в обобщении пропорций детского тела. Живое выражение круглого детского лица подчеркивается широко расставленными глазными впадинами, в которые, несомненно, вставлялся искусственный зрачок. Можно предположить, что три головы, найденные в том же поселении и обладающие теми же характерными признаками, также относятся к детским фигуркам (рис. $IV^2_{5,6}$). Прием инкрустации зрачка вообще характерен для всех фигурок, в частности, как это указывалось, для условно нами названной «диасахлиси». Своеобразным вариантом служит статуэтка с яйцеобразным туловищем (рис. $IV^2_8$), на которую нанесен в области шеи и живота точечный и линейный орнамент, не только имеющий определенную декоративную функцию, но и несущий какой-то определенный смысл. Точечный орнамент в неолите Храмис-Диди-Гора встречался на лицах фигурок, на фрагментах ног девушек (рис. $II^2_2$). Орнамент этот, несущий солярную основу, неизменно связан с широким значением этого символа.

Подобное толкование вышеуказанных куколок-фигурок встречает поддержку в этнографическом материале, касающемся многих народов, сохранивших свои обычаи с очень древних времен. Так, С. В. Иванов, анализируя три этапа развития кукол у северных народностей, приходит к выводу, что в раннем периоде кукла изображала грудного ребенка и имела магическое значение духа-охранителя. При этом не считалось обязательной детализация тела, которое часто «заменяется бабкой, чуркой» ...«орнамент разделяется не геометрический и зооморфный» ...автор в них «усматривает религиозное значение»[30].

Вышеприведенные примеры из этнографии способствуют пониманию идейного содержания кукол-божков и разрешает вести далекие аналогии, направленные к детским фигуркам в связи с материнской верой в магическое охранение ребенка его двойником — оберегом.

Наличие «детских» фигурок, начиная с палеолита и во все дальнейшее время — вполне закономерное явление. Оно, породившее пластический образ женщин, неразрывно связано с функционально подчеркнутыми формами материнства. Тема умножения и сохранения потомства была и оставалась основной задачей жизнестойкости как охотничьих, так и земледельческих коллективов.

В грузинской этнографической действительности куклам принадлежит большая роль, связанная с различного рода обрядами, магическими верованиями и плодородийной символикой. Часто лицо кукол украшали крестообразной фигурой. И было высказано пред-

---

29 Рисунки, таблицы использованы из книги З. А. Абрамовой. Палеолитическое искусство на территории СССР. М.-Л., 1962.

30 С. В. Иванов. Орнаментированные куклы отчей, СЭ, 1936, № 6, с. 47.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



положение, что это переживание ее божественных функций, в частности, астральной[31].

В поисках художественных аналогий, в которых достигался бы столь же органичный сплав реалистических и условных начал, мы часто обращались к фигуркам из Чатал-Хююка (Анатолия). И это не случайно. Ведь Дж. Мелларт именно в «реализме» чатал-хююкских фигурок видел отголоски той особой выразительности, которая отличала образы женских палеолитических фигурок с их «естественностью» и «непосредственностью», чертами, постепенно убывающими в энеолите — сменяющимися схематизмом[32], но с предельной ясностью сохранившимися в пластике квемо-картлийской скульптуры.

С. А. Токарев считал, что «корни аграрных обрядов и охотничьих почти тождественны[33] и «старые охотничьи обряды, по всей вероятности, долго сосуществовали с новыми формами...»[34]

Однако, как справедливо замечает Е. В. Антонова, палеолитические и энеолитические фигурки «являются элементами разных экономических, культурных и мировоззренческих систем»[35]. Тем не менее нельзя не отметить, что общность религиозных идей, воплощенных в культе женщины, говорит о его «устойчивости и продолжительности существования»[36].

Сходство декоративной символики на фигурках палеолита, неолита и энеолита во многом обусловливается общностью заложенного в них смысла, что «несомненно указывает на один и тот же круг идей, возникших в одном случае на охотничьей ступени, а в другом — на земледельческо-скотоводческих»[37].

Количество и художественное разнообразие раннеземледельческих фигурок, равно как и продуманность их пластического решения, рождают возможность их действительно комплексного изучения, в результате которого наглядно выявляются главные мотивы их создания, а именно их функционально-магическое назначение.

Тщательное изучение характерных особенностей этих фигурок в то же время диктует необходимость их разделения на 4 функционально-возрастные группы: к первой группе относятся фигурки так называемых «молодых женщин», функциональное значение которых выразилось в целом комплексе символов, относящихся к «матери», «хозяйке», «устроительнице очага».

Ко второй группе относятся изображения «старшей женщины», сыгравшей одну из решающих исторических ролей в деле организации и дальнейшего развития родовой структуры.

К третьей группе следует причислить фигурки «девушек», своеобразно отражающих образно-смысловые традиции неолита, утвердившие особую роль девушки в общем хозяйственном укладе рода.

К четвертой группе относятся фигурки детей («куклы»), смысловое значение которых интерпретируется в двух направлениях. С одной

---

34 Н. С. Гогоберидзе. Народные способы воспитания в горных областях Восточной Грузии. Автореферат кандидат. дис., Тб., 1975, с. 18.

32 Mellart J. Excavatione at Gatal Guyk AS, vol. 12, 1963, vol. 13, 1963, vol. 14, 1964.

33 С. А. Токарев. К вопросу о значении женских изображений эпохи палеолита, СА, 1961, № 21, с. 379.

34 Б. А. Рыбаков. Язычество древних славян. Москва, 1981, с. 108.

35 Е. В. Антонова. Ук. соч., с. 115.

36 Там же.

37 С. Н. Бибиков. Указ. раб., с. 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

стороны они как бы дополняют и конкретизируют образ «молодых женщин» — «матерей», с другой же, судя по изображенному на них точечному орнаменту, отождествляются с палеолитическими «куклами», выполняющими функцию «оберега».

То, что традиция сохранения женских изображений восходит в своих истоках к эпохе палеолита, продолжается в период неолита и в последующее время; это подтверждается многочисленными данными археологических раскопок на обширной территории различных регионов.

Но самое, пожалуй, главное и существенное состоит не в этой, вообще характерной для примитивного мировоззрения черте, а в той исключительно примечательной и уже далеко не примитивной способности создателей всех произведений — пластически воплощать образ своих мыслей и представлений. Не будет преувеличением сказать, что не только в грузинской действительности того времени, но и на значительно более широкой территории, если не говорить, конечно, о харабской культуре, трудно встретить столь органическое и точное ощущение форм человеческого тела, какое нашло свое выражение в мастерстве создателей женских фигурок из неолитически-энеолитических поселений Квемо-Картли.

Подводя общие итоги, можно с уверенностью сказать, что найденные в Квемо-Картли женские фигурки во многом пополняют существующие представления об одном из главных направлний скульптурного творчества человека каменного века, особенно на его заключительном этапе. Еще раз подтверждается не только острая наблюдательность и реалистическая тенденциозность древних ваятелей, но, что является самым, пожалуй, существенным с историко-художественной точки зрения об их развитом пластическом чувстве, происходящая в их среде определенного рода специализация. Последнее и позволило, по всей вероятности, выделиться во множестве схематических и стереотипных прикладных решениях чисто художественным явлениям, несущим в себе зачатки, равно как и перспективы будущих профессионализаций пластического искусства. Только на этой благодатной почве и складывающейся традиции и могли в дальнейшем при расширении идейно-эстетического диапазона определиться задачи и основные направления скульптурного процесса в целом. Это не покажется преувеличением, если по-настоящему оценить образно-пластические достоинства, заложенные в весьма малых по своим размерам, но выполненных с большим чувством формы статуэтках, полностью завершенных или же только что намеченных своим общим пластическим замыслом. Значение этого факта состоит и в том, что ярко выраженное природное художественное дарование ваятелей из квемо-картлийских поселений донесли до нашего времени дыхание эпохи, воплощение ее духовных интересов, рожденных на реальной почве раннеземледельческого жизненного уклада. Это делает их важным историко-археологическим и этнографическим источником.

Представил Центр археологических исследований АН ГССР Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობები და შენიშვნები

გიორგი შაყულაშვილი

## მასალები ძველი თბილისის ისტორიისათვის

საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობა-სტრუქტურის კვლევი-
სთვის მნიშვნელობა ენიჭება ძველი თბილისის ორიგინალური ფენის, ე. წ.
„ყარაჩოხელთა“ ფენის ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლას. სამწუხაროდ,
ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა მას[1]. რაც შეეხება ი. გრიშაშვილის ნარკ-
ვევებს, მიუხედავად იმისა, რომ მათში ფასდაუდებელი ცნობებია თავმოყ-
რილი ძველი თბილისის ისტორიის შესახებ, მაინც ვერ ამოწურავს იმ პრობ-
ლემებს, რომლებიც ქართული ურბანისტიკის წინაშე დგას. დღეისათვის ვი-
ცით მხოლოდ, რომ „ყარაჩოხელი“ თურქულენოვანი წარმომავლობის სიტყ-
ვაა და ნიშნავს „შავჩოხიანს“, რომ იგი იყო ძველი თბილისის ხელოსანი და
წვრილი ვაჭარი, რომ გამოირჩეოდა დარდიმანდობით, სიდარბაისლით. ამ
„შავჩოხიანის“ ლექსიკურ ცნებაში მოქცეულია უზრუნველი, რომანტიულ-
ეგზოტიკური მოქალაქის ტიპი, რომლის მიღმაც, არსებითად, მიმალულია
თბილისის ისტორიის არაერთი უცნობი და საინტერესო ფურცელი. თუნდაც
იმ ფაქტის გახსენება, რომ ყარაჩოხელთა ფენა გენეტიკურად დაკავშირებუ-
ლია შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრ-
ცელებული რელიგიური და სოციალური მოძრაობების სულისჩამდგმელთა —
რინდების, ახიების, ფითიან-ჯევანმარდების, სუფიური ორდენებისა და ხე-
ლოსნური კორპორაციების შემადგენელ მასასთან, თავისთავად წარმოგვიდ-
გენს საკვლევი ობიექტის პრობლემატურობას, დიდ სივრცესა და კვლევის
უაღრეს საჭიროებას. ამ კავშირზე მიუთითებდა პროფ. ვ. გაბაშვილი: „...არ-
სებობს საფუძველი, რათა XIX ს. თბილისის ყარაჩოხელები მივიჩნიოთ „რა-
ინდებისა“ და „ჯევანმარდების“ გვიანდელ ჩამომავლებად“[2].

ეს საფუძველი უფრო ნათლად გამოჩნდება აღნიშნული ფენის ეთიკუ-
რი თუ ეთნიკური საკითხების კვლევის დროს.

ტერმინი „შავჩოხიანი“ უკვე განსაზღვრავს ამ ჯგუფის რაღაც თავისებუ-
რებას, შეხედულებათა ერთიანობას. ყარაჩოხელის გარეგნული ნიშნების
კვლევაც აუცილებელი პირობათაგანია მათი გაერთიანებების შინაგანი სტრუქ-
ტურა-ორგანიზაციის რაობისა თუ იდეური გამიზნულობის ნათელსაყოფად.
ამ ფენის ერთიანობის გამომხატველი ერთ-ერთი გარეგნული ნიშანი მისი სა-
მოსელია. ისინი იცვამდნენ შავ ჩოხას, განიერ შარვალს, შავ ახალუხს, იხუ-
რავდნენ მაღალ, წვეტიან ქუდს[3].

---

1 მხედველობაში გვაქვს ეთიკურ-ეთნიკური პრობლემები. თბილისის ამქრული ორგა-
ნიზაციების სტრუქტურისა, სოციალ-ეკონომიკურისა თუ სხვა საკითხების კვლევის ისტო-
რიას კი საქართველოში თითქმის საუკუნენახევრის ისტორია აქვს.

2 ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 162.

3 ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბ., 1918, გვ. 37.

საგულისხმო ისიც არის, რომ ყარაჩოხელისათვის აუცილებელი იყო გარეგნული ფორმისა და იერის შენარჩუნება, რომელშიც, თქმა არ უნდა, გარკვეული შინაარსი იყო განვითარებული. ი. გრიშაშვილის ცნობით, ყარაჩოხელმა: „იშვიათად რომ დაბამბული ჯუბა ამ ძალებიანი ქურქი ატაროს ზამთარში. ზამთარ-ზაფხულს სულ ერთი ყაიდის ტანსაცმლით დაიარება“[4].

როგორც ირკვევა, ყარაჩოხელთა სამოსელიც შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-რელიგიური მოძრაობის შემადგენელი ფენების სამოსელთან პოულობს შორეულ კავშირს. ურბანისტიკაში არაერთხელ არის აღნიშნული საქალაქო ორგანიზაციებში გაერთიანებული მოქალაქენი განსაზღვრულ იდეოლოგიურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით როგორ ნელნელა იძენენ საკუთარ, თვით დერვიშული ორდენებისაგან განსხვავებულ გარეგნულ ფორმას, რაც ტანსაცმლის სპეციფიურობაშიც გამოიხატებოდა[5]. ვ. გაბაშვილი წერს: „ხალიფა ალ-ნასირის „რეფორმების“ პერიოდში (XI—XII ს. — **გ. შ.**) ვრცელდება განიერი შარვალი და ქალანსოვა (მაღალი, თავში წაწვეტებული ქუდი), რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭათ და სუფიური წარმოდგენების შესაბამისად იქნა გააზრებული“[6]. როგორც ითქვა, „შავჩოხიანების“ სამოსელში შედიოდა განიერი შარვალიც და წვეტიანი „წიწაკის“ ქუდიც. იმ ფაქტსაც თუ გავიხსენებთ, რომ სუფიურ-დერვიშთა თუ რინდებისა თუ ახიათა ორდენებს ჰქონდათ საკუთარ გაერთიანებათა გამიზნულობის შესატყვისი სამოსელი, ხოლო ამ სამოსლის ფერი და ყოველი დეტალიც კი სიმბოლურად იყო გააზრებული[7], მოულოდნელი და საკვირველი არ იქნება, თუ „შავჩოხიანთა“ სამოსელშიც აღმოვაჩენთ ზოგიერთ ელემენტს ზემონახსენებ ორდენთათვის დამახასიათებელს და სიმბოლურს.

ამჯერად ვისაუბრებთ შავჩოხიანის სამოსლის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტზე — ვერცხლის ქამარზე.

ვერცხლის ქამარი სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ღირებულებისა მზადდებოდა. ი. გრიშაშვილის ცნობით, „გობაკებიანი ქამარი მხატვრულად დასევადებული, ხშირად მთელ ქონებას უდრიდა“[8].

მაგრამ იმის თქმა, რომ ყარაჩოხელთა უმეტესობას ასეთი ქამარი ერტყა, შეცდომა იქნებოდა. ქამრის ღირებულებას პატრონის შეძლება განსაზღვრავდა.

ქამარს, გარდა გარეგნული სამკაულებრივი, ესთეტიკური ღირებულებისა, ერთგვარი სარიტუალო და „დაბანდებული კაპიტალის“ დანიშნულებაც ჰქონდა: „ჩვეულებრივ ქეიფსა და დღეგრძელობის დროს გამოცლილ ჭიქას ლოთიფოთურად გაუხახუნებდნენ ხოლმე თავიანთ ვერცხლის ქამარს“[9].

---

4 ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბ., გვ. 37.

5 Abdülbaki Gölpınarlı, 100 soruda tasavvuf, İstanbul, 1969, გვ. 125—126; Бертельс Е. Э., Суфизм и суфийская литература, М., 1965, გვ. 40.

6 ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, გვ. 160.

7. მუსლიმანური რელიგიის მკვლევრის პ. პოზდნევის თქმით, სუფიურ-დერვიშულ ორდენებში „თვით უკანასკნელ ღილს ან ძაფსაც კი აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, თავისი სიმბოლური გააზრება“. იხ. П. Позднев, Дервиши в мусульманском мире, Оренбург, 1886, გვ. 159.

8 ი. გრიშაშვილი, საითნოვა, თბ., 1918, გვ. 37.

9 იქვე, გვ. 36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ წესში, ამ ჩვეულებაში, გარკვეული იდეა იდო, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა იგი შუა საუკუნეების გადმონაშთი იყოს, შესაძლოა ახლად შეძენილიც.

ქამრის „დაბანდებული კაპიტალის" დანიშნულება ის იყო, რომ შავჩოხიანს იგი „სამარხად" ჰქონდა შენახული. ქამრის შესაძენად ზრუნვა ჯერ კიდევ ქარგლობის პერიოდიდან იწყებოდა[10]. შავჩოხიანის სიკვდილის შემდეგ: „მისი ჰამსონები გაჰყიდიან მის ვერცხლის ქამარს... და განაყიდი ფულით დაკრძალავენ"[11].

ასე, რომ თბილისელ ყარაჩოხელთა ფენაში დამკვიდრებული ყოფილა „ქამრის კულტი", რომლის საფუძველი ი. გრიშაშვილის მტკიცებით ეკონომიკური იყო.

ჩვენი აზრით, ქამრის „კულტად" ქცევის საფუძველი სულ სხვა სიბრტყეზეა საძიებელი.

რა საფუძველი გაგვაჩნია ასეთი მოსაზრების გამოსატანად?:

**პირველი:** როგორც აღინიშნა, შავჩოხიანთა ფენაში ვერცხლის ქამარს სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა: სასმისის დაცლის შემდეგ მას ვერცხლის ქამარზე გაუსმევდნენ ხოლმე.

ამ ჩვეულებაში დაფარულია ჩვენთვის უცნობი აზრი, რომელიც, მოსალოდნელია, ქამრის არა ეკონომიკურ, არამედ რომელიმე ეთნიკურ აქტთან უფრო იყოს დაკავშირებული.

**მეორე** — ყარაჩოხელი, დარდიმანდი კაცი, რომელიც ყოველდღიური **დღით ცხოვრობდა,** ოჯახს დოვლათის მაგიერ სამუშაო იარაღს თუ დაუტოვებდა, თავის „სამარხ კაპიტალს" თვითვე იძენდა. ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივად გამოიყურება. მაგრამ, ასეთ „კაპიტალად" რატომ მაინცდამაინც ქამარი, სარტყელი უნდა ყოფილიყო? „სამარხი კაპიტალის" მოვალეობა ყოველ ძვირფას ნივთს შეეძლო შეესრულებინა. ესეც არ იყოს, რატომ უნდა ყოფილიყო აუცილებელი ყველა ყარაჩოხელს თავის „სამარხად" ერთი და იგივე ნივთი შეეძინა? ქამრის კულტის ი. გრიშაშვილისეული განმარტება ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს.

განა ყარაჩოხელს ვერცხლის ქამარი იმიტომ ერტყა, რომ მხოლოდ „სამარხი კაპიტალი" ჰქონოდა? რა თქმა უნდა არა! ქამარი ყარაჩოხელის სამოსლის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო, ისევე, როგორც შავი ჩოხა, „წიწაკა" ქუდი, ყაფაღიანი წაღები და სხვ. ყარაჩოხელის სამოსლის ერთიანი მოდელის, ფერის, მასალისა თუ სხვა რამ ელემენტის საფუძველი იმ შეხედულებათა ერთიანობის გამოვლენაა, რომლის გამიზნულობის შედეგადაც ჩამოყალიბდა აღნიშნული ფენა.

ყარაჩოხელი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა თავის ვერცხლის ქამარს. ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს „მე მინახავს ყომარის აზარტიანი მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი წაუგია ყომარში — ფული, ქუდი, ახალუხი, ჩექმები, თვით შარვალიც კი და ვერცხლის ქამრისთვის ხელი არ უხლია. იგი საცვლებზე შემორტყმული ვერცხლის ქამრით დაბრუნებულა შინ"[12].

ეს ცნობა ი. გრიშაშვილს იმის დასამტკიცებლად მოაქვს, თუ ყარაჩოხელთა ფენაში რამდენად იყო თვითშეგნება და სირცხვილის გრძნობა ტრა-

---

10 ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, თბ., 1963, ტ. III, გვ. 169.

11 ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 36.

12 ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული,.. ტ. III, გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიციად ქცეული, სხვისი დასამარხი არ გავხდეთ. მაგრამ, არა გვგონია, რომ ყარაჩოხელის ი. გრიშაშვილისეული ეპითეტები „გულმართალი“, „ჩასპანდი“, „დარბაისელი“, „პატიოსანი“, „რაინდი“[13] მოუხდებოდეს ასეთ აზარტიან ყომარბაზს, რომელიც საცვლების ამარა ბრუნდება შინ. უფრო მოსალოდნელია, რომ ასეთი „დარბაისელი“ და „რაინდი“ ნაკლებად შეიწუხებდა თავს „სამარხი“ კაპიტალისათვის და აზარტში შესული ვერცხლის ქამარზე არ შეჩერდებოდა.

თუნდაც ტიპიური „შავჩოხიანი“ ყოფილიყო და მოვალეობისა თუ სირცხვილის გრძნობაც უხვად ჰქონოდა მომადლებული — ქამარი არ წავაგო და სხვისი დასამარხი არ გავხდეო, მაინც მთლად გარკვეული არ არის მისი მოქმედება. საინტერესოა, რატომ არ აწუხებდა მას არანაკლებ უფრო მნიშვნელოვანი გრძნობა მოვალეობისა და სირცხვილისა, როდესაც საკუთარ ოჯახს სიკვდილის შემდგომ არარას უტოვებდა! განა ყარაჩოხელის ეს მოქმედება ლოგიკურია?

აზარტიანი ყომარბაზი, რომელმაც წააგო სამოსი, განა იძულებული არ იყო ისევ ეყიდა იგი? თუ ქამრის არსი მხოლოდ მის ნივთიერ ფასში მდგომარეობდა, რატომ არ შეიძლებოდა წაეგო არა სამოსი, არამედ ქამარი და ხელმეორედ ეყიდა ქამარი და არა სამოსელი! რა შეიცვლებოდა ასეთ შემთხვევაში „დაბანდებული კაპიტალისათვის“? ნუთუ დარბაისელი, რაინდი, პატიოსანი ყარაჩოხელისათვის საცვლების ამარა სიარული უფრო ნაკლებ სამარცხვინო იყო, ვიდრე ვერცხლის ქამრის გარეშე ყოფნა რაღაც განსაზღვრული დროის განმავლობაში!?

გვგონია, რომ ვერცხლის ქამრის „დაბანდებული კაპიტალის“ თვალსაზრისიდან ყარაჩოხელის მოქმედება ლოგიკური არ არის.

მეორე ცნობა ვერცხლის ქამრის შესახებ, რომელიც ი. გრიშაშვილს ამოუკითხავს გაზეთ „კომუნისტში“ (1927, № 133) ასეთია: ერთ ხარაზს მოუკლავს თავისი შეგირდი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს სასამართლოს წესით მოუთხოვია ვალის გადახდა ოსტატისაგან. ხარაზს ფული არ აღმოაჩნდა და იძულებული იყო ვერცხლის ქამარი გაეყიდა. მან ეს გარემოება ვერ აიტანა და მოკლა შეგირდი. მაგრამ მოკლა არაადამიანურად გამძვინვარებულმა, ბებუთით 65 ჭრილობა მიაყენა![14]

კვლავ არათანმიმდევრული, არალოგიკური იქნება ხარაზის მოქმედება, თუ კი მას „ეკონომიკური“ საფუძვლით ავხსნით; ხარაზმა მოკლა შეგირდი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის მიზეზით დაკარგა ქამარი, ქამარი, რომელიც მისი სამარხი საშუალება უნდა ყოფილიყო. ხარაზი დიდ სირცხვილში ჩავარდა — იგი სამადლოდ დასამარხი გაუხდა ამქარს. თითქმის ყოველივე გასაგებია ხარაზის პოზიციიდანაც. მაგრამ ხარაზმა მოკლა უდანაშაულო შეგირდი. ხარაზი, ამქრის წევრი, „შავჩოხიანთა“ წრის წარმომადგენელი, რომელთა მრავალრიცხოვან ეპითეტებში „სამართლიანიც“ შედის, ჩადის დიდ უსამართლობას — კლავს კაცს. იურიდიული თვალსაზრისით შეგირდი უდანაშაულოა. უდანაშაულო მკვლელობა „პატიოსანი“, „სამართლიანი“, „რაინდი“ შავჩოხიანისათვის პატიოსან მოქმედებად განა შეიძლება ჩაითვალოს? არაპატიოსანი მოქმედება თავისთავად სამარცხვინო საქმეა. ასე, რომ ხარაზისათვის

[13] ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, III ტ., გვ. 137.

[14] იქვე, გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფრო სამარცხვინო საქციელია უსამართლოდ ჩადენილი მკვლელობა, ვიდრე სირცხვილი „სამარხი“ ქამრის დაკარგვის გამო. თანაც, მკვლელობაც არის და მკვლელობაც! ბებუთით 65 ჭრილობა მიაყენა! ხარაზის მოქმედებაში ჩანს რაღაც არაადამიანური, წრესგადასული, ფსიქიკურად არანორმალური მოქმედება, რომლის მიზეზად ე. წ. „ეკონომიკური“ საფუძველი ნაკლებმოსალოდნელია. ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქამარს უფრო მეტი, რაღაც ჩვენთვის გაუგებარი, მიუწვდომელი სხვა მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე ე. წ. „დაბანდებული კაპიტალისა“.

ამგვარი ვითარება გვაფიქრებინებს მოვძებნოთ „ქამრის კულტთან“ დაკავშირებული ზოგიერთი პროცესი, რომელიც დამკვიდრებულია სუფიურ-დერვიშულ ორდენებსა და ე. წ. ფუთუვათებში — აღმოსავლური ქალაქების ხელოსნურ-სავაჭრო ორგანიზაციების გაერთიანებებში.

სუფიურ-დერვიშულ ორდენებში ქამრის, „სარტყელის შემორტყმის“ აქტი ერთ-ერთი კულმინაციური მომენტია იმ რთულ ცერემონიალში, რომელიც ორდენის ყველაზე დაბალი რანგის წარმომადგენლის მიურიდის შემდეგ საფეხურზე ასვლასთან დაკავშირებით იმართება[15]. ეს პროცესი შემდეგნაირად იწყება; როდესაც მსურველი შედის რომელიმე ორდენში, აუცილებლად უნდა შესწიროს მსხვერპლი — დაკლას ცხვარი. მატყლი იყოფა ორ ნაწილად. ერთისგან გრეხენ თოკს და ახალბედას კისერზე ჰკიდებენ (რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც აქვს თავისი სიმბოლური გააზრება, იგი მორჩილების გამოხატულებაა, რაიც სუფიურ-დერვიშთა ორდენებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ორგანიზაციულ-დისციპლინარული თვალსაზრისით)[16], მეორე ნაწილს ინახავენ. როდესაც ახალბედა, მიურიდი გაივლის სულიერი კათარსისის პირველ საფეხურს, როდესაც მან ფეხი უნდა შედგას მეორე — მურშიდობის საფეხურზე, იმართება სადღესასწაულო ცერემონიალი და ახალი გზის დასაწყისის აღსანიშნავად მიურიდს წელზე შემოარტყამენ შენახული მატყლისგან მოქსოვილ სარტყელს. სარტყელი სიმბოლოა სულიერი განწმენდის გრძელი და რთული გზის გარკვეული მონაკვეთის გავლისა, როდესაც იწყება უფრო შეგნებული და პროფესიულად აღმავალი საფეხური ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე. რა თქმა უნდა, სუფი მიურიდისათვის ეს სიმბოლო უაღრესად ძვირფასია[17].

ანალოგიურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე ხელოსნურ-სავაჭრო კორპორაციების, ამქრების ყოფაშიც. თბილისის ამქრის მაგალითზე ეს ცერემონიალი აღწერილი აქვთ ი. ახვერდოვსა და ი. გრიშაშვილს[18]. რუსი ორიენტალისტის ვ. გორდლევსკის ცნობით, — „Опоясение запоном“ ნიშნავს „Usta çıkmak-ს,[19] ე. ი. წინსაფრის შემორტყმა შეგირდისათვის ოსტატად გახ-

---

[15] Е. Бертельс, Суфизм и суфийская литература, М., 1965, გვ. 40.

[16] იქვე, გვ. 200.

[17] იქვე, გვ. 202—203.

[18] Ю. Ахвердов, Тифлисский Амкари, Тифлис, 1883, გვ. 21—22; ი. გრიშაშვილი, საიათნოვა... გვ. 35.

[19] В. А. Гордлевский, Избранные сочинения, I, М., 1960, გვ. 279. ვ. გორდლევსკის მიერ მოტანილი ფორმულა — „წინსაფრის შემოკვრა“ მხოლოდ ვარიანტია სარტყლისა. ეს ფორმულა მოტანილია თურქეთის მჭედელთა ამქრიდან. დროთა ვითარებაში ამქრის სპეციფიურობის მიხედვით სარტყლის აქტმაც იცვალა სახე. მჭედლებს მუშაობის დროს ესაჭიროებოდათ არა სარტყელი, არამედ წინსაფარი. შეიცვალა გარეგნული ელფერი, ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომის სიმბოლური ნიშანია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ეს პროცესი, ეს აქტი, უაღრესად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო შეგირდისათვის, არამედ მთელი ამქრისთვისაც. ამიტომ არის, რომ შეგირდების ხელდასხმას ამქარი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს[20].

სხვათა შორის, ამ ჩვეულებასთან არის დაკავშირებული თურქული ენის იდიომა: „bel lağlamak“— „წელის შეკვრა“, რომელიც გადატანით ნიშნავს „ნდობას“, „იმედის ქონას“, „დაიმედებას“[21].

რამდენადაც წელზე ქამრის შემორტყმა ოსტატად გახდომის სიმბოლური ნიშანი იყო, ამდენად ამით ფითიანთა ხელოსნური გაერთიანება თავის ახალბედა წევრს ნდობას უცხადებდა, ანდობდა მას დამოუკიდებლად ეწარმოებინა თავისი ხელობა. ასე, რომ ქამარი სიმბოლოა შეგირდის ოსტატად და ამქრის წევრად გახდომისა, სულიერი და ეკონომიკური ახალი საწყისისა.

თურქი მეცნიერი აბდულბაქი გოლფინარლი თავის შრომაში „100 კითხვა სუფიზმიდან“, განიხილავს საკითხს თუ რა მნიშვნელობა აქვს ქამრის შემორტყმის აქტს როგორც სუფიურ-დერვიშულ ორდენებში, ისე რელიგიურ-ხელოსნურ გაერთიანებებში — ფუთუვათებში. მისი აზრით, ეს რელიგიურ-ეთიკური ჩვევა სუფიების მიერ ნასესხები უნდა იყოს, ზარათუშტრის რელიგიიდან; ასევე, სუფიებმა ზარათუშტრის მიმდევართაგან გადმოიღეს მოსასხამი „ჰირკად“ წოდებული[22].

ჩვენი კონკრეტული შემთხვევის ანალიზს თუ დავუბრუნდებით, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ შავჩოხიანისათვის იმ სიმბოლური ნიშნის დაკარგვა ყოველივე ზემოთქმულის დაკარგვის ტოლია. მას ხელმეორედ ნაყიდი ქამარი ვეღარ შეცვლის და ამ მიზეზთან არის დაკავშირებული ის ტრაგიკული განცდანი, რომლებიც მოთხრობილი აქვს ი. გრიშაშვილს.

ასე, რომ შავჩოხიანთა ფენაში „ქამრის კულტის“ საწყისი, ჩვენი აზრით, სუფიურ-დერვიშულ ორდენებთან და ძველი აღმოსავლური ქალაქების საამქრო ორგანიზაციების ორგანიზებულ-ეთიკურ ნორმებთან უნდა პოულობდეს საერთოს[23]. რაც შეეხება მის ეკონომიკურ აქტს, რომელიც ახსნილი აქვს ი. გრიშაშვილს, უარსაყოფი როდია! იმ პერიოდში, როდესაც იწერებოდა

---

ნაარსი კი იგივე დარჩა — მჭედლების ამქარში წინსაფრის შემორტყმა ოსტატობის დიპლომს უდრიდა.

20 იხ. ვ. გორდლევსკის, ი. ახვერდოვის, ი. გრიშაშვილის დასახელებული შრომები, აგრეთვე: С. Егиазаров, Исследование по истории учреждений в Закавказье, ч. II, Казань, 1891; Е. Булатов, Реван или торжественный обряд татар ремесленников в Крыму, Очерки России, кн. III, 1840, გვ. 139—144; აბდულბაკი გოლფინარლის İslam ve Türk İllerinde Fütüvvet Teşkilati ve Kaynaklari, İstanbul Üniversitesi İktisat fakultesi mecmuasi, c. XI, ტ. 1—4, გვ. 87; H. Ritter, Zur Futuwwa, Der İslam. Bd. X, 1920, გვ. 248.

21 Abdülbaki Gölpinarli, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

22 Abdülbaki Gölpınarlı, 100 soruda Tasavvuf, İstanbul, 1969, გვ. 131—133.

23 სუფიურ-დერვიშული ორდენებისა და სავაჭრო-ხელოსნური კორპორაციების ურთიერთობის შესახებ აზრი ისეა დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ განსაკუთრებული მსჯელობა თუ ლიტერატურის დასახელება საჭიროდ არ მიგვაჩნია.

განსვენებული მკვლევრის შრომები ძველი თბილისის შესახებ, ეკონომიკური მხარე ამქრის შიდაცხოვრებისა უკვე პირველ პლანზე იყო წამოწეული. სუფიურ-დერვიშული ორდენებისაგან შეთვისებული არაერთი ეთიკური თუ მორალურ-ზნეობრივი სენტენცია ამქარს ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგული ან სოციალ-ეკონომიკური პროცესების ზემოქმედებით იმდენად სახეცვლილი ჰქონდა, რომ მათი აღდგენა რამდენადმე მაინც სპეციალური კვლევის გარეშე შეუძლებელი ხდება[24]. ჩვენ ამჯერად ამ „კულტის" საწყისი, გენეტიკური ხაზი გვაინტერესებდა მხოლოდ.


Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ

## МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ СТАРОГО ТБИЛИСИ

Резюме

Научное исследование жизни старотбилисского горожанина и ремесленника, представителя весьма оригинальной группы — карачохели, имеет определенное значение для грузинской урбанистической дисциплины.

Объектом исследования послужил обязательный атрибут одеяния карачохели — серебряный пояс, который, по нашему мнению, имеет символический смысл и генетически связан с некоторыми ритуальными актами суфийских орденов и фитьян-риндских объединений.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

24 გ. შაყულაშვილი, თბილისის ამქრის სუფიურ-რინდული ზოგიერთი ტერმინისა და ადათის შესახებ, აღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 203—211.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელდარ მამისთვალიშვილი

# XVI საუკუნის გორის ისტორიიდან

XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა. საქართველოს საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მაშინ, როცა იგი ორი ძლიერი სახელმწიფოს — ოსმალეთისა და ყიზილბაშური ირანის მეზობლობაში აღმოჩნდა.

გარეშე მტრის საქართველოში შემოჭრას და მის აოხრებას ხშირად თვით საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება უწყობდა ხელს. მეფე-მთავრები თითქმის გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს და, ზოგჯერ, როცა ერთ-ერთ მათგანს გაუჭირდებოდა ძლიერი მუსლიმანური მეზობლის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ამგვარად, გარეშე მტრის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებას თვით ქართველი მეფე-მთავრებიც აძლევდნენ ხოლმე.

1505 წ. გარდაიცვალა ქართლის მეფე კონსტანტინე და ტახტზე ავიდა მისი ძე დავით X (1505—1525), რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით „იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშჳდობისა“[1]. ამით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1478—1510) გადმოვიდა ქართლში და გორს მიადგა. დავით მეფემ ბრძოლას თავი აარიდა[2] და (1508 წ.) „აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა“[3]. ვახუშტის მიხედვით კი ალექსანდრე II-მ 1509 წ. „აღიღო გორი და დაიპყრა თჳთ“[4] ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვით „ქორონიკონს რ ეზ: აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისმან, თუესა აგვისტოსა 3[5], ე. ი. 6 აგვისტო. „1509 ქა ქკს რჟზ ალექსანდრემ ძემან ბაგრატისმან აიღო გორი“[6].

ამგვარად, ალექსანდრე II-ის მიერ გორის აღების ორი თარიღი (1508, 1509) გვაქვს. აქედან რომელია ზუსტი? ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე წყაროში გორის აღებასთან ერთად ნათქვამია, რომ იმავე დროს დასავლეთ საქართველოს შეესიენ თურქები და გელათი და ქუთაისი გადაწვეს. მაგრამ არის წყაროები, რომლებშიც მხოლოდ თურქთაგან დასავლეთ საქართველოს აკლე-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 392.

2 იქვე.

3 მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტი გამოსცა შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 37.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 392, 809.

5 იქვე, გვ. 487.

6 საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII—XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 340. 209—212.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაზეა ლაპარაკი და გორი არაა ნახსენები. ისინი დათარიღებულია 1510 ან 1512 წლებით[7]. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ უპირატესობა თურქთაგან გელათისა და ქუთაისის აღების საკითხის შესწავლისას უნდა მიენიჭოს იმ წყაროებს, რომლებიც 1509 ან 1510 წელს განეკუთვნებოდა. განსვენებული მკვლევარი შემდეგ უფრო აზუსტებდა თარიღს და აღნიშნავდა, რომ უფრო სწორი უნდა იყოს 1510 წელიო[8]. ივ. ჯავახიშვილის ეს უკანასკნელი ვარაუდი (თურქების მიერ გელათისა და ქუთაისის აკლება 1510 წელს) დადასტურდა შემდეგში[9].

გორში ყოფნისას ალექსანდრე მეფისათვის უცნობებიათ თურქების მიერ იმერეთის დარბევა. ის იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ამით ისარგებლა ქართლის მეფე დავითმა და გორი დაიბრუნა „და განამტკიცა უმაგრესად"[10].

ამგვარად, ზემომოყვანილ წყაროებზე და გამოკვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალექსანდრე იმერთა მეფემ გორი დაიპყრო 1510 წელს. დავით მეფემ გორი დაიბრუნა იმავე წელს.

მაგრამ, სამეფო-სამთავროებში მიმდინარე ფეოდალური ბრძოლები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ირანისა და ოსმალეთის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისა. ამ მოვლენების მიღმა არ რჩებოდა ქართლის სამეფო და, კერძოდ, გორი.

XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევარში სამცხეში ერთმანეთს ებრძოდნენ ახლად გაათაბაგებული ყვარყვარე III და ყვარყვარე II-ის მემკვიდრე მანუჩარი. თავდაპირველად მეტოქეებმა სხვების ჩარევის გარეშე სცადეს ურთიერთანგარიშის გასწორება. პირველივე ბრძოლისას ყვარყვარე III დამარცხდა. ის ირანში გაიქცა, შაჰ ისმაილ I-ს ეახლა თავრიზში და მანუჩარის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. შაჰმა ათაბაგობის მაძიებელ ყვარყვარესადმი დახმარება ხელსაყრელად ჩათვალა სამცხე-საათაბაგოში ყიზილბაშთა პოზიციების განსამტკიცებლად. ყიზილბაშთა ჯარი შევიდა სამცხეში და მანუჩარი განდევნა. მანუჩარმა 1516 წ. ოსმალეთს შეაფარა თავი და სულთან სელიმ I-ს სრული მორჩილება აღუთქვა იმ პირობით თუ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობაში დაეხმარებოდა. 1518 წელს მანუჩარი ოსმალთა ჯარით შევიდა სამცხეში, მაგრამ ყვარყვარე III-მ შაჰის დახმარებით დაამარცხა იგი[11].

ჰასან რუმლუს თქმით, იმავე 1518 წ. ყვარყვარე კვლავ შაჰს ეახლა და დახმარება სთხოვა. შაჰმა მას საქართველოს საქმეებში ჩახედული დივ-სულთანი გამოაყოლა, რომელმაც ქართლის უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები— გორი და სურამი — დაიპყრო[12]. ძნელია რაიმე კონკრეტულის გარკვევა ამ ცნობიდან. კერძოდ, რითი იყო გამოწვეული ყვარყვარეს შაჰთან მისვლა და

---

7 დაწვრ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 209—212.

8 იქვე. იხ. აგრეთვე, მცირე ქრონიკები, გვ. 103, შენ. 18.

9 შ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს., თბ., 1971, გვ. 44.

10 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 392.

11 დაწვრ. იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 124—126.

12 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიზილბაშებზე დაყრდნობით ქართლის აკლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლ-კახეთის მეფე დავით X ცდილობდა სამცხე-საათაბაგოზე თავის გავლენის გავრცელებას და იქ მიმდინარე დინასტიურ ბრძოლაში ჩაერია. ის, ალბათ, მანუჩარს უჭერდა მხარს და, ერთი პირობა, როგორც ჰასან რუმლუს სიტყვებიდან ჩანს, ყვარყვარე კიდეც გაუდევნიათ. ყვარყვარე შაჰს ეახლა, რომლის ჯარით კვლავ აღიდგინა ხელისუფლება.

ყვარყვარე III-ის ღალატსა და ყიზილბაშების ქართლში შემოჭრას ის განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ გაითიშა.

კახეთის შემოერთების უკანასკნელი ცდისას (1520) განცდილი მარცხის შემდეგ დავით მეფე გორში იმყოფებოდა, როცა „მოართუეს ამბავი სპასთა მოსლვისა ფერსათიდამ, რამეთუ გამოვლო გურიელმან მამიამ მწეობითა ათაბაგისათა მთა ლადო, რათა შემწე ეყოს ლევანს დავით მეფესა ზედა ზავითა, ანუ ბრძოლითა“[13]. დავითმა მოხისთან ბრძოლაში მარცხი განიცადა და საბოლოოდ ცნო ლევანი კახეთის მეფედ.

დავით X-ის მეფობის ბოლო პერიოდში შინაურმა ბრძოლამ მოიცვა სამეფო სახლიც კი. 1524 წ. დავით მეფე ტახტიდან გადადგა თავის ძმის გიორგის (გიორგი IX 1524—1526) სასარგებლოდ და ბერად შედგა დამიანეს სახელით. ამ ფაქტთან დაკავშირებით დავითმა (დამიანე) სვეტიცხოველს შეწირა სოფ. მოხისი და „გორს ჯემბეგაშვილი. ასრე რომე წელიწარშიგან გორულით ლიტრითა ოთხასით მუტყლითა, ოცდაოთხსა ლიტრასა ზეთსა და ცხრასა ლიტრასა ცვილსა. მცხეთასა ჩუენსა (დავითის — ე. მ.) სამარხსა ეკუდარსა მიიტანდეს კიდევ გორს მოლარე და ნამსახური ჩუენი და მკუიდრი ვეფხუაშვილ ხეჩატურა, ასრე, რომე მივეცით დიდმელაური მამული და ვენაჯი და დავდევით გორულით ლიტრით: ხუთი ლიტრა ზეთი“[14].

არც გიორგი IX-მ იმეფა დიდხანს. ისიც ბერად აღიკვეცა. მის შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ძმისშვილმა ლუარსაბ I-მა (1527—1556), რომელმაც თავის ძირითად რეზიდენციად გორი გადააქცია. თბილისი ამ დროს ყიზილბაშებს ეკავათ[15].

1524 წ. გარდაიცვალა შაჰი ისმაილ I და გამეფდა მისი 10 წლის ვაჟი შაჰ თამაზ I (1524—1576). შაჰის მცირეწლოვანებით ისარგებლეს ყიზილბაშთა ამირებმა და შინაფეოდალური ომი გააჩაღეს. ყიზილბაშების თავდასხმები საქართველოზე შეწყდა XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე. აქედან მოყოლებული კი ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტს წაჰგლეჯდა საქართველოს. ხანგრძლივმა ომმა მოქანცა ორივე მტაცებელი. შაჰ თამაზმა ზავი შესთავაზა სულთანს მაგრამ, ვიდრე, საზავო მოლაპარაკება დაიწყებოდა, მანამდე შაჰმა თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, 1554 წლის ზაფხულში მეოთხედ დალაშქრა საქართველო. „ელჩები რომ გავისტუმრეთ (ოსმალეთში. — ე მ.) — ამბობს შაჰ თამაზი — თვითონ ლუარსაბის (ქართლის მეფე ლუარსაბ I — ე. მ.) საქართველოზე გავი-

---

13 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 396.

14 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ., 1913, გვ. 33.

15 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაშქრეთ, იქაურ ციხეთა უმეტესობა ავიღეთ, ოცდაათი ათასი ტყვე წავასხით"[16].

შაჰ თამაზის მიერ დაპყრობილ „ციხეთა უმეტესობაში" გორიც იგულისხმება. ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, შაჰ-თამაზმა საბარათიანო დაიკავა, იქიდან ქართლში გადავიდა და „გორს დადგა"[17]. ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ეს ამბები 1556 წლით არის დათარიღებული. ყიზილბაშებმა დაიპყრეს გორი და მისი ციხე, წედისის, ვერის ციხე (სოფ. გარდატენში) და მის ირგვლივ არსებული სხვა მცირე ციხენი, შემდეგ კი ატენის ციხეს მიადგა. ამ უკანასკნელში იყვნენ „დედა ლუარსაბისა და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და თავადნი იყვნენ და ამისთჳს უწყო ბრძოლა ძლიერად. და ხანსა რაოდენსამე შინა აღიღო და ტყუე-ყო დედა ლუარსაბისა..., და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და მრავალი სხუა ყოველნივე ტყუე ყვნა და წარვიდა"[18].

ყიზილბაშების მიერ ატენის ხეობის აკლების შემდეგ შაჰი გორიდან ყარაბაღში წავიდა[19]. ლუარსაბმა სცადა ტყვეები დაეხსნა, მაგრამ ამაოდ. შაჰ თამაზმა ერევანს მიიყვანა ტყვე დედოფალი, სადაც მან საწამლავი შესვა და თავი მოიკლა[20].

ლუარსაბ მეფე გორში დაბრუნდა და ძალების მოკრებას შეუდგა. გორში იყრიდნენ თავს მისი თანამებრძოლები და მცირე ხნის შემდეგ მან კვლავ შეუტია ყიზილბაშებს[21]. 1556 წ. ის გარისთან ბრძოლაში დაიღუპა. ქართლის ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა სვიმონ I-მა (1556—1569, 1578—1600). მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ქვეყანა გაანადგურა ხანგრძლივმა ომმა. თბილისი ყიზილბაშებს ეკავათ. ამიტომ სვიმონის რეზიდენცია, ისევე როგორც ლუარსაბ I-ის დროს, გორში იყო. „ახალი ქართლის ცხოვრების" მესამე ტექსტის მიხედვით „მაშინ წარიყვანეს სვიმონ და აკურთხეს მეფედ მცხეთას. და მცხეთით გორს მივიდა"[22]. გორი რომ სამეფო რეზიდენცია იყო ამას ამბობს ფ. გორგიჯანიძეც: „გორს მივიდნენ და ყველგნით იქ მოვიდეს, ხელმწიფების წესით იგლოვეს" (ლუარსაბ მეფის გარდაცვალება — ე მ.)[23].

ისქანდერ მუნშის და ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით სვიმონ მეფე 4—5 წლის განმავლობაში გორში იმყოფებოდა და ძალებს იკრებდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის[24]. ჰასან რუმლუს ერთი ცნობიდან კი ირკვევა რომ სვიმონს გამეფებისთანავე დაუწყია განმათავისუფლებელი ომი. ჰასან რუმლუს თქმით, 1557 წ. ყიზილბაშთა ლაშქარი შემოიჭრა ქართლში და სხვადასხვა პუნქტთან ერთად გორიც დაარბია. მტრის სიმრავლისა თუ მოულოდნელი თავდასხმის გამო სვიმონ მეფემ მთებს შეაფარა თავი. „ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ველაიეთი დაარბიეს, სოფლები და

16 შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976, გვ. 53.

17 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე", წ. II, გვ. 215—216.

18 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 365; IV, გვ. 404—405; ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 215.

19 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 216.

20 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 507; IV, გვ. 405.

21 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 66.

22 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 510; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 116.

23 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 217.

24 ისქანდერ მუნში, გვ. 66; ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 216.

მხარეები აახრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“[25].

სვიმონ მეფეს რომ გამეფებისთანავე დაუწყია ყიზილბაშების წინააღმდეგ მოქმედება და ამის გამო უნდა შემოჭრილიყვნენ ყიზილბაშები დასტურდება 1557 წლის დეკემბრის დასაწყისით დათარიღებული ერთ-ერთი იტალიური წყაროთი[26].

ყიზილბაშების თარეში ქართლში გაადვილებული იყო იმით, რომ მათ ეპყრათ თბილისი. ამითაც იყო განპირობებული სვიმონ მეფის მცდელობა გაეთავისუფლებინა თბილისი. რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ გასაგები გახდა, რომ სერიოზული მომზადების გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. მართლაც, ისქანდერ მუნშისა და ჰასან რუმლუს გადმოცემით, სვიმონ მეფეს მრავალი დამხმარე მიუვიდა[27]. კახეთის მეფე ლევანმა, სვიმონის სიმამრმა, კახთა რაზმი გაგზავნა თავისი უფროსი ვაჟის გიორგის მეთაურობით.

როგორც ცნობილია, ქართველთა ბრძოლა თბილისის განთავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. 1561 წლის 6 აპრილს მუხათგვერდთან ბრძოლაში მრავალ ქართველთან ერთად დაიღუპა კახეთის უფლისწული გიორგი. დამარცხებული სვიმონ მეფე „გორის გზით წავიდა“[28] და „თავისი ლაშქრით გორს მივიდა .... ასრევე გორს ნესტან-დარეჯან დედოფალს საყუარელის ძმის გიორგი ბატონიშვილის მოკვლა გაუმჟღავნეს. და საქართველოს ჯარი მოვიდა, იტირეს, იგლოვეს...“[29].

ყიზილბაშებთან განცდილი მარცხის შემდეგ სვიმონს განუდგა მისი ძმა დავითი (შემდეგში დაუთ-ხანი), გამაჰმადიანდა და ტახტის დაპატრონება ისურვა. შაჰმა დავითს გადასცა თბილისი და ყიზილბაშების ხელში მყოფი საქართველოს ზოგიერთი სხვა ადგილები[30]. ამგვარად, ქართლში ორმეფობა დამყარდა: სვიმონი გორში იჯდა, დავითი — თბილისში. სვიმონი არ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას და ებრძოდა დაუთ-ხანსა და ყიზილბაშებს. 1569 წელს სვიმონ მეფე ყიზილბაშთა ტყვეობაში ჩავარდა მთელი ათი წლით (1569—1578). ყიზილბაშთა შეწევნით დაუთ-ხანი ქართლის გამგებელი გახდა.

1578 წ. დაიწყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი (1578—1590). ოსმალებს მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა სურდათ. ქართლი გადაიქცა ომის მთავარ ასპარეზად. ოსმალებმა დაიპყრეს ქართლი და თბილისი საფაშოდ, ხოლო გორი სანჯაყად, ე. ი. სადროშოდ, ანუ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად გადააქციეს[31]. ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამში ოსმალებმა „გორი აღაშენესო“ გორის ციხის აღდგენა-გამაგრება უნდა იგულისხმებოდეს[32]. „ახალი

25 ჰასან რუმლუ, გვ. 35.

26 L. T a r d y, Rapports diplomatiques sur la Gèorgie entre les annèes 1550 et 1570. „Bedi Kartlisa“, v. 24, Paris, 1976, გვ. 104.

27 ისქანდერ მუნში, გვ. 23; ჰასან რუმლუ, გვ. 36.

28 ჰასან რუმლუ, გვ. 36 .

29 ქართლის ცხოვრება II, გვ. 511. იხ. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 218.

30 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 367, 512.

31 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 49; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522; IV, გვ. 411.

32 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში კიდევ უფრო დაზუსტებულია ოსმალების მიერ გორის გამაგრების დრო. ეს მომხდარა მაშინ, როცა ლალა ფაშამ შირვანი დალაშქრა, უკან მობრუნდა და მუხრანს დაბანაკდა[33]. მაშასადამე არ უნდა იყოს მართალი არაქელ დავრიჟეცი, როცა იგი ამბობს, რომ ლალა ფაშამ სხვა ქალაქებთან ერთად გორში ციხე ააგო[34]. ლალა ფაშამ მხოლოდ შეაკეთა, გაამაგრა გორის ციხე.

ომის დასაწყისიდანვე შაჰის კარზე გასაგები გახდა, რომ დაუთ-ხანს არ შესწევდა უნარი წინააღმდეგობა გაეწია ოსმალებისათვის. ამიტომ შაჰმა მუჰამედ ხუდაბანდამ ქართლის ტახტზე დააბრუნა სვიმონ I. მან პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და მოსვენებას არ აძლევდა მტერს.

1578 წლის დეკემბრის დასაწყისში ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ჯარი გაუსია თბილისის ახლომდებარე სოფლებს და საშინლად აიკლო. შემდეგ თბილისის გარნიზონი სურსათითა და ფულით მოამარაგა და გორისაკენ გაეშურა. ერთ-ერთი ანონიმი ავტორის გადმოცემით გორის სანჯაყ-ბეგმა (სადროშოს ანუ ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურმა) „შესჩივლა, რომ თბილისის ყოფილი პატრონის (დაუთ-ხანი — ე. მ.) ნათესავი სვიმონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დატყვევებული იყო სპარსეთში, გაათავისუფლეს, ეხლა იმყოფება ირგვლივ მდებარე მთებში და უსიამოვნებას აყენებს თურქებსა და მათ მოკავშირეებს და საჭიროა გენერალმა (ლალა მუსტაფა ფაშა — ე. მ.) მიიღოს ზომები. ამის გამო [გენერალი] იქ დარჩა სამი დღე რათა [სვიმონი] დაეტყვევებინა. მან მაშინვე გაგზავნა მრავალი მხედარი მის მოსაძებნად, მაგრამ, მიუხედავად დიდი მონდომებისა ვერავინ ვერ იპოვეს. გენერალი მიხვდა, რომ ამაოდ ეძებდა მას და ჯართან ერთად გაეშურა არზრუმისაკენ“[35]. ლალა ფაშა ჯერ ისევ გორში იმყოფებოდა, როცა აქ ეახლნენ გურიის მთავარი მამია და იმერთა მეფე გიორგი და მორჩილება გამოაცხადეს[36].

არზრუმისკენ მიმავალი ოსმალთა ჯარის არიერგარდი თითქმის მუდმივად განიცდიდა სვიმონ მეფის რაზმების თავდასხმებს. ოსმალებმა ქართლში დიდი ზარალი განიცადეს. სვიმონმა ლალა ფაშას ხუთი ათასზე მეტი მებრძოლი მოუკლა, მოსტაცა არკებუზებით დატვირთული მრავალი აქლემი, ფული, სურსათ-სანოვაგე და სხვ.[37]

1579 წლის დასაწყისში, იმავე ანონიმი ვენეციელის რელაციის მიხედვით, არზრუმში ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა შემაშფოთებელი წერილი მიიღო. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა აცნობებდა, რომ ყიზილბაშთა 15 ათასიანმა ჯარმა ყარახანის მეთაურობით, ალყა შემოარტყა ქალაქს და თუ დროზე არ დაეხმარებოდნენ გარნიზონს შიმშილით დაღუპვა ემუქრებოდა[38].

---

33 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 523.

34 არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 45.

35 E. Alberi, Relazioni degli ambasciatori veneti al Senato. Serie III, v. II, Firenze, 1844, გვ. 456.

36 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 130.

37 E. Alberi, დასახ. ნაშრომი, გვ. 456.

38 იქვე, გვ. 460; იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ყიზილბაშთა ჯარი 10 ათასი კაცისაგან შედგებოდა და ალყა ოთხი თვე გაგრძელდა, გვ. 460.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ ასეთივე მდგომარეობაში იყო გორი, რომელიც ალყაში ჰყავდა მოქცეული სვიმონ მეფეს[39].

ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, თბილისსა და გორს სვიმონ მეფემ შემოარტყა ალყა. თურქი ავტორების მიხედვით კი, სვიმონს მხოლოდ თბილისისათვის ჰქონდა ალყა შემორტყმული და ისიც ყიზილბაშებთან ერთად[40]. ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ანონიმი ვენეციელის ცნობას, რადგან მისი რელაციის ცნობები ძირითადად დასტურდება სხვა ავტორების თხზულებებში. ლალა ფაშამ სასწრაფოდ გაგზავნა ორი ათასი მხედარი თბილისისა და გორის დასახმარებლად, მაგრამ დიდი თოვლის გამო მათ ვერ შეძლეს დანიშნულების ადგილამდე მისვლა და უკან დაბრუნდნენ. ლალა ფაშამ მხოლოდ წერილის გაგზავნა შეძლო, რომლითაც ამხნევებდა განსაცდელში მყოფთ და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. ამასთან ერთად ის ჰპირდებოდა, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაეხმარებოდა მათ[41].

ბოლოს და ბოლოს სიმშილმა და ქართველთა სისტემატურმა თავდასხმებმა თავისი გაიტანა და გორის ოსმალთა გარნიზონი დანებდა. ანონიმი ვენეციელის თქმით: „ზემოხსენებულმა სვიმონმა ყველა ამოწყვიტა გარდა ციხისთავისა, რომელიც ჩაუშვით (შიკრიკი — ე. მ.) მორთო, შესვა უყურო და უკუდო ჯორზე და გაუშვა გენერალთან, რათა ეცნობებინა მომხდარის შესახებ. (სვიმონმა) მიწასთან გაასწორა (ციხე) და წავიდა ყარახანის დასახმარებლად"[42], რომელსაც თბილისი ჰყავდა ალყაში.

ანონიმი ვენეციელის ეს ცნობა (სვიმონის მიერ გორის აღება) დასტურდება ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტით და ვახუშტი ბატონიშვილთან. ვახუშტის მიხედვით, სვიმონს თბილისის გარდა 1578 წელს აუღია ლორე, გორი და „ყოველნი ციხენი ქართლისანი"[43]. ანონიმი ვენეციელი კი სვიმონის მიერ გორის აღებას ათარიღებს 1579 წლის დასაწყისით, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი უნდა იყოს. ცნობილია, რომ შირვანიდან დაბრუნებულმა ლალა ფაშამ საქართველოში (კახეთი, ქართლი) გაიარა და 21 დეკემბერს მივიდა არზრუმში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არზრუმში ყოფნისას მიიღო ლალა ფაშამ ცნობა თბილისისა და გორის მდგომარეობის შესახებ, მან დამხმარე ჯარი გაგზავნა მაგრამ წარუმატებლად და ა. შ., რა თქმა უნდა, საკმაო დრო უნდა გასულიყო. ასე რომ ანონიმი ვენეციელის მიერ მოცემული თარიღი უფრო ახლოს უნდა იყვეს სინამდვილესთან.

დაუთ-ხანის უბადრუკი მმართველობით უკმაყოფილო ქართლმა მაშინვე დაუჭირა მხარი სვიმონ მეფეს, „რამეთუ მსურველ იყვნენ მისთვს ქართველნი"[44]. დაუთ-ხანის მომხრენი, კერძოდ, ამილახორი და ქსნის ერისთავი კახეთში გადაიხვეწნენ. მათი მამულები სვიმონმა დედოფალსა და თავის ძმას—

39 E. Alberi, დასახ. ნაშრომი, გვ. 460.

40 მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

41 E. Alberi, დასახ. ნაშრომი, გვ. 460.

42 იქვე, გვ. 461.

43 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 524; IV, გვ. 411.

44 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბატონიშვილ ვახტანგს გადასცა[45], ხოლო ბარძიმ ამილახორის გორის მოურავობა სულხან თურმანის-ძეს ჩააბარა[46].

სვიმონ მეფემ დიდხანს ვერ შეინარჩუნა გორი. 1580 წელს[47] იგი კვლავ ოსმალებმა იგდეს ხელთ მეჰმედ ფაშას მეთაურობით: „ამის შემდგომად გამოვიდა დიდი ამირსპასალარი ხვანთქრისა, მაჰმად ფაშა, ჩამოვლო ზემო ქართლი და აღიღო გორის ციხე და შეაყენა მცველნი თვსნი"[48]. მართალია, სვიმონმა მუხრანთან დაამარცხა ოსმალები, მაგრამ გორის ციხე კვლავ მტრის ხელში დარჩა[49]. ქართლის მოსახლეობა სვიმონ მეფის მეთაურობით შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. მეფემ გორი დაკარგა, მაგრამ მის დაბრუნებას იგი ჩვეული შეუპოვრობით ცდილობდა. როგორც მაშინდელი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მართალია გორის ციხეში ოსმალები იყვნენ, მაგრამ მის მიდამოებში სვიმონ მეფის რაზმები თავისუფლად მოქმედებდნენ და მტერს დიდ ზიანს აყენებდნენ. ოსმალოები იძულებულნი იყვნენ პერიოდულად გაეგზავნათ სამხედრო ექსპედიციები ქართლის ციხეებში გამოკეტილი და შევიწროებული გარნიზონების დასახმარებლად.

1581 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალეთის ჯარი მეჰმედ ფაშას წინამძღოლობით არზრუმიდან გავიდა, გაიარა ყარსი და ახალქალაქს მივიდა, სადაც შეეგება ათაბაგ ყვარყვარე IV-ის ძმა, გამაჰმადიანებული მანუჩარ (მუსტაფა) ფაშა მთელი თავისი ჯარით. მეჰმედ ფაშამ მანუჩარი სიხარულით მიიღო, ხალათი ხმალი და ფარი უბოძა. მთავარსარდალმა სთხოვა მანუჩარს, რომ ოსმალთა ლაშქარი წაეყვანა ისეთი გზით, რომელიც ყველაზე უხიფათო და უმოკლესი იქნებოდა. მანუჩარმა თავის სამფლობელოებზე გავლა ურჩია მეჰმედ ფაშას. მართლაც, ოსმალებმა გაიარეს ალთუნყალა და ყარაყალა ისე, რომ არავითარი შევიწროება ან სურსათის ნაკლებობა არ განუცდიათ. შემდეგ გორისკენ გაეშურნენ. ოსმალთა ლაშქარს სვიმონ მეფე გორთან ელოდებოდა თავისი ჯარით, რომლის შემადგენლობაში მრავლად იყვნენ ქართულად ჩაცმული ყიზილბაშები. ყიზილბაშები იმიტომ იყვნენ შენიღბულნი, რომ ამ დროს საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა ირანსა და ოსმალეთს შორის და ისინი ეოიდებოდნენ ვითარების გამწვავებას[50].

მეჰმედ ფაშას არ უნდოდა ქართველებთან ომის გამართვა. მან მოსათათბირებლად თავისთან მიიწვია მანუჩარ ფაშა. მთავარსარდალს აინტერესებდა მანუჩარის აზრი: გადასულიყო გორის მახლობლად მდინარეზე თუ დილამდე დაეცადა. მანუჩარმა ურჩია, უმჯობესი იქნებოდა გათენებამდე დაეცადათ.

45 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 219—220; იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 524; IV, გვ. 412.

46 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 524. გაუგებარია რის საფუძველზე ფიქრობდა დ. გვრიტიშვილი რომ თურმანიძის გორის მოურავად დანიშვნა მოხდა 1599 წელს. იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 400.

47 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 413; ბერი ეგნატაშვილისა და ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვით — 1582 წ.

18 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 527; IV, გვ. 413.

49 იქვე, II, გვ. 528.

50 G. T. Minadoi, Historia della guerra fra Turchi et Persiani, Venezia, 1588, გვ. 184—185.

მდინარის მეორე ნაპირზე მთელი ჯარის გადაყვანა უცბად ვერ მოხერხდებოდა და ორ ნაწილად გაყოფილ ჯარს სვიმონ მეფე ადვილად დაძლევდა[51]. მეჰმედ ფაშას გადაწყვეტილი ჰქონდა მანუჩარის რჩევის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ მანუჩარსა და სვიმონს შორის კავშირი არსებობდა და „რომ მუსტაფამ (მანუჩარი — ე. მ.) მზაკვრული განზრახვით დააყენა ჯარი ამ გზაზე"[52].

მეჰმედ ფაშამ ბრძანა სასწრაფოდ დაეწყოთ მდინარეზე გადასვლა. ჯარის ერთი ნაწილი გადავიდა თუ არა მდინარეზე, მაშინვე ქართველებმა შეუტიეს მათ. ოსმალებმა მარცხი განიცადეს, დაჰკარგეს ჯარის დიდი ნაწილი. სვიმონ მეფის ხელში აღმოჩნდა მთელი აღალი და ხაზინა. გადარჩენილი ჯარის მცირე ნაწილმა თბილისამდე მიაღწია[53].

სამცხეში მანუჩარის აჯანყება დაიწყო. მან უარჰყო მაჰმადიანობა და თავი გამოაცხადა მანუჩარ II ათაბაგად. მართალია, მოგვიანებით იგი ოსმალებს შეურიგდა, მაგრამ შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მან იცოდა, რომ მხოლოდ თავის ძალებით წარმატებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ მანუჩარმა კავშირი დაამყარა სვიმონ მეფესთან. კავშირის სიმტკიცის საწინდრად მან ცოლად შეირთო სვიმონ მეფის ასული ელენე[54]. მანუჩარმა და სვიმონმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ოსმალთა წინააღმდეგ.

ოსმალები განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდნენ გორის ციხის გამაგრებას, სადაც თავი მოიყარა ოსმალეთის კავკასიის ჯარის ძირითადმა ძალებმა. აქედან იკლებდნენ ისინი შუა ქართლის მოსახლეობას. ოსმალები „შემოესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე, უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეებიც წამოასხეს. ისე რომ ხუთი ათასი კომლი, — [მთელი] ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოიყვანეს სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა"[55].

ქათიბ ჩელების მიერ შედგენილ ისტორიულ მოვლენათა კალენდარში არის 1584 წლის ერთი საინტერესო ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ფერჰად ფაშა თავს დაესხა ლორისა და გორის ციხეებს[56]. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, გამოდის რომ გორის და ლორის ციხეები სვიმონ მეფის ხელში ყოფილა აღნიშნულ წელს.

მართალია, ჩვენ არ გვაქვს სხვა პირდაპირი საბუთი 1584 წ. გორის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ აღნიშნულ წელს ოსმალებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს საქართველოში.

ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ოსმან ფაშა 1585 წლის აპრილში ირანის საზღვრებს უახლოვდებოდა, როცა მას აცნობეს, რომ ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ და კლისას სანჯაყ-ბეგმა ალი ბეგმა გასულ (1584 წ.) ზამთარს ბრძოლა გაუმართეს ქართველებს ლორესა და დმანისის მახლობლად.

---

51 G. T. Minadoi, Historia della guerra fra Turchi et Persian, Venezia, 1988, გვ. 184—185.

52 იქვე, გვ. 187.

53 იქვე, გვ. 193.

54 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ; 54; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 413.

55 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 77.

56 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 1584.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბრძოლაში დაიღუპა ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი, მათ შორის ლორეის ბეგლარბეგი ალი ფაშა, ხოლო ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ მცირე-ოდენი მებრძოლებით შეძლო ბრძოლის ველიდან გაქცევა. ამ ბრძოლაში დიდი დანაკლისი განუცდიათ ქართველებსაც[57].

იმავე 1584 წლის ზამთარში ასევე მარცხი განიცადეს ოსმალებმა ქართველებთან ბრძოლაში სხვაგანაც. ვენეციის კონსულის პიეტრო მიქელის მიერ სირიიდან გაგზავნილი რელაციიდან (იგი 1584 წლის 8 დეკემბერს წაიკითხეს ვენეციის სენატში) ვიგებთ, რომ ჰასან ფაშას თან ახლდა შვიდი სანჯაყ-ბეგი თავ-თავისი ჯარით. ხუთი სანჯაყ-ბეგი ქართველებმა მოკლეს, ხოლო ორი დაატყვევეს, თვითონ ჰასან ფაშა კი მხოლოდ რვა კაცით გაიქცა[58].

ზემოთ აღწერილი ქართველთა წარმატების ჩვენებით იმის თქმა გვინდა, რომ 1584 წელს ოსმალებს უჭირდათ საქართველოში და სავსებით მოსალოდნელი იყო გორის ციხის განთავისუფლება. უფრო მეტიც, არსებობს ქართული წყარო, რომ სვიმონ მეფემ ლორე დაიპყრო[59].

ამგვარად, ქართული და თურქული წყარო ერთმანეთს ემთხვევა ლორეს შესახებ (მართალია, თარიღი თურქულში 1584 წელია, ხოლო ქართულში — 1585 წ.). გვაქვს კიდევ ერთი უფრო გვიანდელი ცნობა ავსტრიაში გამოცემული ფუგერის გაზეთიდან 1586 წლის 14 მარტს რომ გამოქვეყნდა. მასში ნათქვამია: ფერჰად ფაშამ მარცხი განიცადა არზრუმსა და ვანს შორის. ამავე დროს ქართველები თავს დაესხნენ თბილისს, გორს, ყარსს და ოსმალების ხელში არსებულ სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებს და ისე შეავიწროვეს ისინი, რომ ოსმალო ჯარისკაცებმა დეზერტირობა დაიწყეს და ვინც ახერხებდა, არზრუმში გარბოდა[60].

სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ფუგერის გაზეთში გამოქვეყნებული 1586 წლის 14 მარტის ინფორმაცია ეხმაურებოდეს 1585 და 1584 წლის ამბებსაც კი.

ოსმალთა ჯარის ყოფნა გორში გავლენას ახდენდა მთელი საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე, რადგან მტერს ყოველთვის შეეძლო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-ქალაქიდან ჩარეულიყო ქვეყნის საქმეებში. ასეთი მდგომარეობა კი ხელ-ფეხს უბორკავდა ქართლის მეფეს სხვა სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობაში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, XVI საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი ხელსაყრელი ვითარების დროს, როცა შესაძლებელი ჩანდა იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შეერთება.

80-იანი წლების დასაწყისში შინაფეოდალური ომი გაჩაღდა დასავლეთ საქართველოში. იმერეთის მეფე ებრძოდა დადიანსა და გურიელს. შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო სვიმონ მეფისათვის. მართლაც, ქართლის ცხოვრების მიხედვით 1587 წ., ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით

---

[57] L. T a r d y, Le Roi Simon Ier à la lumiere des sources d'Europe Centrale contemporains de son èpoque. „Bedi Kartlisa". Revue de „Kartvelologie", vol. 31, Paris, 1973, გვ. 190.

[58] G. B e r c h e t, Relazioni dei consoli veneti nella Siria, Torino, 1866, გვ. 77.

[59] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ., II, (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897, გვ. 423.

[60] L. T a r d y, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1588 წ., სვიმონი თავის ჯარით გადავიდა იმერეთში, გოფანოსთან დაამარცხა იმერეთის მეფე ლევანი (1583—1590). ლევანი ლეჩხუმში გაიქცა. მაგრამ სვიმონმა ვერ განახორციელა იმერეთის დაპყრობა, რადგან „მას ჟამად გორის ციხე ეპყრა ოსმალთა, ამისთვს ვერა დაადგრა იმერეთს"[61], „რამეთუ ფიქრი აქონდა გორის მეციხოვნეთა ოსმალთაგან ქართლისა"[62]. სვიმონ მეფემ წამოიყვანა მძევალი და ქართლში დაბრუნდა. ლევან მეფემ ხელახლა დაიპყრო იმერეთი[63]. ასე ჩაიშალა გორში მყოფი ოსმალების გამო საქართველოს გაერთიანების კიდევ ერთი ცდა.

1588 წ. ოსმალეთი იძულებული გახდა ზავი დაედო ქართლის სამეფოსთან, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში ომის ასპარეზად იყო გადაქცეული. სვიმონ მეფის ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. შეიძლება ითქვას მან აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლის გაოსმალებასა და მის სრულ ინკორპორაციაზე, ოსმალეთი ქრისტიანობით სცნობდა სვიმონს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას. იგი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო შინაგან მმართველობაში.

ქართლსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო არსებული მდგომარეობის მიხედვით. ქართლის სამეფო გაიყო ორად. ის ციხე-ქალაქები, რომლებიც ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, მათ ხელში დარჩა. დანარჩენ ტერიტორიაზე სვიმონის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ხელშეკრულებაში მტკიცედ არ იყო დადგენილი ტერიტორიული ზონები. ძნელი იყო გარკვევა, თუ ვის ეკუთვნოდა ოსმალთა გარნიზონების მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრეების ირგვლივ მდებარე სოფლები და სახნავ-სათესი მიწები. სვიმონს ეს უკანასკნელნი თავის საკუთრებად მიაჩნდა და იქიდან გარკვეულ გადასახადს „უშურს"[64] იღებდა, რითაც ოსმალებს ადგილობრივი სურსათით გამოკვების საშუალებას უსპობდა და მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. სულთანი მურად III შეშფოთებას გამოთქვამდა „ქართლის მბრძანებლისადმი გაცემულ უავგუსტოეს ხელშეკრულებაში" იმის გამოც, რომ ქართველები არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას „ციხეებში მიმავალ-მომავალ მის ჯარისკაცებს, სურსათისა და ხაზინის დამტარებლებსა და გამვლელ-გამომვლელებს[65]. ქართველების გაგებით, თუ ციხეები ოსმალებს ეკუთვნოდათ, გზები ქართველებისა იყო. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი ხნით ვერ დამყარდებოდა მშვიდობა. ამიტომ მურად III დაბეჯითებით სთხოვდა სვიმონ მეფეს, რომ თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშობოდა ოსმალეთის ადმინისტრაციასთან ან მის მოხელეებთან, დაუყოვნებლივ ეცნობებინა ამის თაობაზე სულთნისათვის და იგი პირობას დებდა, რომ დამნაშავეებს დასჯიდა. სინამდვილეში კი ფარული და ზოგჯერ დაუფარავი ომი მაინც მიმდინარეობდა.

---

61 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 532.

62 იქვე, IV, გვ. 415.

63 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 141.

64 გაიღებოდა ბაღებზე, ვენახებზე, ბოსტნებზე, მარცვლეულის კულტურებზე, თაფლზე, თევზის ჭერაზე და სხვ. იხ. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თსუ შრომები, № 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 235.

65 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1598 წ. სვიმონ მეფემ, შაჰ აბას I-თან შეთანხმებით, ოსმალეთთან ომი განაახლა და მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან ჯერ თბილისის განთავისუფლება განიზრახა და 45 დღე დაჰყო მის მისადგომებთან, მაგრამ უშედეგოდ[66]. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი სვიმონს ამ დროს დაპყრობილი ჰქონდა თბილისი[67], რაც სხვა წყაროებით არ დასტურდებოდა. ამის შემდეგ სვიმონმა ალყა შემოარტყა გორს, რომელიც ოსმალებს ძლიერ ჰქონდათ გამაგრებული. ციხეში ოსმალებთან ერთად იყვნენ მესხებიც. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა. მეციხოვნენი სურსათის გასაჭირს განიცდიდნენ, მაგრამ ციხიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ. გაჭირვებამ მაინც თავისი გაიტანა და 500 ოსმალო გამოვიდა ციხიდან, ახლომახლო სოფლები მოარბია და დიდძალი სურსათი და პირუტყვი იშოვა. მაგრამ მათ ციხეში შესვლა ვეღარ მოასწრეს. ბატონიშვილმა გოჩამ ხუთასი დარჩეული მეომრით გადაუჭრა გზა და მრავალი ამოწყვიტა. ამ წარმატების შემდეგ სვიმონ მეფემ კიდევ უფრო გაამკაცრა ალყა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. მაშინ მან ცბიერებას მიმართა: 1599 წლის დიდმარხვის დღეებში მეფემ ალყა მოხსნა გორის ციხეს და გაეცალა. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქრისტიანები დიდმარხვის დღეებში „ომსა და შუღლს არ იქმნენ" და სიფხიზლე მოადუნეს. მეფემ ფარსადან ციციშვილსა და სულხან თურმანიძეს უბრძანა, რომ თავიანთ მამულებში საიდუმლოდ დაემზადებინათ კიბეები და ლაშქარიც მზადყოფნაში ყოლოდათ და მისი ბრძანებისთანავე მტკვრისა და ლიახვის შესართავთან ჭალაში „მზათ დამხვდითო მთვარის დალევის ჟამსა ბნელ ღამესაო". ციციშვილმა და თურმანიძემ მეფის ბრძანება შეასრულეს. დათქმულ დროს ფრთხილად მიეპარნენ ციხეს. ოსმალებმა ჯარის მოახლოება მაშინ გაიგეს, როცა ქართველები ჩახრუხაძის საყდარს ასცილდნენ. ოსმალებმა განგაში ასტეხეს, მაგრამ ქართველთა ერთი ნაწილი კიბეებით კედლებზე გადასულიყო და ციხის შიგნით იბრძოდა. „ზოგნი ჯერ ვერ გარდასულიყვნენ, კიბეებსზედ იყო ბრძოლა და ცემა და გარედამაც მიატანეს და ციხე აიღეს". ოსმალები და მესხები დილამდე განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. შემდეგ როცა დაინახეს, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა სვიმონ მეფეს „უვნებლობას შემოეხვეწნეს და ზოგნი მესხნი იგივე ციხეში ოქონის ხატს შეეხვეწნეს და მეფეს საფიცარი სთხოვეს". მეფემ თავისი ძმის ვახტანგის ხელით შეწყალების სიგელი გაუგზავნა მათ. მეფემ პირობა შეასრულა და უვნებელი დატოვა დატყვევებულნი. უფრო მეტიც, „ყველას ცხენი და სახარჯო მისცეს და საგზალი და ჯარი თან გაატანეს რომ გზაზე არავინ არა აწყინოს რამე". ციხეში ნაშოვნი ნადავლის ერთი ნაწილი მეფემ თავის მებრძოლებს დაურიგა, ხოლო ის რაც სულთნის ქონებად ითვლებოდა თავის ძმას ვახტანგს უბრძანა სამეფო საკუთრებად გადაექცია[68]. სვიმონ მეფემ ეს დიდი წარმატება, ე. ი. გორის განთავისუფლება, შაჰ აბასს აცნობა. შაჰთან მაცნედ მან ჯავახიშვილი გაგზავნა და მისივე ხელით მიართვა გორის ციხის კლიტენი[69].

---

66 L. Tardy, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

67 ვახუშტი.

68 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 220—221; დ. გვრიტიშვილი, გორი ისტორია, თბ., 1954, გვ. 36; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 147—148.

69 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, (X—XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 59.

გორის განთავისუფლების შემდეგ განთავისუფლდა მთელი ქართლი. ქართლსა და სამცხე-საათაბაგოში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. სვიმონ მეფემ „რა გორის ციხე აიღო, იმერეთის დაჭირვაც მოინდომა“. მაგრამ იმერეთის თავადებმა მას მხარი არ დაუჭირეს და მარცხი განიცადა. იგი გორში დაბრუნდა და თავის სიძეს მანუჩარს სთხოვა დახმარებოდა იმერეთის დაპყრობაში[70]. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან ცნობილი გახდა ოსმალთა ჯარის წამოსვლა ქართლზე და საათაბაგოზე. სვიმონმა თავისი ოჯახი გორიდან მეჯვრისხევში გადაიყვანა, ხოლო უფლისწული გიორგი დიდი ლაშქრით დატოვა გორში და მისი დაცვა დაავალა. თვით მეფე საბარათიანოში წავიდა ჯარის შესაგროვებლად, მაგრამ ვერ მოასწრო ჯარის მობილიზება, ფარცხისთან დამარცხდა და ოსმალებმა დაატყვევეს. იმის გამო, რომ ჯაფარ ფაშას მოახსენეს დიდი ჯარით გორში მდგომი უფლისწული გიორგი მამის გამოხსნას შეეცდებაო, ოსმალები სწრაფად აიყარნენ და სვიმონიც თან წაიყვანეს. მართლაც, როცა მეორე დღეს ნაშუადღევს გორში მოვიდა ამბავი სვიმონ მეფის დატყვევების შესახებ, ბატონიშვილი გიორგი ცხენოსანთა რაზმით დაედევნა ოსმალებს, მაგრამ ამაოდ. სვიმონის მემკვიდრის გიორგი X-ის და შაჰ აბას I-ის ცდამ დაეხსნათ იგი ტყვეობიდან შედეგი არ გამოიღო. სვიმონ მეფე ტყვეობაში გარდაიცვალა.

Э. М. МАМИСТВАЛИШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ Г. ГОРИ XVI В.

Резюме

В XVI веке Гори оставался одним из важнейших городов-крепостей, который благодаря своему стратегическому расположению играл важную роль в политической жизни страны, в особенности Картлийского царства — владелец Гори являлся фактически владельцем внутреннего Картли.

Феодальные распри создавали благоприятные условия для вмешательства Ирана и Турции во внутренние дела Грузии. Гори оказывался в гуще этих событий. Во время господства кызылбашей в Тбилиси резиденцией картлийских царей становился Гори, что еще более повышало значение этого города.

Особенно возросла роль Гори с военной точки зрения во время II ирано-османской войны (1578—1590 гг), когда основной ареной боев стала Картли. Гори переходил из рук в руки. Военные действия за его освобождение возглавлял царь Свимон I (1556—1569, 1778—1600). После окончания ирано-османской войны Гори в числе других городов остался в руках осман. Упорная борьба царя Свимона увенчалась окончательным успехом лишь в 1599 году, когда завоеватели были изгнаны из города.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

70 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 222.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისანა აბულაძე

# სულეიმან კანუნის ჰუქმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე

ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხის ყოველგვარი საქმის გამრიგე მაღალი პორტა იყო. იმდენად, რომ სულთნის ბერათით ინიშნებოდა კათალიკოსი და ეპისკოპოსი, ბერათით ისაზღვრებოდა მათი უფლება-მოვალეობანი; სულთნის ფირმანი აძლევდა ქრისტიან ბერებს შესაწირავის შეგროვების უფლებას. სულთანი წყვეტდა სამონასტრო კერებში ატეხილ დავას. ბეგლარბეგსა და სანჯაყბეგს, ყადისა და მუთევეღლის უნდა „დაეცვა" ქრისტიანთა „ცრუ" და „ფუჭი" (آيين باطل آيين، عادة) წეს-ჩვეულებები. ამიტომაც ოსმალური ნარატიული და, განსაკუთრებით, დოკუმენტური წყაროები (ბერათი, ბუირულთი, მურასელე, არზუჰალი, თეზქერე, მაზხარე, ჰუქმი, ფირმანი და ა. შ.) შეიცავენ არსებითი მნიშვნელობის ცნობებს ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ქრისტიანული ერების ეკლესიის ისტორიისათვის. ისინი ზოგჯერ მხოლოდ ადასტურებენ სხვა წყაროთა მონაცემებს, უფრო ხშირად კი უცნობი ფაქტებით ავსებენ ჩვენს ცოდნას. ამით არის განპირობებული ის ინტერესი, რასაც ევროპული სპეციალისტები იჩენენ საპატრიარქო ბიბლიოთეკებში თუ არქივებსა და ეკლესია-მონასტრებში შემონახული ოსმალური დოკუმენტების გამოვლენისა და გამოცემის საქმეში[1].

რამდენადაც ცნობილია, ქართული ეკლესიის შესახებ ჩვენს სიძველეთსაცავებს შემორჩა ორი სასულთნო სიგელი. ერთია სულთან მეჰმედ IV-ის ჰუქმი (1649 წ.) აწყურის ეპისკოპოსად იოანე ბერის დანიშვნის თაობაზე (Turd 14), მეორე—დომენტი კათალიკოსის სამწყსოს უშიშროების უზრუნველსაყოფად (ArTurd 75), აჰმედ III-ის მიერ 1722 წელს გაცემული ფირმანი. რაოდენობრივი სიმცირე შემთხვევითი არაა. მას თავისი ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი აქვს[2]. როგორც წესი, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები იდგა საქართველოს ეკლესიასა და მაღალ პორტას შორის. ქართული ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ოსმალური დოკუმენტებიც შესაბამისად შემოუნახავს სტამბოლის, იერუსალიმისა და სინის მთის სახელმწიფო და სამონასტრო არქივებს[3].

---

[1] შდრ. Иозеф Кабрда, Турецкие источники по истории православной церкви в Османской империи. В сб.: Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, т. II, М., 1969, გვ. 172—178.

[2] მატენადარანში დაცულია 300 ოსმალური დოკუმენტი. ყველა თავმოყრილია „კათოლიკოსის დივანის" ფონდში, რადგან ეჩმიაძინის სახელზეა გაცემული (იხ. А. Д. Папазян, Источниковедческое значение Турецких документов Матенадарана. Средневековый Восток, История, культура, источниковедение, М., 1980 გვ. 208—218).

[3] Eutimio Castellani, Catalogo dei Firmani ed altri documenti legali emanati in lingua araba e turca concernenti i Santuari le proprieta i diritti della Custodia di

ეროვნული ბიბლიოთე

უკანასკნელ დრომდე მათი არსებობაც კი უცნობი იყო ჩვენთვის. ქართული წერილობითი ძეგლების შესასწავლად იქ ჩასულმა ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა ვერ მოასწრეს აღმოსავლური დოკუმენტური წყაროების გამოვლენა და ახლა იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმ ცნობებით, საუკეთესო შემთხვევაში დოკუმენტებით, რომლებიც დროდადრო ჩნდება უცხოელ ორიენტალისტთა შრომებსა და პუბლიკაციებში[4].

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, იერუსალიმის ქართული კოლონიის შესახებ ამ გზით მიღებული ოსმალური დოკუმენტური მასალა ჩააყენოს ქართული ისტორიოგრაფიის სამსახურში.

მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში ჩავარდნილი საქართველო ვეღარ უზრუნველყოფდა პალესტინის ეკლესია-მონასტრებსა და სამლოცველოებს საჭირო რაოდენობის ხალხით. უფრო მეტი, საქართველოში შეკრებილი „საიერუსალიმო თეთრი“ და საქართველოს მეფე-მთავართაგან გაღებული შეწირულებანი აღარ კმაროდა სამეურნეო ხარჯებისა[5] და ოსმალთაგან შეწირული გადასახადების დასაფარად. იერუსალიმის ქართული ძმობის ბერ-მონაზონნი აგროვებდნენ საღვთო სამსახურისათვის საჭირო ნივთებს, ფეშხუმსა და ბარძიმს, თასსა და მისთანებს[6]. მზარდი ვალების გადასახდელად იძულებული იყვნენ თავიანთი მონასტრები და სამლოცველოები მიექირავებინათ ფრანგების, სომხებისა და ბერძნებისათვის, რომლებიც ქართველთა ვალის გადახდას ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა შემდეგ ვალში დაწინდული ეკლესია-მონასტრები „კანონიერად“ გადასულიყო მათ ხელში. ასე მეთოდური თანმიმდევრობით ეუფლებოდნენ ფრანცისკანელები და სომხები იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ბერძნები ხომ იურიდიული უფლებებით აღჭურვილი მემკვიდრენი აღმოჩნდნენ ჩვენი შემოსავლისა და უძრავი ქონებისა.

ქართველები, ცხადია, იოლად არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს იერუსალიმში. ძველი ძალისა და პატივის დაბრუნების იმედი კი გაუქრათ, მაგრამ კუთვნილი ეკლესია-მონასტრებისა და სამლოცველო და სამწირო ადგილების დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ მათ შესანარჩუნებლად. კიდევ უფრო თავგამოდებით ცდილობდნენ ამ მონასტრების შემომტკიცებას ფრანცისკანელი ბერები. რადგან პალესტინის დაპყრობის შემ-

---

Terra Santa conservati nell'Archivio della stessa Custodia in Gerusalemme, Jerusalem, 1922, გვ. 16, 17, 23; Klaus Schwarz, Osmanische Sultansurkunden des Sinai-Klosters in turkischen Sprache, Freiburg im Bresgau, 1970, გვ. 51—57.

[4] Uriel Heyd, Ottoman Documents on Palestine 1552—1625, A Study of the Firman according to the Mühimre Defteri, Oxford, 1960, გვ. 181—182. Josef Matuz, Herrscherurkunden des Osmanen-sultans Süleymans Des Prächtigen, Freiburg im Bresgau, 1971, გვ. 52, 61, 112; მისივე, Das Kanzleiwesen Sultan Suleymans des Prächtigen, Wiesbaden, 1974, გვ. 144—148.

[5] რასაც ქართული ხელგაშლილობით ეკიდებოდნენ. ჩეხი პილიგრიმი Jan Haststejnsky, რომელმაც 1493 წელს მოიხილა წმინდა მიწა, თავის დღიურებში შენიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში იტალიელი კათოლიკები ანთებდნენ 11 სანთელს, ბერძნები — 9, ქართველები — 13, სირიელები —5, ეთიოპები და სომხები 4—4 სანთელს (იხ. K. Petráček, Die Äthiopier in Jerusalem in den tschechischen Reisebeschreibungen des XV und XVI Jhdts, Archiv orientalni, N 26, Praha, 1958, გვ. 357).

[6] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 89.

დეგ (XVI ს.) მაღალი პორტა განაგებდა და წყვეტდა მის მიერ დამორჩილებული ქრისტიანი ერების ყველა საქმეს, ამიტომ ქართველებიცა და ფრანცისკანელებიც სულთნის კარს მიმართავდნენ ერთმანეთზე საჩივრით და დავის თავის სასიკეთოდ ობიექტურად გადაწყვეტას მისგან მოელოდნენ. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სულთანი და მისი სამდივნო შეუვალი მართლმსაჯულები იყვნენ, რომ მათი განსჯა და სამართალი ემყარებოდა ადგილზე ვითარების გამოწვლილვით შესწავლასა და ფაქტების პირუთვნელ დადგენას სარწმუნო პირების მოშველიებით სინამდვილეში ახჩა და ოქრო წყვეტდა ყველაფერს. ცნობილია, რომ პალესტინის ქრისტიანული საზოგადოება და სასულიერო გაერთიანებანი არსებობას ინარჩუნებდნენ გადასახადისა და ქრთამის გაღების გზით[7]. პროვინციათა ოსმალო გამგებლებიც განუკითხავად თვითნებობდნენ. მათ მოწმეთა ცრუ ჩვენებების მოპოვებისა და ყალბი დოკუმენტების შედგენის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. იერუსალიმში მდებარე ქართული მონასტრების თაობაზე ამ „სიმართლით“ შედგენილი რამდენიმე სასულთნო სიგელია დაცული ფრანცისკანელთა არქივში. მათგან ორი გაცემულია სულთან სულეიმან კანუნის მიერ 1558-სა და 1561 წელს იერუსალიმის სანჯაყბეგის, ყადისა და ქრისტეს საფლავის მუთევველის სახელზე. სიგელები ეხება ამუდის ქართველთა მონასტრის ფრანცისკანელი ბერებისათვის გადაცემის ისტორიას.

1551 წელს ფრანცისკანელებს დაატოვებინეს სიონი[8]. სიონიდან გამოძევებული ფრანცისკანელები 8 წელი მახლობელ სახლში ბაკერიაში ცხოვრობდნენ[9]. ამასობაში ფრანგი ელჩი სტამბოლში შეხვდა სულეიმან კანუნის და დიდი თანხის გაღებით ფრანცისკანელთათვის წმინდა ქალაქში მონასტრის შერჩევის უფლება მოიპოვა. თავდაპირველად საუბარი იყო ბეთლემსა და წმინდა საფლავზე, მაგრამ ბეთლემი ქალაქგარეთ მდებარეობდა და ფრანცისკანელებმა სიშორის გამო დაიწუნეს. ხოლო წმინდა საფლავი მოსალოცად ჩამოსული პილიგრიმების წყალობით დიდი შემოსავლის წყარო იყო და ოსმალო ხელისუფალნი თავად ეპატრონებოდნენ მას. არჩევანი ამუდის ქართულ მონასტერზე შეაჩერეს, რადგან იგი: 1. ახლო იყო წმინდა საფლავთან, 2. ქართველებს ამის გარდა 7 სხვა მონასტერი ჰქონდათ[10] და, რაც მთავარია, 3. ქართველები ვაკუფს ფულს არ უხდიდნენ, ფრანცისკანელები კი ყოველწლიურად 40—50

---

7 შდრ. Т. Саваланянц, История Иерусалима, т. II, იერუსალიმი, 1931, გვ. 797; 1581 წელს ფრანცისკანელებმა უამრავი ფული ჩამოურიგეს ადგილობრივ ოსმალო ხელისუფალთ და სანაცვლოდ მიიღეს გოლგოთა აღდგომის ტაძარში, ხოლო ბეთლემში—იესოს გამოქვაბული (იხ. Пр. Назианзин Арабоглу. Попираемый Иерусалим, ППС, т. XIX, вып. I, С.-Пб., 1904, გვ. 142).

8 იერუსალიმის სანჯაყბეგთან დაახლოებული ერთი ებრაელი 1551 წელს წავიდა სიონის მთაზე რათა მოეხილა დავითისა და სოლომონის საფლავი. ფრანცისკანელებმა არ მიუშვეს იგი საფლავთან. მაშინ გაემართა იგი წმინდა ქალაქის გამგებელთან და უთხრა — „რად უპყრიათ ფრანცისკანელებს დავითისა და სოლომონის საფლავი და არ ფლობთ მას თქვენ“. გამგებელმა ისმინა რჩევა, სიონიდან გამოდევნა ფრანცისკანელები და აქცია იგი იმრეთად. (-მეჩეთში მყოფ ღარიბ-ღატაკთა უფასო სასადილო) თუ მეჩეთად (Максим Симский, История Иерусалимских патриархов, ППС. т. XIX, вып. первый, С -П., 1904, გვ. 39—40).

9 E. Hoada, OFM Guide to the H. Lanand, 1973, ,გვ. 452.

10 Gr. Peradze, An Account of the georgian Monks and Monasteries in Palestine, Georgica, 1937, გვ. 222 (შემდეგ, გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათას ახჩას აძლევდნენ. ამიტომაც სულთანმა სულეიმან კანუნიმ 1558 წელს გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ „ამუდის მონასტერი, რომელიც უსჯულოებს (-ქართველებს) ეკუთვნის, რადგანაც ისინი ვაკუფს ფულს არ უხდიან და მაჰმადიანებს ზარალს აყენებენ, გადაეცეს ფრანცისკანელებს, რომლებიც კუფისათვის ყოველწლიურად გაიღებენ 30—40 ათას ახჩას". აღნიშნული სიგელი დაცულია იერუსალიმში, ფრანცისკანელთა არქივში. მის გამოცემას უახლოეს მომავალში ვარაუდობს ფრაიბურგელი ოსმანისტი იოსებ მატუზი. ჩვენ კი ხელთა გვაქვს დოკუმენტთა საკანცელარიო ფრანგული თარგმანი, რომელიც ფრანცისკანელთა არქივში მოიძია და გადაგვიღებინა გერშონ უორენმა (=წიწუაშვილმა), რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ. ქვემოთ ქვეყნდება სიგელის ქართული თარგმანი. ფრანგულიდან ქართულად გადმოღებაში დამეხმარნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ცისანა ბიბილეიშვილი და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლია მამულია.

კეთილშობილ ემირთა ნიმუშს, წარჩინებულ დიდებულთა დედაბოძს, უფლებითა და პატივით მოსილს, ბრძენი მეფის უხვი წყალობით გამორჩეულს, წმ. იერუსალიმის სანჯაყის მმართველს, კიტას — ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, ყველაზე სამართლიანს მაჰმადიან მსაჯულთა შორის, უპირველეს სულიერ გამგებელს, სიკეთისა და სიბრძნის საბადოს, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მეცნიერ მემკვიდრეს, უზენაესი მფარველი მეფის უხვი წყალობით გამორჩეულს, წმ. იერუსალიმის ყადის — გამრავლდეს მისი ღირსება — და გულუხვობისა და სიკეთის ნიმუშს, წმ. საფლავის მუთევველის ხანგრძლივი იყოს მისი დიდება—როცა ამაღლებულ წმინდა სიგელს მიიღებენ, ეცნობოს: ამასწინათ ჩემს უზენაეს კარზე წერილი გამოგზავნეთ, თქვენ იწერებოდით, რომ ადრე მიიღეთ ფირმანი, რომლითაც გებრძანათ ფრანცისკანელთა საძმოს, რომლებიც დავით წინასწარმეტყველის — ალაჰმა მიაგოს მშვიდობა — საფლავის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ამ წმინდა ადგილიდან გამოყვანა და აღნიშნულ მორწმუნეთა ბეთლემში და წმინდა საფლავთან ახლო დასახლება.

როცა შეისწავლეს ვითარება, აღმოჩნდა, რომ დიდძალი ქონება შემოდიოდა წმინდა საფლავის მოსალოცად ჩამოსულ უსჯულოთაგან. იმ შემთხვევაში, თუ მორწმუნენი (=ფრანცისკანელები — ც. ა.) იქ დასახლდებიან, ფულს ვეღარ მივიღებთ, ბეთლემიც შორსაა ქალაქიდან. იქ ცხოვრება შეუძლებელია. როცა ქალაქში არსებული ეკლესიები დაათვალიერეს, აღმოჩნდა, რომ იქ მრავალი ეკლესია ქართველთა ხელშია. ერთი მათგანი ამუდის მონასტერია, სადაც მხოლოდ სამი უსჯულო ქალია. ყველა დანარჩენი კი ცარიელია.

ზემოთ აღნიშნულ ბრძანებაში ფრანცისკანელ მორწმუნეებს მიუთითეს ამ ადგილზე და უთხრეს — „დასახლდით ხსენებულ მონასტერში". მაგრამ ქართველთა ტომი არ დათანხმდა. ისინი აღ-

[11] Firmans Ottomans é manés pour les liux-Saints de la Palestine, т. I, 1521—1644, yhs, S. Sauveur, Jerusalem, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულ ეკლესიას არ უკარგავენ ქართველთა საძმოს სხვა უსჯულოებს. ამასთანავე ვაკუფს მათგან ერთი ქრთილიც (ასპრი) არ შემოსდის. ისინი არც გადასახადს იხდიან. მაშინ როდესაც ფრანცისკანელები ყოველწლიურად 30—40 ათასს ასპრს იხდიან. ცხადია, ქართველებს გული არ უნდა დასწყდეთ ამ მონასტერში ზემოხსენებულ მორწმუნეთა ჩასახლების გამო. შესაბამისად წმინდა კანონისა მაჰმადიანი ხალხი არ უნდა დაზარალდეს, არავისთან ჰქონდეს სადაო და გასაყოფი.

ამიტომ ვბრძანებ, რადგან დასახელებული ამუდის მონასტერი თქვენი თქმით უსჯულოებს ეკუთვნის, მასში ფრანცისკანელი მორწმუნენი უნდა დაემკვიდრონ. ასე იცოდეთ. ჩემი ეს ბრძანება, მას შემდეგ, რაც თქვენ გაეცნობით, მათ ჩააბარეთ. წმინდა ნიშანს მიენდეთ.

დაიწერა გამარჯვებული მუჰარემის თვეს, 966 წელს (=1558 წლის 13 ნოემბერს) კონსტანტინოპოლში.

როგორც ჩანს, ქართულ საძმოს სულთნის ეს ბრძანება ყურად არ უღია და ფრანცისკანელი ბერები იძულებული გამხდარან კვლავ სულეიმან კანუნისათვის მიემართათ. ფრანცისკანელთა საჩივრის პასუხად სულეიმან კანუნის 1561 წელს ახალი სიგელი გამოუცია. სიგელი დაცულია იერუსალიმში ფრანცისკანელთა არქივში 145 ნომრით[12]. დოკუმენტი დიპლომატიკური თვალსაზრისით შეისწავლა, თურქული ტექსტი ფაქსიმილეთი და გერმანული თარგმანით გამოსცა იოსებ მატუზმა[13].

სიგელი თვალნათლივ წარმოგვიდგენს ქართული ეკლესია-მონასტრების, სამწირო და სამლოცველო ადგილების უცხო ტომის ხელში „კანონიერი" გადასვლის სურათს. მასში ნაწილობრივ მეორდება 1558 წელს გამოსული ბრძანების ნარაციო და დისპოზიციო. კერძოდ, სიონიდან გამოდევნილი ფრანცისკანელი ბერებისათვის შესაფერის ეკლესიას როცა ეძებდნენ, ნახეს, რომ ქართველთა ხელშია მრავალრიცხოვანი ეკლესიები. მათგან ამუდის მონასტრად სახელდებულ ეკლესიაში 3 უსჯულო (=ქართველი) ქალი იმყოფებოდა მხოლოდ. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ქართველები თავიანთ სამყოფელს
(امكنه لرى) სხვა უსჯულოებზე აქირავებენ და ხსენებული მონასტერი მათ არ სჭირდებათ. რაც მთავარია, „ქართველთაგან ვაკუფს ერთი ქრთილიც არ შემოსდის. ფრანცისკანელთაგან კი ყოველწლიურად 30—40 ათას ახჩაზე მეტი შემოსავალი აქვს. რადგან შარიათის შესაბამისად მაჰმადიანები არ უნდა დაზარალდნენ, საჭიროა ფირმანი გამოვიდეს ფრანცისკანელი ბერების იქ დასახლების თაობაზე". როგორც ვხედავთ, ამაოა ყოველგვარი საბუთიანობა, ამთავითვეა გადაწყვეტილი მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემა. და მაინც, ადგილობრივ ოსმალო ხელისუფალთ მეჯლისი მოუწვევიათ იმის დასამტკიცებლად, უკეთ საბუთის შესაქმნელად, რომ მონასტერი ძველადვე ფრანცისკანელებს ეკუთვნოდა. ქართველთაგან მოუთხოვიათ მონასტრის მფლობელობის წერილობითი დასტური. ქართველებს მამლუქი სულთნის — წარ-

---

[12] Eutimio Castellani, დასახ. კატალოგი, გვ. 23.

[13] Josef Matuz, Das Kanzleiwesen, გვ. 144—148. მსგავსი სიგელები გამოქვეყნებული აქვს P. A. Arceofm-ს (Documentos y textos para la Historia die Tierra Santa y sus santuarios, Jerusalem, 1970, გვ. 24, 239.

მოშობით ჩერქეზის—ალ მალიქ ალ-აშრაფ აბუ ნა ნაშრ საიფად-დინ ინალის (1453—1460) მიერ ნაბოძები წიგნი წარმოუდგენიათ (ტექსტში „თამასუქი წერია). ინალის მიერ გაცემულ სიგელში ამუდის მონასტერი ნახსენები არ ყოფილა. „ქართველების კუთვნილებად ჩაწერილი იყო 7 მონასტერი და 2 სახლი“. რადგან ქართულ საძმოს არ აღმოაჩნდა მომდევნო სულთნების მიერ გაცემული სიგელი, ყადიმ „სარწმუნო მუსლიმთა“ მოწმობით „დაადგინა“, რომ ამუდის მონასტერი ფრანცისკანელ ბერებს უკანონოდ წაართვეს ქართველებმა“. ხოლო „მუსლიმ დიდებულთაგან, მაღალი საზოგადოების საიმედო პირებმა დაადასტურეს, რომ ამუდის მონასტერში ფრანცისკანელების დამკვიდრებით ვაკუფსა და საერთოდ მუსლიმებს დიდი შემოსავალი ექნებათ. ამასთანავე ფრანცისკანელი ბერებისათვის ამაზე უფრო შესაფერისი ადგილი არ არსებობს. უსჯულო ქართველები თავიანთ უბანში დარჩნენ. ეს კი, თუ მათ ძალით არ ჩაუგდიათ ხელში, ნამდვილად არ ყოფილა მათი სამკვიდრო ადგილი. ამიტომ შეწყდეს ქართველი მომლოცავების მოსვლა, მით უფრო, რომ როგორც გაირკვა, ვაკუფს ყოველწლიურად 40—50 ათასი ახჩით აზარალებენ“-ო. ამ შინაარსის საბუთი შარიათის სასამართლო დავთარში გაატარეს და ჰუჯათი, ანუ სასამართლო გადაწყვეტილებათა დავთრიდან ამონაწერი, ფრანცისკანელებს ჩააბარეს.

მაღალი პორტა „დაეყრდნო“ იერუსალიმის შარიათის სასამართლო გადაწყვეტილებას და გამოსცა „მტკიცე და უცვლელი“ ბრძანება იმის შესახებ, რომ „ამუდის მონასტერი გადაეცეს ფრანცისკანელ ბერებს. ისინი დასახლდნენ და დამკვიდრდნენ ხსენებულ მონასტერში, ვიდრე წმინდა კანონებს არ დაარღვევენ, წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებენ და უავგუსტოეს ბრძანებას არ ეურჩებიან. ქართველები და კიდევ სხვა ვინმეები მათ საქმეში არ ჩაერიონ და წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ასეთის მსურველებს აუკრძალეთ და ხელი შეუშალეთ. ვინც არ დაიშლის, მათი სახელები ჩამოწერეთ და ჩემს ბედნიერების ზღურბლზე არზა გამოგზავნეთ“-ო.

სრულიად ცხადია, რომ ჰუქმი შედგენილია მიკერძოებით, დარღვეულია ელემენტარული ლოგიკური თანაფარდობა წანამძღვრებსა და დანასკვს შორის. გადამწყვეტი ფაქტორი ის არის, რომ ქართველები, რომლებიც მუდამ „უსჯულოებად“ იხსენიებიან, ვაკუფს ფულს არ უხდიან, რითაც მაჰმადიანებს აზარალებენ. „მორწმუნე“ ფრანცისკანელები კი წელიწადში 40—50 ათას ახჩას აბარებენ. ჰუქმში, რომლის გაცემის მიზანია უეჭველ და უდავო გახადოს ამუდის მონასტრის ძველთაგანვე ფრანცისკანელთა ძმობის კუთვნილება, გარკვევით სწერია — „ქართველები მას არ საჭიროებენ, დანარჩენ მონასტრებსაც სხვებზე აქირავებენ“-ო. აქვე გავიხსენოთ ორი წლით ადრე გამოცემული სიგელიც: „მრავალი ეკლესია ქართველთა ხელშია. ერთი მათგანი, ამუდის მონასტერია, სადაც მხოლოდ 3 უსჯულო ქალია, ხოლო ყველა დანარჩენი ცარიელია“. ქართველები აღნიშნულ მონასტერს ფრანცისკანელებს არ უთმობენ, რადგან „მათ არ უნდათ ქართველთა საძმოს სხვა უსჯულოებს დაუკარგონ იგი“.

ვიდრე სხვა წყაროებს მოვიხმობდეთ, ვცადოთ იმის გარკვევა, თუ იერუსალიმის რომელი მონასტერი შეიძლებოდა სახელდებულიყო ამუდის მონასტრად. عامود, არაბული სიტყვაა და ნიშნავს 'სვეტს', ბოძს, რომელიც იჭერს კარავს. აქედან عمد საყრდენი. იერუსალიმის ცნობილი დამასკოს კარი, ებრაული წყაროების „შაარ სიქემი“ იწოდება باب العمود-ად 'ამუ-

დის კარად, იმ სვეტის გამო, რომელიც ბიზანტიურ ხანაში იდგა კარის შუაში და გამოიყენებოდა მანძილის ასათვლელად იერუსალიმიდან დამასკომდე. ლექსემა ამუდი სვეტის შინაარსით შედის იერუსალიმის ბევრი სხვა ტოპონიმისა და ჰიდრონიმის შემადგენლობაში[14].

როგორც ცნობილია, არაბები ქრისტიანულ სახელებს თარგმნიდნენ შდრ. deir el-Musalabe ან deir el-Mussalabeh (გრ. ფერაძე, გვ. 210) ჯვრის მონასტერი, كنيسة العيدى 'აღდგომის ეკლესია', Мугтесал 'გარდამოხსნა' და 'ეკვტერი აღდგომის ეკლესიაში' يونان المعمدان და المعمدانى იოანე ნათლისმცემელი, صاحب العماد სტილიტი და عامودى სვეტი[15].

ამრიგად, دير عامود სხვა არაფერია, თუ არა ხვეტის მონასტერი. სულეიმან კანუნის მიერ 1526 წელს პატრიარქ გერმანეს სახელზე გაცემულ სიგელში, მის საგამგებლო ეკლესია-მონასტრებს შორის იხსენიება სვეტის მონასტერი — Монастырь Столба или Колонны, რაც დედნისეულ دير عامود-ს შეესაბამება. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთა გვაქვს სიგელის მხოლოდ რუსული თარგმანი[16]. იტალიური წყაროების გათვალისწინებით გრ. ფერაძე წერს, რომ 1559 წელს თურქებმა აიძულეს ქართველები, რათა ფრანცისკანელთათვის მიეყიდათ მონასტერი bella Colonna — იგივე ამუდის ანუ სვეტის მონასტერი. იქნებ ამ „იძულებით მიყიდვის" გამოძახილია ჩვენს დოკუმენტში უადგილოდ ჩართული წინადადება „ფრანცისკანელები ქართველებს არ დააზარალებენ". რომელ „ზარალზე" შეიძლება ლაპარაკი, სიგელში ხომ თავგამოდებული მტკიცებაა იმისა, რომ ამუდის მონასტერი ქართველებს არ ეკუთვნით. იგი ძველთაგანვე ფრანცისკანელებისა იყო. მაშ როგორ უნდა გაეყიდათ ის, რაც მათი არ იყო. სინამდვილეში მოვლენათა თანმიმდევრობა ასეთია — ჯერ ყიდვა მოინდომეს და როცა ქართველებმა შორს დაიჭირეს, სხვა გზა გამოძებნეს. ფრანცისკანელთა იმჟამინდელი წინამძღოლი ბონიფაციო სტეფანე რაგუზელი მოხერხებულად სარგებლობდა ფულადი შეძლებით და სტამბოლში მყოფი ევროპელი ელჩების თანადგომით[18]. ფრანცისკანელებმა გადმოიბირეს ოსმალო მოხელეები, რომლებმაც ხელაღებით იწყეს იმის მტკიცება, რომ მონასტრის კანონიერი მფლობელები ფრანცისკანელები არიან. ამასთანავე ქართველებს ამშვიდებდნენ, რომ ფრანცისკანელები მათ არ დააზარალებენ, მაგრამ იქვე ფრანცისკანელთა ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მათ ქართველთა საძმოსთვის ერთი პენიც არ გადაუხდიათ[19]. ასე წარსტაცეს ფრანცისკანელებმა ქართველებს სვეტის მონასტერი ოსმალთა ხელშეწყობით.

---

14 იხ. აბრაჰამ ევენ შოშანის მიერ შედგენილი ებრაული ენის განმარტებითი ლექსიკონი, იერუსალიმი, 1963 წ., სვ. 1195, ზელ ვილნაის ისრაელთმცოდნეობის ენციკლოპედია, 1978 წ., სვ. 585—3—54. ლექსიკონები დამიძებნა და საჭირო მასალა ებრაულიდან მითარგმნა ნისან ბაბალიკაშვილმა.

15 Georg Graf, Verzeihnis Arabischer Kirchlicher Termini, Louvain, 1954, გვ. 79—80.

16 Пр. Назианзин Арабоглу, Попираемый Иерусалим, ППС. т. XIX, вып. I, С.-Пб. 1904 г., გვ. 236.

17 გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 199. ცხადია, აქ იგულისხმება სულეიმან კანუნის 1558 წელს გაცემულ სიგელში აღნიშნული ფაქტი.,

18 Хождение купца Василя Познякова по святым местам востока, приложение, ППС. т. VI, вып. 3, С.-Пб., 1887, გვ. 65—66.

19 გრ. ფერაძე, იქვე, გვ. 222—223.

რამდენადაც ცნობილია, ქართულ წერილობით ძეგლებში სვეტის სახელით მონასტერი იხსენიება მხოლოდ ერთ XII ს-ის იერუსალიმური ხელნაწერის „მარხვანის“ ანდერძში[20]. ანდერძს XIII ს-ით ათარიღებენ[21]. — „მე სულითა საწყალობელი, მიწაჲ უღირსი წმიდათა და პატიოსანთა მამათა ჯუარელთა ძმობისაჲ, გიორგი, ღირსმყო მოგებად წმიდათა ამათ მარხვანთა დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუჱობით გამოვლისა ხუარაზმელთაგან ესე ყოველთა შემდგომითი შემდგომად მოგეთხრას მაშინდელნი ყოველთა ქრისტიანეთა ჭირნი და განსაცდელნი, ოხრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი. იერუსალიმსა შუკათა შინა შთასრულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი: ერთი ესე და ერთი საწინასწარმეტყუჱლოჲ სპარსსა კაცსა ჰქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლივ წაუხუენ ესე, საწინასწარმეტყუელთაჲ წაიღო, მე სყიდისა ღონე აღარ მქონდა. აწ მოვაჯსენე მასვე მონასტერსა კაპპათისა რომლისაჲცა პირველ ყოფილ იყო. აწ გინა თუ კაპპათას შინა, გინა გარეთ სუჱტსა შინა, ანუ თუ ჟუარსავე შინა იყუნენ ვინცა მიემთხვნეთ და იმსახურებდეთ“. ჯვრის მონასტრის ძმობის წევრს ვინმე გიორგის სპარსთა ტყვეობიდან დახსნილი წიგნი შეუსყიდია და დაუბრუნებია კაპპათის მონასტრისათვის, რომლის საკუთრებაც ყოფილა იგი თავდაპირველად. მაგრამ წიგნი შეეძლოთ გამოეყენებიათ როგორც სუეტის, ისე ჯვრის მონასტერშიც. ალ. ცაგარელმა გამოთქვა ვარაუდი — „სუეტის მონასტერი ხომ არ არის სტილიტისა ანუ მონასტერი წმინდა სვიმეონ მესვეტისა ანტიოქიაში, სადაც ეგრეთვე იყვნენ ქართველები“[22]. მაგრამ ტექსტის მიხედვით მონასტერი იერუსალიმშია საგულვებელი. კ. კეკელიძის აზრით, ზემოთ მოყვანილი ანდერძის „სუეტად“ იგულისხმება ის სვეტი, რომელიც იმყოფებოდა პილატეს პრეტორიონის ადგილზე, ესე იგი იმავე კაპპათის გვერდით და რომელზედაც გადმოცემით მხედრებმა მიაბეს აქ მოყვანილი ქრისტე და მათრახით სცემდნენ მას[23]. კაპპათა, როგორც პირველმა შენიშნა გრ. ფერაძემ[24], ხოლო ცოტა გვიან ცალკე წერილი მიუძღვნა კ. კეკელიძემ, არის იოანეს სახარებაში მოხსენიებული ებრაული გაბბათა, ლითოსტრატონ ქუაფენილი, ადგილი, სადაც პილატემ გაასამართლა ქრისტე (იოანე, XIX, 13). დადგენილია, რომ კაპპათა მდებარეობდა პილატეს ეზოს ან ტაძრის, ბერძნულად პრეტორიონის ადგილას. პრეტორიონი კი მდებარეობდა სიონის მთაზე სიონის ბაზილიკიდან 150 ნაბიჯის მანძილზე, სადაც იუსტინიანე დიდს VI ს-ში აუშენებია ღვთისმშობლის ახალი ეკლესია ნია (νέα) „წმინდა სოფიოდ“ სახელდებული, რომელიც ეგვიპტის სულთანმა ჰაქიმმა დაანგრია 1009—10 წლებში. ამავე საუკუნის 70-იან წლებში ბაგრატ IV-ის მეუღლესა და ასულს აღუდგენიათ და დედათა ახალ მონასტრად გადაუკეთებიათ[25], ე. ი. კაპპათის მონასტერს „დედათა ახალ

---

[20] Ал. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, ППС, 1888 წ. გვ. 168—169; ცაგარლის აღწერილობით № 77, ბლეიკისა კი—67. R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliotheque patriarcale grec.

[21] იქვე, გვ. 169.

[22] იქვე.

[23] კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ეტიუდები, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 130.

[24] გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[25] კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონასტერი დარქმევია“. რაც შეეხება განშოლტვის სვეტს (столб бичевания), ქრისტეს ამ სვეტზე მიბმისა და მისი განშოლტვის ამბავი მოთხრობილი არ არის არც წმინდა წიგნებში და არც პილატეს აქტებში. ოღონდ, როგორც პროფ. ვასილევსკი ვარაუდობს, ამ ფაქტს უნდა გულისხმობდეს მათეს სახარების „იესუს შოლტითა სცა“ (XXVII, 26) და იოანეს სახარებიდან „მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი“[26] (XIX, 1). ეს არის და ეს. ამასთანავე IV საუკუნიდან დაწყებული ყველა პილიგრიმი — ნეტარი იერონიმი, პრუდენცია, თეოდოსი, მოსე კაგანკატვაცი, ანტონ მარტვილი, ეპიფანე და სხვა ახსენებს განშოლტვის სვეტს და უთითებს მის ადგილს სიონის ანუ წმ. სოფიოს ბაზილიკის შუაში[27]. განსხვავება ის არის, რომ ავტორთა ერთ ნაწილთან ეს არის столб, Κίων მეორესთან ოთხკუთხა ქვა, Πέτρα, რომელზედაც პილატეს წინაშე იდგა მაცხოვარი, რათა ხალხს დაენახა იგი და გაეგონა მისი[28]. XI ს-დან განშოლტვის სვეტს უთითებენ ქრისტეს საფლავის მიდამოებში, კერძოდ აღდგომის ეკლესიაში, მარცხნივ, საკურთხევლის მიმდებარედ დასავლეთით[29], ქრისტეს დილეგის მახლობლად[30], ამასთანავე აღნიშნულია, რომ ეს არის ერთი ნაწილი განშოლტვის სვეტისა, მეორე დაცულია კონსტანტინოპოლში მოციქულთა ეკლესიაში, მესამე კი—რომში, პეტრეს ტაძარში.

განშოლტვის სვეტი მოიხილა ტიმოთე გაბაშვილმაც: „და ვიხილეთ ადგილი იგი და ეკლესია, სადა ელენემ ჯვარი იპოვა და სადა მოაბეს სვეტსა უფალი და სცემდეს“[31]. გ. ავალიშვილს წმინდა საფლავის ტაძრის გეგმაზე დატანილი აქვს „საყამნო განშოლტვისა და გმობისა უფლისა. ადგილსა ამას არს სუეტი, სადაცა ჰსდგა ქრისტე, ოდესლაცა მჴედარნი განჰსძარცვდიან მას და ეკიცხვოდიან“[32]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ, იტალიურ, რუსულ და ოსმალურ წყაროებში სვეტი საყამნოდ და სამწირველოდ კი არა მონასტრად არის სახელდებული[33].

ამგვარად, განსახილველი დოკუმენტის დეირ-ი ამუდ მონასტერი სვეტის არის მონასტერი განშოლტვის სვეტისა — della Colonna ეგევე უნდა იყოს „მარხვანის“ ანდერძში მოხსენებული „სუეტის მონასტერი“.

---

[26] В. Г. Васильевский, Повесть Епифания о Иерусалиме и сущих в нем мест. Примечания к русскому переводу Епифания, ППС, т. IV, вып. II, 1886 г. გვ. 107.

[27] იქვე, გვ. 108—111; А. П. Лебедев, Паломничество в святую Землю, С.-Пб., 1900, გვ. 23.

[28] იქვე, გვ. 108—109, 256.

[29] В. Г. Васильевский, Примечания, გვ. 39, 110. Восемь греческих описании Св. мест XIV, XV и XVI вв. издал А. И. Пападопуло-Керамевс с русским переводом Н. В. Безобразова,—კათოლიკონის მარცხნივ ქრისტეს დილეგია, დასავლეთით სვეტი, რომელზედაც მიაბეს ქრისტე და სცემეს. იქ არის ლათინელი ერეტიკოსების ეკლესია: Душеспасательный расказ о се Гробе, ППС. т. XIX, вып. второй. С.-Пб., 1903, გვ. 165.

[30] История Иерусалимских патриархов Максима Симского, გვ. 75, ППС, XIX, Вып. первый, 1904.

[31] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 73.

[32] გ. ავალიშვილი, მგზავრობაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1967, გვ. 240.

[33] იხ. ППС. т. XIX, вып. I, вып. 2, 1903.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასთანავე დაბეჯითებით არის ცნობილი, რომ ფრანცისკანელებმა სწორედ 1561 წელს სულთნისაგან მიიღეს წმ. იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა მონასტერი[34]. თარიღის გარდა იდენტურია მონასტრების ფრანცისკანელთა ხელში გადასვლის მიზეზებიც: დავით წინასწარმეტყველის მიდამოებიდან გამოდევნილი ფრანცისკანელებისათვის ოსმალები ეძებენ შესაფერისს ადგილს ქრისტეს საფლავის მიდამოებში. ასეთად მიიჩნევენ ქართველთა მონასტერს, რომელშიც მხოლოდ 3 ქალია. ქართველები არ საჭიროებენ ამ მონასტერს, რადგან მათ კიდევ აქვთ 7 მონასტერი და სახლი[35]. როგორც ვხედავთ, არაფერი შეიცვლება, რომ ჩვენს სიგელში ამუდის ნაცვლად ეწეროს იოანე წინასწარმეტყველი. ასეც არის გაიგივებული ამუდი და იოანე ღვთისმეტყველი იტალიელი სპეციალისტის ფერდინანდო მასიმილიანოს „იერუსალიმის ისტორიაში"[36]. ამასვე იმეორებს გრ. ფერაძე[37]. იცხაკ დავიდმა თავისი ნაწერების I ტომში ცალკე თავები მიუძღვნა საქართველო-პალესტინის ურთიერთობათა ისტორიასა და ქართველთა სიძველეებს პალესტინაში. აქაც დეირ-ი ამუდი ანუ სვეტის ეკლესია გაიგივებულია მხსნელის ეკლესიასთან[38]. (ცნობილია, რომ ფრანცისკანელებმა მას შემდეგ რაც მოიპოვეს, ერთი მხრივ, სულეიმან კანუნის აქ განხილული ჰუქმი და, მეორე მხრივ, პაპი პი IV-ის ბულლა (ისიც 1561 წელს გამოცემული, წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერს უწოდეს Salvator წმ. მაცხოვრის ეკლესია).

ჩანს, სვეტისა და იოანე ღვთისმეტყველის მონასტრებს ერთდროულად დაეპატრონნენ ფრანცისკანელები ოსმალთა თანადგომობით, ოფიციალურ ბრძანებაში მხოლოდ ამუდი—სვეტის მონასტერი მოიხსენიეს[39]. ამგვარ კომბინაციას ხელი იმითაც შეეწყო, რომ ორივე მდებარეობს აღდგომის ეკლესიაში საკურთხეველთან ახლოს[40].

> [თუღრა:] სულეიმან შაჰი, ძე სელიმ-ხანისა, მარადის გამარჯვებული ემირთა შორის უკეთილშობილეს ემირს, წარჩინებულთა შორის უდიდესს, ძლიერებითა და პატივით მოსილს, ღირსებითა და ბრწყინვალებით აღვსილს, ბრძენი მეფის უხვი წყალობით და-

---

[34] T. Tobler, Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, წიგნი I, Berlin, 1853, წიგნი II, 1854, გვ. 292—344; Ал. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117; რ. ჯანელიძე, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921 გვ. 20—22; Хождения купца Василия Позднякова, გვ. 66 და სხვ.

[35] გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[36] Ferdinando Massimilano, Storia di Gerusaleme, Rome, 1857, II, გვ. 412.

[37] გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

[38] იცხაკ დავიდი, ნაწერები, ტ. I, თელავივი-იერუშალაიმი, 1976, გვ. 307—308.

[39] როგორც ზემოთ ვნახეთ, სულეიმან კანუნის 1526 წლის ჰუქმში დეირი ამუდ Монастырь столба და იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი ერთურთის მიმდევრობით, მაგრამ მაინც ცალცალკეა მოხსენიებული. სულთან ოსმანის 1756 წლის სიგელში, რომელიც სულეიმან კანუნის 1526 წლის სიგელის განახლებაა, დასახელებულია იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი, სვეტისა კი — აღარ.

[40] RUOUDPMY: გვ. 84; შდრ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 61.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარუქრებულს, დამასკოს ბეგლარბეგს[41] — ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, კეთილშობილ ემირთა ნიმუშს, წარჩინებულ დიდებულთა საყრდენს, ძალაუფლებითა და პატივითმოსილს, ბრძენი მეფის უხვი წყალობით გამორჩეულს, იერუსალიმის სანჯაყბეგს[42] — ხანგრძლივ იყოს მისი დიდება და მაჰმადიან ყადითაგან ზეაღმატებულ ყადის, უპირველეს სჯულიერ მმართველს, სიკეთისა და რწმენის საბადოს, წმინდა იერუსალიმის ყადის — იმრავლოს მისმა ღირსებამ, სახელოვანთა და დიდებულთა ნიმუშს, კეთილშობილებისა და ღირსების კრებულს, კუმამისა[43] და იერუსალიმის იმარეთის[44] მუთეველის[45] — იზარდოს მისმა პატივმა, როცა უზენაესი სამეფო სიგელი მოაღწევს, ეცნობოს—ამასწინათ წმინდა ჰუქმით[46] ხელში მოვიდნენ ფრანცისკანელი[47] ბერები, რომლებიც თანახმად უავგუსტოესი ფირმანისა დავით წინასწარმეტყველის წმინდა საფლავის — იყოს იგი კურთხეული და დალოცვილი — მიდამოებიდან გამოაძევეს.

ადრე ჩემი ბედნიერების კარზე თქვენი არზები მოვიდა: ხსენებული ბერებისათვის, წმინდა ბრძანების შესაბამისად, შესაფერის ეკლესიას როცა ეძებდნენ, ნახეს, რომ ქართველთა ხელში არის უამრავი ეკლესია. მათგან ამუდის მონასტრად სახელდებულ ეკლესიაში 3 ურჯულო (=ქართველი, ც. ა.) ქალი იპოვეს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ თავის სამყოფელს სხვა ურჯულოებზე აგირავებენ. ამგვარად, ხსენებული მონასტერი ქართველებს არ სჭირდებათ. მათ-

---

[41] ბეგლარბეგი<თურქ. بكلربكی ოლქის, გუბერნიის სამთუღიანი მმართველი; ოსმალეთში არსებობდა ანატოლიის, რუმელიისა და სირიის საბეგლარბეგო. პალესტინა სანჯაყის (=სადროშოს) სახით შედიოდა დამასკოს საფაშოში, მას მართავდა ორთუღიანი ფაშა. მოგვიანებით, როცა შეიქმნა საიდის საფაშო, სანაპირო ზოლი დაექვემდებარა საიდის საფაშოს, იერუსალიმი კი დამასკოს ფაშის გამგებლობაში დარჩა. იხ. К. М. Базили, Сирия и Палестина под турецким правительством в историческом и политическом отношениях. М, 1962, გვ. 32.

[42] სანჯაყბეგი<თურ. سنجاق بكی სანჯაყის, სადროშოს გამგებელი ბეგი.

[43] კუმამე قمامه ნაგვის, ნაკელის, ნეხვის გროვა, დამახინჯებული ფორმაა არაბ. სიტყვისა القيامة, აღდგომას რომ აღნიშნავს. ასე უწოდეს არაბებმა დაცინვით აღდგომისა და უფლის საფლავის ეკლესიებს. ი. მატუზი قمامه-ს უფლის საფლავის ეკლესიად თარგმნის. იხ. გვ. 146.

[44] იმარეთი<არაბ. عمارة შენობა, ნაგებობა, აქ: მეჩეთთან არსებული უფასო სასადილო, სადაც ღარიბ-ღატაკებს ურიგებდნენ პურს, ბრინჯის ფაფასა და წვნიან საჭმელს. საერთოდ ვაკფის გამგებლობაში მყოფი საქველმოქმედო დაწესებულება.

[45] მუთეველი<متولی ვაკფის მმართველი, სავაკუფო და სხვა საშემოსავლო ქონების ზედამხედველი.

[46] ჰუქმი < არაბ. حكم აქ: სულთნის მიერ მასთან შემოსული არზის პასუხად გაცემული სიგელი, ბრძანება.

[47] ტექსტში ყველგან افرنك და افرنج სწერია, რაც ფრანკსა და ევროპელს აღნიშნავს, ცნობილია, რომ თურქების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ მის წმინდა ადგილებს ფრანცისკანელთა ორდენი დაეპატრონა და ქართველთა საძმოსაც XVI—XVII სს-ში სამონასტრო ადგილების გამო სწორედ ფრანცისკანელ ბერებთან ჰქონდა დავა.

გან ვაკუფს ერთი მარცვალიც არ შემოსდის: ფრანცისკანელთაგან კი ყოველწლიურად 30—40 ათასზე მეტი ახჩა შემოსავალი აქვს ვაკუფს. ამგვარი არზა მოვიდა, რომ ქართველებს ფრანცისკანელ ბერთაგან ზარალი არა აქვთ. თქვენი არზის მიხედვით ხსენებული ამუდის მონასტერი უსჯულოების ხელშია. საღვთო კანონის — შარიათის თანახმად კი მაჰმადიანი ხალხი არ უნდა დაზარალდეს, საჭიროა ფირმანი გამოვიდეს ხსენებული ფრანცისკანელი ბერების იქ დასახლების თაობაზე, ამიტომ ჭეშმარიტი მაჰმადიანების თანდასწრებით იქნა მოწვეული მეჯლისი (عقد مجلس) მაჰმადიანთაგან კითხვა დაისვა — ხსენებულ მონასტერში ფრანცისკანელების დამკვიდრება მაჰმადიანებს ზარალს აყენებს? არა, ზარალი კი არა, პირიქით, დიდი შემოსავალი აქვთო — დაადასტურეს. თან აღნიშნეს, რომ ხსენებული მონასტერი ფრანცისკანელებისაა ძველთაგანვე ამიტომ ქართველებმა წერილობითი მტკიცება[48] მოითხოვეს, თქვენი როგორღა არისო? ქართველებმა წარმოადგინეს განსვენებული სულთან ინალის[49] მიერ გაცემული საბუთი. როცა საბუთი ჩაიკითხეს, ქართველების კუთვნილად ჩაწერილი აღმოჩნდა 7 მონასტერი, მაგრამ მათ შორის ხსენებული ამუდის მონასტერი არ იყო. ამის გარდა სხვა საბუთი თუ გაქვთო, როცა მოიკითხეს, ქართველებმა უფრო მოგვიანებით გაცემული საბუთი ვერ წარმოადგინეს. ამასთანავე ხსენებული მონასტერი ძველთაგანვე ფრანცისკანელებს ეკუთვნოდა. მოსამართლემ მუსლიმების მოწმობით დაადგინა, რომ იგი ოდესღაც ფრანცისკანელ ბერებს უკანონოდ წაართვეს ქართველებმა. საბუთი დავთარში გაატარეს და მათ ხელთ მისცეს ჰუჯათი[50].

მაჰმადიან დიდებულთაგან საიმედო, მაღალმა პირებმა დაადასტურეს, რომ ხსენებულ ადგილას ფრანცისკანელთა დამკვიდრებით ვაკუფსა და მუსლიმებს დიდი შემოსავალი ექნებათ, ამასთანავე ფრანცისკანელი ბერებისათვის ამაზე უფრო შესაფერისი ადგილი არ არსებობს. უსჯულოები თავიანთ უბანში დარჩნენ. ეს კი, თუ მათ ძალით არ ჩაუგდიათ ხელთ, ნამდვილად არ იყო მათი საცხოვრებელი ადგილი. შეწყდეს იქ მომლოცავების მოსვლა. დადგინდა, რომ ვაკუფს ყოველწლიურად 40—50 ათასი ახჩით აზარალებენ. ხსენებულ მონასტერში დამკვიდრებით ურიცხვი შემოსავალი იქნება. ქართველების ხელში კი ამის გარდა არის 7 მონასტერი და 2 სახლი. ამჟამად თავიანთ საკუთარ მონასტრებსაც სხვებზე აქირავებენ. რადგან ამუდის მონასტერს ისინი სრულიად არ საჭიროებენ, ამიტომ ხსენებულ მონასტერში, წმინდა ბრძანების შესაბამისად[51] ფრანცისკანელი ბერები იქნან დასახლებულიო,

---

48 ტექსტში تمسك თამასუქი წერია.

49 იგულისხმება მამლუქი სულთანი, ალ-მალიქ ალ-აშრაფ აბუ-ნ-ნაშრ საიფ ად-დინ ინალი, 1453—1460 (წარმოშობით ჩერქეზი).

50 ჰუჯათი — არაბ. حجة დოკუმენტი, ამონაწერი სასამართლო ოქმების დავთრიდან. ვრცლად იხ. ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. I, თბ., 1969, გვ. 166—169.

51 იგულისხმება სულეიმან კანუნის მიერ 1558 წელს გამოცემული სიგელი. იხ. აქვე, გვ. 126—127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მოგვახსენეთ. თუ ეს ასეა, ვბრძანებ, რომ ხსენებული ამუდის მონასტერი დაუმტკიცდეს ფრანცისკანელ ბერებს. გამოვეცი უავგუსტოესი ჰუქმი, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს და ვბრძანე, როგორც ზემოთ იყო განმარტებული, ამიერიდან ხსენებულ მონასტერში დასახლდნენ და დამკვიდრდნენ ფრანცისკანელი ბერები იმ დრომდე, ვიდრე წმინდა კანონებს არ დაარღვევენ, წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებენ და ჩემს უავგუსტოეს ბრძანებას არ ეურჩებიან. ქართველები და სხვა ვინმეები მათ საქმეში არ ჩაერიონ და წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ასეთის მსურველებს აუკრძალეთ და ხელი შეუშალეთ. ვინც არ დაიშლის, მათი სახელები ჩამოწერეთ და ჩემს ბრწყინვალე კარზე არზა გამოგზავნეთ. ასე იცოდეთ! მას შემდეგ, რაც ჩემს უავგუსტოეს ჰუქმს გაეცნობით, იგი ფრანცისკანელ მღვდლებს ჩააბარეთ. წმინდა ბრძანებას მიენდეთ.

დაიწერა 968 წლის ჯუმად-ალ-ევველის დასაწყისში (-1561 წლის იანვარს), ღვთივდაცულ კონსტანტინოპოლში.

Ц. А. АБУЛАДЗЕ

## ХЮКМЫ СУЛЕЙМАНА КАНУНИ О ПЕРЕДАЧЕ ФРАНЦИСКАНЦАМ ОДНОГО ГРУЗИНСКОГО МОНАСТЫРЯ В ИЕРУСАЛИМЕ

Резюме

С XVI века грузины потеряли в Иерусалиме свое былое могущество. Они не могли обеспечивать свои монастыри и обители нужным количеством людей и оплачивать возрастающие налоги и хозяйственные расходы. Поэтому вынуждены были отдавать в заем или в залог свои монастыри и приюты армянам, грекам и францисканцам; следовательно, грузинские монастыри, церкви, обители и места паломничества постепенно переходили в руки армян и францисканцев, а греки оказались «законными» наследниками всего грузинского на Святой Земле.

После завоевания Палестины Высокая Порта решала все дела подвластных ей христиан. Османские султаны возводили и низводили каталикосов и епископов, фирманами и хюкмами закрепляли за ними церкви и монастыри. В архиве церкви францисканцев — Custodia di Terra Santa — хранятся хюкмы, выданные Сулейманом Кануни для разрешения спорных вопросов, возникших между грузинами и францисканцами.

В статье публикуются хюкмы 1558 и 1561 годов о закреплении грузинского монастыря Амуда (-della Colonna, монастырь Столба) за францисканцами, платившими вакф 40000 акче.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ გოგინაშვილი

# ნათესაობის სისტემების სოციალური განპირობებულობის პრობლემა

## (მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ნათესაობის სისტემების კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მათი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების დადგენა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ნათესაობის სისტემებისა და სოციალური ორგანიზაციების კავშირის ზოგადი პრობლემა ყოველთვის იდგა ეთნოგრაფთა ყურადღების ცენტრში.

ამერიკელი ეთნოგრაფი ლ. ჰ. მორგანი ნათესაურ ტერმინებს თვლიდა იმ სოციალური ინსტიტუტების წარმონაქმნად, რომლებიც ამ სისტემების ფუნქციონირების პერიოდში უკვე აღარ არსებობდნენ[1]. ამიტომ, ნათესაური ტერმინოლოგია ლ. მორგანისათვის წარმოადგენდა გარკვეულ საისტორიო წყაროს, რომლის მიხედვითაც ის ცდილობდა აღედგინა საზოგადოების განვითარების განვლილი საფეხურები.

ლ. მორგანის დებულება გაიზიარა ინგლისელმა ეთნოგრაფმა უ. რივერსმა, რომელიც თვლიდა, რომ ნათესაურ ტერმინოლოგიაში შენარჩუნებული გადმონაშთების მიხედვით შეიძლება ქორწინების ადრეული ფორმების აღდგენა[2].

პრინციპულად სხვა თვალსაზრისი წამოაყენა მეორე ინგლისელმა ანთროპოლოგმა ა. რ. რედკლიფ-ბრაუნმა. მისი აზრით, ნათესაური ტერმინოლოგია ასახავს არა წარსულ, არამედ თანამედროვე მდგომარეობას[3]. მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ამერიკელმა ეთნოგრაფმა რ. ჰ. ლოუიმაც[4], რომელმაც ამავე დროს, მიუთითა, რომ ყველა ტერმინოლოგიური თავისებურების სოციალური მიზეზებით ახსნა შეუძლებელია[5].

თეზისი ნათესაობის ტერმინების მიერ ქრონოლოგიურად შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების ასახვის შესახებ XX ს-ის 30—40-იან წლებში გაიზიარეს საბჭოთა ეთნოგრაფებმა მ. მარკელოვმა, ს. ტოკარევმა, ე. კრიჩევსკიმ[6], ხოლო შემდგომ პერიოდში ამ თვალსაზრისის გამტარებლად მოგვევლინა დ. ოლდეროგე, რომელმაც მიიჩნია, რომ ნათესაობის სისტემა საკმაოდ

---

[1] Л. Г. Морган, Древнее общество, Л., 1934, გვ. 118—119.

[2] М. В. Крюков, Система родства китайцев (Эволюция и закономерности), М., 1972, გვ. 47.

[3] A. R. Radcliffe-Brown, The study of kinship systems In: Structure and function in primitive society. N.-Y. 1965, გვ. 61.

[4] R. H. Lowie, The kinship systems of the Crow and Hidatsa In: Lowie's selected papers in anthropology. Berkeley and Los Angeles (შმდ. Lowiés...), გვ. 75.

[5] R. H. Lowie, Nomenclature and social structure In; Lowie's გვ. 130.

[6] М. Маркелов, Система родства у угро-финских народностей, „Этнография", 1928, № I, გვ. 69; Д. А. Ольдерогге, Некоторые вопросы изучения систем родства, „Советская эгнография" (შმდ. СЭ), 1958, № 1, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად გამოხატავს ცვლილებებს საზოგადოებრივ წყობაში და წარმოადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ სტრუქტურაში რეალურად არსებული ურთიერთობების ასახვას ენაში, მეორე მხრივ კი თვითონ წარმოადგენს ენის ლექსიკური შემადგენლობის ნაწილს და არ შეიძლება შენარჩუნდეს ათასწლეულების მანძილზე, როგორც ამას თვლიდა მორგანი[7].

ზემოთ მოცემული ორი შეხედულების სინთეზს წარმოადგენს ლ. შტერნბერგის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნათესაური ნომენკლატურა არის ახლა არსებული, ან უკვე გამქრალი სქესობრივი ნორმების ცოცხალი ასახვა[8]. დაახლოებით იმავე აზრისაა საბჭოთა ეთნოგრაფი ნ. გირენკო, რომელმაც ნათესაური ტერმინოლოგია სოციალურ ურთიერთობათა სისტემასთან შედარებით უფრო ინერტულად მიიჩნია და, ამავე დროს, დაუშვა, რომ საზოგადოების განვითარების წინა ეტაპზე წარმოქმნილი ეს ტერმინოლოგია რეალურ ნათესაურ და სოციალურ ურთიერთობებს გამოხატავს. ტერმინოლოგიის ახალი ელემენტები იქმნება ძველი კატეგორიების გამოყენების შეუძლებლობის, ან მათი უკმარისობის დროს. ამიტომ, ნათესაობის ტერმინების სისტემაში შეიძლება არსებობდეს ტერმინთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მთელი სისტემის წარმოქმნის სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება. ეს განაპირობებს ტერმინოლოგიის საისტორიო წყაროდ გამოყენების შესაძლებლობას.

ნათესაობის სისტემების სოციალური განპირობებულობის პრობლემის მეორე მხარეს წარმოადგენს ტერმინოლოგიის წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების რაობის საკითხი. ლ. მორგანი თვლიდა, რომ ნათესაური ნომენკლატურა შეიძლება წარმოშვას ოჯახის და ქორწინების ფორმებმა, ან გვაროვნულმა ორგანიზაციამ[10]. ამ თვალსაზრისმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა, მაგრამ ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებამ გამოავლინა, რომ შესაძლებელია ტერმინოლოგიური თავისებურებების შექმნა სხვა სოციალური ინსტიტუტებითაც, რომელთა შორისაც არის ეგზოგამია, ლევირატისა და სორორატის ნორმები, ნათესავებს შორის არსებული უფლებრივი ურთიერთობები[11], საქორწინო დასახლების პრინციპები[12] და სხვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლ. მორგანის მიერ გამოვლენილი სოციალური დეტერმინანტების[13] დიდი მნიშვნელობა შენარჩუნებულ იქნა სხვადასხვა

---

[7] Д. А. Ольдерогге, Малайская система родства, „Труды Института этногра фии" (შმდ. ТИЭ), т. XIV, М., 1951, გვ. 30—31.

[8] Л. Я. Штернберг, Семья и род у народов Северо-Восточной Азии, Л., 1933, გვ. 27.

[9] Н. М. Гиренко, Система терминов родства и система социальных категорий, СЭ, 1974, № 6, გვ. 49; მისივე, К вопросу об эволюции систем родства у некоторых народов экваториальной и тропической Африки, „Африканский этнографический сборник", XI, Л., 1978, გვ. 16.

[10] Л. Г. Морган, დასახ. ნაშრომი, გვ. 220—221.

[11] R. H. Lowie, Exagamy and the classificatory systems of relationship. In: Lowie's... გვ. 48—64; მისივე, Family and sib. იქვე, გვ. 88. Ю. М. Лихтенберг, Система родства О. Рага и вопрос о геронтократии в Меланезии (Автореферат кандидатской диссертации), „Краткие сообщения Института этнографии', IV, М., 1948, გვ. 100.

[12] ეს აზრი გამოთქვა ჯ. მერდოკმა (იხ. М. В. Крюков, Система родства китайцев, გვ. 46).

[13] იხ. მაგ. R. H. Lowie, The Omaha aud Crow kinship terminologies. In: Lowie's გვ. 110. Ю. М. Лихтенберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 100 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფიული გამოკვლევების შემდეგაც.

როგორც ვხედავთ, ნათესაობის სისტემების სოციალური განპირობებულობის პრობლემის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც ძირითადად შეეხება ტერმინოლოგიისა და მისი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების ქრონოლოგიური შესაბამისობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ნომენკლატურის თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების რაობის დადგენა, რაც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი მასალების საშუალებით ზემოხსენებული ზოგადი პრობლემის განხილვის საშუალებას მოგვცემს.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის სისტემის თავისებურებების გამოვლენამდე საჭიროა პირველ რიგში გავეცნოთ ნათესაობის გამომხატველ ადგილობრივ ტერმინებს, რომელთა შესაბამისი ნათესაური ურთიერთობების ფიქსაციისას გამოყენებული იქნება ინგლისურენოვანი კოდი[14]. ამ კოდის მიხედვით შესაძლებელია შემდეგი სახის შემოკლებები:

მამა — F, დედა — M, და — Z, ძმა — B, ქალიშვილი — D, ვაჟიშვილი — S, ქმარი — H, ცოლი — W, შვილი — Ch. ამ კოდს სხვა აღნიშვნებიც აქვს, მაგრამ ჩვენი მასალის გადმოსაცემად საკმარისია ეს ცხრა სიმბოლოც. შედგენილი ნათესაური ურთიერთობები წაიკითხება მარცხნიდან მარჯვნივ: მაგალითად, დედის ძმა აღინიშნება ასე: MB, დის ქალიშვილი = ZD და ა. შ.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგია

| ნათესაობის ტერმინები | შესაბამისი ნათესაური ურთიერთობები | |
|---|---|---|
| პაპა | FF, MF, FFB, MFB | |
| ბებია | MM, FM | |
| მამა | F | |
| დედა | M | |
| და | Z | |
| ძმა | B | |
| ქმარი | H | |
| ცოლი | W | |
| ბიძა | FB, FFBS | ყველა ეს ტერმინი ვრცელდება იმავე რიგის შორეულ ნათესავებსა და მოგვარეებზედაც. მაგ. „ბიძა“ აღნიშნავს მამის ასაკის ყველა ნათესავსა და მოგვარეს, „ძმისწული“ — შვილის თაობის ყველა ნათესავსა და მოგვარეს და ა. შ. |
| მამიდა | FZ, FFBD | |
| დედიძმა | MB, MFBS | |
| დედიდა | MZ, MFBD | |
| ბიძაშვილი | FBCh, FFBSCh | |
| მამიდაშვილი | FMCh, FFBDCh | |
| დედიძმიშვილი | MBCh, MFBSCh | |
| შინში | MZCh, MFBDCh | |
| ძმისწული | BCh | |
| დისწული | ZCh | |

[14] არსებობს ი. ლევინის მიერ შემოთავაზებული რუსული კოდიც (იხ. Ю. И. Левин, Об описании системы терминов родства, СЭ, 1970, № 4, გვ. 18—30), მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნა ი. სემიონოვმა, ეს კოდი ძალიან რთულია და აძნელებს მასალის გაგებას (იხ. Ю. И. Семёнов. М. В. Крюков, Система родства китайцев (Эволюция и закономерности), М., 1972, გვ. 325, СЭ, 1973, № 2, გვ. 169).

| ნათესაობის ტერმინები | შესაბამისი ნათესაური ურთიერთობები | |
|---|---|---|
| შვილიშვილი | ChCh | |
| სიმამრი | WF | |
| სიდედრი | WM | |
| ცოლისძმა | WB | |
| ცოლისდა | WZ | |
| მამამთილი | HF, HFB | ყველა ეს ტერმინი ვრცელდება უფრო დაშორებულ მოყეთე ნათესავებზედაც. მაგ., მამამთილი შეიძლება იყოს ქმრის მამის ასაკს უფრო დაშორებული აგნატი ნათესავი. ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც საწყისი ნათესავის სქესი და თაობა ნარჩუნდება |
| დედამთილი | HM, HFBW | |
| მული | HZ, HFBD | |
| მაზლი | HB, HFBS | |
| სიძე | DH, ZH, FBDH | |
| რძალი | SW, BW, FBSW | |
| ძალუა | FBW, FFBSW | |

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგიის ანალიზის დაწყებამდე საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ამერიკელი ანთროპოლოგის ა. კრიობერის მიერ აღმოჩენილი კატეგორიების რაობას.

1909 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ნათესაობის კლასიფიკატორული სისტემები“ ა. კრიობერმა მიუთითა, რომ ნათესავებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები, რომლებიც სხვადასხვანაირად აისახება ტერმინოლოგიაში. მან გამოჰყო სულ რვა ასეთი ნიშანი ანუ კატეგორია:

**1.** განსხვავება თაობებს შორის; **2.** განსხვავება პირდაპირ და გვერდით ნათესავებს შორის; **3.** განსხვავება ასაკში ერთი თაობის შიგნით; **4.** განსხვავება ნათესავის სქესში; **5.** განსხვავება მოლაპარაკის სქესში; **6.** განსხვავება დამაკავშირებელი ნათესავის სქესში; **7.** სისხლით ნათესავების განსხვავება მოყეთე ნათესავებისაგან; **8.** დამაკავშირებელი ნათესავის მდგომარეობა (სიცოცხლე ან სიკვდილი, დაქორწინებული ან დაუქორწინებელი), რომელზედაც არის დამოკიდებული ეგოს ურთიერთობა ალტერთან[15].

შემდგომი ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ნათესაობის სხვადასხვა სისტემაში შეიძლება არსებობდეს სხვა, ა. კრიობერის მიერ გამოუვლენელი კატეგორიებიც[16], რაც მიუთითებს კატეგორიების რაოდენობისა და რაობის დამოკიდებულებაზე კონკრეტული მასალის ხასიათთან.

კატეგორიების არსებობა საშუალებას გვაძლევს უკეთ განვიხილოთ კავშირი ნათესაურ ნომენკლატურასა და შესაბამის სოციალურ ინსტიტუტებს

[15] A. L. Kroeber, Classificatory systems of relationship. The Journal of the Royal Anthropological Institute of Great Britain and Ireland, 1909, vol. XXXIX, გვ. 78—79.

[16] W. H. Goodenough, Componential analysis and the study of meaning. „Language“. 1956, vol. 32. № 1. გვ. 205—206; L. Pospisil, and W. S. Langhlin, Kinshipterminology and kindred among the Nunamiut Eskimo. „Ethnology“, 1963, vol. II, № 2, გვ. 185—186; Э. Г. Соселия, Анализ систем терминов родства, Тб., 1979, გვ. 29—32 და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შორის[17]. ამიტომ კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის კვლევისას დიდი ყურადღება მიექცევა ნათესაურ კატეგორიებსაც.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად გამოვლენილი კატეგორიები ასეა ასახული ნომენკლატურაში: **1.** ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან არის გამიჯნული სისხლით და მოყვრობითი ნათესაობა, აგრეთვე, ნათესაობის პირდაპირი — გვერდითი ხაზები. ეს უკანასკნელი თავისებურება დამახასიათებელია ყველა თაობისათვის, მეორე აღმავალის გარდა; **2.** ალტერების სქესობრივი დიფერენციაცია არის მხოლოდ ნაწილობრივი; **3.** მთელ ტერმინოლოგიაში (5 თაობაში) მკაფიოდ არის დაცული ტერმინების გამიჯვნა თაობრივი ნიშნის მიხედვით; **4.** ერთი გენეალოგიური თაობის შიგნით თაობის წევრთა შორის არსებული ასაკობრივი განსხვავება არ არის ასახული ნათესაურ ტერმინოლოგიაში.

გარდა ამ კატეგორიებისა, ნომენკლატურისათვის არის დამახასიათებელი სხვა თავისებურებებიც:

1. ყველა თაობაში მამისა და დედის მხრიდან ნათესაობა ერთმანეთისაგან გამიჯნულია; **2.** უფრო ხშირია კლასიფიკატორული ტერმინები, რომლებიც ვრცელდება არა მარტო სისხლით ნათესავებზე, არამედ შესაბამისი, ფორმალური ნიშნების მქონე მოგვარეებზედაც; **3.** ქალის მოკეთეების აღმნიშვნელი ტერმინები უფრო მეტი რაოდენობის პირებს მოიცავს, ვიდრე მამაკაცის მოკეთეების აღმნიშვნელი ტერმინები.

ეს არის ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი ძირითადი სტრუქტურული ნიშნები, რომელთა სოციალური საფუძვლების დადგენის შემდეგ შესაძლებელი გახდება ნათესაობის სისტემის შემქმნელი ინსტიტუტებისა და ამ ინსტიტუტების ტერმინოლოგიურ თავისებურებებთან ქრონოლოგიური შესაბამისობის განსაზღვრა.

ნათესაური ტერმინოლოგიების ერთ მეტად საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სისხლით ნათესავებს შორის არსებული ქორწინების შემთხვევაში ერთი და იგივე პირი შეიძლება აღინიშნოს როგორც მოკეთეობის, ისე სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინით[18]. ცხადია, რომ ისეთ საზოგადოებებში, სადაც მკაცრად არის აკრძალული ნებისმიერ სისხლით ნათესავთან ქორწინება, სისხლითნათესაური და მოკეთეობრივი ტერმინოლოგიები ერთმანეთში არ უნდა იყოს აღრეული. ასეთ ვითარებას ვხვდებით სწორედ მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაურ ტერმინოლოგიაში და ამ თავისებურებას მკაფიოდ შეესაბამება ამ კუთხეებში მკაცრად დაცული ნათესაური ეგზოგამიის ნორმები, რომელიც ვრცელდება როგორც აგნატიკურ, ისე დედის მხრიდან ნათესაობაზე[19]. მეტად საინტერესოა

---

[17] იხ. მაგალითად, პრობლემის შესახებ: L. Dumont, The Dravidian kinship terminology as an expression of marriage, Man. 1953, vol. LIII, articles 53—72. გვ. 39, P. G. Epling. A note on Njamal kin term usage, Man, 1961, vol. LXI, articles; 183—199, გვ. 156—157; М. В. Крюков, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

[18] Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 71. M. S. Robinson, Some observations on the Kandyan Sinhalese kinship system Man, 1968, vol. 3, № 3, გვ. 413 და სხვა.

[19] მშობლების სისხლით ნათესავებზე ეგზოგამიის გავრცელებას დ. ოლდეროგე უწოდებს ბილატერალური ხასიათის ეგზოგამიას (იხ. მისი, Малайская система родства, გვ. 35). ჩვენი

ის ფაქტი, რომ ახლაც მთიულეთსა და გუდამაყარში დაცულია ქორწინების აკრძალვა ნებისმიერ ნათესავთან, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს ნათესაური ტერმინოლოგიისა და მის თანადროულად არსებული სოციალური ინსტიტუტის შესაბამისობაზე.

მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული რეალობის მეტად საყურადღებო ნიშანს წარმოადგენს ნათესაური ეგზოგამიის პრინციპების გავრცელება მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზედაც, რომლებთანაც ეგოს აღარავითარი გენეალოგიური კავშირები აღარა აქვს. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ქორწინების იშვიათი შემთხვევები მოგვარეებს შორის, მაგრამ ეს ხალხს წესის დარღვევად მიაჩნია, ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობაში მოგვარეებს შორის ქორწინების შეუძლებლობის რწმენა ახლაც საკმაოდ ძლიერია. ამ მოვლენას კარგად შეესაბამება სისხლით ნათესაური ტერმინების გავრცელება მშობლების მოგვარეებზე და ქალი მოგვარის შვილებზედაც, ე. ი. ყველა იმ პირზე, ვისთანაც არ შეიძლება ქორწინება.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია სისხლით ნათესაობის ტერმინების არანათესავებზე გავრცელების მაგალითები[20]. ერთი შეხედვით მთიულეთსა და გუდამაყარში მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აქ მსგავსება მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებს, რადგანაც ზოგადად სისხლითნათესაური ტერმინის გავრცელება არანათესავზე მხოლოდ მიმართვის ფორმაში გამოიხატება და ნებისმიერი პირის მიმართ შეიძლება იქნას გამოყენებული ეგოს ნებასურვილის მიხედვით. ამ შემთხვევაში ნათესაური ტერმინი თითქოს ზრდილობიანი მიმართვის ფორმას იღებს. სრულიად სხვა ვითარებაა მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზე სისხლითნათესაური ტერმინის გამოყენების შემთხვევაში. ამ დროს ტერმინი ატარებს უკვე არა მიმართვის, არამედ აღნიშვნის ფორმას და ვრცელდება მხოლოდ გარკვეული გვარის, ასაკისა და სქესის ნიშნის მიხედვით. მაგალითად, რომელიმე წიკლაური მამის ასაკის მოგვარე პირზე იტყვის, რომ ის ბიძად ეკუთვნის, დედის მოგვარე და მისი ასაკის მამაკაცს დედისძმად მოიხსენიებს და ა. შ. ასეთი ვითარების გამო ცხადია, რომ მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზე ნათესაური ტერმინის გავრცელებას მკაფიოდ გამოხატული ნორმატიული ხასიათი აქვს. ეს ვითარება კი, მოგვარეებზე გავრცელებული ნათესაური ეგზოგამიის გარდა, დაკავშირებულია მოგვარეებს შორის არსებულ გარკვეულ იდეოლოგიურ ერთიანობასთანაც, რომელიც გამოხატულია საერთო წარმომავლობის პრინციპებზე დაფუძნებულ გვარზე გავრცელებულ ეგზოგამიის ნორმებში. ამ შემთხვევაში საერთო წარმომავლობის რწმენა და ეგზოგამია საკმაოდ მტკიცედ ჩანს ურთიერთგადაჯაჭვული[21]. და ორივეს ერ-

---

აზრით, ტერმინი „ნათესაური ეგზოგამია“ უკეთ უჩვენებს ყველა ნათესავზე ეგზოგამიის გავრცელების პრინციპებს.

[20] R. H. Lowie, Family and sib. გვ, 83—84. T. Gladwin, Comanche kin behavior, „American Anthropologist“, vol. 50, № 1, part. 1, 1948, გვ. 80.

[21] მოგვარეებს შორის სისხლით ნათესაობის რწმენის შენარჩუნებას ოსებში ეგზოგამიის წესებს უკავშირებს ნ. ჯავახაძე (იხ. Н. В. Джавахадзе, Система родства осетин, Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1983, გვ. 118).

თად შეესაბამება სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ფართო შინაარსის მომცველი ტერმინები[22].

ქორწინების ფორმებს კარგად უჩვენებს მეუღლეობის აღმნიშვნელი ტერმინების ინდივიდუალური ხასიათი, რაც მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ნომენკლატურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა.

როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, არსებობს ისეთი ნათესაური ტერმინოლოგიები, რომლებშიც ტერმინებს „ცოლი“ და „ქმარი“, ან ერთ-ერთ მათგანს, აქვს კლასიფიკატორული ხასიათი. ასეთი ვითარება. შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებებში, სადაც დაშვებულია სქესობრივი ურთიერთობები რამდენიმე გარკვეულ პირთან, ან შესაძლებელია მეუღლის რამდენიმე სისხლით ნათესავთან ერთდროული ქორწინება. ასეთ შემთხვევაში ტერმინები „ცოლი“ და „ქმარი“ ვრცელდება ყველა იმ პირზე, ვისთანაც შესაძლებელია სქესობრივი ურთიერთობების დამყარება და ვისთანაც ქორწინება დაშვებულია[23]. ამდენად, გარკვეულ საზოგადოებებში მეუღლეობის ამსახველი ტერმინები კარგად უჩვენებენ სქესობრივი ურთიერთობებისა და ქორწინების ნორმებს. ვფიქრობ, რომ მსგავს შესაბამისობას აქვს ადგილი მთიულეთსა და გუდამაყარშიც, სადაც ტერმინების — „ცოლი“ და „ქმარი“ — ინდივიდუალური ხასიათი გამორიცხავს მეუღლის გარდა სხვა პირთან ლეგალური და წეს-ჩვეულებებით განპირობებული სქესობრივი ურთიერთობებისა და ერთდროულად რამდენიმე მეუღლის არსებობის შესაძლებლობას. ეთნოგრაფიული მასალები ამტკიცებს ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების მართებულობას, რადგანაც მთიულეთსა და გუდამაყარში ადამიანს ერთდროულად ორი მეუღლე არ შეიძლება ჰყავდეს და, ამავე დროს, ცოლ-ქმრული ღალატი ადგილობრივი ჩვეულებებით დაშვებული არაა.

როგორც ვხედავთ, ზემოთგანხილული ტერმინოლოგიური თავისებურებები თანაარსებობენ მათ წარმომქმნელ სოციალურ საფუძვლებთან. ეს ფაქტი კი მეტად მნიშვნელოვანია მთელი ნომენკლატურის სოციალურ ინსტიტუტებთან ქრონოლოგიური შესაბამისობის გადაწყვეტის საქმეში.

მთიულეთისა და გუდამაყრის ტერმინოლოგიის სხვა მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ნათესაობის პირდაპირი ხაზის გვერდით ხაზისაგან გამიჯვნის ფაქტი პირველ აღმავალ, ნულოვან და ორივე დაღმავალ თაობებში.

---

22 უახლოესი სისხლის ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების ეგზოგამიურ პირებზე გავრცელების საინტერესო მაგალითს ვხვდებით უგანდის ერთ-ერთ ტომში. იქ, სადაც არ შეიძლება ქორწინება კუზენებთან, ეს უკანასკნელნი აღინიშნებიან სიბლინგების ამსახველი ტერმინებით, ხოლო იქ, სადაც კროსკუზენები არ არიან ეგზოგამიური პირები, მათზე უახლოესი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები არ ვრცელდება. იხ. K. Oberg, Kinship organization of the Banyankole, „Africa“, 1938, vol. XI, № 2, გვ. 141 — 151. მაგრამ ასეთი ვითარება, როგორც ჩანს, არაა უნივერსალური, რადგანაც აფრიკის სხვა ტომში — სვაზის ტომში ენდოგამიურ პირებზე ვრცელდება უახლოესი სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინები — დედა, ბებია. იხ. A. Kuper, Rank and preferential marriage in sorthern Africa: the Swazl. Man, 1978, vol. 13, № 4, გვ. 575.

23 Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; F. G. Lonsbury, A Semantic analysis of the Pawnee kinship usage, „Language“, 1956, vol. 32, № 1, გვ. 166; 187.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენი აზრით, ნათესაობის ხაზების ერთმანეთისაგან გამიჯვნა მიუთითებს რომელიმე ხაზის ნათესაობის უფრო მეტ მნიშვნელობაზე უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ნათესაურ ტერმინოლოგიას შეუძლია მიუთითოს, რომ რომელიმე ხაზის ნათესაობა მეორესთან შედარებით უფრო დაწინაურებულია, მაგრამ მას არ შეუძლია გვიჩვენოს დაწინაურებული ნათესაობის ვინაობა. ამის დადგენა მხოლოდ ნათესაური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალებითაა შესაძლებელი. მაგალითად, მთიულეთისა და გუდამაყრის ზემოთ ხსენებული ტერმინოლოგიური თავისებურება მიუთითებს, რომ ნათესაობის პირდაპირი ხაზი განსხვავდება გვერდითისაგან, მაგრამ არ უჩვენებს, რომელი ხაზის ნათესაობაა დაწინაურებული უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ამიტომ, ამ შემთხვევაში აუცილებელია სხვა რიგის ეთნოგრაფიული მასალების მოშველიებაც, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ ნათესაობის პირდაპირი ხაზი ზოგადად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ეგოსთვის უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, ვიდრე კოლატერალური ნათესაობა. მაგალითად, ეგო არის მამის მემკვიდრე. მამა იღებს ორივე სქესის შვილის დაქორწინებაში ყველაზე დიდ მონაწილეობას; ასევე შვილი არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სიბლინგების შვილები, რადგანაც მხოლოდ შვილია უშუალო მემკვიდრე და უშუალო ზრუნვის ობიექტი. ასევე განსხვავებაა დედასა და დედის მხრიდან გვერდით ნათესავებს შორისაც. მართალია, დედის ძმას აქვს გარკვეული როლი დისქალიშვილის ქორწინების ორგანიზაციაში, მაგრამ დედის როლი უფრო მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, დედის ძმასთან ეგოს არავითარი მემკვიდრეობითი კავშირები არა აქვს, დედის მზითევი და თავნი კი მისი სიკვდილის შემდეგ ქალიშვილებს რჩებათ[24]. გარდა ამისა, დედის უშუალო როლი ბავშვების გაზრდაში ძალიან მნიშვნელოვანია, მისი სიბლინგები კი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ამ საქმიანობაში. თუკი ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ დედის დას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა ეგოს ცხოვრებაში, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაშიც ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებს ნათესაობის პირდაპირი ხაზის დაწინაურებაზე გვერდითთან შედარებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

როგორც ვხედავთ, ეთნოგრაფიული მასალებისა და ნათესაური ტერმინოლოგიის თავისებურების ერთობლივმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ნათესაობის პირდაპირი — გვერდითი ხაზების გამიჯვნის სოციალური საფუძვლები, რომლებიც ქრონოლოგიურად თანაარსებობენ მათ მიერ წარმოქმნილ ტერმინოლოგიურ თავისებურებებთან.

მთიულეთისა და გუდამაყრის სისხლით ნათესაური ნომენკლატურისათვის დამახასიათებელია ნათესავთა სქესობრივი დაყოფის არასრული ასახვა ტერმინოლოგიაში. მაგალითად, პირველ აღმავალ თაობაში ყველა ნათესავი სქესის მიხედვით გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ხოლო ნულოვან თაობაში ასეთი ვითარება არა გვაქვს. აქ მხოლოდ სიბლინგები გამოიყოფიან ერთმა-

24 ვ. ითონიშვილი, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული" (შდ. კეკ.), III, თბ., 1971, გვ. 134; ლ. მელიქიშვილი, ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში — სათავნო, კეკ, III, თბ., 1971, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეთისაგან, ხოლო დანარჩენ ნათესაურ ტერმინებში სქესობრივი ნიშანი ასხვავებს მხოლოდ დამაკავშირებელ ნათესავსა და არა ალტერს. პირველ დაღმავალ თაობაში სქესობრივი გამიჯვნა არის პირდაპირი ხაზის ნათესაობაში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, ნულოვანი თაობის მსგავსად, სქესობრივად მხოლოდ დამაკავშირებელი ნათესავები დიფერენცირდებიან.

მთიულეთისა და გუდამაყრის ტერმინოლოგიაში სქესობრივი დაყოფის არასრული ასახვის პრობლემის გადასაწყვეტად დავუშვათ, რომ სქესობრივი დაყოფის შემთხვევაში რომელიმე სქესის უპირატესობასთან გვაქვს საქმე უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მთიულეთსა და გუდამაყარში მამაკაცი ნათესავების როლი უფრო მაღალი იყო შესაბამისი ქალი ნათესავების უფლებრივ-ქონებრივ მდგომარეობასთან შედარებით. მაგალითად, მამის როლი ბევრად მნიშვნელოვანია დედის როლთან შედარებით, რადგანაც შვილი მამის ქონებას იღებს[25], მამის ძმისა — მამის დისაზე და ა. შ., რადგანაც ბიძას აქვს გარკვეული როლი ძმისწულის ცხოვრებაში მამიდისაგან განსხვავებით. თუკი ამის შემდეგ მივუბრუნდებით ნათესაურ ტერმინოლოგიას, დავინახავთ, რომ ყველა ის მამაკაცი ნათესავი, რომელსაც აქვს შესაბამის ქალ ნათესავზე მეტი როლი ეგოს ცხოვრებაში, გამოყოფილია ამ უკანასკნელისაგან სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ეს ნათესავებია: მამა, ბიძა, დედისძმა.

მსგავსი ვითარებაა ნულოვან თაობაშიც, მაგრამ არასრული სახით. მაგალითად, მამის ძმის შვილები არიან გამოყოფილნი მამის დის შვილებისაგან, რაც პირველთა უფრო მეტ სიახლოვეს უჩვენებს და ეს მტკიცდება კიდეც ბიძაშვილების მეტი როლით მამიდაშვილებთან შედარებით, მაგრამ თვით ბიძაშვილებს შორის არაა სქესობრივი განსხვავება. თუკი გავიხსენებთ ჩვენს ჰიპოთეზას, მაშინ სქესობრივი ნიშნის გაქრობა უნდა ასახავდეს ნათესავთა გარკვეულ თანაბრობას.

ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, მამის ძმის ვაჟს XX საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ეგოსთვის. ის იყო ეჯიბი ბიძაშვილის ქორწილში და შესაძლოა ალალი ბიძაშვილი ვაჟები ყოფილიყვნენ ერთმანეთის მემკვიდრეებიც, თუკი კაცს არ დარჩებოდა არც შვილი, არც ძმა და არც ძმის შვილი[26]. ამ ვითარების გამო, ცხადია, რომ მემკვიდრეობის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ბიძაშვილის რეალურ უფლება-მოვალეობად რჩებოდა მისი ეჯიბობა ქორწილში. ჩვენი ვარაუდით, ეს მომენტი არაა საკმარისი მამის ძმის ვაჟის მამის ძმის ქალიშვილისაგან გამოსაყოფად და სწორედ ამის გამო არის ერთი ტერმინის ქვეშ ეს ორი ნათესავი გაერთიანებული.

ალტერის სქესის ნეიტრალურობის კავშირი ამ ნათესავების ეგოსთვის თანაბარ მნიშვნელობასთან კარგად ჩანს ტერმინებში „მამიდაშვილი“, „დე-

---

25 მართალია, ქალიშვილები დედის კუთვნილ სათავნოს და მზითევს იღებდნენ, მაგრამ მათი ოდენობა მამაკაცზე გადასულ ქონებასთან შედარებით უმნიშვნელო იყო (იხ. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134; ლ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

26 ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 129; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი, საქაღალდე № 622, გვ. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიძიშვილი“, „შინში“, რომლებშიც გაერთიანებული არც ერთი მამაკაცი ნათესავი არაა უფრო ახლო ეგოსთან მათ დებთან შედარებით, რადგანაც პრაქტიკულად არც ერთი სქესის ხსენებულ ნათესავს არა აქვს მეტ-ნაკლებად სტაბილური მნიშვნელობა ეგოს ცხოვრებაში უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ასეთი ვითარების გამო შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ სამივე ნათესაური ურთიერთობა გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ერთი ტერმინის ქვეშ, მაგრამ ტერმინების სქესობრივ გამიჯვნას მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაურ ნომენკლატურაში სხვა ფუნქციაც აქვს. ის გამიჯნავს მშობლების აგნატ ნათესავებს დანარჩენი ნათესავებისგან, რაც აგნატიკური ნათესაობის უპირატესობის გამომხატველია ტერმინოლოგიაში. ამ ფუნქციის გამო გამოყოფილია ერთმანეთისაგან დედის ძმის და დედის დის შვილები. რაც შეეხება მამის დის შვილს, ის ბიძაშვილისაგან ორი მიზეზითაა გამოყოფილი: ბიძაშვილების მამიდაშვილებთან შედარებით მეტი როლისა და მათი აგნატურობის გამო.

სქესობრივი ნიშანი აბსოლუტურად ნეიტრალურია ტერმინ „შვილიშვილში“. აქაც ეს ვითარება შეესაბამება რეალურ სოციალურ თავისებურებებს, რადგანაც ეგოსთვის აღარაა განსხვავება ქალის შვილსა და ვაჟის შვილს შორის. მართალია, ვაჟის ვაჟი მისი მემკვიდრის მემკვიდრეა, მაგრამ ასეთი გაშუალებული ურთიერთობები, როგორც ჩანს, არ გამოიხატება ტერმინოლოგიაში. რაც შეეხება აგნატიკური ნათესაობის გამოყოფას სხვა ნათესაობისაგან, ეს პრინციპი არაა დაცული ამ შემთხვევაში, რაც მეორე დაღმავალი თაობის თავისებურად უნდა ჩაითვალოს.

პრაქტიკულად არაა განსხვავება დის შვილებს შორისაც. დედის ძმა იღებს გარკვეულ მონაწილეობას დის ქალიშვილის გათხოვებაში[27] და, ამავე დროს ურთიერთპატივისცემის ნიშნით აღნიშნული თბილი ურთიერთობა აქვს დის ვაჟთან. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც სქესობრივი ნიშნის შერწყმა კარგად შეესაბამება ნათესავებს შორის განსხვავების არარსებობას.

სქესობრივი დიფერენციაცია მეტად საინტერესო ხასიათს ატარებს უშუალო შთამომავლებში, სადაც ტერმინი შვილი მხოლოდ მამაკაც ნაშიერს აღნიშნავდა უახლოეს წარსულში. ახლაც, ზოგ შემთხვევაში, ეს ტერმინი მამაკაცის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ თავის ადრინდელ ფუნქციას თანდათან ჰკარგავს და ძირითადად აერთიანებს ორივე სქესის შთამომავალს.

ჩვენი აზრით, შვილების სქესობრივი დიფერენციაცია მიუთითებს მემკვიდრე ვაჟის როლის უპირატესობაზე ქალთან შედარებით[28], ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქონება გადადიოდა მხოლოდ ვაჟებზე, რომლებიც ამ ქონებას თანაბრად იყოფდნენ. გარდა ამისა, ბიჭი გვარის, აგნატიკური ნათესაობის გამაგრძელებელიც იყო. თანამედროვე მთიულეთსა და გუდამაყარში შედარებით გაიზარდა ქალის ქონებრივ-მემკვიდრეობითი უფლებები და სწორედ ამიტომ თანდათან ისპობა ტერმინოლოგიური დიფერენციაცია შვილებს შორის, თუმცა ბიჭის, როგორც გვარის გამაგრძელებლის, შემეცნება

---

27 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

28 მემკვიდრეობის ტერმინოლოგიურ გამოყოფას ყურადღება მიაქცია დ. ოლდეროგემ (იხ. მისი, Малайская система родства, გვ. 34).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენარჩუნდა. ამ შემთხვევაში სოციალური ცვლილებების ტერმინოლოგიაში მყისიერად ასახვასთან ერთად ნიშანდობლივია ამ ცვლილების გამომწვევად მემკვიდრეობითი პრინციპის წინა პლანზე წამოწევა, ნათესაური სიმტკიცის რწმენასთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, სქესობრივი გამიჯვნა ტერმინოლოგიაში შეიძლება აიხსნას რომელიმე სქესის დაწინაურებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. აქაც, ისევე, როგორც პირდაპირ — გვერდითი ხაზის ნათესაობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის შემთხვევაში, ტერმინოლოგიას შეუძლია მხოლოდ გვიჩვენოს ორი სქესის ნათესავებს შორის არსებული განსხვავების ფაქტი. ნათესაური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი კი დაწინაურებული ნათესაობის გამოვლენის შესაძლებლობას გვაძლევს. სქესობრივი ნიშნის მიხედვით მშობლების აგნატი ნათესავების გამოყოფა თითქმის მთელ ტერმინოლოგიაში ზოგადად აგნატიკური ნათესაობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს, რაც მტკიცდება ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალებით. ორივე შემთხვევაში ტერმინოლოგიური თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტები თანაარსებობენ ამ თავისებურებებთან, ხოლო სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება თითქმის მაშინვე აისახება ნათესაურ ტერმინოლოგიაში, როგორც ეს ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა ტერმინ „შვილის“ მაგალითზე.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ნომენკლატურის საინტერესო ნიშანს წარმოადგენს შედარებითი ასაკის ტერმინოლოგიაში არასახვის ფაქტი. დ. ოლდეროგგე მიუთითებს, რომ ნულოვან თაობაში მამაკაც სიბლინგებს შორის ასაკობრივი დაყოფის ასახვა ტერმინოლოგიაში დაკავშირებულია რომელიმე ვაჟზე ძირითადი მემკვიდრეობის გადასვლასთან[29]. ეს დებულება კარგად მიესადაგება მთიულეთისა და გუდამაყრის ტერმინოლოგიურ თავისებურებებს, რომელთა მიხედვითაც ასაკობრივი დაყოფა ერთი თაობის წევრებს შორის არაა ასახული ტერმინოლოგიაში. მაგალითად, უფროსი ძმა დანარჩენებისაგან არ გაიმიჯნება. შესაბამისად, არც უფროსი ვაჟიშვილია გამოყოფილი სხვა ვაჟებისაგან. ეს ვითარება კარგად შეესაბამება სოციალურ თავისებურებას, რომლის მიხედვითაც მაიორატის პრინციპი არ იყო დამახასიათებელი საერთოდ ქართული საოჯახო თემისათვის და, კონკრეტულად, მთიულეთისა და გუდამაყრისათვის[30]. თუმცა არსებობდა გარკვეული „საუფროსო“, რომელსაც ზოგჯერ იღებდა უფროსი ვაჟი, მაგრამ ეს არ ქმნიდა რაიმე რეალურ განსხვავებას განაწილებულ ქონებაში. ამიტომ, ცხადია, რომ არც ძმები და არც შვილები არ განსხვავდებოდნენ პრაქტიკულად ერთმანეთისა-

---

[29] Д. А. Ольдерогге, Малайская система родства, გვ. 35, 57, 61. ჩვენ დავუმატებთ, რომ ასეთ ვითარებაში არ უნდა იყოს განსხვავება არც ვაჟიშვილებს შორის ასაკის მიხედვით, მაგრამ, როგორც ჩანს, შესაძლოა შვილების ასაკობრივი დაყოფა მხოლოდ მემკვიდრეობით პრინციპებს არ ასახავდეს ყველა სისტემაში. მაგალითად, აფრიკის ერთ-ერთ ტომში ვაჟები ასაკობრივი ნიშნით არიან ერთმანეთისგან გამოყოფილნი. უფროს ძმას აქვს დიდი ავტორიტეტი, მაგრამ როდესაც მომდევნო ძმები დაოჯახდებიან და დამოუკიდებელნი გახდებიან, ისინი თანაბრად ინაწილებენ მამის ქონებას და მათ შორის თანაბარი ურთიერთობა მყარდება. ის. G. Wagner, The changing family among Bantu Kavirondo. Supplement to „Africa“, vol. XII, № 1, 1939, L. გვ. 17-18.

[30] ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

გან მემკვიდრეობითი უფლებების თვალსაზრისით და ამაზე მიუთითებს მათ შორის არსებული ასაკობრივი განსხვავების ტერმინოლოგიაში აუსახველობის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ უჩვენებს ტერმინოლოგიური თავისებურებების ქრონოლოგიურ თანაარსებობას შესაბამის სოციალურ ინსტიტუტებთან.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნათესავების მკაფიო გამიჯვნა თაობრივი ნიშნის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ამ მოვლენას კავშირი უნდა ჰქონდეს რაიმე ნიშნის მიხედვით მთელი თაობის გამოყოფასთან. ე. ი. უნდა არსებობდეს ისეთი თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ერთ რომელიმე თაობას ახასიათებს და რომელთა მიხედვითაც მოცემული თაობა არის გამიჯნული დანარჩენებისაგან. ასეთი ნიშნები კი ისევ უფლებრივ-ქონებრივ სფეროში უნდა ვეძიოთ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, პირველი აღმავალი თაობის ნათესავებს, მიუხედავად მათ შორის არსებული საკმაოდ დიდი განსხვავებისა, ზოგადად მსგავსი უფლებრივ-ქონებრივი დამოკიდებულება აქვთ ეგოს მიმართ. მაგალითად, ეგო შეიძლება ამ თაობის აგნატების რეალური და პოტენციალური მემკვიდრე იყოს, პირიქით კი შეუძლებელია მოხდეს: პირველი აღმავალი თაობის წევრი ვერასოდეს ვერ გახდება ეგოს მემკვიდრე. ასეთ თავისებურებას არა აქვს ადგილი დედის მხრიდან ნათესავებთან ურთიერთობაში იმდენად, რამდენადაც ამ ნათესავებთან ეგოს არავითარი მემკვიდრეობითი კავშირები არ ახასიათებს. თაობის წევრებს შორის მსგავსება ჩანს ქორწინების ორგანიზაციის საქმეში, რომელიც, ძირითადად, ორივე მშობლებისა და მათი თაობის ნათესავების უფლება-მოვალეობაა. ბავშვის დაობლების შემთხვევაში ის მისმა ბიძამ უნდა გაზარდოს, ხოლო იმ უიშვიათეს მომენტებში, როდესაც ბავშვის გაზრდას აგნატი ნათესავები რაიმე მიზეზების გამო ვერ მოახერხებდნენ, ბავშვს დედის ძმა წაიყვანდა.

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ პირველი აღმავალი თაობის ნათესავებისათვის დამახასიათებელია ზოგადად მსგავსი უფლება-მოვალეობანი, რაც ნულოვანი თაობის წევრთა მფარველობასა და მათზე ზრუნვაში გამოიხატება.

განსხვავებული ტიპის ვალდებულებები ახასიათებთ ნულოვანი თაობის წევრებს ერთმანეთის მიმართ. კერძოდ, ამ თაობის მამაკაცები ერთმანეთის მემკვიდრეები შეიძლება გახდნენ პოტენციალურად. ამით ამ თაობის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება განსხვავდება ნულოვან და პირველი აღმავალი თაობის წევრთა ურთიერთობისაგან, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში ურთიერთმემკვიდრეობა სრულიად გამორიცხულია.

პირველი დაღმავალი თაობის წევრებს, ბუნებრივია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ ეგოსთვის უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ისინი თვითონ წარმოადგენენ ყოველნაირი დახმარებისა და მზრუნველობის ობიექტს. ეს არის ამ თაობის წევრთა ძირითადი თავისებურება, რაც მათ განხილული ორი თაობის ნათესაობისაგან განასხვავებს და გამოჰყოფს ტერმინოლოგიურად.

თაობრივი ნიშნის შერწყმა-გამიჯვნის პრინციპების კავშირი სოციალურ ინსტიტუტებთან კარგად ჩანს მოკეთეობრივ ტერმინოლოგიაშიც, რომლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო თავისებურებაა ტერმინებში („რძალი“ და „სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძე") თაობრივი ნიშნის შერწყმა. „სიძე“ აერთიანებს პირველი დაღმავალი და ნულოვანი თაობის ქალი აგნატი ნათესავების ქმრებს, ხოლო „რძალი“ — იმავე თაობების ყველა აგნატი ნათესავების ცოლებს, ცხადია, რომ ერთ ტერმინში გაერთიანებულ სხვადასხვა თაობის ნათესავებს შორის არ უნდა არსებობდეს განსხვავება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ეს ვარაუდი მტკიცდება ეთნოგრაფიული მასალებით, რომელთა მიხედვითაც ხსენებულ მოკეთეებს არა აქვთ საერთოდ დიდი მნიშვნელობა ეგოსთვის. მაგალითად, ქალიშვილის ქმარიც და მამიდაშვილის ქმარიც არავითარ პრაქტიკულ როლს არ ასრულებენ ეგოს ცხოვრებაში. ასევე თანაბრად უმნიშვნელოა, მაგალითად, ვაჟის ცოლიც და ძმის ცოლიც ეგოსთვის უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

განსხვავებული ვითარებაა პირველ აღმავალ თაობაში. თუკი ქალი აგნატი ნათესავების ქმრებზე საერთოდ არ ვრცელდება არავითარი სტაბილური ნათესაური ტერმინი, მამაკაცი აგნატების მეუღლეებს აღნიშნავს ტერმინი „ძალუა“. ამ ვითარებას კარგად შეესაბამება სოციალური თავისებურებები, რომელთა მიხედვითაც ბიძის ცოლს აქვს გარკვეული როლი ეგოს ცხოვრებაში, რადგანაც გაჭირვების შემთხვევაში, თუ ბიძის დახმარებაა საჭირო და ის არაა ადგილზე, მისი ცოლი იღებს საკუთარ თავზე ქმრის მოვალეობას. მაგალითად, თუ ბიძა აღარ იყო ცოცხალი, ობოლ ძმისწულს მისი ცოლი გაზრდიდა[31]. სხვა შემთხვევაშიც ბიძის ცოლს ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნულოვანი და პირველი დაღმავალი თაობების ქალ მოკეთეებს, რომელთაგანაც ის გამოყოფილია ტერმინოლოგიურადაც.

ეს მომენტი, სხვათა შორის, მიუთითებს იმაზედაც, რომ მოკეთეობრივ ტერმინოლოგიაში თაობრივი გამიჯვნა არაა დამოკიდებული მემკვიდრეობით პრინციპებზე, რადგანაც მოკეთეებს შორის ასეთი ურთიერთობა გამორიცხულია მთიულეთსა და გუდამაყარში. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კრიტერიუმად გვევლინება გარკვეული ვალდებულებები, რაც შეიძლება ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს ქალმოკეთეს მისი ქმრის ნათესავების მიმართ.

როგორც ვხედავთ, ნათესავების თაობრივი ნიშნის მიხედვით შერწყმა-გამიჯვნის მიზეზები უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში ძევს და მათი საფუძველია ერთი თაობის წევრთა შორის ზოგადი მსგავსებისა და სხვა თაობის წევრებისაგან მათი განსხვავების არსებობის, ან არარსებობის ფაქტი. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ განხილული ტერმინოლოგიური თავისებურების წარმომქმნელი სოციალური საფუძვლები. ახლაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს ტერმინოლოგიური თავისებურებისა და მისი წარმომქმნელი სოციალური მიზეზების ქრონოლოგიურ თანაარსებობასთან.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგიის საინტერესო ნიშანს წარმოადგენს აგნატიკური ნათესაობის გამიჯვნა დედის მხრიდან ნათესაობისაგან. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ვარაუდით, საქმე უნდა გვქონდეს რომელიმე ხაზის ნათესაობის უპირატესობასთან უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, მაგრამ დაწინაურებული ნათესაობის ვინაობის დადგენა მხოლოდ ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად შეუძლებელია. აქაც საჭირო ხდება ნათე-

---

31 ი. გოგინაშვილი, მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რვეული № 1, 1982, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მოშველიება, რომელთა მიხედვითაც ეგოს ცხოვრებაში აგნატ ნათესავებს ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვთ უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. სწორედ ამიტომ, ისინი გამოყოფილნი არიან ეგოსგან იმ თაობებში, სადაც ასეთი განსხვავება არსებითია. რაც შეეხება მეორე აღმავალ თაობას, აქ ჩვენ ვხვდებით ორივე მხარის ნათესაობის ტერმინოლოგიურ შერწყმას, რადგანაც ამ თაობაში სხვადასხვა მშობლის მამას, ან დედას შორის არავითარი განსხვავება არაა. მართალია, ეგო მამის მამის ქონებას იღებს, რითაც ეს ნათესავი დედის მამისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ არა უშუალოდ. ტერმინოლოგიაში ასახულია მხოლოდ უშუალო მემკვიდრეობითი ურთიერთობები. სხვა შემთხვევაში ტერმინოლოგიურად აღნიშნული იქნებოდა ყველა მამაკაცი წინაპარი, რადგანაც ქონების გადაცემა პაპაზე ბევრად უფრო დაშორებული მამაკაცი ნათესავისაგან იწყება[32].

როგორც ვხედავთ, მშობლების ნათესავების ერთმანეთისაგან გამიჯვნა მიუთითებს აგნატიკური ნათესაობის უპირატესობაზე. რადგანაც ახლაც მთიულეთსა და გუდამაყარში მამის მხრიდან ნათესაობა უფლებრივად უფრო დაწინაურებულია, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სოციალური საფუძვლებისა და მათ მიერ წარმოქმნილი ტერმინოლოგიური თავისებურებების ქრონოლოგიურ შესაბამისობასთან გვაქვს საქმე.

მთიულეთისა და გუდამაყრის მოკეთეობრივი ტერმინოლოგიის საინტერესო თავისებურებაა ქალი მოკეთეების აღმნიშვნელი ტერმინების კლასიფიკატორული ხასიათი. მაშინ, როცა მამაკაცის მოკეთეები ინდივიდუალური ტერმინებით აღინიშნებიან. მაგალითად, „სიმამრი“ არის მხოლოდ ცოლის მამა, ხოლო „მამამთილი“ ქმრის მამის გარდა, აღნიშნავს ქმრის ბიძებსაც და მისი გვარისა და მამის თაობის უფრო დაშორებულ აგნატ ნათესავებსაც.

ეს ტერმინოლოგიური თავისებურება მიუთითებს საქორწინო დასახლების პატრილოკალურ ხასიათზე დიდი ოჯახის არსებობისა და ახლო ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში დასახლების პირობებში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ქალს უხდება ქმრის ნათესავებთან ცხოვრება, მათთან ხშირი ურთი-

---

32 აგნატიკური ნათესაობის დედის მხრიდან ნათესაობისაგან გამოყოფის, ან მათი შერწყმის პრინციპებს ყურადღება მიაქციეს სხვადასხვა ეთნოგრაფებმა. ე. კრაიგი, მაგალითად, ტრანსვაალის ერთ-ერთი ტომის ნათესაური ურთიერთობების ანალიზის დროს მამისა და დედის მხრიდან ნათესაობის ტერმინოლოგიურ შერწყმას უკავშირებს ამ ორი მხრიდან ნათესაობის თანაბარ როლს ეგოს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში (იხ. E. G. Krige, The place of the North — Eastern Transvaal Sotho in the South Bantu complex. „Africa“, 1938, vol. XI, № 3, გვ. 275). ბულგარელი ეთნოგრაფები ი. გეორგიევა, დ. მოსკოვა და ლ. რადევა ისეთ სისტემას, სადაც მშობლების მხრიდან ნათესაობა ერთმანეთისაგან გამიჯნულია, უწოდებენ სიმეტრიულ სისტემას და მას უკავშირებენ ოჯახურ-გვაროვნულ, ან ოჯახურ-მეურნეობრივ წარმონაქმნებს, ხოლო ამ ორი სახის ნათესაობის შერწყმას — ინდივიდუალური ოჯახის გაბატონებულ ფორმას (იხ. И. Георгиева, Д. Москова, Л. Радева, Опыт изучения системы кровного родства у болгар (СЭ. 1973, № 2, გვ. 65). ეს ბოლო მოსაზრება მეტად საინტერესოა, მაგრამ არ უჩვენებს კონკრეტულად თუ რა ნიშნის მიხედვით უკავშირდება მამისა და დედის მხრიდან ნათესაობის შერწყმა-გამიჯვნა ოჯახურ-გვაროვნულ წარმონაქმნებს, ან ინდივიდუალური ოჯახის გაბატონებულ ფორმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა და ამის გამო იმ პირთა რიცხვი, ვისთანაც მას კონტაქტები აქვს, ბევრად დიდია, ვიდრე იმ მოკეთე პირთა რაოდენობა, რომლებთანაც ურთიერთობა უხდება მამაკაცს[33]. ამის გამო, ქმრის უახლოესი ნათესავების აღმნიშვნელი ტერმინები გავრცელდა უფრო დაშორებულ ნათესავებზედაც და მოიცვა ის პირები, რომლებთანაც ხშირი ურთიერთობა აქვს ქალს. თანამედროვე პირობებში მთიულეთსა და გუდამაყარში აღარ არსებობს დიდი ოჯახები, მაგრამ ზემოხსენებული ტერმინოლოგიური თავისებურება ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, რადგანაც საქორწინო დასახლებას კვლავ პატრილოკალური ხასიათი აქვს და ახლო ნათესავები ძირითადად ისევ ერთმანეთის მახლობლად სახლობენ. ამდენად, ქალს კვლავ უხდება ქმრის ახლო ნათესავებთან ხშირი ურთიერთობა.

როგორც ვხედავ, ამ შემთხვევაშიც ტერმინოლოგიური თავისებურება ძირითადად თანაარსებობს შესაბამის სოციალურ ინსტიტუტებთან და ის შეიძლება გაქრეს მხოლოდ მისი წარმომქმნელი ყველა მიზეზის მოსპობის შედეგად.

**დასკვნა.** მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაური ტერმინოლოგიისა და ნათესაური ურთიერთობების ანალიზმა გამოავლინა ტერმინოლოგიური თავისებურებების სოციალური საფუძვლები. ესენია: 1. ქორწინების პრინციპები: ა) ნათესაური ეგზოგამია, რომელიც ვრცელდება მშობლების გვარებზედაც; ბ) ინდივიდუალური ქორწინების არსებობა; 2. გვარის (ფამილიის) იდეოლოგიური ერთიანობის რწმენის შენარჩუნება; 3. პირდაპირი ხაზის ნათესავებისა და აგნატი ნათესავების უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში კოლატერალურ და დედის მხრიდან ნათესაობასთან შედარებით; 4. საქორწინო დასახლების პატრილოკალური ხასიათი ახლო ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში დასახლების პირობებში; 5. მამისა და დედის მხრიდან ნათესავებში ერთი თაობის წევრებს შორის არსებული მსგავსებები უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.6. მემკვიდრეობითობის პრინციპები.

როგორც ვნახეთ, გამოვლენილი ტერმინოლოგიური თავისებურებები ძირითადად კარგად შეესაბამება მათ წარმომქმნელ სოციალურ ინსტიტუტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება სოციალური თავისებურება, ხდება ცვლილებები ნომენკლატურაშიც, რის მაგალითსაც წარმოადგენს ტერმინ „შვილის" მიერ ორივე სქესის შთამომავლის აღნიშვნა თანამედროვე ტერმინოლოგიაში, რაც შეესაბამება ქალის მემკვიდრეობითი წილის ზრდას.

ზოგიერთი ტერმინოლოგიური განსხვავება უჩვენებს ნათესავებს შორის არსებულ განსხვავებას, მაგრამ არ მიუთითებს უფლებრივად დაწინაურებული ნათესავის ვინაობაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა ნათესაური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების დახმარებაც, რაც კარგად უჩვენებს

33 დაახლოებით მსგავსი აზრი გამოთქვა ა. დ. კოულტმა, რომელმაც მიუთითა, რომ ომაჰას ნათესაურ სისტემაში კაცი ტერმინოლოგიურად არ მიჯნავს ცოლის აგნატებს თაობების მიხედვით, ხოლო ქალი ამ ნიშნით ასხვავებს ქმრის აგნატებს. ამას შეესაბამება ამ საზოგადოებაში გავრცელებული პატრილოკალური დასახლება. საპირისპირო ვითარებაა კროუს სისტემაში, რასაც პატრილოკალური დასახლება შეესაბამება. იხ. A. D. Coult, Lineage solidarity, transformational analysis and the meaning of kinship terminologies, Man, 1967, vol. 2, № 1. გ. 40.

მთელი ნათესაობის სისტემის ბუნების გარკვევაში ნათესაური ტერმინოლოგიისა და ნათესაური ურთიერთობების კომპლექსური შესწავლის მნიშვნელობას.

სტატიაში გამოვლინდა კატეგორიების სოციალური განპირობებულობის დადგენის შესაძლებლობა. ამავე დროს, გამოჩნდა, რომ მხოლოდ კატეგორიებით არ ამოიწურება ტერმინოლოგიური თავისებურებები და ეს მეტად საინტერესო თეორიულ ფაქტს წარმოადგენს. რაც შეეხება სტატიაში დასმული მთავარ პრობლემას, ვფიქრობ, ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ მთიულეთსა და გუდამაყარში არსებული ნათესაური ტერმინოლოგია ქრონოლოგიურად მთლიანობაში ძალიან კარგად შეესაბამება მის წარმომქმნელ სოციალურ ინსტიტუტებს, რაც ტერმინოლოგიისა და სოცალური ინსტიტუტების თანაარსებობის ზოგადი თეორიის კიდევ ერთ განმამტკიცებელ საბუთად გვესახება.

И. И. ГОГИНАШВИЛИ

## ПРОБЛЕМА СОЦИАЛЬНОЙ ОБУСЛОВЛЕННОСТИ СИСТЕМ РОДСТВА

**(По этнографическим материалам Мтиулети и Гудамакари)**

Резюме

Одной из основных проблем изучения систем родства является вопрос о хронологическом соответствии терминологии социальной организации. По мнению некоторых исследователей (Л. Морган, У. Риверс) родственная номенклатура отражает следы уже исчезнувших социальных институтов, а по мнению других этнографов (А. Рэдклифф-Браун, Р. Лоури, Д. Ольдерогге), терминология является довольно точным отражением реально существующих социальных отношений.

В статье на основании этнографических материалов дана попытка выявить социальные детерминанты родственной терминологии Мтиулети и Гудамакари и установить хронологическое соответствие между номенклатурой и социальной организацией. Для решения этой проблемы выявлено несколько терминологических особенностей, которые, по мнению автора, обусловлены следующими социальными причинами:

1. Разграничение кровных и свойственных родственников. Расширение кровнородственных терминов на однофамильцев. Индивидуальный характер терминов «муж» и «жена». Эти особенности вызваны: а) распространением в Мтиулети и Гудамакари родственной экзогамии (термин обозначает распространение экзогамии на всех кровных родственников), которая расширяется и на однофамильцев родителей; б) сохраняющим свою силу идеологическим единством фамилии, в) индивидуальным браком.

2. Разграничение прямой линии родства от боковой, разграничение агнатического родста от родства с материнской стороны, неполная дифференциация альтеров по половому признаку. Эти особенности были обусловлены преимущественным положением в

ეროვნული
ბიბლიოთეკა



имущественно-правовом аспекте родственников прямой линии с отцовской стороны и мужского пола.

3. Разграничение родственников по принципу поколений. Эта особенность обусловлена общими чертами, существующими между членами одного поколения в имущественно-правовой области.

4. Классификаторский характер свойственных терминов, употребляемых женщиной, и индивидуальный характер свойственных терминов, употребляемых мужчиной. Эта особенность вызвана существованием патрилокального брачного поселения в условиях большой семьи и компактного расселения близких родственников, в силу чего женщине, в отличие от мужчины, приходилось иметь дело с большим числом свойственников. Поэтому свойственные термины, употребляемые ею, и приняли расширенный характер, что позволило охватить всех свойственников, с которыми женщина имела частые контакты. В настоящее время больших семей больше не существует, но терминологическая особенность остается в силе из-за сохранения двух других причин.

Все перечисленные социальные детерминанты существуют и поныне, что указывает на сосуществование терминологических особенностей и социальных институтов. А это, по мнению автора, является еще одним доказательством правильности тезиса о хронологическом соответствии терминологии и социальной организации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა გოგიბერიძე

# სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით დეკორირებული სამკაულის თარიღისათვის

ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამკაულისათვის საკმაოდ დამახასიათებელია წრიულ სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებისაგან შედგენილი ორნამენტი. უმრავლეს შემთხვევაში მას ახლავს დამატებითი დეკორი ტეხილხაზოვანი მახვილკუთხა ორნამენტის სახით. ამასთან, ხშირად სამკაულის ღერო წახნაგოვანია და მახვილი კუთხე წახნაგების წიბოებს შეესაბამება. ორნამენტი საკმაოდ კანონიკურია და თითქმის უცვლელად მეორდება სხვადასხვა სახის სამკაულზე.

ამგვარად შემკული ჩვენთვის ცნობილი უძველესი ნივთები დადასტურებულია ლურისტანის მასალებში, სადაც ამ ორნამენტით შემკულია ბრინჯაოს საკინძეების ღერო. ერთ-ერთი საკინძის (სურ. 1)[1] თავი წარმოადგენს ფრინველის გამოსახულებას, რომელსაც მოსდევს ერთმანეთისაგან ორ-ორი ირგვლივი სალტით გამოყოფილი ოთხი ტანდაღარული ბურცობი. ბურცობების შემდეგ დატანილია ტეხილი ხაზით შედგენილი მცირე ზომის მახვილკუთხოვანი ორნამენტი, რომლის გაგრძელებაზე მისგან სამი ირგვლივი ღარით გამოყოფილი გრძელი მახვილკუთხოვანი ორნამენტია მოთავსებული. როგორც ვხედავთ, აქ ამ ორნამენტის ჩვენ მიერ აღნიშნული ყველა კომპონენტი სახეზეა. ლურისტანული ბრინჯაოს ნივთების კოლექციაში შედის კიდევ ორი საკინძი, რომელთა ღერო ამგვარადვეა დეკორირებული[2], ერთ მათგანს ვერძის თავის გამოსახულება ამკობს, მეორეზე კი ფრინველია გამოსახული.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში აღწერილი ორნამენტით შემკული ნივთი — ოქროს ფიბულა — დადასტურდა ვანის № 11 სამარხში (სურ, 2)[3]. ფიბულის მშვილდის შუა ნაწილში მოთავსებულია ტანდაღარული ბურცობი, რომელსაც ორივე მხრიდან სადა და ტანდაღარული სალტეების რიგი მოსდევს. ამასთან, დაღარული სალტეები სადა სალტეებს შორისაა მოქცეული და, როგორც ჩანს, მცირე ზომის ბურცობებს განასახიერებს.

ამგვარადვეა დეკორირებული ვანის № 6 სამარხის ოქროს ფიბულა[4]. ამ შემთხვევაში ორნამენტი სრული სახითაა წარმოდგენილი, სამბურცოვანია და მახვილკუთხოვანი ორნამენტიც ახლავს. შუა ბურცობი შედარებით უფრო

---

1 Louis Vander Berghe, Luristan een verdwenen bronzkunst uit West Iran, 1982—83, გვ. 158, სურ. 261.

2 დაცულია ბერლინის მუზეუმში, ვიტრინა № 4.

3 ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 225.

4 ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 52.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მსხვილია. ამავე სამარხიდან მიმდინარეობს მეორე ფიბულა[5], რომლის მშვილდი შევსებულია მკვეთრად ბიკონუსური ტანდაღარული, ერთმანეთისაგან სალტეებით გამოყოფილი ბურცობებით. ორნამენტი შუაში შემსხვილებულია. ფიბულა იმპორტულ საკიდზეა მიმაგრებული.

ამავე ორნამენტის ელემენტებს ვხედავთ ყაზბეგის სამაროვის ბრინჯაოს ფიბულებზე (სურ. 3—7)[6], ხუთივეზე დაღარული ცილინდრული ბურცობები მოქცეულია ორ-ორ რელიეფურ სალტეს შორის. ორ ფიბულას (სურ. 5, 6)[7] აღნიშნული ელემენტების გარდა ძირითადი ორნამენტის შემზღუდავი ტეხილხაზოვანი დეკორი ახასიათებს. ღერო ოთხწახნაგაა და კუთხეები წიბოებს შეესაბამება.

საკვლევი ორნამენტი გვხვდება გვერგვების შემკულობაშიც. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შეინიშნება გარკვეული სხვაობა ორნამენტის ღეროზე განლაგების მიხედვით, რის საფუძველზეც ისინი ორ პრინციპულად განსხვავებულ ჯგუფად ლაგდება: პირველ ჯგუფში ერთიანდება შესაკრავიანი გვერგვები. ამ ჯგუფის ყველა ნივთზე ორნამენტი განლაგებულია ღეროზე კაუჭის მახლობლად. ორნამენტის შუა ნაწილში მოთავსებულია შედარებით მსხვილი ბურცობი, ისე, რომ ორნამენტი გრძივ ჭრილში მოგრძო ოვალს ქმნის.

პირველი ჯგუფის გვერგვები დადასტურებულია მოდინახის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის № 3[8], ითხვისის № 2 (სურ. 8)[9], შრომისუბნის № 2[10] და ვანის № 3 (სურ. 9)[11] სამარხებში. მოდინახური ეგზემპლიარის ორნამენტი ხუთი დაღარული ბურცობისაგან შედგება, შემოსაზღვრულია ტეხილხაზოვანი ორნამენტით, ღერო მრგვალია. მის უახლოეს ანალოგიას შრომისუბნის ელექტრუმის გვერგვი წარმოადგენს.

ორ დანარჩენ შემთხვევაში ორნამენტი სამ-სამი ბურცობისგანაა შედგენილი და ტეხილხაზოვანი ორნამენტიც ახლავს. ვანის № 3 სამარხის გვერგვის ორნამენტი ტეხილხაზოვანი კუთხეების რამდენიმე წყებითაა შემოსაზღვრული. ითხვისის № 2 სამარხის ვერცხლის გვერგვს, გარდა სამბურცობიანი და ერთწყება ტეხილხაზოვანი ორნამენტისა, წახნაგოვანი ღერო ახასიათებს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის გვერგვების დეკორირების პრინციპი ემთხვევა ე. წ. კოლხური დიადემების შემკულობის პრინციპს (კაუჭიანი შესაკრავი, ძირითადი ორნამენტის ღეროზე განლაგება).

მეორე ჯგუფში ერთიანდება გახსნილი, უშესაკრაო გვერგვები. ამ შემთხვევაში საკვლევი ორნამენტი მოთავსებულია სამკაულის ორივე ბოლოზე.

ამგვარად შემკული ოქროს გვერგვი დადასტურებულია ახალგორის განძის მასალებში (სურ. 10)[12]. ახალგორიდანვე მიმდინარეობს ბრინჯაოს ანა-

---

5 ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 48.

6 საქართველოს სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 2—02: 234; 238, 239, 240, 241.

7 საქართველოს სახ. მუზაუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 2—02: 234, 241.

8 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, ტაბ. XII, 1.

9 საქართველოს სახ. მუზეუმის მცირე ექსპ. ფონდი № 2, ინვ. №26—65; 1802.

10 საქართველოს სახ. მუზეუმის ოქროს ფონდი, ინვ. № 125—975; 9.

11 Из архива Н. В. Хоштария (О раскопках на вершине холма в 1947—1949 гг), ვანი IV, თბ., 1979, სურ. 293.

12 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, Табл. I.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიური სამკაულიც (სურ. 11)[13]. ორივე გვერგვის ბოლოებზე მოთავსებულია სამბურცობიანი ორნამენტი თანმხლები ტეხილხაზოვანი დეკორით. მეორე ცალს ტეხილი ხაზების ორი წყება შემოუყვება. ორივე შემთხვევაში ღერო წახნაგოვანია და მახვილი კუთხეები წიბოებს შეესაბამება.

ორბურცობიანი ორნამენტი ამკობს სამადლოზე აღმოჩენილ ბრინჯაოს გვერგვს[14]. გვერგვი მრავალღეროვანია, ტეხილხაზოვანი ორნამენტი არ ახლავს.

ერთბურცობიანი ორნამენტითაა შემკული ახალგორის განძის ოქროს გვერგვი (სურ. 12)[15]. ტეხილხაზოვანი ორნამენტი არ ახლავს. ამგვარადვეა გაფორმებული დაფნარში 1967 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ვერცხლის გვერგვი (სურ. 13)[16]. აქ ტანდალარულ კასრისებრ ბურცობს თან ახლავს ტეხილხაზოვანი კუთხეების თერთმეტი რიგი. ღერო დაწახნაგებულია, მახვილი კუთხეები წიბოებს შეესაბამება. ამ ნივთის ახლო ანალოგიას წარმოადგენს ვანის № 12 სამარხის ბრინჯაოს გვერგვები (სურ. 14)[17], იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელთა ჩამკეტი სალტეების რამდენიმე რიგი ბოლოებისაკენ კონუსურად ფართოვდება. ორნამენტს ახლავს ტეხილი ხაზების თორმეტი წყება.

ეს საკმაოდ სპეციფიკური დეკორი გვხვდება მთელ რიგ სამაჯურებზეც. შრომისუბნის № 2 და ითხვისის № 2 სამარხებში პირველი ჯგუფის გვერგვებთან ერთად აღმოჩნდა წყვილი ვერცხლის სამაჯურებიც (სურ. 15)[18], რომელთა ბოლოები შემკულია სამბურცობიანი და ორბურცობიანი, ერთწყება ტეხილი ხაზებით შემოფარგლული ორნამენტით. ღერო წახნაგოვანია. ბურცობიანი ორნამენტი ჭრილში არასწორ ოვალს ქმნის. ამ ნიშნით აღნიშნული სამაჯურები შესაკრავიანი გვერგვების ჯგუფს უკავშირდება.

ორბურცობიანი ორნამენტით შემკული სამაჯურები დადასტურებულია ვანის № 3 (სურ. 16)[19], № 9 (სურ. 17)[20] და წინწყაროს მდიდრული სამარხის (სურ. 18)[21] მასალებში. მათგან პირველს ახასიათებს სადა ბურცობები, წახნაგოვანი ღერო და თანმხლები ტეხილხაზოვანი ორნამენტის რამდენიმე წყება. ორნამენტი თანაბარია. თანაბარი ორნამენტი ახასიათებს წინწყაროს სამაჯურსაც (უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამაჯური შესრულების ტექნიკით სრულიად განსხვავდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამკაულისაგან). ვანის № 9 სამარხის ვერცხლის სამაჯურის (სურ. 17) ორნამენტი ბოლოსაკენ კონუსურად ფართოვდება, ახასიათებს წახნაგოვანი ღერო, ტეხილხაზოვანი ორნამენ-

---

13 საქართველოს სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი. ინვ. № 6—49: 3.

14 Ю. М. Гагошидзе, Самадло, каталог, Тб., XI, рис. 28.

15 Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1.

16 საქართველოს სახ. მუზეუმის მცირე ექსპ. ფონდი № 1. ინვ. № 5—979:531.

17 დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ვანი IV, თბ., 1979, ტაბ. 105, სურ. 448—450.

18 საქართველოს სახ. მუზეუმის ოქროს ფონდი, ინვ. № 125—975:5; მცირე ექსპ. ფონდი № 2, ინვ. № 26—65; 1803, 1804.

19 Из архива Н. В. Хоштария, ვანი IV, სურ. 192;

20 ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ. სურ. 107 ა.

21 ც. დავლიანიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან, სსმმ, XXXII—Б, ტაბ. XI, სურ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10






11



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ერთი რიგი და, დამატებით, მახვილი კუთხეების გასწვრივ დატანილი მცირე ზომის წრეები.

საკვლევი ორნამენტი სხვა სახის სამკაულებზეც გვხვდება. ამგვარადაა შემკული წინწყაროს მდიდრული სამარხის ბრინჯაოს საკინძის ღერო (სურ. 20)[22]. თავი მოტეხილი აქვს. ნახვრეტის ქვეშ მოთავსებულია სამი, ერთმანეთისაგან ორ-ორი სალტით გამოყოფილი ტანდაღარული ბურცობი. ორნამენტი წვეროსკენ ვიწროვდება და სალტეების რამდენიმე წყებით მთავრდება. სალტეების ქვეშ მოთავსებულია ოთხწახნაგგანივკვეთიანი გრეხილი ღერო, რომელიც სადა წვეროში გადადის. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა წინანდალში აღმოჩენილი ბრინჯაოს ილარი (სურ. 21)[23], ილარის თავი წარმოადგენს ცხვრის ორმაგ პროტომას, რომლის შუა ნაწილში ყუნწშია მოთავსებული. ზედა ნაწილი თანდათან ვიწროვდება და გადადის ღეროში, რომელიც მთლიანად შევსებულია ერთმანეთისაგან ორ-ორი სალტით გამოყოფილი ტანდაღარული ბურცობებით.

ჩამოთვლილ მასალებში უძველესი ნივთი (ლურისტანული საკინძი) ძვ. წ. XI—X სს. დათარიღებული[24]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარად დეკორირებული ნივთებიდან უძველესი სადღეისოდ ვანის № 11 სამარხის ფიბულაა.

სამარხის კომპლექსი საკმაოდ ზუსტადაა დათარიღებული ძვ. წ. V ს. შუა ხანებით[25]. ძვ. წ. IV ს. დასაწყისითაა განსაზღვრული ვანის № 6 სამარხის თარიღი[26]. ამგვარად, შუა ნაწილში შემსხვილებული ორნამენტით შემკული ფიბულების თარიღი ჯერჯერობით დროის ამავე მონაკვეთში თავსდება.

მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება შესაკრავიანი გვერგვები და შრომისუბნის № 2 და ითხვისის № 2 სამარხების ვერცხლის სამაჯურები. როგორც აღვნიშნეთ, სხვა ჯგუფის სამაჯურებისაგან განსხვავებით, ხსენებულ სამაჯურთა დეკორი გრძივ ჭრილში არასწორ ოვალს ქმნის. სწორედ ამ ნიშნით ხერხდება ამ ორი სახის სამკაულის ურთიერთდაკავშირება, მით უფრო, რომ შესაკრავიანი გვერგვები და სამაჯურების ეს ტიპი ორივე სამარხში ერთადაა წარმოდგენილი.

შესაკრავიანი გვერგვების შემცველი კომპლექსებიდან ძვ. წ. V ს. დათარიღებულია მოდინახის ადრეანტიკური სამაროვნის სამარხი № 3[27]. აქ წარმოდგენილი კერამიკული ფორმები (ბიკონუსურმუცლიანი მოზრდილი ხელადები, პირმოყრილი ფიალა, მცირე ზომის პირგადაშლილი ხელადა)[28] ადრეანტიკური ხანის კერამიკულ ნაწარმს უკავშირდება. აღნიშნულ კერამიკულ მასალაში გამოირჩევა ერთი ხელადა, რომელიც შედარებით დაწეული მუცლით და მსხლისებური ფორმით ხასიათდება[29]. კომპლექსის შემადგენლობაში

---

22 ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, 3.

23 საქართველოს სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 11—25:65.

24 Louis Vander Berghe, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

25 ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ა. ჭ ყ ო ნ ი ა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., ვანი I, თბ., 1927, გვ. 239.

26 О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979, გვ. 62.

27 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

28 იქვე, ტაბ., XI, 7, 6, 11, 2,

29 იქვე, ტაბ. XI, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

13




14




15



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი ფორმის ჭურჭლის გაჩენის ფაქტი უთუოდ საყურადღებოა და სამარხის თარიღის გაახალგაზრდავების საშუალებას იძლევა. რამდენადაც აქ მაინც ძვ. წ. V ს. დამახასიათებელი კერამიკული ფორმები ჭარბობს, ვფიქრობთ, რომ ამ სამარხის თარიღი ძვ. წ. IV ს პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს.

საკვლევი სამკაულის შემცველ კომპლექსებში ერთ-ერთ უადრესად შრომისუბნის № 2 სამარხი გამოიყურება. მასში დამოწმებული ოქროს ნახევარმთვარისებრი დაცვარული საყურეების[30] უახლოეს ანალოგიას ვანის № 6 სამარხის ამგვარივე სამკაული წარმოადგენს[31]. გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ეს კომპლექსი ითხვისის № 2 სამარხის ინვენტართანაც. ამ სამარხის თარიღად ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარია სავარაუდო.

ძვ. წ. IV ს მეორე ნახევრითაა დათარიღებული ითხვისის № 2 სამარხი მისი ინვენტარის ვანის № 9 სამარხის მასალასთან სიახლოვის საფუძველზე[31]. ეჭვგარეშეა, რომ ითხვისის № 2 სამარხი ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებს ვანის № 9 სამარხს. ითხვისური მოხატული ხელადები ფორმით აშკარად უფრო ადრეულია ვანის მუცელდაწეულ ხელადაზე.

რაც შეეხება სამკაულების კომპლექტს, იგი, როგორც აღვნიშნეთ ძვ. წ. IV ს პირველი ნახევრის ძეგლების მასალებს უკავშირდება (მოდინახის № 3, შრომისუბნის № 2 სამარხები). ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ითხვისის № 2 სამარხი ქრონოლოგიურად ხსენებულ კომპლექსებსა და ვანის № 9 სამარხს შორის თავსდება და მისი თარიღი ძვ. წ. IV ს შუა ხანებით უნდა განისაზღვროს.

ვანის № 3 სამარხის თარიღი თავის დროზე ძვ. წ. III ს განისაზღვრა[32]. ჩვენი აზრით, ამ სამარხის ინვენტარში შემავალი ნივთების ძვ. წ. IV ს შუა ხანებზე გვიანი დროით დათარიღება მართებული არ იქნებოდა. კომპლექსში შემავალი სამაჯურები თავისი იერით საკმაოდ არქაულია, ძირითადად სწორი ან ოვალური ზურგითა და თანაბარი განივკვეთის მასიური ღეროთი ხასიათდება (მათ შორის არც ერთი ზურგშედრეკილი არ არის), აქვეა ღეროდაწახნაგებული ბოლოგახვრეტილი საყურე რგოლები, რომლებიც აშკარა სიახლოვეს ავლენს მოდინახის № 3 სამარხის შესაბამის სამკაულთან და რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტი, რომლის ანალოგები მრავლადაა დადასტურებული როგორც ითხვისის, ასევე IV ს. შუა ხანების სხვა ძეგლების მასალაში.

რაც შეეხება ვერცხლის ომფალოსიან ფიალას ცხოველთა გამოსახულებით, მის თარიღად ძვ. წ. III ს პირველი ნახევარია შემოთავაზებული, თუმცა მისი უნიკალურობის გამო ზუსტი თარიღის დადგენა გაძნელებულია[33]. ვფიქრობთ, რომ სამარხის ინვენტარში შემავალი არც ერთი ნივთი არ შეიძლება გადაჭრით მიეკუთვნოს ძვ. წ. III ს, სამკაულების კომპლექტი კი უფრო ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრის მასალებთან ავლენს სიახლოვეს. ეს გა-

30 საქართველოს სახ. მუზეუმის ოქროს ფონდი, ინვ. № 125—975:6.

31 ი. გაგოშიძე, მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის, სსმმ, XXX — თბ., 1976, გვ. 8.

32 ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, თბ., 1972, გვ. 89.

33 ნ. მათიაშვილი, ლითონის ჭურჭელი, ვანი III, თბ., 1977, გვ. 106.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის № 3 სამარხი ძვ. წ. IV ს. შუა ხანებზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ამგვარად, როგორც ირკვევა, საკვლევი ორნამენტით შემკული გვერგვების პირველი ჯგუფი შრომისუბნის № 2 და ითხვისის № 2 სამარხების სამაჯურებთან ერთად, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს ოვალურად შემსხვილებული ორნამენტი წარმოადგენს, ძვ. წ. IV ს პირველ ნახევარსა და ამავე საუკუნის შუა ხანებში თავსდება.

ახლა განვიხილოთ სამკაულთა ის ჯგუფი, სადაც ორნამენტი ნივთის ბოლოზეა მოთავსებული.

ვანის № სამარხის მასალებში შედის ვერცხლის ღეროდაწახნაგებული სამაჯურები, რომელთა ბოლოები წყვილ-წყვილ სალტეებს შორის მოქცეული ორ-ორი სადა ბურცობითაა შემკული. (სურ. 16) ითხვისის № 2 სამარხის ვერცხლის სამაჯურებისაგან განსხვავებით, აღნიშნული ცალები ხასიათდება თანაბარი ზომის ორნამენტით. თანაბარი დაღარული ბურცობები ახასიათებს სამადლოზე 1912 წ. აღმოჩენილ ბრინჯაოს გვერგვსაც[34]. იგივე მომენტი ახასიათებს ახალგორში 1910 წ. მდინარის მიერ გამორეცხილი სამარხის მასალებში დადასტურებულ ბრინჯაოს გვერგვს (სურ. 11)[35]. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, ვანის № 3 სამარხის სამაჯურების საფუძველზე თანაბარი ორნამენტით შემკული სამკაულის თარიღად ძვ. წ. IV ს შუა ხანები უნდა მივიჩნიოთ. ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთში უნდა მოთავსდეს ყაზბეგის სამაროვნის ბრინჯაოს ფიბულებიც. რომელთაც ასევე თანაბარი ორნამენტი ამკობს.

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს სამკაულები, რომლებზედაც საკვლევი ორნამენტი ბოლოსაკენ კონუსურად ფართოვდება. ამგვარი მოხაზულობა ახასიათებს ვანის № 9 სამარხის ვერცხლის ორბურცობიან სამაჯურს (სურ. 17). იგივე სილუეტია დამახასიათებელი ახალგორის განძის ოქროს სამბურცობიანი გვერგვის დეკორისათვის (სურ. 10).

როგორც ცნობილია, ვანის № 9 სამარხი მასში აღმოჩენილი ფილიპე II მაკედონელის სტატერისა და ბერძნული კერამიკის საფუძველზე საკმაოდ ზუსტადაა დათარიღებული ძვ. წ. IV ს მესამე მეოთხედი[36]. რაც შეეხება ახალგორის განძს, ამ კომპლექსის დათარიღების საკითხი კვლავ მკვლევართა ყურადღების ცენტრში დგას.

ახალგორის განძის მასალების განხილვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ლომისთავებიანი ყელსაბამის საკიდებმა[37], რომლებიც სამი ნაწილისაგან შედგება. ზედა საკიდი მრგვალია, შუა ნაწილში ნახევრად ამობურცული, კიდეებზე რელიეფური წვრილი პენსონით. მის ზედა და ქვედა ნაწილში პატარა ყუნწებია მოთავსებული. საკიდის მეორე ნაწილი სადა მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენს. მესამე ფირფიტა წრიულია, ბრტყელი და სადა. სამივე ფირფიტა ერთმანეთს და ყელსაბამს მცირე ზომის რგოლებით უკავშირდება. ამავე ფორმის ოქროს კილიტები აღმოჩნდა დაბლაგომის მდიდრულ სამარხში, რომელიც ბერძნული და ადგილობრივი ნაწარმის საფუძველზე ძვ. წ.

---

34 Ю. Гагошидзе, Самадло, каталог, табл. XI, рис. 28.

35 საქართველოს სახ. მუზეუმის ძირითადი ფონდი, ინვ. № 6—49;3.

36 ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფურცელაძე, და სხვ., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1965 წ., ვანი I, გვ. 203.

37 Я. Смирнов, Ахалгорийский клад. табл. II, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

III ს დათარიღებული[38]. დაბლაგომური კილიტები ორწილადია. ორი მრგვალი ფირფიტა აქ ერთმანეთს რგოლების საშუალებით უკავშირდება. ერთი მათგანი სადაა, ბრტყელი, მეორე კი შუა ნაწილში ამობურცულია და კიდეზე სადა რელიეფური სალტე შემოუყვება[39]. საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთივე კილიტი ამშვენებს ახალგორის განძის ცხენებიანი საკიდების ცხენის კუდებს[40]. დიდ მსგავსებას ავლენს ერთმანეთთან ახალგორის განძისა და დაბლაგომის მდიდრული სამარხის ოქროს ოთხკუთხა საკერებლები გაორმაგებული ლოტოსის გამოსახულებით[41]. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ახალგორის განძის ცხენებიანი საკიდების ვარდულებიც, რომლებიც მთლიანად ტვიფრის ტექნიკითაა შესრულებული. ვანის № 6 სამარხის მხედრებიანი საკიდების განხილვისას ა. ჭყონია აღნიშნავს ახალგორის საკიდების თავისებურებას და მათ სხვადასხვა სკოლის ნაწარმად მიიჩნევს[42]. ვფიქრობთ, რომ ამ ორ სამკაულს შორის განსხვავება მათ შორის არსებული ქრონოლოგიური სხვაობითაც უნდა იყოს გამოწვეული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტვიფრის ტექნიკა მეტად დამახასიათებელია ახალგორის განძის ოქროს სამკაულებისათვის. ამ ტექნიკითაა შესრულებული განძში შემავალი ოთხკუთხა ფირფიტები ფრინველის გამოსახულებით, ორი ფრთოსანი ურჩხული მათ შორის მოთავსებული ტვიფრული ვარდულით და სხვა. ამავე ტექნიკას ვხვდებით ცხენის ბალთებზეც[43]. ტვიფრის ტექნიკის ასე ფართოდ გამოყენების ფაქტი აქ ძალზე თვალსაჩინოა და განასხვავებს ამ ძეგლს წინარე ხანის ყველა ცნობილი კომპლექსებისაგან.

ახალგორის განძისა და დაბლაგორის მდიდრული სამარხის კომპლექსების სიახლოვეზე მიუთითებს ორივე შემთხვევაში ბრინჯაოს სარკის აღმოჩენის ფაქტიც. იგივე შეიძლება ითქვას დაბალგომის სამარხის ფარაკიანი ბეჭდის შესახებ, რომელიც თავისი საერთო ფორმით ახალგორის განძის ტიპის ბეჭდებს უახლოვდება[44].

ამგვარად, მოტანილი პრობლემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ განძისა და დაბლაგომის მდიდრული სამარხის ქრონოლოგიურ სიახლოვეზე, რაც თავის მხრივ, ახალგორის განძის ასაკის შემდგომი გაახალგაზრდავების საშუალებას იძლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგორის განძი ერთდროულად აშკარა მსგავსებას ავლენს ალგეთისა და ყანჩაეთის მდიდრულ სამარხებთან. ამ სამი კომპლექსის ქრონოლოგიური სიახლოვე არაერთგზის აღნიშნულა მკვლევართა მიერ[45], თუმცა მათ შორის გარკვეული სხვაობაც შე-

---

38 გ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბ., 1976, გვ. 76.

39 გ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., სურ. 96.

40 Я. Смирнов, Ахалгорийский клад, табл. II, 33, 35.

41 გ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., სურ. 97; დასახ. ნაშრ., ტაბ. II, გვ. 33—35.

42 ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბ., 1981, გვ. 29.

43 Я. Смирнов, დასახ. ნაშრ., ტაბ., VI, 47, 51, 53—55, 59.

44 Я. Смирнов, Ахалгорийский клад, ტაბ. III, 29, 30; გ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., გვ. 70, სურ. 94.

45 ც. დავლიანიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან, სსმმ, XXXII—B, 1976, გვ. 145; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკურიხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიშნება, რაც ც. დავლიანიძის აზრით, მცირე ქრონოლოგიური სხვაობის შედეგი უნდა იყოს[46]. ალგეთის მდიდრული სამარხის თარიღად ზოგადად ძვ. წ. IV ს შემოთავაზებული ვანის № 9, ითხვისის ყანჩაეთის სამარხებისა და ახალგორის განძის მასალებთან სიახლოვისა და პარალელური მასალების საფუძველზე[47]. ხსენებულ კომპლექსებში ყველაზე ადრეულად ვანის № 9 სამარხი გამოიყურება (ითხვისის № 2 სამარხის გამოკლებით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მათ წინ უსწრებს).

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ალგეთის სამარხის გარკვეული ნიშნებით სიახლოვეზე ვანის № 9 და ითხვისის № 2 სამარხებთან. ამ რიგის ნიშნებს მიეკუთვნება ორივე კომპლექსში ცენტრალური სოლარული ორნამენტით შემკული დატვირთული ფირფიტების აღმოჩენის ფაქტი. ალგეთის სამარხის ვერცხლის ფირფიტები ი. გაგოშიძის მიერ კაპარჭის გარსაკრავებადაა მიჩნეული[48]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ითხვისის № 2 სამარხის ბრინჯაოს ფირფიტოვანი მშვილდსაკიდის ცენტრალური დეკორი იდენტურია ვანის № 9 სამარხის კაპარჭის შესაბამისი ორნამენტისა.

ზემოხსენებული კომპლექსების ურთიერთშეჯერებამ დაგვანახა, რომ თუმცა ვანის № 9 და ალგეთის სამარხების მასალებს შორის უდავოდ შეინიშნება გარკვეული მსგავსება, საერთო ჯამში ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, ჩვენი აზრით, მათ შორის არსებული ქრონოლოგიური წყვეტილით უნდა აიხსნებოდეს.

ვფიქრობთ, რომ სამივე კომპლექსი ვანის № 9 სამარხზე უფრო ახალგაზრდაა და ძვ. წ. IV ს ბოლო და III ს დასაწყისი ხანებით უნდა დათარიღდეს. აქედან, ალგეთისა და ყანჩაეთის კომპლექსები წინ უნდა უსწრებდეს ახალგორისას და ძვ. წ. IV ს ბოლო მეოთხედში თავსდებოდეს. რაც შეეხება ახალგორის განძს, მისი ასაკი დაბლაგომის მდიდრულ სამარხთან სიახლოვის საფუძველზე ძვ. წ. IV—III სს მიჯნით ან III ს დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

საკვლევი ორნამენტის ბოლოსაკენ კონუსურად გაფართოებული ჯგუფის დათარიღებისას მხედველობაში მისაღებია ვანის № 12 სამარხის ინვენტარიც, რომელიც მკვლევართა მიერ ძვ. წ. III ს მიკუთვნებული[49]. სამარხში დადასტურებული ბრინჯაოს ოთხი გვერდიდან სამს ჩვენთვის საინტერესო ორნამენტი ახლავს. სამივე შემთხვევაში ღეროს ბოლოზე განლაგებულია რამდენიმე რელიეფურ სალტეს შორის მოქცეული ერთი ტანდაღარული ბურცობი, დეკორი ბოლოსაკენ კონუსურად ფართოვდება. ორნამენტის ძირს რამდენიმე წყებად ტეხილხაზოვანი ორნამენტი შემოუყვება. ვფიქრობთ, რომ ამ კომპლექსის თარიღი ძვ. წ. III ს პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს.

როგორც ირკვევა, ამ მოხაზულობის დეკორის მქონე ყველა ნივთი, რომელთაგან ყველაზე ადრეული ვანის № 9 სამარხის სამაჯურებია, თავსდება

---

46 ც. დავლიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

47 იქვე. გვ. 146.

48 ქ. ს. ე. ტ. I., ალგეთი, თბ., 1975, გვ. 282.

49 ლ. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ფირცხალავა, რ. ფუთურიძე, ე. გიგოლაშვილი, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970—1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი, ვანი IV, თბ., 1979, სქოლიო 201.

ქრონოლოგიურ მონაკვეთში ძვ. წ. IV ს მეორე ნახევრიდან ძვ. წ. III ს პირველი ნახევრის ჩათვლით.

რაც შეეხება ამ ორნამენტით შემკულ საკინძსა და ილარს (ალგეთი, წინანდალი), ვფიქრობთ, რომ ამგვარი სამკაული ძირითადად ძვ. წ. IV ს დამახასიათებელი, თუმცა მასალის სიმცირის გამო საბოლოო დასკვნებისაგან თავს ვიკავებთ.

ამგვარად, საქართველოს მასალებში დადასტურებული სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებიანი ორნამენტით შემკული ნივთები ორნამენტის სილუეტის მიხედვით შემდეგ ქრონოლოგიურ ჯგუფებად ლაგდება: 1. ოვალური სილუეტი: ჯგუფი 1. ფიბულები — ძვ. წ. V ს შუა ხანები —IV ს დასაწყისი (ვანის № 11 და № 6 სამარხები); ჯგუფი 2. შესაკრავიანი გვერგვები და ოვალურორნამენტიანი სამაჯურები — ძვ. წ. V ს შუა ხანები — IV ს შუა ხანები (მოდინახის № 3, შრომისუბნის № 2, ითხვისის № 2, ვანის № 3 სამარხები);

II. თანაბარი სილუეტი: — ძვ. წ. IV ს შუა ხანები (სამაჯურები ვანის № 3 სამარხიდან, ბრინჯაოს გვერგვი ახალგორიდან, შესაძლოა, ყაზბეგის სამაროვნის ფიბულები).

III. ბოლოსკენ კონუსურად გაფართოებული სილუეტი: ძვ. წ. IV ს მეორე ნახევარი — ძვ. წ. III ს პირველი ნახევარი (ვანის № 9 სამარხის ვერცხლის სამაჯური, ახალგორის განძის ოქროს სამბურცობიანი გვერგვი, ვანის № 12 სამარხის ბრინჯაოს გვერგვები).

Н. В. ГОГИБЕРИДЗЕ

## К ВОПРОСУ О ДАТИРОВКЕ УКРАШЕНИЙ, ДЕКОРИРОВАННЫХ «ПЕРЛАМИ»

### (По археологическим материалам Грузии)

Резюме

В археологических материалах Грузии на различных украшениях раннеантичной и эллинистической эпох (фибулы, шейные гривны, браслеты, булавки, кавероушки) довольно часто встречается весьма специфический орнамент, состоящий из сферических утолщений, помещенных в парные ободки и сопровождаемых остроугольным гравированным декором в нижней части. Этот орнамент, условно именуемый нами «перлами», характеризуется определенной каноничностью.

Древнейшие образцы исследуемого декора зафиксированы на бронзовых булавках из Луристана. На территории Грузии этот орнамент впервые появляется среди материалов V в. до н. э. В соответствии с месторасположением орнамента на стволе украшения, а также по силуэту самого декора в них удается выделить три основные группы:

I. Силуэт овальный: середина V — середина IV в. до н. э.

1) фибулы — середина V — начало IV в. до н. э. (погребения № 11 и № 6 из Вани); 2) шейные гривны с застежками и браслеты — начало и середина IV в. до н. э. (погребения из Модинахе № 3, из

ეროვნული ბიბლიოთეკა



Шромисубани № 2, Итхвиси № 2 и Вани № 3). II. Силуэт равномерный: середина IV в. до н. э. (бронзовые шейные гривны из Ахалгори и Самадло, браслеты из Ванского погребения № 3, возможно, фибулы Казбекского могильника). III. Силуэт, конически расширяющийся к концу: третья четверть IV — первая половина III в. до н. э. (серебряные браслеты из Ванского погребения № 9, шейная гривна с тремя утолщениями из Ахалгорийского клада, бронзовые гривны из Ванского погребения № 12).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ქადაგიძე

# აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან

**(ივ. ჯავახიშვილის დაბადების 110 წლისთავი)**

1923 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში ივანე ჯავახიშვილმა მიაკვლია „ქართლის ცხოვრების" მანამდე უცნობ ხელნაწერს, რომლის ძირითადი ნაწილი უთარიღო აღმოჩნდა, ხოლო თავსა (5 რვეული) და ბოლოში ნაკლული ტექსტი 1731 წელს არის შევსებული ერაჯ ჭალაშვილის მიერ (ამჟამად დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში, შიფრი: Q—207). ხელნაწერის ძველი ნაწილი ივ. ჯავახიშვილმა პალეოგრაფიული ნიშნებით XVI—XVII სს-ით დაათარიღა[1]. მანვე გამოარკვია, რომ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი (შემდგომში მას ჭალაშვილისეული ნუსხა ეწოდა) შინაარსითაც ორ ნაწილად იყოფა. ერთი მხრივ, აქ არის ვახტანგის წინადროინდელი ხელნაწერი, ხოლო, მეორე მხრივ, — ვახტანგისეული რედაქციის ტექსტი. აქ შეტანილია ვახტანგის კომისიის მიერ შედგენილი გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა", რომლის მხოლოდ პირველი ნაწილი იყო ცნობილი ჭალაშვილისეული ნუსხით[2].

ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი, ანასეული „ქართლის ცხოვრების" მსგავსად, გადმოწერილია ისეთი ხელნაწერიდან, რომელიც დავით აღმაშენებლის თხზულებით თავდებოდა. ამას მოსდევს, ისევე როგორც ანასეულ ნუსხაში „ცხორება დემეტრე მეფისა", ხოლო შემდეგ მოთავსებულია უცნობი თხზულება, რომელშიც აღწერილია გიორგი III-ისა (მოკლედ) და თამარის მეფობა. თხრობა წყდება ბასიანის ომისათვის მზადების ამბებზე და შემდეგ მოსდევს ვახტანგისეული რედაქტიის ტექსტი.

ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1914 წელს დაბეჭდილ ნაშრომში ვარაუდობდა, რომ „ქართლის ცხოვრების" შევსებულ რედაქციაში თამარ მეფის შესახებ თხრობის შესადგენად პირველი ისტორიკოსის თხზულებასთან ერთად („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") კიდევ რომელიღაც ძველი ქართული მატიანე უნდა ყოფილიყო გამოყენებული[3].

„ქართლის ცხოვრების მარიამისეული და ჭალაშვილისეული ნუსხებისა და ვახტანგისეული რედაქციის ტექსტის შედარებით შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ფრიად საგულისხმო შედეგები მიიღო. კერძოდ, მან დაა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1978, გვ. 373—374. შემდგომში კ. გრიგოლიამ დააზუსტა ეს თარიღი და XVI ს-ის მეორე ნახევრით განსაზღვრა ჭალაშვილისეული ნუსხის გადაწერის დრო (კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 111).

[2] იქვე. გვ. 375—376.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II. — თხზულებანი, II, თბ., 1983, გვ. 289, შენ. 1 (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, თბ., 1914, გვ. 682, შენიშვნა).

დგინა, რომ ის დამატებითი ცნობები, რაც შევსებულ „ქართლის ცხოვრება-ში“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისაგან განსხვავებით არის შეტანილი, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ყოფილა ამოღებული[4].

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე სწორად განსაზღვრა ამ ნაწარმოების ტექსტის მეორე ნაწილის აღდგენის მეთოდიც. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ შევსებული „ქართლის ცხოვრების“ თამარის მეფობის აღწერა უნდა შეუდარდეს „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს და, რაც შევსებულ „ქართლის ცხოვრება-ში“ ზედმეტი აღმოჩნდება, ის იქნება ისტორიკოსის თხზულებიდან ამოღებული. ივ. ჯავახიშვილმა ამ მეთოდით აღადგინა კიდეც მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტის მეორე ნახევარი[5].

გამოკლების მეთოდით აღდგენილი ტექსტი თამარის ისტორიისა ივ. ჯავახიშვილმა 1937 წელს დაუთმო ლენინგრადში მუდმივად მცხოვრებ ვ. დონდუას რუსულად გადასათარგმნად. ვ. დონდუამ იგი თარგმნა და გამოსცა 1938 წელს ივ. ჯავახიშვილისეული პირობითი სათაურით — „Жизнь царицы цариц Тамары“[6]. ქართული ტექსტის გამოცემა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს მოხერხდა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით[7].

თამარის მეორე ისტორიის სასტამბოდ მომზადებისა და გამოცემის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის დედანი მის არქივში არ დაბრუნებულა, უკანასკნელ დრომდე უცნობი იყო მისი ბედი და ხელნაწერი აქამდე დაკარგულად ითვლებოდა[8].

ამ ცოტა ხნის წინ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების არქივში აღმოჩნდა საქაღალდე, რომელშიც ივ. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ფურცლებია დაცული.

მუყაოს საქაღალდე ჭრელი ყდითაა (31×22); ყდაზე ფანქრით წაწერილია: „ბასილი ეზოსმოძღვარი“. (სავარაუდოა, რომ წარწერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლის მ. კახიძის ხელითაა გაკეთებული). ყდას ბეჭდური წარწერა აქვს მსხვილი ასოებით: „Папка для бумаг“. ყდის შიგნითა მხარეს პატარა თეთრ ქაღალდზე საფირმო წარწე-

---

4 ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება, გვ. 387.

5 იქვე, იხ. აგრეთვე, М. А. Кадагидзе. Об эффективности метода реставрации утраченной части „Жизни царицы цариц Тамар“ — „Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников“. Тезисы докладов. Тбилиси, 1985, გვ. 50—51.

6 Памятники эпохи Руставели, Л., 1938.

7 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, დასაბეჭდად გაამზადეს ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ.

8 ბუნებრივია, მის შესახებ არაფერია თქმული არც ივ. ჯავახიშვილის არქივის აღწერილობაში (იხ. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს: ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ., 1976.) ამავე არქივში დაცულია ს. ბარნაველის მიერ გადაწერილი თამარის ისტორია (№ 2035), დასათაურებული, როგორც „ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, რომელიც არ წარმოადგენს თამარის მეორე ისტორიის ტექსტს.

რაა: „Типолитография им. Стачки 1902 года РУИ и П, Ростов-на-Дону, Энгельса II, Арт. 950—II, 2-й сорт. цена 2 р. 25 к.“

საქაღალდეში მოთავსებულია:

1. ივ. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი საკითხავის ფრაგმენტი. ძველი პაგინაცია ფანქრით არის გაკეთებული და თითქმის გადასულია — 11—16 გვერდები. მეთერთმეტე გვერდზე ფანქრით გაკეთებულია მინაწერი „გვ. 431“. საკითხავის ტექსტი იწყება:... „ერთისა მახლობელნი სახითა მეოტ იქმნა რისხვისაგან მეფისა განვიდა უდაბნოდ მთასა სინასა“...

წყდება: „...და ბუნებისა მისისა ხედვიდა მას კაცად და ბუნება იგი ღმრთაებისა დაუსაბამო ვერა ცნა და კუალად აგარიანნიცა“... ამ საკითხავის სიუჟეტი ემყარება ლეგენდას, რომელიც მოგვითხრობს, რომ სინას მთაზე, მაყვლოვანში, მოსეს გამოეცხადა ღმერთი ანგელოზის სახით.

2. რვეულის ლურჯი ყდა. ყდის გარეკანზე არის წარწერა ლურჯი მელნით: „V, ბასილი ეზოსმოძღუარი ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“. ყდაში მოთავსებულია ხელით ნაწერი ფურცლები და სტამბურად ნაბეჭდი ტექსტიც. ნაწერი ფურცლები ივ. ჯავახიშვილის ხელით არის შესრულებული. პაგინაცია ფანქრით არის გაკეთებული 1—49 გვ. 33-ე ფურცელი პაგინირებულია ორი ნომრით „33—34“, ე. ი. ამ რვეულში სულ არის ივ. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი 48 ფურცელი (22×18). პირველ ფურცელზე მოთავსებულია წარწერა: „ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (იხ. სურ. 1).



სურ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტექსტი იწყება 2r-ზე:

„დაჯდა მეფედ გიორგი ძე დავითის დემეტრესი შვილისა[9], ქორონიკონსა სამას სამოცდა თხუთმეტსა; ამან დაყუნა მირჭმასა შინა ყოველნი ჟამნი და დღენი მისნი და იმეფა კეთილითა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა და ებისკოპოსთა [წყალობასა]. ამას შვილი არა ესუა და მისთუის მწუხარე იყო უშვილოებისათუის“...

წყდება... „და ამას შინა თუ რამე ხადით ესმით, ანუ ნახიან, ყოს [3]ლად არა მომეგრდებოდის განუსუენებისა ძილთა, არცა რას დააცალებდესა, რომელიცა წინააღმდგომი ცნიან სამეფოსა და თამარისი: აივსებოდა ნილოსი და იე“[10]...

ალაგ-ალაგ ტექსტი წითელი მელნით არის ნასწორები, ზოგან წითელი ან შავი ფანქრით არის გასწორებული ზოგიერთი სიტყვა[11], სქოლიოებში კი აღნიშნულია ჭალაშვილისეული ნუსხის (B) წაკითხვები. ფურცლების კიდეებზე არის მუხლობრივი დაყოფა — 5, 10 და ა. შ. აქვეა მიწერილი რვეულებრივი ნუმერაციაც: „რვ. $33_{2a}$“, „$33_{3a}$“, „$33_{38}$“, „$33_{48}$“, „$32_{5a}$“. „$34_{58}$“ და სხვ. აქვეა მიწერილი ჭალაშვილისეული ხელნაწერის გვერდობლივი პაგინაცია, რომელიც მ. კახიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

მეორე ფურცელზე მითითებულია ხელნაწერის გვერდები: 253r, 253v, მეოთხე ფურცელზე — 254r, მეოთხეზე — 254v და ა. შ. მთავრდება 271v-თი (49 ფურცელი). ცხადია, მითითებული ნუმერაცია აღნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ხელნაწერის გვერდებს, საიდანაც ივ. ჯავახიშვილი იწერდა ტექსტს, მეთექვსმეტე ფურცლის ბოლოს წერია: ...„სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა“[12]...

მეოცე ნომრით აღნიშნულ ფურცელზე[13] ხელით ნაწერ ტექსტთან ერთად ჩაწებებულია ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“[14] ამოჭრილი ფრაგმენტი: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე კათალიკოსი[15] მიქაელ რომელსა აქუნდა სამთავისიცა, და არა-ვინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი, და[16] არცა მცირე, რამეთუ ყოველანი სძულობდეს მას“[17].

---

9 ტექსტში სიტყვების თავზე არის ნუმერაცია ამ სახით: „დავითის ზემოთ წერია ციფრი „2“, დემეტრეს ზემოთ — ციფრი „1“, „შვილისა“-ზე — „3“. ამრიგად ტექსტი შემდეგნაირად იმართება: „გიორგი ძე დემეტრესი დავითის შვილისა“.

10 ტექსტი გადმოწერილია ჭალაშვილისეული ნუსხიდან (Q — 207, ფ. 253r — 273v — ). იხ. ა გ რ ე თ ვ ე, ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 13—25; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 115—131.

11 ამათგან ნაწილი მ. კახიძის ხელითაა შესრულებული.

12 ეს სიტყვები გადაშლილია, რადგან ფრაზა ორჯერაა გადმოწერილი.

13 აქვე აღვნიშნავთ, რომ ივ, ჯავახიშვილის ხელით ნეწერი ყველა ფურცელი მხოლოდ r-ზეა დაწერილი.

14 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1897, გვ. 425.

15 სიტყვა „კათალიკოსი“ — გადაშლილია მელნით.

16 სიტყვა „და“ გადაშლილია მელნით.

17 სიტყვა „მას“ გადაშლილია (გვერდების ზოგიერთ v-ზე არის რამდენიმე მინაწერი-ჩანიშვნა ფანქრით, მკრთალად, რომლებიც მ. კახიძეს უნდა ეკუთვნოდეს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3. ამავე რვეულში მოთავსებულია ფრაგმენტი ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“[18]. სრულიად დაშლილი — 16 ფურცელი, რომლებსაც აქვთ პაგინაცია — ბეჭდურში 463—494 გვ., ფანქრით გაკეთებული 50 გვ-დან 72 გვ-მდე (ძათვლით). ჩანს, ივ. ჯავახიშვილი ტექსტზე მუშაობსას აღნიშნულ ფურცლებსაც იყენებდა. ტექსტში მრავლად მოიპოვება ჩასწორებული, გადახაზული, ჩამატებული ადგილები; ჩამატებულია სიტყვა ან ასო, დასმულია აბზაცის აღმნიშვნელი ნიშანი. გადახაზულია ასო ან სიტყვა, ან რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ფრაზა (იხ. სურ. № 2). მთლიანი ფრაზები გადახაზულია შემდეგ გვერდებზე: 50; 51; 54; 61; 64, 72[19].

63-ე[20] და 494[21]-ე გვერდები მთლიანად გადახაზულია წითელი ფანქრით.

ოთხი ნაბეჭდი ფურცელი: 477—478, 479—480, 481—482, 483—484, არ არის დანომრილი ფანქრით[22] (როგორც აღინიშნა, ასევეა 494-ე გვერდიც). ეს ოთხი ფურცელი ივ. ჯავახიშვილს სამუშაო ცალად არ გამოუყენებია, რადგან ტექსტი თამარის მეორე ისტორიკოსს არ ეკუთვნის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ნაწილია. დანარჩენებისაგან განსხვავებით ფურცლებზე არავითარი მინაწერი არ არის, არც მუხლობრივი დაყოფა და არც რაიმე შენიშვნაა გაკეთებული.

4. ცალკე ქაღალდშემოვლებულ შეკვრაში, რომელიც ასევე საქაღალდეშია, ივ. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი 5 ფურცელია, რომელთაც პაგინაცია წითელი ფანქრით აქვთ გაკეთებული. ეს არის ფრაგმენტი ივ. ჯავახიშვილის მიერ თამარის ისტორიის ტექსტზე ჩატარებული კვლევისა, რომელიც მის მიერვეა ზოგან ნასწორები[23].

იწყება ასე:

„ისტორიათა და აზმათა“ და ქართლის ცხოვრების“ შევსებული ტექსტების შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას არც B ხელნაწერში უნდა ჰქონდეს დასაწყისი სრულიად შენახული, არამედ მას შესავალი უნდა აკლდეს. თავისდათავადაც ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართველს ისტორიკოსსა XI და XII საუკუნეში თავისი ასეთი დიდი გვირგვინოსანის მეფობის მომთხრობელი ნაწარმოები, როგორიც თამარი იყო, ამგვარი სიტყვებითა და მატიანისებური კილოთი დაეწყო, როგორც იგი B-ში იწყობა“... (1 ფ.). წყდება გამოკვლევის ეს ნაწილი მე-5 ფურცელზე:... „ისე იყო გავრცელებული, რომ ორსავე ისტორიკოსს შეეძლო დამოუკიდებლივ ეხმარა ამგვარი შედარება, მით უმეტეს, რომ თვით სურათი ორსავე შემთხვევაში სხვადასხვანაირად არის და[ნა]ხული და ამ მხრივ მათ შორის მსგავსება არ არსებობს. ეხლა უკვე ვიცით, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემვსებელი მხოლოდ წყაროების ცნებებისა და ნაწყვეტების ჩამრთველი ტესქტის გადამკეთებელი კი არ

---

18 ქართლის ცხოვრება, I, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 463—494.

19 ბეჭდურის პაგინაცია შეესაბამება: 463, 464, 465, 467, 474, 485, 486, 493.

20 შეესაბამება ბეჭდურის 476-ს.

21 პაგინაცია ბეჭდურისაა, ფანქრით არაა დანომრილი.

22 აღნიშნული გვერდები მოთავსებული იყო ამავე საქაღალდეში, ცალკე ქაღალდშემოვლებულ შეკვრაში.

23 გამოქვეყნებულია. იხ. ვ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, 1944, გვ. II—III.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, არამედ“... აქ გვერდის შუაზე წყდება წინადადება. შემდეგ არის მოთავსებული ივ. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ოთხი ფურცელი.

ამათგან სამი ფურცელი შავი ფანქრით არის დანომრილი: „7“, „12“, „17“. სამივეზე ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ფრაგმენტებია. შვიდი ციფრით დანომრილი ფურცელი (იხ. სურ. № 2) იწყება: „ქუეყანისათა და ესე უსაკუირველეს მიჩნს ყოველისამე“... ამ გვერდზე ჩაწებებულია ბეჭდური ტექსტი „ქართლის ცხოვრებიდან“:... „დაჯდა ნებითა ღ̃ვთისათა[24] მეფე[დ][25] თამარ[26]. დასაბამითგანთა წელთა: — ექ[უ]სი[27] ათ ას ექ[უ]ს[28] ას ოთხ მოც — და ექ[უ]სსა[29]: ქორონიკონსაი[30], ოთხას ორ-მოც[31] და სამსა“[32]. ქარაგმის ნიშანი და ბეჭდური ტექსტის ყველა ჩასწორება ივ. ჯავახიშვილისეულია. ორი სტრიქონის ქვემოთ კიდევ ნაბეჭდი ტექსტის ფრაგმენტებია ჩაწებებული: „დანისი, სახელით ბურდუ ხან[33], რომელი ჰმატა სიკეთესა [დედათასა სხუითა][34] ყოველთა დედათა[35] [გარნა თამარის დედობითა][36] სძალი [სხუა მისებრი მაშინ][37] არა ეხილვა ქართლისა თემსა. (ესე თუთ)“[38].

აქ მთავრდება ნაბეჭდი ტექსტი. ამას მოსდევს: „(და შემდგომითი შემდგომად აქონ ამიერითგან)“[39].

მე-17 ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია „33 4a“. მე-12 ნომრით აღნიშნულ ფურცელზე ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი იწყება ასე: „...ყვეს და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა“... წყდება: „...აცნობეს თამარს და აწუევდეს“... ფურცლის კიდეში ფანქრით არის მიწერილი ივ. ჯავახიშვილის მიერ: „გაგრძელება 414“. კიდეებზე მინაწერებია: „3368“, „3414“. სქოლიოშია: 1.) B ემდგომად[40].

17 ნომრით აღნიშნულ ფურცელზე ტექსტი იწყება შემდეგნაირად: ...„ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნესა იმერელ სუანნი მსგავსად ჩუეულებისა“...

---

24 ასო „ვ“ — გადახაზულია.

25 ჩამატებულია ასო „დ“.

26 სიტყვა „მეფე“-ს თავზე აქვს ნუმერაცია — „2“, სიტყვა „თამარ“-ს თავზე აქვს — „1“. ე. ი. აღნიშნული ადგილი ასე იკითხება — „დაჯდა... თამარ მეფედ“.

27 ჩამატებულია ასო — „უ“, ნაბეჭდშია — „ვ“.

28 ასო — „უ“ ჩამატებულია, წერია — „ვ“.

29 ნაბეჭდში ასო „ვ“-ს ნაცვლად წერია ასო — „უ“.

30 ნაბეჭდში წერია — „ქრისტეს აქეთ“.

31 ტექსტში გადაშლილია სიტყვები — „ას ორ-მოც“.

32 ნაბეჭდ ტექსტში აღნიშნულ ადგილას წერია — „ათ ექვს“. ეს ნაწილი ამოჭრილი და ჩაწებებულია ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრებიდან“. აღნიშნული ნაწილი მსხვილი შრიფტით არის აწყობილი, რადგან, ეს ფრაზა სინგურით წერია ჭალაშვილისეულ ხელნაწერში.

33 გადაშლილია — „დანისი, სახელით ბურდუ ხან“.

34 ეს ორი სიტყვა — „დედათასა სხუითა“, მელნით არის ჩამატებული ივ. ჯავახიშვილის მიერ.

35 გადაშლილია სიტყვა — „დედათა“.

36 ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ სიტყვები — „გარნა თამარის დედობითა“.

37 ტექსტში ჩაწერილია ივ. ჯავახიშვილის ხელით — „სხუა მისებრი მაშინ“.

38 გადახაზულია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები — „ესე თუთ“.

39 მელნით არის ჩაწერილი და შემდეგ გადაშლილი ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა — „და შემდგომითი შემდგომ აქონ ამიერითგან“.

40 იგულისხმება ჭალაშვილისეული ხელნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვეა ჩაწებებული ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი ადგილები: „ხოლო თამარ ევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა თუ ვის მიანდოს დავით და სპა თვსი, და განსაგებელი სახლისა თვსისა“,.. წყდება:... „და მწიგნობართუხუცესობა, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკმეს, არავე დაეცეს, ამიერითგან იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსა-თვს და ერის უმჯობესთა“...

აღნიშნული სამი გვერდი — „7“, „12“, „17“, გადმოწერილი ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრებიდან“, აღდგენილია ზ. ჭიჭინაძისეული ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი ნაწილებით. დასადგენია თუ რა მიზნით ჩაატარა მეცნიერმა აღნიშნული სამუშაო.

ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებით“[41] შევსებული გვერდი მე-7 ემთხვევა ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერის, მთლიანი ტექსტის მე-7 გვერდს, მე-12 გვერდი ემთხვევა ივ. ჯავახიშვლის მიერ გადაწერილი ტექსტის მე-14—15 გვერდებს, ხოლო მე-17 გვერდი 21—22-ე გვერდებს.

ეს სამი გვერდი, შესწორებებით და ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩამატებული ნაწილებით[42] ჩართულია ივ. ჯავახიშვილის მთლიან ტექსტში თამარის მეორე ისტორიისა, გარკვეული ცვლილებებით.

მთლიანი ტექსტის მე-15 გვერდზე ჩამატებულია ფრაზა, რომელიც ამ ნაწილის შავ ცალში, მე-12 ნომრით პაგინირებულ ფურცელზე არ არის: „შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და...“[43].

აღნიშნული მე-12 გვერდის ბოლოს მიწერილია ფანქრით „ივ. ჯავახიშვილის მიერ — „გაგრძელ, ქ˝ც 414“.

მე-17 გვერდზე, ნაბეჭდ ნაწილებში ჩაწერილია ჭალაშვილისეული ხელნაწერიდან ჩამატებული სიტყვები და ფრაზები: „ჭეშმარიტ ქრისტიანე“, „უზომოდ“, ამოღებულია: „შემეცნებული საურავთა“, „შვიდთავე სამეფოთა, და დიდებულთა განზრახვითა“.

ირკვევა, რომ აღნიშნული სამი გვერდი („7“, „12“, „17“) არის ტექსტის ცალკეული ნაწილების აღდგენის ცდა.

ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი ნაწილით არის შევსებული ივ. ჯავახიშვილის ხელით გადაწერილი თხზულების მთლიანი ტექსტის მე-20 გვერდი (იხ. სურ. № 3), რომელსაც პაგინაცია 16, გადასწორებული აქვს 20-ად. ამ გვერდის გაგრძელება უნდა იყოს აღნიშნული მე-17 გვერდი, რომელიც მთლიანი ტექსტის 21—22 გვერდებს ემთხვევა.

დასახელებულ გვერდებთან არის მეოთხე, დაუნომრავი ფურცელი, რომლის ორივე მხარეს (r, v) ივ. ჯავახიშვილს ჩაუწერია ცალკეული სიტყვები. მაგ: „თაყუანისსცემოდენ, ძღუენი, მოძღუარი, უსაკუირველეს“... და ა. შ. (22╳18).

5. აქვე არის მცირე ზომის ფურცლები, ნაწერი ზოგი ფანქრით, ზოგი მელნით, სხვადასხვა ჩანიშვნები, ზოგი დაუწერელია. სულ 23 ფურცელია[44]. ეს ყველა მოთავსებულია ერთ დიდ მოკეცილ ფურცელში, რომელსაც მელნით აწერია: „[ცხოვრება და ქცევანი მეფეთ-მეფისა თამარისნი]“, წარწერა

41 ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 402, 384.

42 იქვე, გვ. 402, 384, 425, 426.

43 აღნიშნული ფრაზა ფანქრით არის გადახაზული მთლიანი ტექსტის მე-15 გვერდზე.

44 პაგინაცია ფანქრით ჩვენ გავაკეთეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის ხელით არის შესრულებული. მისივე ხელით სიტყვა „ქცევანის“ თავზე, მკრთალად, ფანქრით მიწერილია „საქმენი? (გვ. 24)“. ქვემოთ ჩაწებებულია ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“[45] შემდეგი ფრაგმენტი: „და დაფარული — იგი ცეცხლი ვითარცა საღრტილსა შორის კვეთებითა რკინისათა გამოჰკრთის, ეგრეთვე [ვიწყო][46] აღმობრწყინვებად ამბავთა თამარისთა და სიტყვით ოდენ მცირედი რამე ნაბერწყალი დიდისა მის საჴმილისა აღმოვაჭვო, და მიგითხრა მიუთხრობელი და სიტყვით გამოუთქმელნი ცხოვრებანი და ქცევანი თამარ ბრძნისანი“.

როგორც ვხედავთ, ახლად აღმოჩენილი საქაღალდე შეიცავს საყურადღებო მასალას, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ თამარის მეორე ისტორიის ტექსტზე ივ. ჯავახიშვილის მუშაობის პროცესს, შევავსოთ დაკარგული ტექსტის აღდგენის მისეული მეთოდის თავისებურებანი და ეფექტურობა.

თამარის მეორე ისტორია პირველად ამ ხელნაწერშია დასათაურებული ივ. ჯავახიშვილის მიერ. მკვლევრის საგულისხმო შენიშვნები ტექსტზე მუშაობისას, ჩამატებულ-ჩასწორებული ადგილები, დიდად საყურადღებოა თანამედროვე მკვლევართათვის, თხზულების ტექსტის რესტავრაციის პროცესის ნათელ სურათს წარმოაჩენს და წარმოდგენას იძლევა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოყენებულ მეთოდზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვით მკვლევარი არ თვლიდა სამუშაოს დამთავრებულად. დარჩენილია მრავალი სავარაუდო და გასარკვევი ადგილი, რაც შემდგომ ძიებას და დაკვირვებას მოითხოვს, კერძოდ, უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, „კომისიას“ თამარის ისტორიის შედგენისას გარდა პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებებისა გამოუყენებია კიდევ მრავალი ცნობა, რომელიც ამ ისტორიებში არ იყო დაცული[47]. ამ დასკვნამდე მივიდნენ სხვა მკვლევრებიც[48].

ამდენად, კვლევის თანამედროვე ეტაპზე კვლავ დღის წესრიგში დგას ძეგლის წყაროთმცოდნეობითი დახასიათების პრობლემა. საჭიროა, კერძოდ პირველი და მეორე ისტორიების შედარებითი შესწავლა, შინაარსობრივი, სტატისტიკური და ტერმინოლოგიური ანალიზი, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარება პრობლემის გადაჭრაში.

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილმა გადასათარგმნად დაუთმო ვ. დონდუას „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.

საინტერესო იყო თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტის ივ. ჯავახიშვილისეული და ვ. დონდუასეული ხელნაწერების შედარება.

ვ. დონდუას არქივში დაცულია საერთო რვეული[49], რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერიდან გადმოწერილ ტექსტს შეიცავს. ამ ხელნაწერშიც,

---

45 ზ. ჭიჭინაძის გამოც., ნაწ. I, გვ. 402—403.

46 ეს სიტყვა ტექსტში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის ხელით, მელნით.

47 როგორც შემდეგ გამოირკვა, ნაწილი ამ ცნობებისა აღებული იყო „ლაშა — გიორგის დროინდელი მატიანიდან“.

48 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის — წიგნში: „ქართლის ცხოვრება“, II, შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 018; ქ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 245; რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 30.

49 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ვ. დონდუას პირადი არქივი, № 80 საქაღალდე.

ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილთან, პირველ გვერდზე მხოლოდ სათაურია დაწერილი („ბასილი ეზოსმოძღვარი ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“), ხოლო ტექსტი იწყება რვეულის მეორე გვერდზე.

ვ. დონდუას ხელნაწერში გათვალისწინებულია ივ. ჯავახიშვილის ყველა შენიშვნა, იმ განსხვავებით, რომ სადაც ივ. ჯავახიშვილს გაშიფრული აქვს ქარაგმები, ვ. დონდუას ყველა ეს სიტყვა ქარაგმით უწერია[50].

ვ. დონდუას ხელნაწერის მე-16 გვერდზე წყდება მეორე ისტორიის ტექსტი „აივსებოდა ნილოსი და იე“... ასევე წყდება ივ. ჯავახიშვილთანაც (გვ. 49). ივ. ჯავახიშვილთან ტექსტის გაგრძელება წარმოდგენილია ნაბეჭდი გვერდებით (ზ. ჭიჭინაძის გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით).

ვ. დონდუას ხელნაწერში ტექსტის დასაწყისში არის მე-17 გვერდზე, ხოლო აღნიშნული რვეულის მე-2 გვერდზე გადაწერილია ის ნაწილი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერის 35-ე გვერდზეა დაწერილი. სხვა მხრივ ივ. ჯავახიშვილისა და ვ. დონდუას ტექსტები ერთნაირია. ვ. დონდუას გადმოწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილის ყველა ჩანიშვნა და ჩამატებული სიტყვა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებით შეავსო, ვ. დონდუას ხელნაწერში არ მოიპოვება, მხოლოდ მითითებულია, რომ: „Далее см. изд. ჭიჭინაძე [უკანასკნელი სიტყვების ადგილი დაბეჭდილში (ბას. ეზ. მოძღვ.) = გვ. $25_{15}$]“. ე. ი. ვ. დონდუამ მიიღო ივ. ჯავახიშვილის აღდგენილი ტექსტი. მკვლევარს ასეც უწერია თავისი ხელნაწერის მე-16 გვერდზე: „В моём экземпляре Чичинадзевской ქ˝ცა исправления карандашом восстанавливают текст р. п. ჭალაშვ. Исправления я делал по восстановленному тексту Джавахишвили“.

წყაროთმცოდნეობის განყოფილების არქივში მიკვლეული საქაღალდე ივ. ჯავახიშვილისეული ხელნაწერი მასალით, შუქს ფენს დიდი მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობის ერთ მეტად მნიშვნელოვან მხარეს. ეს საყურადღებო მასალა გადაეცა კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს და დაცულია ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში.

---

50 შესაძლოა, ივ ჯავახიშვილის ხელნაწერის პარალელურად, ვ. დონდუა ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრებითაც“ სარგებლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერის წარუშლელი კვალი

## (ვ. გაბაშვილის დაბადების 75 წლისთავი)

მიმდინარე წლის 9 აპრილს 75 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ ორიენტალისტ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ქართული საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე მედიევისტ ისტორიკოსთა სკოლის დამაარსებელს ვალერიან ნიკოლოზის ძე გაბაშვილს. მაგრამ იგი უეცრად გარდაიცვალა 1985 წლის 1 ივნისს. მადლიერი ქართველი საზოგადოება და ქართული მეცნიერება არასდროს დაივიწყებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მას მიუძღვის ქართული მეცნიერების წინაშე.

ვ. გაბაშვილის ცხოვრება გარეგნულად არაფრით იყო ღირსშესანიშნავი. იგი დაიბადა 1911 წ. 9 აპრილს ვოლოგდის გუბერნიის სოფელ ვერხოვაჟიეში პოლიტიკურ გადასახლებულთა ოჯახში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. პატარა ვალერიანის (ვალიკოს) აღზრდა-განათლებაში სკოლასთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისმა მშობლებმა, განსაკუთრებით დედამ, ქალბატონმა ელენემ, ფრიად განათლებულმა, სათნო და შესანიშნავმა მანდილოსანმა.

1929—1932 წწ. ვ. გაბაშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1937 წ. ვ. გაბაშვილი ჩაირიცხა კავკასიისმცოდნეობის (შემდგომში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის) ინსტიტუტის ასპირანტურაში ირან-საქართველოს ურთიერთობის სპეციალობით. აქ მისი ხელმძღვანელი იყო ქართველი ხალხის საამაყო შვილი აკად. ივ. ჯავახიშვილი.

1940 წ. ვ. გაბაშვილმა დაამთავრა ასპირანტურა და დაიწყო მუშაობა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. ამავე დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე.

1942 წ. ვ. გაბაშვილმა დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობა „დასტურლამალის“ მიხედვით“. ოფიციალურმა ოპონენტებმა აკადემიკოსებმა ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მკვლევრის ნაშრომს.

1945 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც ვ. გაბაშვილი ორმოცი წლის მანძილზე კითხულობდა ახლო აღმოსავლეთის (ირანი, არაბული ქვეყნები, თურქეთი) ისტორიის ზოგად და სპეციალურ კურსებს, ატარებდა სპეცსემინარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ თაობას კარგად ახსოვს ახალგაზრდა ლექტორის, მაშინ ჯერ კიდევ დოცენტის, ვ. გაბაშვილის შთაგონებით აღსავსე, მდიდარი ფაქტობრივი მასალითა და ღრმა თეორიულ და მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებული ლექციები. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვ. გაბაშვილი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. ამაში მას ხელს უწყობდა სასიამოვნო ხმის ტემბრი და ვაჟკაცური აღნაგობა: მაღალი, წარმოსადეგი, სანდომიანი სახის ადამიანი პირველი შეხვედრისთანავე ხიბლავდა ახლად გაცნობილსა და ღრმაშინაარსიანი საუბრის შემდეგ მისი მუდმივი თაყვანისმცემელი ხდებოდა. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი მეტყველების კულტურა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ვ. გაბაშვილი ჭაბუკობაში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახლად ფეხადგმულ ქართულ საბჭოთა თეატრში მსახიობობდა.

1950 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვ. გაბაშვილის თაოსნობით დაარსდა აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა, რომელსაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა.

1957 წ. ვ. გაბაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)“.

1957—1960 წწ. ვ. გაბაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებას. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მისი დამაარსებლის აკად. გ. წერეთლის სახელს ატარებს, ვ. გაბაშვილი სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებას და შესაშური წარმატებით ხელმძღვანელობდა მას გარდაცვალებამდე, ზუსტად ოცდახუთი წლის მანძილზე.

ქართული და საადმოსავლეთმცოდნეო ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილის გამო პროფ. ვ. გაბაშვილს 1966 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1974 წ. 29 მარტს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ვ. გაბაშვილი იყო ბევრი სამეცნიერო საბჭოს, უნივერსიტეტის შრომების აღმოსავლური სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ისტორიის კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და ქართული საისტორიო წყაროების სერიის რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სამეცნიერო-საკონსულტაციო სექციის თავმჯდომარე და სხვ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვ. გაბაშვილის თანამშრომლობა ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქციასთან. იგი არა მხოლოდ ხშირად ბეჭდავდა, არამედ ამავე დროს იყო ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრი. რამდენადაც ვიცით, მრავალჯერ გამოუთქვამს ვ. გაბაშვილს სარედაქციო კოლეგიის სხდომებზე თავისი ავტორიტეტული და კომპეტენტური აზრი ამა თუ იმ საეჭვო, გადაუჭრელ თუ სადავო საკითხებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ვ. გაბაშვილს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

როგორც ცნობილია, ვ. გაბაშვილი იყო უაღრესად ერუდირებული და ფართო განათლების მკვლევარი. ევროპული და აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა მას საკუთარი წარმოდგენა ჰქონოდა თანამედროვე ევროპული და აღმოსავლური მეცნიერების დონეზე, მუდამ საქმის კურსში ყოფილიყო და გაეთვალისწინებინა მსოფლიო ორიენტალისტიკის მიღწევები. ამ მიღწევათა შეფასების მიზნით იგი ხშირად ძალ-ღონესა და მისთვის ძვირფას დროს არ იშურებდა დაეწერა ობიექტური და პირუთვნელი რეცენზიები საბჭოთა და თანამედროვე ევროპელ და აღმოსავლელ მკვლევართა ნაშრომებზე.

მეტად ფართო იყო ვ. გაბაშვილის სამეცნიერო ინტერესები როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თემატურადაც. იგი ავტორია ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ცალკე წიგნებად და სტატიების სახითაც.

ვ. გაბაშვილი მისთვის ჩვეული გულმოდგინებით, ანალიტიკური ნიჭითა და დაინტერესებით იკვლევდა საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, აღმოსავლური და ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების, ქართული და სპარსული დიპლომატიის, წყაროთმცოდნეობის, დიპლომატიკის, კულტურასა და მრავალ სხვა საკითხს.

გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის სქელტანიანი მონოგრაფია „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა“, რომელიც 1958 წ. გამოიცა. ამ ნაშრომში მკვლევარმა მრავალი აღმოსავლური, ქართული, რუსული და ევროპული პირველწყაროს მონაცემებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეისწავლა და გაარკვია ქართული ფეოდალური ურთიერთობისა და წყობილების ძირითადი საკითხები აღმოსავლურთან მიმართებაში. იგი საგანგებოდ იკვლევს საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს, აგრეთვე საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებს, თუ როგორი იყო XV ს. დასასრულისათვის საქართველოს პოლიტიკური დაშლის პირობები და ამ მოვლენასთან მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივების მიზეზები.

ამ მონოგრაფიით კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა, რომ ვ. გაბაშვილის სახით ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობას ჰყავდა ფეოდალური ხანის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ნიჭიერი მკვლევარი-ანალიტიკოსი.

ვ. გაბაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართული საისტორიო წყაროების მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლაში. შეიძლება ითქვას, პირველმა შენიშნა, რომ ქართულ წყაროებში მოცემულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ამასთანავე ქართულ წყაროებში აღწერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები ეკუთვნის „თვითმხილველ“ და „თანადამხვდურ“ ავტორებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ღირსებასა და მნიშვნელობას.

ვ. გაბაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლაში. მან უცილობლად დაამტკიცა, რომ „ვახუშტი თავისი ისტორიული შემოქმედებით მეტ-ნაკლებად უკავშირდება XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სამსავე სკოლას „ჰუმანიტურს“, „საისტორიო-საეკლესიოსა“ და „ერუდიტულ-ისტორიულს“. ისტორიული ფაქტების დალაგებით, მათი განზოგადების უნარითა და ფართო ისტორიული თემატიკით კი ვახუშტი ახლოს დგას XVIII საუკუნის „განმანათლებელ ისტორიკოსთა უშუალო წინამორბედებთან“. ასეთია ვ. გაბაშვილის დასკვნები ამ საკითხზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ისტორიული თვალსაწიერი: ფართო, ღრმა და შინაარსიანია.

ვ. გაბაშვილი ავტორია X—XVIII სს. სპარსული საისტორიო მწერლობის მიმოხილვისა. მანვე დიდი ინტერესი გამოიჩინა ირანში მოღვაწე ქართველებისადმი. კერძოდ, მან საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლების ირანში მოღვაწეობის შესწავლას, ისევე როგორც მათი ქართული წარმოშობის დამტკიცებას.

ვ. გაბაშვილმა შეისწავლა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხები და პირველწყაროთა და VI საუკუნისათვის დამოწმებული ფეოდალური ტერმინოლოგიის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ მხოლოდ VI საუკუნიდან შეიძლება დავიწყოთ ადრეფეოდალური ხანა ახლო აღმოსავლეთში. მანვე მოგვცა ახლო აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ახლებური პერიოდიზაცია.

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს ვ. გაბაშვილის როგორც რედაქტორის საქმიანობა. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში მისთვის არ არსებობდა წვრილმანი და მეორეხარისხოვანი. ამის სანიმუშო მაგალითია მის მიერ რედაქტირებული სათაყვანო მასწავლებლის აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა თორმეტტომეულის პირველი ორი ტომი, რომლებიც შეიცავენ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ორ წიგნს. ვ. გაბაშვილის როგორც რედაქტორის მუშაობის ძირითადი პრინციპი იყო სარედაქციო მასალის გადასინჯვა, გათვალისწინება ყველა წინარე გამოცემის თავისებურებისა, დასასტამბავად გამზადებული წიგნის შეჯერება ავტორისეულ ხელნაწერის ტექსტთან (თუკი საამისო საშუალება იყო), საეჭვო ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენის ხელახლა გადასინჯვა, დაზუსტება-დაკონკრეტება, მოშველიება მრავალი წყაროსა და სპეციალური ლიტერატურისა. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით გამოვიდა მრავალი სამეცნიერო კრებული და ცალკეული მონოგრაფიები.

ვ. გაბაშვილის მთავარი საზრუნავი, შეიძლება თამამად ითქვას, მაინც ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კადრების აღზრდა-მომზადება იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ასე თვლიდა და პირად საუბარშიც მას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ თუ მე რაიმე კვალს დავტოვებ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, ჩემს მიერ აღზრდილი მოწაფეები იქნებიან და არა ჩემი სამეცნიერო მემკვიდრეობაო. ამ კეთილშობილურ და მაღალ მიზანს ემ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახურებოდა, კერძოდ, 1957 წ. ვ. გაბაშვილის თანაავტორობითა და რედაქციით გამოქვეყნებული „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, გათვალისწინებული, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტთათვის. ასეთი ტიპის სახელმძღვანელო იმ ხანად, ორმოცდაათიან წლებში, პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

საყოველთაოდ არის ცნობილი ვ. გაბაშვილის დაუზარელი და გულმოდგინე მუშაობა თავის მოწაფეებთან. იგი დღენიადაგ მათ თავზე დატრიალებდა, იყო მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ, როგორც წესი, ობიექტური და სამართლიანი. ამავე დროს რაოდენ დიდ სიხარულს განიცდიდა და როგორ გაუბრწყინდებოდა ხოლმე თვალები, როცა თავისი მოწაფეების მორიგ წარმატებებს იხილავდა. ბატონ ვალერიანის მოწაფეებს მარად გვემახსოვრება მის მიერ ჩატარებული სემინარები, მრავლისმეტყველი, შინაარსიანი, მდიდარი ფაქტობრივი მასალითა და სიახლით.

ვ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით დამუშავებული, მომზადებული და დაცულია ოცდაათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი ყოველთვის მზად იყო თავისი ცოდნა-გამოცდილება გაეზიარებინა ყველასათვის, მიეცა სათანადო რჩევა-დარიგება, თუ ვინმე ამას საჭიროებდა.

ზემოთქმულის გამო ვ. გაბაშვილი სავსებით სამართლიანად ითვლება სააღმოსავლეთმცოდნეო მედიევისტური სკოლის ფუძემდებლად საქართველოში.

დიდია ვ. გაბაშვილის წვლილი ქართულ მეცნიერებაში, საერთოდ ქართულ კულტურაში და თუ ქართველ ხალხს უკვდავება უწერია, მარადჟამს იცოცხლებენ ბატონი ვალერიანი და მისი მსგავსი ქართველი მოღვაწენი.

**ოთარ ცქიტიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი

მიმდინარე წლის 27 აპრილს შესრულდა 70 წელი გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა მესხიას დაბადებიდან.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წელს, სოფ. ობუჯში (ახლანდელი წალენჯიხის რ-ნი). 1923 წელს ჩაირიცხა, ხოლო 1930 წელს დაამთავრა ზუგდიდის არასრული საშუალო სკოლა. შემდეგ იგი სწავლობდა ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში, ხოლო 1933 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

შოთა მესხიას და მის თაობას წილად ხვდათ ბედნიერება ისტორიკოსის პროფესიას დაუფლებოდნენ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, მოესმინათ ლექციები ქართული მეცნიერების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებისა. სტუდენტობის წლებშივე მიიქცია მან განსაკუთრებული ყურადღება სიმონ ჯანაშიასი, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფეც იყო შემდეგში.

უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1937—1938 წწ. შოთა მესხია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ რაიონში, ხოლო 1938 წელს ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში. ასპირანტურაში სწავლის წლებში, სიმონ ჯანაშიას უშუალო ხელმძღვანელობით იგი ამუშავებს ძველი ქართული ხელოსნობის პრობლემას. ამავე პერიოდში იბეჭდება მისი პირველი გამოკვლევა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა.

ახალგაზრდა მკვლევრის მეცნიერული გეგმების განხორციელება დიდი სამამულო ომის დაწყებამ შეაფერხა. იგი მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ახალგაზრდა ოფიცერმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში გამართულ ბრძოლებში, ანაპისათვის გამართულ შეტაკებებში, მძიმედ დაიჭრა ქერჩის მახლობლად. შოთა მესხიას მხედრული მამაცობისათვის აჯილდოვებენ სამამულო ომის II ხარისხის ორდენითა და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“. მკურნალობის შემდეგ იგი უბრუნდება თბილისს და განაგრძობს დროებით შეწყვეტილ მეცნიერულ მუშაობას. 1942 წლის 15 დეკემბერს, ს. ყაუხჩიშვილისა და ვ. დონდუას ოპონენტობით მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნობა ძველ საქართველოში V—XII სს.“ ამ ნაშრომს, რომელიც კარგახანს გამოუცემელი იყო, ჯერაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდგომ შოთა მესხია ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1943 წლიდან მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროს მასწავლებლადაც. 1945 წლიდან იგი ამავე კათედრის დოცენტია. აქვე იღებენ მას სკკპ რიგებში.

40-იანი წლების მიწურული და 50-იანი წლების დასაწყისი მზარდი მკვლევრის ინტენსიურად მუშაობის პერიოდია. ამ დროს ზედიზედ ქვეყნდება მისი გამოკვლევები შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებზე, რომელთა შორის რელიეფურად გამოიყოფა ძველი ქართული ქალაქების ისტორიის პრობლემები და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები და პუბლიკაციები. 1951 წელს შოთა მესხია მიავლინეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის დოქტორანტურაში, სადაც მას ხელმძღვანელობას უწევდა გამოჩენილი რუსი მედიევისტი მ. ტიხომიროვი. ამავე ინსტიტუტში, 1955 წლის 24 იანვარს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება". ეს ფუნდამენტური ნაშრომი რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1959 წელს, ხოლო მისი ვრცელი ქართული ვარიანტი ახლახან დაისტამბა.

1956 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. ამ მაღალ აკადემიურ პოსტზე შოთა მესხიამ ღირსეულად გააგრძელა თავის სახელოვან წინამოადგილეთა — ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის დანერგილი ტრადიციები.

1957 წელს შოთა მესხიას ენიჭება პროფესორის წოდება, ხოლო 1961 წელს ირჩევენ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად. 1967 წელს იგი როგორც ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს ენიჭება მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1966 წელს შოთა მესხია სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ჯილდოვდება შრომის წითელი დროშის ორდენითაც.

1972 წლის 15 მაისს, 56 წლისა, შოთა მესხია გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დიდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას წვლილი ქართული საბჭოური მეცნიერების განვითარებაში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო ძალზე ფართო იყო და მოიცავდა შუა საუკუნეთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის კარდინალურ პრობლემებს. განსაკუთრებული ადგილი მის სამეცნიერო მოღვაწეობაში ადრიდანვე დაიკავა ქართულმა ურბანისტიკამ, რომლის ჭეშმარიტი ფუძემდებელია იგი, აწ განსვენებულ ვ. გაბაშვილთან ერთად. შუა საუკუნეთა საქართველოს ქალაქების ისტორიის პრობლემებს მან უძღვნა არაერთი სამეცნიერო წერილი, ფუნდამენტური მონოგრაფია „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში" და ცალკე წიგნად დასტამბული ნაშრომი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში".

აღნიშნულ ნაშრომებში შოთა მესხიამ უაღრესად ფართო საისტორიო მასალის დამუშავების საფუძველზე განიხილა ქართული ფეოდალური ქალაქის გენეზისისა და ჩამოყალიბების, მისი განვითარების პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქის სოციალურ განშრევებას, სავაჭროეკონომიკურ ორგანიზაციებს, საქალაქო მმართველობის სტრუქტურას, კლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობრივ ბრძოლას ქალაქებში, ქალაქთა ტიპებს და მათ გარეგნულ სახეს. აღნიშნული პრობლემატიკის კვლევისას მან შემოიტანა საარქივო მასალა, მის მიერვე მოპოვებული და ნაწილობრივ დასტამბულიც. შოთა მესხიას მონოგრაფია „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“ ერთხმად იქნა აღიარებული ქართველი თუ არაქართველი სპეციალისტების მიერ საეტაპო მნიშვნელობისად და სანიმუშო ურბანისტულ გამოკვლევად. მასვე, კოლეგებთან ერთად ეკუთვნის მეცნიერულად გამართული თბილისის ისტორია.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა შოთა მესხიამ ქართულ წყაროთმცოდნეობაში. მან გამოამზეურა და გამოსცა საქართველოს წარსულის ამსახველი არაერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, მათ შორის ცალკე წიგნად დასტამბული „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოსახლეო წყობის ისტორიისათვის“ (1948 წ.). განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ დასტამბული „ძეგლი ერისთავთა“, რომლის დედანს მანვე მიაკვლია და სანიმუშოდ გამოსცა სათანადო გამოკვლევითურთ. არაერთი კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი საკითხებისა აღძრული მის მონოგრაფიებსა და ცალკეულ სამეცნიერო წერილებში.

60-იანი წლებიდან შოთა მესხია განსაკუთრებული ინტენსივობით იკვლევდა XI—XIII სს. საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ისტორიის ძირეულ პრობლემებს. 1965 წ. იბეჭდება „დიდგორის ბრძოლა“, ხოლო 1972 წ. მის საფუძველზე დაწერილი უფრო ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა „ძლევაჲ საკვირველი“, რომლებშიც დავით IV აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები ახლებურად იქნა შესწავლილი და შეფასებული. ამავე პერიოდს განეკუთვნება მკვლევრის ვრცელი და არგუმენტირებული გამოკვლევა „საკარგავის“ ინსტიტუტის შესახებ შუა საუკუნეთა საქართველოში. განსაკუთრებით ფასეულია მისი ფუნდამენტური გამოკვლევა XII საუკუნის საქართველოს სამოხელეო წყობისა და შინაპოლიტიკური ისტორიის შესახებ, რომელიც შოთა მესხიას გამოუცემელი დარჩა. ეს იყო პირველი ნაწილი ჩაფიქრებული ვრცელი მონოგრაფიისა. განსვენებული მკვლევრის კოლეგების მიერ ეს ნაშრომი გამოსაცემად გაიმართა და დაიბეჭდა (1979 წ.).

შოთა მესხიამ საგანგებო მონოგრაფია უძღვნა თავისი მასწავლებლის, ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სიმონ ჯანაშიას მეცნიერულ და საზოგადო მოღვაწეობას. ეს ნაშრომი დაიბეჭდა 1950 წელს, ხოლო 1960 წელს დაისტამბა მისი გადამუშავებული, ვრცელი ვარიანტი. საგანგებო წერილები უძღვნა შოთა მესხიამ ნიკო ბერძენიშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობას.

შოთა მესხიამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაში. იგი თანაავტორი იყო 1958 წ. დაბეჭდილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსი. მასვე, აწ განსვენებულ ვ. გუჩუასთან ერთად ეკუთვნის საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც მოძმე რესპუბლიკათა ენაზეც ითარგმნა და რომლითაც დღემდე ისწავლება ჩვენი ერის ისტორია საშუალო სკოლაში.

ბევრი გააკეთა შოთა მესხიამ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციისათვის. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ცალკე წიგნად დასტამბული პოპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლარული გადმოცემა საქართველოს ისტორიისა (ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე).

1972 წ. იენაში გერმანულად გამოიცა მისი ლექციების კურსი საქართველოს ისტორიის შესახებ. ეს კურსი მან 1971 წ. წაიკითხა იენის ფრიდრიხ შილერის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ცალკე თემაა შოთა მესხიას პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი პიროვნული თვისებები. უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში მის ხელში გაიარეს სტუდენტ-ისტორიკოსთა მთელმა თაობებმა, რომელთა შორის სადღეისოდ ბევრი საქართველოს წარსულის მკვლევარია. გამორჩეული ყურადღება სტუდენტებისადმი, განსაკუთრებით მათდამი, ვინც სტუდქალაქში ცხოვრობდა და დროებით ოჯახს იყო მოწყვეტილი, ახასიათებდა შოთა მესხიას, როგორც პედაგოგს, ფაკულტეტის დეკანს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შოთა მესხია, როგორც გამოჩენილი მეცნიერი და აღმზრდელი, ამშვენებდა და ავტორიტეტს მატებდა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას.

შინაგანი სიფაქიზე და კეთილშობილება, უაღრესი ტაქტი, კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვის იშვიათი უნარი დიდ ავტორიტეტს უხვეჭდა შოთა მესხიას, როგორც პიროვნებას, საზოგადო მოღვაწეს, ერისკაცს.

თოთხმეტი წელი გავიდა შოთა მესხიას გარდაცვალებიდან. დღეს იგი 70 წლისა იქნებოდა. განვლილ წლებში დაიბეჭდა მისი მონოგრაფია თამარის ხანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ისტორიის შესახებ, გამოიცა მისი რჩეული შრომების სამტომეული. 1976 წ. დაისტამბა რ. მეტრეველის მონოგრაფია, რომელიც შოთა მესხიას სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიეძღვნა. შოთა მესხიას, რომელსაც არც სიცოცხლეში კლებია აკადემიური პატივი, გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა ს. ჯანაშიას სახელობის პრემია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. ამდენად, შოთა მესხიას მეცნიერული მემკვიდრეობა კვლავაც აქტუალურია, კვლავაც ინარჩუნებს მეცნიერულ ცხოველმყოფელობას.

**ილია ანთელავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, 1982“

1985 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა კრებული, სადაც მოთავსებულია 1982 წ. ქალაქ სოხუმში ჩატარებული საკავშირო სესიის მასალები. სესია მიეძღვნა წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის აქტუალურ პრობლემებს.

კრებულმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საქართველოს სამეცნიერო წრეებში, აგრეთვე გასულ წელს ბათუმში ჩატარებულ მესამე საკავშირო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა წყაროთმცოდნეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

კრებულში, რომლის დასახელებაა „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, 1982“, აისახა მნიშვნელოვანი ეტაპი, როგორც ქართულ, ასევე საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო ცენტრში მიმდინარე წყაროთმცოდნეობითი კვლევისა, კერძოდ, მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, ბაქოს, მახაჩყალის, კრასნოდარის, თბილისის, ბათუმის და სოხუმის ცენტრებისა.

შ. ძიძიგურის შესავალ წერილში „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი 1982 წლის მანძილზე“ მოცემულია არა მარტო იმ სამეცნიერო გამოკვლევებისა თუ გამოცემების სია, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შესრულდა საქართველოში, არამედ ზოგადად ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ახასიათებს ქართულ თანამედროვე წყაროთმცოდნეობას, იქნება ეს სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროების კვლევისა და გამოცემის საკითხი, ქართული წყაროების რუსული თარგმანების შესრულების და გამოცემის საქმე თუ ყოველწლიური ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელიც მიზნად ისახავს უმთავრესად ქართული და ბერძნული ეპიგრაფიკული მასალის შეგროვებასა და აღნუსხვას; აღნიშნულია აგრეთვე ის დიდი როლი, რომელიც ამ საერთო საქმეში აქვს რესპუბლიკურ და საკავშირო წყაროთმცოდნეების სესიებს.

რ. კიკნაძის წერილში „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის აქტუალური პრობლემები“ ნათლად არის წარმოდგენილი ის ეტაპები, რომლებიც ქართულმა წყაროთმცოდნეობითმა მუშაობამ გაიარა XIX საუკუნიდან მოყოლებული დღევანდლამდე, აღნიშნულია სადღეისოდ გადაჭრილი თუ გადასაჭრელი ამოცანები. წერილი მკითხველისათვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის შედარებით ზოგადად, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ სრულად წარმოადგენს წყაროთმცოდნეობის როგორც პრაქტიკული მუშაობის, ასევე მისი თეორიული საფუძვლების განვითარებისა და სხვადასხვა დროს მისი ცვალებადობის სურათს.

წყაროთმცოდნეობის თეორიულ საკითხებს ეხება ლ. პუშკაროვის წერილი „ასახვის ლენინური თეორია და ისტორიული წყაროს ცნება“ და გ. ალასანიას ნაშრომი „ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი“. ლ. პუშკაროვი ეხება „ისტორიული წყაროს“ ცნების განმარტების საკითხს საბჭოთა წყაროთმცოდნეობით და ფილოსოფიურ ლიტერატურაში, დეტალურად განიხილავს სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემულ განმარტებებს. წერილი ემსახურება წყაროთმცოდნეობის თეორიის მყარი ტერმინოლოგიური საფუძვლის შექმნას და სვამს კიდეც საკითხს ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენის შესახებ არა მარტო წყაროთმცოდნეობაში, არამედ მთელ ისტორიულ მეცნიერებაში.

გ. ალასანიას ნაშრომი ეხება ძველი ქართული ისტორიული ლიტერატურის კლასიფიკაციის საკითხებს. ავტორი რამდენიმე ასპექტში განიხილავს ქართულ ისტორიულ, ჰაგიოგრაფიულ, ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს და მათი შეჯერების საფუძველზე ცდილობს დახატოს ქართული ისტორიული აზროვნების ევოლუციის ერთიანი სურათი.

წყაროთმცოდნეობის კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებს სხვადასხვა თხზულებების საფუძველზე ეხება რამდენიმე ავტორი, ესენია ი. ლურიე, ნ. ლომოური, მ. ჩხარტიშვილი, გ. ანჩაბაძე.

ი. ლურიე თავის წერილში „წყაროს ეგრეთ წოდებული“ უდანაშაულობის პრეზუმპციის“ შესახებ“ განიხილავს თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში დამკვიდრებულ ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც ისტორიული კვლევის დროს იურიდიულ კანონებს იყენებს და ცდილობს დაასაბუთოს ამ მეთოდის უმართებუ-

ლობა, როცა საქმე ისტორიულ წყაროს შეეხება.

ნ. ლომოური წერილში „საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი ძველბერძნული და ქართული წყაროების გამოყენების მეთოდოლოგიის საკითხისათვის“ ეხება ზოგიერთი მკვლევრის მიერ ბერძნული და ძველი ქართული წყაროების გამოყენების საკითხს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ადგილების გარკვევის დროს და აუცილებლად მიიჩნევს წყაროების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას, მათი ავტორის ვინაობის, დაწერის დროისა და ტენდენციების გათვალისწინებას.

მ. ჩხარტიშვილი ეხება ქართლში ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი მქადაგებელი ნინოს შესახებ არსებული ქართული და სომხური წყაროების ინტერპრეტაციის საკითხს.

ინტერესს იმსახურებს გ. ანჩაბაძის მიერ განხილული ქართული ისტორიული, დოკუმენტური თუ ლიტერატურული ხასიათის თხზულებები, რომლებიც წარმოადგენს წყაროს საქართველოს სამხედრო ისტორიის შესასწავლად.

წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიისათვის საინტერესოა ა. პრონშტეინის წერილი „წყაროების წინასწარი ისტორიული კრიტიკის შესახებ ვ. ო. კლუჩევსკის შრომებში“, ასევე კ. ტაბატაძის ნაშრომი საქართველოში სპარსული ისტორიული თხზულებების შესწავლისა და გამოცემის შესახებ.

ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის წყაროთმცოდნეობითი საკითხების დამუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ქართული, ასევე სომხური, რუსული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური (სპარსული, არაბული, თურქული) წყაროების შესწავლასა და გამოყენებას. კრებულში მოთავსებულია მთელი რიგი წერილებისა, რომლებიც საკმაოდ დეტალურად იხილავს კონკრეტულ წყაროთმცოდნეობით საკითხებს ამ მიმართულებით. მათ რიცხვშია ისეთი გამოკვლევები, რომლებიც ნარატიული წყაროების გარდა იხილავს დოკუმენტურ, ეპისტოლარულ, ფოლკლორულ მასალას (ს. აშურბეილი, მ. ბერძნიშვილი, ზ. თანდილავა, ნ. შენგელია და სხვ.). საინტერესოა ნაშრომი აღმოსავლური ტერმინოლოგიის შესწავლის შესახებ ქართულ წერილობით ძეგლებში, კერძოდ, XVII საუკუნის ისტორიულ პოემებში (მ. კიკნაძე).

კრებულში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული, ბერძნული და აღმოსავლურენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წინაქრისტიანული ხანის ბერძნული წარწერებიდან უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ეშერის ნაქალაქარზე აღმოჩენილ სპილენძის ფირფიტაზე შესრულებულ ბერძნულ წარწერას, რომლის დეტალური ანალიზი, ტექსტის აღდგენითა და დათარიღებით მოცემულია თ. ყაუხჩიშვილის წერილში. ლ. ხრუშკოვას ნაშრომში განხილულია განთიადის (წანდრიფშის) ბაზილიკის ბერძნული წარწერა, რომლის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ, ავტორის აზრით, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები არ ეწინააღმდეგება ძეგლის არქეოლოგიურ მონაცემებს. ამიტომ ამ ბერძნულ წარწერას ავტორი VI საუკუნით ათარიღებს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები დ. მეღვინეთხუციშვილისა და დ. ბაქრაძის საარქივო ფონდებში განხილული აქვს გ. ოთხმეზურს.

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, როგორც წყარო აფხაზეთის ისტორიისათვის დამუშავებული აქვს გ. ამიჩბას. ვახუშტი ბაგრატიონისავე თხზულებიდან ცნობები თურქების პირველი შემოსევის ქრონოლოგიისათვის საქართველოს შავიზღვისპირეთში შესწავლილი და განმარტებულია მ. სვანიძის ნაშრომში.

კრებულში შესულ ნაშრომებში არის ისეთიც, რომელიც შეისწავლის ქართული ისტორიული თხზულებების თარგმანების ტიპოლოგიური დახასიათების საკითხს (მ. აბაშიძე).

კრებული „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, 1982“ საინტერესოა, როგორც თემატიკის მრავალფეროვნების თვალსაზრისით და სადღეისოდ აქტუალური თეორიული საკითხების დასმით, ასევე კონკრეტული გამოკვლევების სიღრმითა და მაღალი მეცნიერული დონით.

ლელა პატარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სიმპოზიუმი მიეძღვნა მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას

შუა საუკუნეების ძეგლების არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილ თიხის ნაწარმს შორის გამოიყოფა მეტად თავისებური და საყურადღებო სახეობა — მრავალფერად მოჭიქული კერამიკა, რომელიც საქართველოში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული XII—XIII სს-ში. ამასთანავე ანალოგიური კერამიკა დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და სხვა რეგიონებში გვხვდება XIII—XIV სს.

აღნიშნული კერამიკის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია დადგინდეს მისი წარმომავლობა, გავრცელების გზები და ტექნოლოგია.

ამის გამო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინიციატივით თბილისში მოეწყო შუა საუკუნეების კერამიკის შესწავლისადმი მიძღვნილი I სიმპოზიუმი თემაზე „ამიერკავკასიის მრავალფერად მოჭიქული კერამიკა — მისი საწყისები და გავრცელების გზები“.

სიმპოზიუმი მიმდინარეობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სხდომათა დარბაზში 1985 წლის 21—25 ოქტომბერს. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ოდესიდან, სიმფეროპოლიდან, სევასტოპოლიდან, სვერდლოვსკიდან, გროზნოდან, ბაქოდან, ერევნიდან და თბილისიდან.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკად. ა. აფაქიძემ, რომელიც შეეხო საქართველოში ახლად გამოვლენილ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებს და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლაზე. ა. აფაქიძემ აღნიშნა ივ. ჯავახიშვილის, ლ. მუსხელიშვილისა და გ. ლომთათიძის ღვაწლი ქართული შუა საუკუნეების არქეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე.

წარმოდგენილი იყო 24 მოხსენება, რომლის ანოტაციები დაიბეჭდა სიმპოზიუმის დროს გამოცემულ კრებულში „I სიმპოზიუმის მასალები. ამიერკავკასიის მრავალფერად მოჭიქული კერამიკა — მისი საწყისები და გავრცელების გზები“.

წაკითხული იქნა 18 მოხსენება. სიმპოზიუმის გახსნის დღეს მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: მ. მიწიშვილი (თბილისი) „მრავალფერად მოჭიქული კერამიკა, როგორც წყარო კულტურული ურთიერთობისა XII—XIV სს.“., ბ. ჯორბენაძე, მ. მარგველაშვილი, გ. რჩეულიშვილი (თბილისი) „მრავალფერად მოჭიქული კერამიკა არაგვის ხეობიდან“, ფ. ბაბაიანი (ერევანი) „მოჭიქული კერამიკის განვითარება სომხეთში IX—XIII სს.“.

გარდა ამისა მოხსენებები შეეხო ამ ტიპის კერამიკას აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ყირიმიდან, ბელგოროდ-დნესტროვსკიდან, ვოლგისპირეთიდან, თბილისიდან, რუსთავიდან, ქცია-მაშავრის ხეობიდან, უფლისციხიდან, ივრის ხეობიდან, კვეტერიდან და ხორნაბუჯიდან.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს ი. გაგოშიძის და ბ. გუგუშვილის (თბილისი) ინფორმაცია არქეოლოგიური მონაპოვრის მანქანური დამუშავების შესახებ.

წაკითხული მოხსენების გარშემო გაიმართა მეტად საყურადღებო დისკუსია, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალფერად მოჭიქული კერამიკის შემდგომ შესწავლას. აგრეთვე აღინიშნა სამეცნიერო ფორუმის კარგი ორგანიზაცია, განხილული პრობლემის აქტუალობა და გამოითქვა სურვილი, რომ კვლევა-ძიება ამ მიმართულებით გაგრძელდეს მომავალშიც.

სიმპოზიუმის მონაწილეები გაეცნენ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმს ღია ცისქვეშ. მათ დაათვალიერეს ძველი თბილისისა და მცხეთის ხუროთმოძღვრულ-არქეოლოგიური ძეგლები.

ბესარიონ ჯორბენაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროფესორ ვ. დონდუას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

1985 წ. 12 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებამ პატივისცემით აღნიშნა დიდი მამულიშვილის, შესანიშნავი მეცნიერის — ისტორიკოსისა და ფილოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ვარლამ დარისპანის ძე დონდუას დაბადების 90 წლისთავი.

დღის 12 საათზე ბატონი ვარლამის კოლეგებმა, მეგობრებმა, მისი საქმის გამგრძელებლებმა თავი მოიყარეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში და პატივი მიაგეს ამაგდარი მეცნიერის ხსოვნას. ამავე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც ჩაატარეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენისა და ლიტერატურის განყოფილებებმა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტმა.

სამეცნიერო სესია, რომელიც ვ. დონდუას მშობლიური ინსტიტუტის თაოსნობით იყო მოწვეული, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა შ. ძ ი ძ ი გ უ რ მ ა. მან აღნიშნა, რომ ვ. დონდუას მთელი ცხოვრება, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საუკეთესო ნიმუშია მშობელი ქვეყნისა და ხალხის, საყვარელი საქმის უანგარო სამსახურისა.

ვ. დონდუას ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად მიმოიხილა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ. მან დამსწრეთ გააცნო მეცნიერის მიერ განვლილი გზის სხვადასხვა მონაკვეთები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოჰყო ის პერიოდები, როდესაც ვ. დონდუა აკად. ივ. ჯავახიშვილთან და აკად. ნ. მართან იძენდა ცოდნას. აღინიშნა, რომ ვ. დონდუა ღირსეული მოწაფე იყო თავისი სახელოვანი მასწავლებლებისა, სწორედ მათგან მიიღო საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება და მკვლევრისათვის ეგოდენ საჭირო ჩვევები, რომლებმაც შემდგომში იგი თავისი საქმის დიდოსტატად აქციეს.

ვ. დონდუას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — წყაროთმცოდნეობის — განვითარებაში, რაზეც ისაუბრა ისტ. მეცნ. დოქტორმა რ. კ ი კ ნ ა ძ ე მ.

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემებით ვ. დონდუას დაინტერესება დაიწყო 1923—1924 წწ., როდესაც ის მეცადინეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილის სემინარში. აქ ახალგაზრდები დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების შესწავლით ეუფლებოდნენ ისტორიული ტექსტის ანალიზის მეთოდებსა და ხერხებს. რ. კიკნაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის, ქართული თხრობითი წყაროების, პირველ რიგში „ქართლის ცხოვრების", ტექსტოლოგიური კვლევის, ტერმინოლოგიური ძიებების შედეგად მიღებულ ვ. დონდუასეულ დასკვნებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა ის ღვაწლი, რომელიც ვ. დონდუამ დასდო საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზის გაფართოებას, ქართული წერილობითი ძეგლების ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნების საქმეს, წყაროთმცოდნეობის თეორიული საკითხების დამუშავებას. სწორედ ამიტომაც ითქვა, რომ ვ. დონდუა თანამედროვე ქართული წყაროთმცოდნეობის წარმატებების სათავეებთან დგას.

ისტ. მეცნ. დოქტორმა გ. პ ა ი ჭ ა ძ ე მ დამსწრეთ მოუთხრო იმ წვლილზე, რომელიც ვ. დონდუამ შეიტანა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლაში. მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა ის ნაშრომები, რომლებიც საერთოდ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას ეხებიან. მათ-

გან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომებს, სადაც დიდი მეცნიერული სიზუსტით არის გადმოცემული საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროებისა და რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა კავშირურთიერთობათა ისტორია. გ. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ ვ. დონდუას ნაშრომები მრავალ საყურადღებო დასკვნას შეიცავენ ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობის ისტორიის რიგ საკითხებზე და დღესაც ანგარიშგასაწევია მკვლევართათვის.

იურიდიულ მეცნ. დოქტორის დ. ფურცელაძის მოხსენებაში წარმოჩენილ იქნა ვ. დონდუას მეცნიერული მოღვაწეობის კიდევ ერთი სფერო — ქართული სამართლებრივი ძეგლების კვლევა. მრავალი მაგალითის მოხმობით მომხსენებელმა აჩვენა, რომ ვ. დონდუა იყო არამარტო გამოცდილი ისტორიკოსი და ფილოლოგი, არამედ ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარიც. მის მიერ ქართული სამართლებრივი ძეგლების ინტერპრეტაცია, ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და დასკვნები ამ საგნის სპეციალისტთათვის აქამდე სახელმძღვანელოდ რჩება.

აკად. ივ. ჯავახიშვილისა და ვ. დონდუას ურთიერთობაზე, კერძოდ, მათ მიმოწერაზე, ვრცლად ისაუბრა ისტ. მეცნ. დოქტორმა ე. ხოშტარიამ. ის ეპისტოლური მასალა, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ზუსტად გადმოგვცემს იმ სამაგალითო დამოკიდებულებას, რაც ოსტატსა და შეგირდს შორის არსებობდა. ე. ხოშტარიას მიერ მოტანილმა მასალამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ვ. დონდუა განუმეორებელი ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება იყო. ეს წერილები მეტყველებენ იმაზეც, თუ რაოდენ ერთგული იყო ვ. დონდუა თავისი მასწავლებლისა და როგორ ცდილობდა შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა მისთვის ცხოვრებისა და შემოქმედებითი შრომის მძიმე ტვირთი.

საიუბილეო სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. შ. ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად წარმოდგენილი მოხსენებების ამომწურავი ხასიათისა, ვ. დონდუას სამეცნიერო მემკვიდრეობა კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს და ის მონოგრაფიული შესწავლის ღირსია.

დამთავრდა დღე, რომელიც მრავალმხრივ იყო საყურადღებო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზიდან გამოსულნი დიდის მოწიწებით ახსენებდნენ ბატონი ვარლამ დონდუას სახელს, იგონებდნენ მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. ეს კი განსაკუთრებით საინტერესო იყო მათთვის, ვინც პირადად არ იცნობდა ამ შესანიშნავ მეცნიერსა და მოქალაქეს.

აკად. დ. ლიხაჩოვი შენიშნავს: „მეცნიერის ყველაზე სწორი გზა — ეს თვით მეცნიერების გზაა: იზრუნო მხოლოდ მეცნიერული ჭეშმარიტების დასადგენად და მეტი არაფრისთვის ამ ქვეყანაზე". სწორედ ამ სწორი გზით იარა ბატონმა ვარლამ დონდუამ, ვისი ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა მეცნიერისათვის სამაგალითო უნდა იყოს.

**ვალერი ვაშაკიძე**

ნ88/101

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 30 კაპ. ინდექსი 76197